

ს ვ ე ტ ი ს ხ ო ვ ე ლ ი

სამეცნიერო საისტორიო ჟურნალი

Svetitskhoveli

Scientific Historical Journal

ISSN: 1987 - 6874

№ 1, 2019





**საქართველოს საპატრიარქოს,
საქართველოს საინჟინერო აკადემიისა და
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
თეოლოგიის სასწავლო - სამეცნიერო ცენტრის
სამეცნიერო საისტორიო შურონალი**

მთავარი რედაქტორი: მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

მთავარი რედაქტორის
მოადგილეები:

დეკანოზი ლევან მათეშვილი
მამუკა მაცაბერიძე

სარედაქციო საბჭო:

ზურაბ გასიტაშვილი
ივანე გორგიძე
ვახტანგ გურული
ალექსანდრე გრიგოლიშვილი
გიორგი კოკოშაშვილი
თამარ ლომინაძე
შალვა ნაცყეზია
გივი ღამბაშიძე
არჩილ ფრანგიშვილი
ტარიელ ფუტყარაძე
მაკა ხართიშვილი
თემურ ჯაგოდნიშვილი
გურამ ჯავახაძე

პასუხისმგებელი მდივანი:

ქეთევან მახაშვილი

© სვეტიცხოველი

სამეცნიერო სტატიები რეცენზირდება სარედაქციო საბჭოს მიერ.
მასალის გადაბეჭდვა რედაქციის თანხმობის გარეშე დაუშვებელია.
ISSN 1987-6874

გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2019.





ჟურნალ „სვეტიცხოველის“, 1917 წლის დეკემბრის, ყლის ფრაგმენტი

სვეტიცხოველი მუდმივი მოცემულობა საქართველოს სულიერი აღორძინების ფუნდამენტისათვის

XX საუკუნის დასაწყისში (1917 წელს) წმიდამღვდელმოწამე პატრიარქის კირიონ II-ის ხელდასმით დაიწყო ჟურნალ „სვეტიცხოველი“-ს გამოცემა, ეკლესიის ერთგულ შვილთა დარაზმვისათვის რათა დამოუკიდებელი საქართველოს სულიერი აღორძინებისა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების აღდგენის მკვიდრი საფუძველი შექმნილიყო.

დღეს, XXI საუკუნეში, საქართველოს არანაკლები სირთულის ამოცანები აქვს გადასაწყვეტი და გამძაფრებული ბრძოლა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერებისათვის კვლავ მოითხოვს იმ სულიერი ორიენტირების და გავლენების ახლებურ გააზრებას, რამაც საქართველო ათასწლეულების განმავლობაში გამოატარა ისტორიის გაავებულ ოკეანეში და წინამდებარე ჟურნალიც – საქართველოსათვის საკრალური სახელდებით – „სვეტიცხოველი“ ამგვარი მისიის შესრულებას პირდება მკითხველს.

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით და მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის ხელდასმით ჟურნალი „სვეტიცხოველი“ განაგრძობს სიცოცხლეს მკითხველისათვის.

ჟურნალ სვეტიცხოველის რედაქცია



"მოწყალების საქმი გადართმის სრულიად საქართველოს" (თანადგომის დღედ 1 ივლისი დაწესდა)

არიან ადამიანები, რომელთა ზრუნვაც მარტოოდენ საკუთარი თავით, ეგოისტური სურვილებით შემოიფარგლება; მაგრამ, საბედნიეროდ, ასევე არიან ადამიანები, რომლებიც სხვებისათვის ცხოვრობენ, საკუთარ თავს სხვებს უძღვნიან. ქართველი ადამიანი ბუნებით სწორედ ამით გამოირჩევა: თუკი იგი ხედავს სხვა ადამიანის გაჭირვებას, აუცილებლად მიდის და ეხმარება მას. პავლე მოციქული ამბობს: "ურთიერთ სიმძიმე იტვირთეთ და ესრედ აღასრულეთ სჯული იგი ქრისტესი".

როგორ შეიძლება, ვიტვირთოთ სხვისი სიმძიმე, რით შეიძლება შევეწიოთ სხვა ადამიანებს? ზოგიერთი ფიქრობს, რომ არ შეუძლია სხვისი დახმარება, რადგან თვითონაც ხელმოკლედ ცხოვრობს. ყველა ადამიანს შეუძლია დაეხმაროს სხვას, თუნდაც არაფერი ებაღოს გასაცემი. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ დახმარება მრავალი სახისა არსებობს: არსებობს სულიერი დახმარება, არსებობს სიტყვიერი დახმარება და, რაღა თქმა უნდა, მატერიალურიც.

დღეს ჩვენთან ბრძანდებიან საქართველოს საინჟინრო აკადემიისა და კომპანია "მედიონსერვის" წარმომადგენლები, რომლებმაც შემოგვთავაზეს, დაწესდეს "თანადგომის დღე". თანადგომა ეს იგივე დახმარებაა. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ჩვენს მოსახლეობას გაჭირვებული ადამიანების თანადგომის სურვილი აქვს. თანადგომის დღედ 1 ივლისი დაწესდა. სწორედ ამან გადაგვატანინა ის პრობლემები, რომლებიც ბოლო 18 წლის მანძილზე გვქონდა.

ღმერთმა დალოცოს ისინი, რადგან ზრუნავენ გლახაკებზე და ფიქრობენ, თუ რით შეეწიონ მათ. მინდა ყველას გისურვოთ: ამაზე ფიქრი ყოფილიყოს თითოეული ჩვენგანის საზრუნავი.

*უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ქადაგებიდან
სულთმოფენობის დღესასწაულზე*

*ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძარი
ივლისი 2008 წელი*



სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი



CATHOLICOS PATRIARCH
OF ALL GEORGIA

380005, თბილისი, მეფე ერეკლე II მოედ. №1
ტელ: 99 03 78, 98 95 41 ფაქსი: (995 32) 98 71 14

1 King Erekle II sq., Tbilisi 380005, Georgia.

Tel.: 99 03 78, 98 95 41 FAX: (995 32) 98 71 14

ბრძანება № 76

სრულიად საქართველოს საპატრიარქოსადმი

10 ივლისი, 2009 წელი

XIX - XX საუკუნეებში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გაუქმების პერიოდში მიზანმიმართულად ყალბდებოდა საქართველოს ისტორია და ენათმეცნიერების საფუძვლები.

ამასთან დაკავშირებით ვბრძანებ:

- I. საქართველოს საპატრიარქოსთან შეიქმნას საქართველოს რეალური ისტორიის დამდგენი მუდმივმოქმედი კომისია მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობის, მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტ ანანიას (ჯაფარიძის) ხელმძღვანელობით;
- II. საქართველოს საპატრიარქოსთან შეიქმნას ქართული ენათმეცნიერების პრობლემური საკითხების შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისია პროფესორ მანანა ტაბიძის ხელმძღვანელობით.

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი



სარკვევო

მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე
საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია ჩრდილო კავკასიაში
(გაგრძელება, დასაწყისი 2017 №2, 2018 №1, №2)..... 11

ჩრდილოკავკასიის სვანეთი
ყარაჩაი-სვანეთი 11

თეიმურაზ მიბჩუანის ნაშრომი –
„ქართული ძეგლები ჩრდილო კავკასიაში“ 14

შუანა 15

ხუმარა..... 16

ქართული საეკლესიო მრევლი (სვანები)
ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში 16

როზეტა გუჯეჯიანის ნაშრომი – ქართული ქრისტიანული კულტურის
ძეგლები ბალყარეთსა და ყარაჩაიში..... 20

ჩრდილოეთ კავკასიის ისტორიიდან, საინჟინრო მეცნიერებათა დოქტორი
მ. ფირცხელანი (ხელნაწერი)..... 25

თორნიკე დიასამიძის ნაშრომი – „ქართული კვალი ჩერქეზეთში
X-XII საუკუნეებში“ 28

ადიღების ჩამოსახლება ჩრდილოკავკასიის სვანეთში 31

სვანეთის ჩრდილოეთ საზღვარი – დიბორხან
მთაწმინდასა და სხვა ცნობებით 32

ხალხური პოეზია სვანების ჩრდილოეთ კავკასიაში ცხოვრების შესახებ 39

მაჰმადიან სვანთა გვარები ყაბარდო-ბალყარეთში და
ადიღე-ჩერქეზეთში თ. მიბჩუანის მიხედვით 42

ბალყარეთ-სვანეთი 47

მუსლიმანი სვანი-ბალყარელები
სოციალურ ქსელში 51

თავის დასკვნა 52



მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე საქართველოს ეკლესიის საკანონმდებლო კრებები	53
რუმის-ურბნისის სამეკლესიო კრება (1103-1104)	53
„ძეგლისწერა“ – რუმის-ურბნისის კრების კანონები	53
[ძეგლისწერა რუმის-ურბნისის კრებისაჲ] [1103 წ.].....	58
მეფესა დავითს მონაზონი არსენი	68
საკანონმდებლო კრება გიორგი ბრწყინვალეს დროს (1335 წ.)	70
„ძეგლის დადება მეფეთმეფის გიორგის მიერ“ [ამოკრეფილი მუხლები].....	70
ჭულევის საკანონმდებლო კრება (1381-1386 წწ.)	72
„ბაგრატ კურაპალატის, ბექასა და აღბუღას კანონები“, „კანონიკური სამართალი“	76
ცაიშ-ბედიის შებრება (1470-1474 წწ.)	79
„მცნებაი სასჯულოი“ [სრული ტექსტი]	79
„მცნებაი სასჯულოი“ [1470–1474 წწ.].....	85
ბიჭვინთის სამეკლესიო კრება (1543–1549).....	92
„სამართალი კათალიკოზთა“ [სრული ტექსტი]	92
დავით-ბარძის სამეკლესიო კრება (1702 წ.)	98
„განჩინება“ [სრული ტექსტი]	98
დავით-გარეჯის კრების „განჩინება“	100
[განჩინება საეკლესიო კრებისა სამონასტრო წესისა და რიგის თაობაზე] [1702 წ.]	100
საკანონმდებლო შებრებანი ვახტანგ VI-ის კარზე (1706–1709 წწ.)	101
„სამართალი ბატონისშვილის ვახტანგისა“ [ამოკრეფილი მუხლები]	110



სოფელ სომიწოს წმინდა გიორგის სახელობის დარბაზული ეკლესია გორგიძე ი., იაშვილი მ., იაშვილი ნ.	114
ღვთაებათა სინკრეტიზაციის საკითხისათვის მაია ქუთათელაძე	118
შაჰ-აბასის მიერ ბაბრათიონთა ტახტის ხელში ჩაგდების „საქორწილო“ პოლიტიკა – სხვადასხვა ისტორიულ წყაროზე დაყრდნობით ოთარაშვილი ვ., კვანტალიანი ე., ოთარაშვილი ლ.	125
ბვანსოვლეს ვისი ბვარისანი ვართ ვაჟა ნადირაშვილი	138
ეკონომიკური კალაუფლება სამართაშორისო ურთიერთობებში მარიამ ვადაჭკორია	143



პროფესორი, მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

საქართველოს ეკლესიის იურისდიქცია ჩრდილო კავკასიაში
 (გაგრძელება, დასაწყისი იხ. ჟ. სვეტიცხოველი, 2017, 2; 2018,1; 2018,2)

თავი მესამე
 ჩრდილოკავკასიის სვანეთი
 ქარაჩაი-სვანეთი

ლიტერატურა

ჩრდილოეთ კავკასიის საეკლესიო იურისდიქციას იკვლევს სხვადასხვა ავტორი, მათ შორის მრავალი, ინგუშეთის, ჩრდილოეთ ოსეთს, ყაბარდო-ბალყარეთისა და კრასნოდარის მხარის საეკლესიო წარსულს ერთმნიშვნელოვნად აკავშირებს კონსტანტინოპოლის საკათალიკოსოს აღანიის ეპარქიასთან (მაგალითად, მოსკოვში დასტამბული პრავოსლავნია ენციკლოპედიის ტომეულები) და არა ქართულ ეკლესიასთან, თუმცა, როგორც აღინიშნა, ქართული საეკლესიო არტეფაქტებით მოფენილია დაღესტანი, ჩეჩნეთ-ინგუშეთი, ჩრდილოეთ ოსეთი, ყაბარდო-ბალყარეთი და მიმდებარე შავი ზღვისპირეთი. მათ გარდა არსებობს ტოპონიმები, ადგილობრივი გადმოცემები, თქმულებები, გვარები და სხვა, რომელნიც მიუთითებს ჩრდილოეთ კავკასიის აღნიშნულ რეგიონებში ქართული ეკლესიის მრევლის, კონკრეტულად კი ქართველთა, ცხოვრების შესახებ.

ამ მხრივ საინტერესოა გამოკვლევები, რომლებიც მიუთითებს სვანების ჩრდილოეთკავკასიაში ცხოვრების შესახებ.

აღ.რობაქიძემ ჩრდილოეთ კავკასიაში სვანთა განსახლების საკითხის შესწავლის მიზნით გამოავლინა ახალი კარტოგრაფიული მასალა. ეს არის 1790 წლის გენერალური რუკა, რომელშიც სვანეთის მიწა-წყლის უმეტესი და უმთავ

რესი ნაწილი მთლიანად ჩრდილოეთ კავკასიაში არის მოთავსებული (აღ. რობაქიძე, სვანური „ქალაქოლის“ საკითხისათვის, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, 1962, გვ. 226), მნიშვნელოვნად საინტერესოა თეიმურაზ მიბჩუანის ნაშრომები, განსაკუთრებით კი მისი წიგნი – „დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან“ (1989).

ამ წიგნში თეიმურაზ მიბჩუანი იკვლევს ჩრდილოეთ კავკასიაში სვანთა ცხოვრების საკითხს, მას გამოყენებული აქვს მრავალი წერილობითი, ისტორიული, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, საენათმეცნიერო და ფოლკლორული მასალა, ის პირადად სამეცნიერო-საველე მუშაობას ეწეოდა ჩრდილოეთ კავკასიაში, ყაბარდო-ბალყარეთში და მიმდებარე მხარეებში, გამოიკვლია მრავალი სოფელი, ნასოფლარი, მოიძია მრავალი მასალა და, ამასთანავე, იწერდა ძველი ისტორიისა და წარსულის მთხრობელი ადგილობრივი პირების ნაამბობს ყაბარდო-ბალყარეთის ბაქსანის რაიონის სოფლებში: ლაშკუტაში, ელბრუსში, ნაღჩიკის რაიონის სოფელ ხასანში, სოფელსტოქის რაიონის სოფელ ბეზინგში, ჩეგემის რაიონის სოფელ მალუარში, სოფელ ბულუნგუში, სოფელ ელტიუბში, ასევე ყარაჩა-ჩეჩქეხეთის ავტონომიური ოლქის კარაჩაევსკის (ყარაჩაევსკის) რაიონის სოფელ ხუმარაში და სოფელ ხეთაგუროვოში, სოფელ კამენა-



მოსტში, კარაჩაევსკში, სოფელ ქართჯურ-
თში, სოფელ უშკულანში, სოფელ ხურ-
ზუეში, ასევე ზედა თებერდაში. მოცემუ-
ლი მასალების საფუძველზე მან დაწერა
შესანიშნავი გამოკვლევა. ის წერს, რომ
ამ თემასთან დაკავშირებით საინტერესო
მასალებია XVI-XVIII საუკუნეების რუსი
ელჩების აღწერილობებში, XVI საუკუნის
ნიკონოვისეულ მატჩანეში, ცნობები აქვს
ვახუშტი ბატონიშვილს, შარდენს (1643-
1713), კლაპორტს (1783-1835) და სხვებს.
მოცემული აქვს მრავალი რუსი ავტორი
XIX საუკუნისა, მათ შორის ბ. ნიჟარაძე,
ნ. დიაჩკოვ-ტარასოვი და სხვები. მას მო-
ყავს, მაგალითად, ვ. ტეპცოვის მიერ
ჩაწერილი გადმოცემები სვანების ჩრდი-
ლო კავკასიაში ცხოვრების შესახებ. მისი
სიტყვით, იქაური მცხოვრებნი ამბობდნენ,
რომ კოშკები აშენებულია მათი წინაპარი
სვანების მიერ, რომ მათ (სვანებს) ეკუთ-
ვნოდათ იქვე არსებული ქრისტიანული
სამარხებიც (ვ. ტეპცოვ, სვანეთია, გეოგ-
რაფიკური ოჩერკი, სბორნიკ მატერიალოვ
დღია ოპისანია მესტნოსტეი ი პლეშენ
კავკაზა, ვიპ. X ტიფ. 1890 ს. 56-63).
სხვაგან ტეპცოვი მიუთითებს გადმოცემას
იმის შესახებ, რომ ლაბგვიარში (ანუ
ულუკამის ხეობაში) ყოფილა სვანების
დიდი დასახლება, სადაც ჰქონიათ ქალაქი
თავისი მეფით. იქაური სვანი მეგზურების
სიტყვით, როცა ყარაჩაელები მოვიდნენ
ულუკამის ხეობაში, ყუბანის სათავეებ-
თან, მათ დაამარცხეს მკვიდრი სვანები,
დაანგრეს სვანთა ქალაქი, ხოლო გადარ-
ჩენილი სვანები გაიქცნენ ენგურის ხეო-
ბაში. ტეპცოვი ასახელებს იქაურ სვანურ
ტოპონიმებსაც, იმავეს წერს ტეპცოვი
ყარაჩაელებზე – მათმა წინაპრებმა იცოდ-
ნენ, რომ მათ მიერ დაკავებული მიწები
ადრე სვანებს ეკუთვნოდათ (ვ. ტეპცოვი,
პო ისტოკამ კუბანი ი ტერეკა, იქვე, ვიპ.
XIV ტიფ. 1892.ს. 86. 87). თ. მიბჩუანი,
თავის მხრივ, იკვლევს ასევე მსგავს სვა-
ნურ გადმოცემებს, მაგალითად, ი. მარ-
გიანს XX საუკუნის დასაწყისში გამოუ-
ქვეყნებია თქმულება, რომ ძველი სვანე-
თის სამეფო საზღვარი აღწევდა მდინარე
თერგისა და ყუბანის სათავეებამდე, რო-

მელიც ახლა მთიელ მაჰმადიანებს
უჭირავთ, ამ ადგილებს სვანები თავის სა-
კუთრებად რაცხავენ (ი. მარგიანი, ისტო-
რიული და გეოგრაფიული აღწერა სვანე-
თისა, 1903, №2, გვ. 17). მსგავსი გადმო-
ცემები მრავლად არის ჩაწერილი, მაგა-
ლითად, 1883 წელს ვ. მილერსა და ვ. კო-
ვალევსკის ჩაუწერიათ ბახსანის ხეობაში
გადმოცემა თავად ამფაკოზე, რომელიც
ჩეგემიდან ბახსანაში გადავიდა საცხოვ-
რებლად, სადაც მაშინ სვანები ცხოვ-
რობდნენ, და შეტაკების დროს სვანებს ამ-
ფაკო მოუკლავთ, ასევე 1878 წელს ბ. ნიჟა-
რაძე ახლდა რუსეთის საიმპერიო კომი-
სიას, რომელიც საგანგებოდ იკვლევდა
ჩრდილოკავკასიაში სვანი მთავარი ქალის
პრეტენზიის საკითხს, რომ მათ ოჯახს,
რომელიც იმჟამად ჩუბუხევს მართავდა,
ეკუთვნოდა ასევე მამულები ჩრდილოეთ
კავკასიაში, ჩეგემის, ბახსანისა და ყარაჩას
ადგილებში, ამ კომისიის წევრმა ბ. ნიჟა-
რაძემ გამოიკვლია, რომ აღნიშნული ჩე-
გემის, ბახსანისა და ყარაჩას ადგილები
XIX საუკუნის შუა წლებამდე იყო სვა-
ნეთის კუთვნილება და დაბეგრული იყო
სვანების მიერ. მაგალითად, ჩეგემის საზო-
გადოება სვანების მულახის საზოგადო-
ებას ყოველწლიურად უხდიდა გადასა-
ხადს 12 ვერძის სახით, ბახსანი და ყარაჩა
ასევე აძლევდა საბალახო ბეგარას სვა-
ნებს (ბ. ნიჟარაძე ისტორიულ-ეთნოგრა-
ფიული წერილები, ტომი II, 1964, გვ. 51-52).
ბ. ნიჟარაძემ ჩრდილო კავკასიაში აღნიშ-
ნულ ტერიტორიაზე ნახა ქრისტიანული
ნაშთები და ფიქრობს, რომ ამ ადგილებში
ცხოვრობდნენ ქრისტიანი სვანები, რომ-
ლებიც გაიქცნენ იქედან გამუსლიმანების
საშიშროების გამო. ნახსენები მილერიც
ხედავს აქ სვანების ნაკვალევს. 1841 წ. ა.
ფირკევიჩის ბეზინგში უნახავს ქრისტიან-
ული ეკლესიის ნანგრევები, რომლის
ფრესკის კედლებზე იყო ქართული წარწე-
რები (А. Фиркевич, археологические разветки
на Кавказе, труды восточного отделения
археологического общества, т. III. вир. 3. спб,
1858, с. 131.132). მრავალი ავტორის შრო-
მის განხილვის შემდგომ თ. მიბჩუანი ეხე-
ბა ლ. ლავროვს, რომელიც მიიჩნევს, რომ



ყარაჩაი-ბალყარეთში ტოპონიმები ლაშქუ-ტა, ხუმარა, უშგულანი, შუანა სვანური წარმოშობისაა, მისი აზრით, აქ სვანები ცხოვრობდნენ XVIII საუკუნემდე. ბახსანის ხეობაში 1773 წლამდე (ლ.ი. ლავროვ, პროისხოლოგიკა კაბარდინეც ი ზასელენიე, „სოვოტსკაია ეტნოგრაფია“, 1956, №1).

თ. მიბჩუანის ნაშრომიდან, ასევე მის მიერ მოყვანილი ანთროპოლოგიური მასალიდან ჩანს, რომ ყარაჩაელები და ბალყარელები არიან იმ სვანთა გენეტიკური შთამომავლები, რომლებიც გამუსლიმანებამდე იქ ცხოვრობდნენ – ჩრდილოეთ კავკასიაში (XVI-XVIII საუკუნეებში). ამის შესახებ მას მოჰყავს ანთროპოლოგ ვ. ალექსევეის დასკვნა „ამგვარად, ყარაჩა-ბალყარელთა ანთროპოლოგიური ტიპის სპეციფიკურ თვისებებს მიეკავართ იმ აზრამდე, რომ აუცილებელია მათი გენეტიკური კავშირები ვეძიოთ, პირველ რიგში, სვანებთან В. Алексеев, некоторые проблемы происхождения балкарцев и караевцев... ”Материалы научной сессии”... Нальчик, 1960, с. 320, 333).

სვანების გამუსლიმანების შემდეგ მათ ასიმილაციას იქ ჩამოყალიბებულ მუსლიმან ხალხში მიუთითებს ყარაჩაელთა და ბალყარელთა შორის მრავალი საგვარეულოს არსებობა, რომელნიც თავიანთ წინაპრებად სვანებს მიიჩნევენ. ეს საგვარეულოები ჩამოთვლილი აქვს თ. მიბჩუანს. ასევე მას მოჰყავს სია მრავალი კარტოგრაფიული მასალისა, რომლებზეც ჩრდილოეთ კავკასიაში სვანეთის ერთი ნაწილია მოთავსებული, მას ემატება იქ დარჩენილი სვანური არქიტექტურული ნაშთები, იგულისხმება კოშკები, ეკლესიების ნაშთები და სხვა ნაგებობები.

განსაკუთრებით საინტერესოა XVI ს-ის ნიკონოვის მატიანის დამატებით ნაწილში მოტანილი ცნობა. მიბჩუანი წერს „იგი ეხება 1562-1563 წლებში რუსეთის მეფე იოანე მრისხანის სიმამრის თემურიუკ იდაროვის ლაშქრობებს ყაბარდოს მეზობელ მხარეებში, ამ საბუთში ნათქვამია, რომ იდაროვმა 164 მშანთა და სონთა დასახლება დაარბია, დასახელებულია მათი ქალაქები“ (თ. მიბჩუანი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 14).

მასვე მოჰყავს სვანეთის მთავარ ციოყ დადეშქელიანის დედის დიგორხანის მოხსენება გაგზავნილი ბარონ როზენთან 1835 წლის 14 ივლისს, ამ წერილის მიხედვით, სვანეთის ძველი საზღვრები მოიცავდა თურგის, ბახსანისა და ყუბანის სათავეებს (იქვე, გვ.15).

თ. მიბჩუანი აღნიშნავს, რომ ბალყარელები და მათი განაყარი შტო – ყარაჩაელები (რომელნიც ყარაჩაში მიგრირდნენ XVII ს-ის მეორე ნახევარში) სვანებს უწოდებდნენ „ებზეს“ (იქვე, გვ. 16). ტერმინი „ებზე“, ს. ჯანაშიას კვლევიტ, უნდა წარმომდგარიყო ისტორიული აფხაზეთის სახელწოდებით „აბაზგი“-დან, ამ „ებზე“-ებზეი-დან არის ნაწარმოები ცნობილი „ობეზი“ (იქვე, გვ. 17).

არა მხოლოდ სვანებს უწოდებდნენ „ებზეს“ (და ასევე დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას), არამედ მთელ ქართველ ხალხს. ამის მამტიკიცებელი მაგალითია ასეთი ფაქტი – XX საუკუნის 30-იან წლებში საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ტომები და ხალხები ბელად სტალინს უმღეროდნენ შესამკობ სიმღერებს, დაფიქსირებულია, რომ ყარაჩა-ბალყარელებიც ასევე უმღეროდნენ სტალინს სიმღერას, რომელშიც სტალინს – ებზეს უწოდებდნენ. მოიხსენიებდნენ ასე – „ებზე სტალინ“, ანუ „ქართველო სტალინ“.

ტერმინი „ობეზ“ (აქედან ებზე), ზოგადად ქართველთა აღსანიშნავად გამოიყენებოდა,

ამას ასევე მიუთითებს XIII ს-ის მოგზაური პლანო კარპინი – „ობეზები, ანუ ქართველები“ Плато-карпин, путешествие к татарам, спб, 1825, с. 190-191).

თ. მიბჩუანი ეხება ასევე ტერმინს „სავიარი“, „სავები“, რომლითაც სვანები მოიხსენიებდნენ ყარაჩა-ბალყარელებს. ამჟამად სვანები ყარაჩაელებს არა „სავიარს“, არამედ „ყარაჩალ“-ს უწოდებენ, ხოლო „სავ“-ს უწოდებენ ბალყარეთს (იქვე, გვ. 30).

საფიქრებელია, რომ სავიარებს სვანები უწოდებდნენ არა ყარაჩა-ბალყარელებს, არამედ სავრომატებს, როგორც ამის შესახებ აღნიშნავს ს. ჯანაშია.



„ს. ჯანაშია როცა ეხება ტერმინ „საგ“-ს, აღნიშნავს, რომ იგი „საერო-მატის“ გადმონაშთია. იმის მოწმობაა, რომ სვანები თავის დღევანდელ მიწაზე უკვე დამკვიდრებულები არიან არა უგვიანეს V-IV სს-ისა ჩვ.წ.-მდე“ (ს. ჯანაშია, შრომები II, 1959, გვ. 130). შესაძლოა, ჩრდილოკავკასიის სტეპების ხალხს, რომლებიც გამაჰმადიანების შემდეგ დასაპყრობად მიადგნენ ჩრდილოეთ კავკასიის მთებში მცხოვრებ სვანებს, სვანები ძველ სახელით საერომატებით, ანუ „სავეებით“, „სავიარებით“ მოიხსენებდნენ. მოსულთა გამარჯვების შემდეგ სვანების ნაწილმაც მიიღო მაჰმადიანობა, ისინი შეერწყნენ მოსულ ხალხს, ასიმილირდნენ და ერთ-ერთ გენეტიკურ საძირკვლად იქცნენ ახალი ხალხისა, ყაბარდო ბალყარელებისა.

მიბჩუანი მიიჩნევს – „სწორედ ამ ხანებში უნდა დაწყებულიყო სვანთა ასიმილაციის პროცესი...“ (იქვე, გვ. 30).

ზემოაღნიშნული მკვლევარების მტკიცებით, სენტი, შოანა (შუანა) და ხუმარა ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში სვანებით ანუ ქართული ეკლესიის მრევლით იყო დასახლებული, ისინი შესანიშნავად უვლიდნენ და პატრონობდნენ ამ ტაძრებს – სენტს, შოანასა და ხუმარას, ამით აიხსნება მათი მრავალფენოვანი მოხატულობა და, საერთოდ, ნაგებობათა შესანიშნავად შემონახულობა მე-19. ს. დასაწყისში.

ასევე, ჩეჩნეთსა და ინგუშეთში ცნობილი ჯვრიანი კოშკების არსებობა მიუთითებს, რომ მათი განლაგების რეგიონი ქართული ეკლესიის მრევლით, თავდადებული ქრისტიანებით იყო დასახლებული, ჩრდილოეთ ოსეთისა და დარესტნის ქართული ქრისტიანული ძეგლები და მათი ნაშთები ამასვე მიუთითებს.

თეიმურაზ მიბჩუანის ნაშრომი – „ქართული ძეგლები ჩრდილო კავკასიაში“

(ძეგლის მეგობარი, 1974 – კრ. 36. გვ. 63-67).

კავკასიის ალანიას ამჟამად, ნაწილობრივ, მოიცავს ყარაჩაი, ის ძველთაგანვე სვანებით იყო დასახლებული.

თეიმურაზ მიბჩუანი წერს: ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთი სხვადასხვა ეპოქის ძეგლთა საინტერესო სამყაროს წარმოადგენს. აქედან ჩვენ გვინდა მოკლედ შევეხოთ ყარაჩა-ბალყარეთის ტერიტორიაზე მიმოხეულ შუა საუკუნეების ზოგიერთ მატერიალურ კულტურის ძეგლს.

ყარაჩა, რომელიც ძირითადად ყარაჩაელებით არის დასახლებული. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის მიხედვით, ყარაჩა-ჩერქეზეთის ავტონომიურ ოლქში შედის, ხოლო ბალყარეთი – ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ-ში.

ყარაჩა მდ. ყუბანის სათავეში მდებარეობს. ბალყარეთის მდინარეების მალყარის, ბეზენგის, ჩეგემის, ბახსანისა და მალკის ხეობებში ყარაჩა-ბალყარელები ერთი ეთნიკური ჯგუფიდან განაყარი მონათესავე ხალხებია. მათი წარმომადგენლობის საკითხი მიმდინარე საუკუნის 60-იან წლებამდე ბურუსით იყო მოცული. სწორედ ამან განაპირობა 1959 წელს ნაღიკში სპეციალური სამეცნიერო სესიის მოწვევა, რომელიც მიეძღვნა აღნიშნული ხალხების ეთნოგენეზის პრობლემას. ამ სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს როგორც ადგილობრივმა მკვლევარებმა, ისევე ცნობილმა საბჭოთა კავკასიის-მცოდნეებმა პროფ. ი. ლავროვმა, ალ. რობაქიძემ, რ.ხარაძემ, ანჩაბაძემ და სხვ. როგორც გაირკვა, ეს ხალხი მათ დღევანდელ ტერიტორიაზე შემოსახლდნენ არა უადრეს XIV-XV საუკუნეებისა. ყარაჩაელები ბალყარელებს უნდა გამოყოფოდნენ XVII საუკუნის შუა წლებში და დასახლებულიყვნენ ყუბანის სათავეებში. სესიის დასკვნით ნაწილში ნათქვამია, რომ ყარაჩა-ბალყარელთა ეთნიკური ფორმირების პროცესში ჩრდილოეთ კავკასიის



სხვა ხალხებთან ერთად გარკვეული როლი უნდა შეესრულებინათ სვანებსაც.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ დღევანდელ ყარაჩა-ბალყარელთა ტერიტორიაზე ოდესღაც სვანებს უნდა ეცხოვრათ. მიუხედავად ამისა, დღევანდელ ყარაჩა-ბალყარელების ეთნოგენეზის მკვლევართ კვლავ არა აქვს გამახვილებული ყურადღება სვანების აღნიშნულ ტერიტორიაზე განსახლების შესაძლებლობის საკითხზე. წლების განმავლობაში ამ საკითხთან დაკავშირებით დაგროვილი მასალა გვარწმუნებს, რომ სვანების ჩრდილოეთ კავკასიაში განსახლება დასტურდება უამრავი ფაქტით, რომ არაფერი ეთქვათ დოკუმენტებსა და ჩვენს მიერ სვანეთსა და ჩრდილოეთ კავკასიაში ჩაწერილ გადმოცემებზე. ყურადსაღებია იქ არსებული ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები, ქართველური წარმოშობის ტოპონიმები და გვარები. მარტო ბალყარეთის ტერიტორიაზე 90-მდე ასეთი ტოპონიმი გამოვლენილი (ლაშგუდა, კუდაი ნაკ, ლესგენ, ჟაბოლარ, ლაბუ, ლაგურა ლალვერ, ლამგუთ, ლახრან, ჟულუ, გაგიშ შურუ, მუხოლ და სხვ). ყუბანის სათავეებში კი 30 (უშგულან, მახარ, ხურზუკ, ლაბგვიარ, დაღარ, ბაჩა-ზოგ, ტიბერდა, კლუხორი ხატიფარა, სულახატ, სენტი, მუხა ხუმარა, შუანა და სხვ.). სვანური და ზოგჯერ რაჭული წარმოშობის გვარებიდან აღსანიშნავია: ბოტაევი-კახიანი, გეკიევი-კახიანი, ებზევი-არღვიანი (ებზე-ს ყარაჩა-ბალყარელები ეთნონიმის სახით ხმარობენ სვანების მიმართ), ერისტაევი-ერისთავი ოთარღარ-დადეშქელიანი, ჟაბელარ-დადეშქელიანი, რახაიღარ-რეხვიაშვილი, სოტაევი-ყიფიანი, ტაპასხანოვი-ქურდიანი. ქურდანოვი-ქურდიანი, შახმურზაევი-გუჯეჯიანი, შუანოვი „შუან“ სვანურად სვანეთი, ჩარკუიანოვი – ჩარკუიანი; ჯაპაუევი-ჯაფარიძე, ხუბიევი – ხუბილიანი, წულკიანოვი – წულკიანი, მიმჩუევი – მიმჩუანი და სხვ.

მატერიალური კულტურის ძეგლებიდან აღსანიშნავია ყუბანის სათავეებში მდებარე ქრისტიანული მონასტრები, რომლებიც დათარიღებულია X-XI საუკუნეებით.

ერთ მათგანს ეწოდება **სენტი** (ქვედა თებერდა), ამ სოფლის ადრინდელი სახელი.

მეორეს – **შუანა**, რომელიც აშენებულია ამავე სახელწოდების მთაზე. შუანა ადრე ეწოდებოდა დღევანდელ აულ კოსტა ხეთაგუროვოს, სადაც 1870 წლიდან მოსახლეობენ ჩრდილო ოსეთის სოფნართიდან გადმოსული ოსები. ორივე ძეგლი სავალალო მდგომარეობაშია, ჩამოხსნილი აქვთ კარები, შიგნით საქონელი შედის და სიბინძურის გამო ადამიანის შესვლა შეუძლებელიცაა.

შუანა

იგივე „ქართული ხარა-ხოტო“ უნდა იყოს, რომელსაც ვახუშტი იხსენიებს, როგორც დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ ეპარქიას. საყურადღებოა თვით ადგილის სახელწოდება, რაც ნიშნავს სვანებს. ასევე სენტი იდენტური უნდა იყოს სვანეთის სეტის (მესტიის შუა სოფელი).

აულ ხურზუგში (მდ. ყუბანის სათავე) მთაზე დგას XII-XIII საუკუნეებით დათარიღებული სვანური კოშკი, რომელსაც „**გოშაიახ-ყალა**“ ეწოდება. მას ავი მორღვეული აქვს და ამდენად სვანური კოშკებისათვის დამახასიათებელი პარაპეტ ვერ შემოუნახავს. სვანური თქმულება-გადმოცემებით, იგი მიჩნეულია **გოშუანების** საკუთრებად, რომლებიც ცხოვრობდნენ ხურზუგში. იქ ჩადენილ მკვლევლობის გამო ისინი იძულებით გადმოსულან სვანეთში. გადმოცემის მიხედვით სვანეთში გადმოსული სამი ძმა გოშუანისაგან არიან წარმოშობილი ისეთი გვარები როგორცაა: ჩხუმიანი, ხერგიანი, მარგველიანი. ისინი ახლაც ნათესაობენ ერთმანეთს.

ყარაჩაში ჩაწერილი გადმოცემის მიხედვით. ხურზუგის კოშკის მეპატრონე გოშაია-ბიჩე (გოშუანის ქალბატონი) დასაფლავებულია მეორე აულში, ქართ-ჯურთის სასაფლაოზე, სადაც მის აკლდამას ეწოდება „**გოშაიახ-ბიჩექემენი**“ – გოშუანის ქალბატონის აკლდამა. ეს აკლდამა დათარიღებულია XVI-XVII საუკუნით.

დღემდეა შემონახული სოფ. ბეზინგიში სვანური კოშკი ე.წ. „აკ-ყალა“ (თეთრი კოშკი).



მას ადრე „**ებზე-ყალას**“ (სვანების კოშკს) უწოდებდნენ, მაგრამ ადგილობრივმა **მკვლევარებმა მას, რატომღაც, სახელი შეუცვალეს.**

იგი თავმორღვეულია. არსებობს ამ კოშკის სურათი, რომელიც ე.ბ. ბერმტეინს 1937 წ. გადაუღია. მაშინ კოშკს შენარჩუნებული ჰქონია თავისი მთლიანობა და სვანური კოშკებისათვის დამახასიათებელი პარაპეტიც. ეს სურათი ალ. რობაქიძემ და რ. ხარაძემ გამოაქვეყნეს ნალჩიკის 1959 წლის სამეცნიერო სესიის მასალათა კრებულში, რომელიც გამოვიდა 1960 წ. ძეგლი დათარიღებულია XVII-XVIII საუკუნით.

უვნებლადაა გადარჩენილი **ჩეგემის** კოშკი, რომელიც მკვლევართა მიერ უცილობლად სვანურ კოშკად არის აღიარებული. დათარიღებულია XVII ს.

მნიშვნელოვან ანსამბლს წარმოადგენს ჟაბოევის ციხე-სიმაგრეთა კომპლექსი. ჟაბოევეები დადემქელნიანებია. ჟაბ-სვანური სიტყვაა და აღმოსავლეთით მდებარე „უბანს, ადგილს ან ციხეს ნიშნავს. მსგავსი ტოპონიმები სვანეთშიც გვხვდება.

ხუმარა

საგულისხმოა, რომ ხუმარის მომიჯნავე ხეობის, ყუბანის თავში მთასა და მასზე კოშკის „ნანგრევების ნაშთს ადგილობრივნი **Гора Тамары**“ და „**Крепость Тамары**“-ის უწოდებენ. ეს ტოპონიმი კარაჩაევსკის რაიონის ყველა მცხოვრებთათვის ცნობილია და, მით უმეტეს, მხარის წარსულის **მკვლევართათვის, რომლებიც ამ სახელწოდებას რატომღაც არსად არ იხსენიებენ** ტოპონიმებისა თუ ძეგლების მიმოხილვის დროს.

ამავე აულ ხუმარაში არის ერთი დიდი ქვა, რომლის სიგრძე 5 მ და სიმაღლე 3,5 მეტრია. მას **თამარის ქვას** უწოდებენ. გადმოცემით, აქ ჭედავდნენ თამარის ცხენს, რომლის ფლოქვების ანაბეჭდები ახლაც ეტყობა ქვას. ქვაზე მართლაც სამი სხვადასხვა ზომის „ყუთია“ ამოჭრილი. ხუმარის თავზე, მთის ძირში 3 მეტრი სიმაღლის ბრტყელი, უხეშად გათლილი ქვაა აღმართული, რომლის მთელ

სიგრძე-სიგანეზე ჯვარია გამოსახული. ადგილობრივნი მასაც თამარის სახელს უკავ-შირებენ. მათივე თქმით, თამარი **ქართველთა ჯარის** მეთაური იყო (და არა მეფე), რომელიც შიშის ზარს სცემდა მტერს. თამარის მთის მომიჯნავე კლდეებში დაახლოებით 36 „ოთახია“, რომელშიაც დაეტევა ექვსასამდე ადამიანი. ეს კატაკომბები VIII-XII საუკუნეებით არის დათარიღებული. გადმოცემების მიხედვით, მათში თამარის ჯარი იყო ჩასაფრებული. აულ ხუმარაში ჩავიწერეთ საინტერესო გადმოცემა თამარის გარდაცვალების თაობაზე. მათი რწმენით, **თამარი, სადღაც მისი მთისადა კოშკის მახლობლად არის დასაფლავებული.** ჩრდილოეთ კავკასიაში ზემოსხენებული მსგავსი ძეგლების ნანგრევები და ნაშთები სხვაც ბევრია“, რომელთაც კვლავ სპეციალური შესწავლა და ყურადღება სჭირდებათ.

ქართული საეკლესიო მრევლი (სვანები)

ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში

თ. მიბზუანის მიხედვით (თ. მიბზუანი, დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან, 1989, გვ. 36) ქართული ეკლესიის მრევლი ჩრდილოეთ კავკასიაში მოიცავდა ვრცელ არეალს დაღესტნიდან ვიდრე ყირიმის პუნქტ კაფამდე.

კაფა (დღევანდელი ფეოდოსია ყირიმის ნახევარკუნძულზე) მოიხსენიება ქართული საეკლესიო სამართლის ძეგლში – ბიჭვინთის იადგარი, ვითარცა ქართული ეკლესიის იურისდიქციის უკიდურესი ჩრდილოეთ დასავლეთი პუნქტი. ეს ძეგლი იძლევა ცნობას, რომ ქართული ეკლესიის ერთ-ერთი ადმინისტრაციული ერთეული აფხაზეთის საკათალიკოსო თავის იურისდიქციას ავრცელებდა ვიდრე კაფამდე. ამ ცნობას ეთანადება ქართლის ცხოვრების სხვა ცნობა, რომელიც, როგორც ჩანს, ეკუთვნის რუსის ეპისკოპოსს ლეონტი მროველს, რომ ქართველთა ერთ-ერთი



ეთნარქის ეგროსის შთამომავალთა განსახლების საზღვარი აღწევდა მცირე ხაზარეთის მდინარემდე, სადაც „წარსწვლების წვერი კავკასისა“. მართლაც, კავკასიის ქედი ამ არეალში აღწევს ტამანის ნახევარკუნძულამდე, ამ ქედის ეგრეთწოდებულ „წვერთან“ გაედინება მდინარე ყუბანი (ქართული წყაროების „მცირე ხაზარეთის მდინარე“), აქამდე, ანუ ტამანის ნახევარკუნძულამდე აღწევდა. როგორც ჩანს, ქართული ეკლესიის იურისდიქცია და აქვე, ამ არეალის მახლობლად მდებარეობს ცნობილი პუნქტი კაფაც.

მდინარე ყუბანი, ანუ ქართულად მცირე ხაზარეთის მდინარე, იხსენიება სხვა ცნობაშიც, სადაც გადმოცემული არის აფხაზეთის საერისთავოს საზღვრები. ამ ცნობის მიხედვით, აფხაზეთა ერისთავი თავის სამფლობელოს ავრცობდა ბზიფიდან და ანაკოფიდან ვიდრე ხაზარეთის მდინარემდე.

შავი და აზოვის ზღვისპირეთის ეს არეალი, როგორც ითქვა, ქართულ წყაროებს ქართველების წინაპრებით, ეგროსის შთამომავლებით მიაჩნიათ დასახლებულად უძველესი ხანიდანვე. ამ ცნობას ეთანადება მე-6 ს-ის ისტორიკოსის მენანდრეს სიტყვები სვანების შესახებ: „ერთ-ერთი იმ ტომთაგანია, რომელიც კავკასიის გარშემო ცხოვრობს, ჰყავს მთავარი და ამ ქვეყანაზე სკვითები გადიან“ (გეორგიკა, II გვ. 221).

სვანებს სტრაბონის წყარო ერთ-ერთ იბერიულ ტომად მიიჩნევს და წერს: „ზოგიერთები მათ იბერიელებს უწოდებენ“, იბერიის აღწერისას კი სტრაბონი მიუთითებს, რომ ჩრდილოკავკასიის მოსახლეობა გენეტიკურად მონათესავეა ჩრდილო იბერებისა, სტრაბონის ამ ცნობას, თავის მხრივ, განამტკიცებს ქართლის ცხოვრების იდენტური ცნობა მთიელი იბერების შესახებ, კერძოდ როცა ეს წყარო ეხება ქრისტეს შობამდე III-II საუკუნეებში მცხოვრები იბერიის მეფე საურმაგის ამბებს, მის შესახებ წერს შემდეგს – „ამან საურმაგ წამოიყვანა ივინი ყოველთა კავკასიის ნათესავთა ნახევარნი, და რომელიმე მათგანი წარჩინებულ ყვნა, და დაასხნა მთიუ-

ლეთს, დიდოეთითგან ვიდრე ეგრისამდე, რომელ არს სუანეთი“ (ქართლის ცხოვრება, ტ. I. გვ. 27).

ამ ტექსტს ორგვარად განმარტავენ, სვანეთია დიდოეთიდან ეგრისამდე მდებარე ტერიტორია, და მეორე – სვანეთია ეგრისი, ანუ ეგრისს ასევე სვანეთს უწოდებდნენ – „ეგრისი, რომელ არს სვანეთი“.

როგორც აღინიშნა, ამავე წყაროს ცნობით, ეგრისი ერქვა მიწა-წყალს ღიხის ქედიდან და რიონიდან ვიდრე მდ. ყუბანამდე – მცირე ხაზარეთის მდინარემდე, იქამდე, სადაც აღწევდა კავკასიის ქედის წვერი, ანუ მთელი დასავლეთ საქართველო და მისი მომიჯნავე მიწა-წყალი მდ. ყუბანამდე ეგრისად, ანუ სვანეთად იწოდებოდა და, შესაბამისად, ჩანს, დასახლებულ იყო კიდევ მეგრელ-სვანებით.

აღსანიშნავია, რომ თ. მიბჩუანი სხვაგვარად საზღვრავს სვანეთის ადგილმდებარეობას. მისი თვალსაზრისით, სვანეთი იყო წყაროში მოხსენიებული ტერიტორია დიდოეთითგან ვიდრე ეგრისამდე. მისი კვლევით, ეს თვალსაზრისი ჰქონდა ივანე ჯავახიშვილსაც (თ. მიბჩუანი, დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან, 1989, გვ. 36).

ივანე ჯავახიშვილის თვალსაზრისით, სვანეთი ეგრისის ჩრდილოეთით მდებარეობდა. „ქართლის ცხოვრების“ ცნობითაც, ყუბანამდე მდებარე მიწა-წყალი ქართველთა საცხოვრისს წარმოადგენდა (რადგანაც ეგრისის წილი იყო), მაგრამ იბერიის (ანუ ქართლის) ერთიანი სამეფოს ჩამოყალიბებისას, მეფე ფარნავაზის დროს, ქრისტესშობამდე IV-III სს-ში, ქართველთა ამ სახელმწიფომ ვერ მოიცვა ქართველთა მთელი საცხოვრისი მიწა-წყალი.

ქართლის, ანუ იბერიის სამეფოს ჩრდილო-დასავლეთის საზღვარი გავლებული იქნა მდინარე ეგრისწყალზე (ახლანდელ ოჩამჩირეს რაიონში მდ. დალიძგა).

ამ მდინარიდან (ანუ ეგრისწყლიდან) ვიდრე ყუბანამდე მცხოვრებ ქართველობას არ უნებებია იბერიის, ანუ ქართლის სამეფოში გაერთიანება, მათ მხარი „ბერძენთათვის“ დაუჭერიათ.



როგორც ვთქვით, იბერიის სამეფო, „ქართლის ცხოვრების“ ცნობით, მისი ჩამოყალიბების დროს აღწევდა მდ. ეგრის-წყლამდე, ვახუშტი ბატონიშვილი მეტაფორით აღნიშნავს ამის შესახებ, – ეგრის-წყლიდან ყუბანის მიმართულებით მდებარე მიწა-წყალს ეწოდა ოდიში, რადგანაც ქართველები ამ ტერიტორიაზე დანაწიებით ამბობდნენ – „ოდესღაც, ოდესცა (ოდიში) – ჩვენი იყო ეს მიწა-წყალი“.

ვახუშტის ცნობით, „ოდიში“ თავდაპირველად ერქვა ეგრისწყლიდან ყუბანის მიმართულებით მდებარე ტერიტორიას და ის ეგრისელებით იყო დასახლებული, რადგანაც, როგორც ვთქვით, ეგროსის წილი იყო.

ეგრისი და სვანეთი, როგორც ჩანს, იდენტური, ერთმანეთის დამფარავი ცნებები იყო, ეგრისელები და სვანები შესაძლოა იმ დროისათვის ერთიან ეთნიკურ მთლიანობას შეადგენდნენ და, ალბათ, სწორედ ამიტომ თარგამოსის და ასევე ქართლოსის ძეგთა შორის სვანების ეთნარქი არ ჩანს.

ეგრისისა და სვანეთის იგივეობის შესახებ მრავალი სხვა ცნობაც არსებობს, რომლებიც ქვემოთაა მოყვანილი. მაგალითად, ლეონტი მროველის ცნობით, რომელიც ფარნავაზს ეხება, ფარნავაზმა ქუჯის „მისცა ქვეყანა ეგრისწყალსა და რიონს შუა ზღვითგან მთამდე, რომელსა შინა არს ეგრისი და სვანეთი და დაამტკიცა ერისთავად მუნ“ (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 24).

სვანეთისა და დასავლეთ საქართველოს იგივეობა კარგად ჩანს თამარის ცხოვრების ქრონიკებში. მონღოლთა დროს რუსუდანი გადავიდა დასავლეთ საქართველოში, რომელსაც სომხური წყარო სვანეთს უწოდებს. „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანით ის სვანეთში გადავიდა, კირაკოს განძაკაცის ცნობით, რუსუდანი სვანეთში გამაგრდა (თ. მიბჩუანი, დასახლებული ნაშრომი, გვ. 37), ანუ ძველ სომხურ თარგმანში სვანეთი დასავლეთ საქართველოს ეწოდება.

„ქართლის ცხოვრების“ ცნობითაც, დავით ნარინის გამეფება ცნეს აფხაზთა,

სვანთა, დადიანთა, ბედიანთა, რაჭის ერისთავმან და სრულიად ლიხთიმერთა (ქ.ც. II, გვ. 29).

ეს წყარო, ამ შემთხვევაში, სიტყვა მეგრელს ან ეგრისელს არ ახსენებს, მათ გულისხმობს ან აფხაზთა, ან სვანთა ქვეშ, ანუ ეს წყაროც ამ შემთხვევაში დასავლეთ ქართველებს სვანებად მოიხსენიებს.

დავით ნარინმა და დავით ულუმ ერთმანეთს შუა გაიყვეს დასავლეთ საქართველოსა და აღმოსავლეთ საქართველოს საგანძური. დასავლეთ საქართველოზე წყარო წერს – „სვანი განიყვნეს ორად“. ამ შემთხვევაში სვანის ქვეშ იგულისხმება მთელი დასავლეთ საქართველოს მოსახლეობისაგან აკრეფილი ხარკი, ანუ დასავლეთ საქართველო.

ქართულ წყაროებს, როგორც აღვნიშნეთ, ეთანადება ბერძნული წყაროებიც (სტრაბონი, მენანდრე). სტრაბონი სვანებს ასევე სონებს უწოდებს. ჩრდილოეთ კავკასიაში სონთა ცხოვრების შესახებ მიუთითებს სხვა წყაროებიც.

თ. მიბჩუანი წერს, რომ პლანო კარპინი და ასევე ზოგიერთი სომხური წყარო მიუთითებს, რომ ჩრდილოკავკასიაში არსებობდა სონთა ქვეყანა.

კარპინის ცნობით, რუსუდანი გამგზავრებულა ოქროს ურდოში და გზაში გარდაცვლილა. როგორც აღვნიშნა, კირაკოს განძაკაცის ცნობით, იქამდე რუსუდანი სვანეთში ცხოვრობდა, აქ სვანეთის ქვეშ, როგორც აღვნიშნეთ, უნდა იგულისხმებოდეს დასავლეთ საქართველო, საიდანაც ის ოქროს ურდოში წასულა და გზაში გარდაცვლილა. აქ სვანეთი დასავლეთ საქართველოს სახელია, ხოლო სონთა ქვეყანა ჩრდილო კავკასიაში სვანებით დასახლებული ქვეყანაა.

ჩანს, რუსუდანი დასავლეთ საქართველოდან ოქროს ურდოში გამგზავრა ერთ წოდებული სონთა გზით, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიას აერთებდა დასავლეთ საქართველოსთან, რომლითაც შემდგომ იმგზავრეს რუსმა ელჩებმა ლევან II დადიანთან სტუმრობისას. ამ გზაზე დგას ხუმარას ნაქალაქარი ჩრდილოეთ კავკა-



სიაში. აქ არის ცნობილი გუმბათიანი ეკლესია და თამარ მეფესთან დაკავშირებული მრავალი ტოპონიმი. ადგილობრივი გადმოცემით, აქ ხუმარაში გარდაცვლილა თამარ მეფე, შესაძლოა, აქ გარდაიცვალა თამარ მეფის ასული რუსუდან მეფე, როგორც პლანო კარპინი აღნიშნავს, ოქროს ურდოსკენ მგზავრობისას გზაში. ხუმარა იმუამად სვანთა ანდა ალანთა ქალაქი იყო, ორივე შემთხვევაში ის რუსუდან მეფის საბრძანებელში შედიოდა, რადგანაც დავით სოსლანი, ალანთა სამეფოს სახლის წევრი, მისი მამა იყო.

სტეფანოზ ორბელიანი დავითს სონთა მეფეს უწოდებს, ის საუბრობს რუსუდანის ვაჟზე, დავით ნარინზე, რომელიც სონთა მეფედ, ალბათ, იმიტომ იწოდებოდა, რომ დასავლეთ საქართველოს მეფე იყო (თ. მიბჩუანი, გვ. 41).

XVI-XVII საუკუნეებში თ. მიბჩუანის კვლევით, რუსულ საბუთებში სონთა ქვეყანა ეწოდებოდა ტერიტორიას თერგის სათავეებიდან ენგურ-ცხენისწყლის სათავეებამდე (იქვე, გვ. 42).

ქართული ენის სვანურ დიალექტზე (სვანურ ენაზე) ზოგიერთი მკვლევარის აზრით დიდი გავლენა მოუხდენია ადიღეურ-ჩერქეზულ ენას, სვანები ცხოვრობენ თურქულენოვან ყარაჩაელთა და ბალყარელთა გვერდით, ამიტომაც სვანურზე უფრო დიდი გავლენა უნდა მოეხდინა სწორედ თურქულს.

უნდა ვიფიქროთ, რომ სვანურზე ადიღე-ჩერქეზულმა იმ დროს იქონია გავლენა, როდესაც სვანები ჩრდილოკავკასიაში გაცილებით უფრო დიდ ტერიტორიაზე, ადიღე-ჩერქეზთა გვერდით ცხოვრობდნენ, მდინარე ყუბანის არა მხოლოდ სათავეებთან, არამედ მის დასავლეთ სანაპიროზე, ყუბანიდან ვიდრე შავ ზღვამდე, ანუ იმ ტერიტორიაზე, რომელიც ევროსის წილხვედრად არის დასახელებული.

ადიღე-ჩერქეზები, როგორც მათი ენის ანალიზი აჩვენებს, არიან ე.წ. სინოკავკასიურ ენათა მატარებელნი.

სინური, ანუ ჩინურ-ტიბეტური ენები, გავრცელებული იყო მონღოლთა იმპერიის სხვადასხვა რეგიონში, კასპიის-

პირეთის ჩრდილოეთიდან და ურალიდან ბაიკალამდე.

ჩანს, მონღოლების, შემდეგ თემურ-ლენგის ეპოქაში ოქროს ურდოს სარდალ ედიგეის დროს, ამ რეგიონებიდან ჩრდილოეთ კავკასიაში ჩასახლდა სინური ენის მატარებელი ტომები, რომლებიც შემდგომში, ჩანს, ადიღე-ჩერქეზებად ფორმირდნენ, როგორც ამას ვახუშტის ცნობაც აჩვენებს.

ჩრდილოეთ კავკასიის ალანის ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი სვანებით უნდა ყოფილიყო დასახლებული. ალანები, თავის მხრივ, აქ მოსული ხალხი იყო, როგორც ჩანს, უფრო მეტად IV-VI სს-ში, უფრო ლაზიკისათვის ომის დროს სპარსეთსა და ბიზანტიას შორის. იმუამად დიდი მოთხოვნილება იყო ალანთა ლაშქრისა სამხრეთ კავკასიაში. ამ მოთხოვნამ ჩრდილოეთ კავკასია ალანთა არენად აქცია.

ქართული ეკლესიის თავდადებული მრევლის, სვანების დიდი რიცხვი ჩრდილოეთ კავკასიაში თემურ-ლენგის შემდეგაც დარჩენილა, ოღონდ ახლა ისინი უკვე აღარ ცხოვრობდნენ ჩრდილოეთ კავკასიის ბარში, არამედ მთებში – უფრო მეტად იალბუჯის ირგვლივ. მათი რაოდენობის კიდევ უფრო შემცირება გამოუწვევია ჩერქეზების (ყაბარდოს) მთავარ თემრიუყ იდაროვს (აიდაროვს), რომელსაც დასჭირდა თავისი სიძის, რუსეთის ხელმწიფის ივანე მრისხანის დახმარება სვანების დასამარცხებლად.



როზეტა გუჯეჯიანის ნაშრომი – ქართული ქრისტიანული კულტურის ძეგლები ბალყარეთსა და ყარაჩაიში

როზეტა გუჯეჯიანი წერს: „ცნობილია, ჩრდილო კავკასიაში (დაღესტანი, ოსეთი...) ქართული ქრისტიანული კულტურის არაერთი ძეგლია დაფიქსირებული (დ. მუსხელიშვილი, 2004; გ. ღამბაშიძე, 1987; რ. თოფჩიშვილი, 2007 და სხვ.), ხოლო ბალყარეთსა და ყარაჩაიში მათი რაოდენობა განსაკუთრებით შთამბეჭდავია, ვინაიდან ქართველები ამ მხარეებში გვიან პერიოდამდე (XVIII ს-ის მიწურული და XIX ს-ის დასაწყისი) ცხოვრობდნენ. საქართველოს ერთ-ერთი მხარე (სვანეთის სამთავრო და სვანეთის ცალკეული ე.წ. თავისუფალი თემები) XIX საუკუნის 30-40-იან წლებამდე ინარჩუნებდნენ გარკვეულ გავლენას ყარაჩაისა და ბალყარეთის მთიანეთზე.

საისტორიო გამოკვლევებით, დადასტურებულია, რომ ქართველები კავკასიონის ქედს გადაღმა და დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ (ივ. ჯავახიშვილი, 1965, 51; გ. გასვიანი, 1993; თ. მიბჩუანი, 1986...). მაგალითად, სტრაბონის ცნობით, ქართველები „სვანები ფლობდნენ ირგვლივ ყველაფერს და უპყრიათ კავკასიონის მწვერვალები, რომლებიც დიოსკურიის ზემოთ არის“ (თ. ყაუხჩიშვილი, 1957, 19); მენანდრე პროტიქტორის ცნობით, ქართველები (სვანები) „ერთი იმ ტომთაგანია, რომელიც კავკასიის გარშემო ცხოვრობს, ჰყავს მთავარი და მათ ქვეყანაზე სკვითები დადიან“ (გეორგიკა, 1936, 221); ლეონტი მროველის თანახმად კი, „დიდოეთიდგან ვიდრე ეგრისამდე არს სუანეთი“ („ქართლის ცხოვრება“, 1955, 27) და ა. შ.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებისა და ქვეყნის სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ პირიქითა კავკასიონის ქართული ტერიტორიები თანდათანობით შემცირდა და ქართული ეთნოსის არსებობა ამ მხარეში დიდი განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, ქართველები კიდევ

დიდხანს უმკლავდებოდნენ თურქულენოვანი ტომების შემოსევებს. XVI საუკუნის ცნობით, ქართველები კვლავაც ვრცელ ტერიტორიაზე ჩანან განსახლებულნი: ყაბარდოს მთავარი ყაბარდოს მეზობლად „მშანთა“ და „სონთა“ 164 კაბაკს (სოფელს) და ქალაქებს „მოხან“-ს, „ენგირ“-ს და „კოვან“-ს ასახელებს. ცხადია, „მშანები“ და „სონები“ ქართველების (სვანების) აღმნიშვნელი ტერმინებია (გ. გასვიანი, 1993, 6-7). ყაბარდოელთა და „სონთა ქვეყნის“ ბრძოლების შესახებ მოთხრობილია სხვა წყაროებშიც: ყაბარდოელი მთავრები ჩრდილოეთ კავკასიის მკვიდრთა შორის ქართველებსაც ასახელებენ (1743 წ.) – „მეოთხე ხალხია სონები, რომლებიც ცხოვრობენ მდ. ბაქსანთან მალლობებზე, მდ. კუმისა და ყუბანის სოფლებში (Известия... 1939, 31-39). საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის დადიანთან მიმავალი რუსი ელჩების ელჩინისა და ზახარევის მიერ განვლილი მარშრუტი: მათ „სონთა გზით“ მოაღწიეს „სონთა მიწამდე“ (დონდუზ ორუნის უღელტეხილი), საიდანაც მოხვდნენ ნაკრის თემში, შემდეგ გადავიდნენ ეცერის თემში და ლენტერის გზით (ენგურის ხეობა) ჩავიდნენ დადიანთან (М. Полиевктов, 1935).

როგორც ჩანს, XVII-XVIII საუკუნეებში შევიწროებული ქართული სოფლები თანდათან იცლება ქართული მოსახლეობისაგან. მათი ერთი ნაწილი პირაქეთა საქართველოში გადმოდის. ასეთი გადმოცემები შემონახულია დადგენილიანთა, ჯაჭვლიანთა, გუჯეჯიანთა და სხვ. ქართულ საგვარეულო ისტორიებში. ნაწილიც ასიმილირდა ბალყარლებთან და ყარაჩაელებთან. ბევრ ბალყარულ და ყარაჩაულ საგვარეულოს დღემდე ახსოვს თავისი ქართული (სვანური, რაჭული) წარმომავლობის შესახებ. თუმცა XVIII საუკუნეში ქართველები ჯერ კიდევ სახლობდნენ მდინარეების ბახსანის, ხულამის, ყუბანის, თერგის და სხვ. ხეობებში. თვით XIX საუკუნის 30-იან წლებშიც კი საქართველოს საზღვარი ბევრად უფრო შორს გადიოდა, ვიდრე დღესაა. ქართული მოსახლეობა (სვანები) განსახლებული



იყო ფართო არეალში პირიქითა კავკასიაში. წერილობითი წყაროებით დასტურდება, რომ 1835 წლამდე საქართველოს (სვანეთის სამთავროს და ზოგიერთ სვანურ თემს) ეკუთვნოდა ვრცელი მიწები მდ. თერგის, ყუბანისა და ბახსანის სათავეებში. 1834 წელს ბარონ როზენის მიერ სვანეთში საზღვრების ასაწერად გაგზავნილმა „შახოვსკიმ სვანეთის სამთავროს ყოველი მხრიდან ჩამოაჭრა ტერიტორიები: ჩრდილოეთის საზღვარი ამ დროს იყო ყარაჩაის მხრიდან ე.წ. ლაბგვიართან, ყაბარდოს მხრით – ნაქამუკვართან, თეგენეკის მთასთან, ჩეგემთან. შახოვსკიმ კი საზღვრად კავკასიონის ქედი დაადგინა*, რის შემდეგაც სვანეთის სამთავროს ჩრდილო კავკასიიდან უკვე აღარ უხდიდნენ ბაქსა და გადასახადს, რაც ისტორიულად ემართათ ყარაჩაელებსა და ბალყარლებს ქართულ მიწებზე ცხოვრების და ამ მიწებით სარგებლობისათვის. სვანეთის მთავრის ქვრივი დიგორხან დადუშქელიანი-გარდაფხაძისა შეწუხებული სწერდა ბარონ როზენს: შახოვსკიმ „ყოველისა მხრიდან არა თუ შეავიწროვა საზღვარნი ჩუენნი, არამედ თავისა აზრითა მისცა მამულნი ჩუენნი სხუათა. მისცა ბრძანება როგორც ყარაჩაელთა, აგრეთვე ბახსანის მცხოვრებთაცა, რათა დღეის იქით აღარ გვაძლევდნენ ჩუენ ივინი მამულისა ჩუენისა შემოსავალსა, რომლითაც გვისარგებლნია და არს ჩუენი სამკვიდრო“ (ე. გაბლიანი, 1927, 51); ასევე დაზარალებულა ე.წ. ბალსხემო სვანეთის სხვადასხვა თემიც. მაგალითად, მულახის თემი. „ჩეგემი მულახის საზოგადოებას უხსოვარ დროიდან აძლევდა ყოველწლიურად 12 ვერძს (სგიმერის**) საბალახო ადგილების ბაჟად, რომლის მიცემასზე 1858 წელს მან უარი განაცხადა ამიტომ მულახი დაეცა ჩეგემის მთებს და მათ წაართვა აუარებელი ჯოგები“ (ე. გაბლიანი, 1927, 54).

ქართული ეთნიკური ელემენტის და ქრისტიანული კულტურის ძველთაგანვე არსებობა ბალყარეთსა და ყარაჩაიში დასტურდება წერილობითი წყაროებით, ტოპონიმიკით, მატერიალური კულტურის ძეგლებით (ციხესიმაგრეები, კოშკები,

ეკლესიები, ქრისტიანული სასაფლაოები), ფოლკლორით, საგვარეულო ისტორიებით, რომლებშიც დაფიქსირებულია გადმოცემები ამა თუ იმ გვარის ქართული (სვანური) წარმომავლობის შესახებ და ა. შ. ყარაჩაისა და ბალყარეთის ერთი ნაწილის ტოპონიმები (სოფლების, უბნების, ციხეების, კოშკების, მთების, ხეობების, სათიბების სახელები) აიხსნება მხოლოდ ქართული ენის სვანური დიალექტით, რის მიჩქმალვასაც აქტიურად ცდილობენ რუსი და ჩრდილოკავკასიელი მკვლევრები, მაგრამ არსებობს გამონაკლისიც და ზოგიერთი ავტორი აღიარებს ქართული ეთნოსის სიმძლავრეს ამ მხარეებში (Л. Лавров, 1950; Дж. Кокоев, С. Шахмурзаев, 1970...).

ქართული ქრისტიანული კულტურის კვალი ბალყარეთსა და ყარაჩაიში დღეს თითქმის გამქრალია, მაგრამ წერილობითი წყაროები ზოგიერთი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა. ა. ტურხოვეის ცნობით (1743 წ.), ჩეგემის ერთ ხეობაში 300 „სონის“ ოჯახი ცხოვრობს, მათ აქვთ ორი ქრისტიანული ქვის ეკლესია... ეკლესიებზე გამოსახულია ჯვრები. „სონები“ დიდმარხვის შემდეგ თავს იყრიან ეკლესიებში, ზოგჯერ ხარსაც კლავენ, ხორცს ხარშავენ და ინაწილებენ, მათ გააჩნიათ საეკლესიო წიგნებიც, რომლებსაც თვალისჩინივით უფრთხილდებიან (იხ. თ. მიბჩუანი, 1986, 106-107). მასალა თვალნათლივ ავლენს ჩეგემში ქართველების კომპაქტური დასახლებების არსებობას. ასევე, სვანეთის ეთნოგრაფიის ზერელე მცოდნეც კი ამ აღწერილობაში ადვილად ამოიცნობს ქართველ მთიელთა (სვანთა) ყოფა-ცხოვრებისა და მენტალობის უმთავრეს მახასიათებლებს: რელიგიურობას, კრძალვასა და მოწიწებას ყოველივე საკრალურისა და საეკლესიო ქონებისადმი. ი. გიულდენშტედტის მასალით (1772 წ.), მთელი ბასიანელები* ძველად იყვნენ ქვეშევრდომები საქართველოს მმართველებისა, რომელთა ხელქვეითაც ისინი მართლმადიდებელი ქრისტიანები გახდნენ, რისი ნაშთებიც ეხლაც არის შემონახული, ზოგი ძველი ეკლესიის, კვირა დღის უქმობის, დიდმარხვის შენახვისა და ღორის ხორცის ჭამის



სახით. მაგალითად, სამი საუენი სიგრძის ქვის ეკლესია არის შემონახული ჩეგემის მხარეში ულუელთან... ახლა მათ ქართველ მფლობელებთან არაფერი აქვთ საერთო, რადგან ეს უკანასკნელნი ნაწილობრივ უძღურნი არიან, ნაწილობრივ კი იმიტომ, რომ მათი ქვეყანა (ე. ი. ბასიანი) მოქცეულია მაღალ, უკაცურ თოვლიან ქედსა და სვანეთს შუა (ი. გიულდენშტედტი, 1964, 45). ი. გიულდენშტედტი სხვა-განაც აფიქსირებს ეკლესიას „ქედის ძირში, იქ სადაც ყუბანი ამ ქედიდან გამოდის, არის ალთი-ქესეკის კუთვნილი სოფელი ქეჩია და მის მოპირდაპირე მხარეზე ქვის ძველი ეკლესია“ (ი. გიულდენშტედტი, 1964, 207). თ. მიბჩუანის დაკვირვებით, რომელმაც საგულდაგულოდ შემოიარა და შეისწავლა ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთის არქეოლოგია, ტოპონიმია, ეთნოგრაფია, გიულდენშტედტისეული ულუელის მხარე ამჟამინდელი ელტიუბე უნდა იყოს (ზემო ჩეგემი), ხოლო ს. ქეჩია დღევანდელი აული ქართ-ჯურთია ან ლაბგვიარის (ულუ-კამის) მიდამოები, სადაც ძველთაგანვე ქართველები (სვანები) ცხოვრობდნენ (თ. მიბჩუანი, 1986, გვ. 108).

მოყვანილი არქეოლოგიური მასალა და ეთნოგრაფიული ცნობები საგულისხმო ინფორმაციას იძლევა კავკასიონს გადაღმა არსებული ქართული სოფლების ცხოვრების წესისა და მენტალობის შესახებაც. იგი პირაქეთა საქართველოს მთიანეთის (სვანეთის) ყოფისა და კულტურის იდენტურია...

1834 წელს ეს ადგილები შემოიარა ი. შახოვსკიმ და ვერც მან უარყო ჩეგემის მხარეში ქართული კულტურის არსებობა. ეკლესიის ნანგრევთან დაკავშირებით ი. შახოვსკი წერს: „**არქიტექტურული ნიშნებით ეს ეკლესია სვანეთის კლესიების მსგავსია. იი სვანებს და იმ დროს უნდა უკავშირდებოდეს, როდესაც იქ სვანები ცხოვრობდნენ**“ (И. Шаховский, 1876, 456).

1849 წელს ა. ფირკოვიჩმა ბეზინგში (ბეზინგი-ხულამის ახაუ) ქრისტიანული ეკლესია აღწერა. ტაძარი ქვით ნაგები (კედლების ზომა 5,25X3,25 არშინი, სიმაღლე – 4,25 არშინი) და მოხატული

ყოფილა. ფრესკებით შემკულ ტაძარზე ქართული წარწერებიც არსებულა (А. Фиркович, 1858, 132). ამ წარწერებს ლ. ლავროვიც იხსენიებს. მისი აზრით, წარწერები ქართველი მშენებლების ან ღვთისმსახურების შესრულებული უნდა იყოს (Л. Лавров, 1950, 81).

1890 წლის ვ. ტეპცოვის მასალით, „ყველა მიწას ყუბანისა და თერგის სათავეებში სვანები თავისად მიიჩნევენ. ჯერ კიდევ 20-30 წლის წინ სვანები იღებდნენ ჩრდილო კავკასიელი მთიელებისაგან საარენდო გადასახადს ჩეგემის მიწებით სარგებლობისათვის. სვანები ჩრდილო კავკასიაში ფლობდნენ სვანური კოშკების მსგავს ციხეებს, რომლებიც, მათი აზრით, სვანების აგებულია და რომ ეს მიწებიც მათი კუთვნილია. აგრეთვე სვანებისაა იქ მდებარე ქრისტიანული სასაფლაოები; ხოლო მდინარეების კიჩკენიკულისა და ყუბანის შესართავთან გვიჩვენებენ უძველესი ხიდის ნანგრევებს, როგორც საბუთს იმისა, რომ აქ ძველად მდებარეობდა მათი ქალაქი, ციხე-სიმაგრე, რომელიც დარაჯობდა საზღვარს (В. Тепцов, 1890, 1892).

ქართული ეკლესია მდგარა ზემო ჩეგემშიც, სავარაუდოდ, ღვთისმშობლის სახელობისა, რასაც გვაფიქრებინებს ტოპონიმი „ბაირიშ“. იგი წმ. მარიაშს გულისხმობს.

უდელტეხილებთან მდებარე ქართული სოფლების მოსახლეობა, ვისაც შედარებით აქტიური მიმოსვლა ჰქონდა ბალყარეთთან და ყარაჩაისთან (მესტია, მულახი, ბეჩო, ნაკრა...) საბჭოთა კავშირის დაშლამდე ნათესაურ და მეგობრულ ურთიერთობას აგრძელებდა გადაღმა მხარეს მცხოვრებ ყარაჩაელთა და ბალყართა იმ ნაწილთან, ვინც თავის თავს ქართული წარმომავლობისად მიიჩნევდა; ამავე დროს, არსებობდა ჩრდ. კავკასიელ და ქართველ მთიელთა (სვანთა) ძმადგაფიცვის ჩვეულებაც. ხშირი სტუმრობა ერთმანეთთან, ერთმანეთის ენების ცოდნა (ბევრმა ხანდაზმულმა სვანმა იცოდა ბალყარული და ყარაჩაული, ასევე ჩრდილო კავკასიელებს ესმოდათ ქართული



ენის სვანური კილოები), ცხადია, კეთილმეზობლური ურთიერთობების შედეგი იყო. სამწუხაროა, რომ დღეს ამ მეზობელი ხალხებს შორის (ყარაჩაელები, ბალყარელები და ქართველები) საზღვარი ჩაკეტილია და ისინი იძულებულნი არიან ურთიერთობა რუსეთის ხელისუფლების მეშვეობით იქონიონ.

ქართული ქრისტიანული კულტურის ძეგლები დაფიქსირებულია ყარაჩაიშიც. ქართველები (სვანები) აქაც გვიანობამდე ცხოვრობდნენ, რაც ასახულია წერილობით წყაროებში, მატერიალური კულტურის ძეგლებსა და ტოპონიმიკაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია შუანის მთაზე აღმართული ქრისტიანული ეკლესია („შუანა“), ქვედა არხიზის ეკლესია, თებერდის ხეობის სენტის მონასტერი. მკვლევართა აზრით, ეს ძეგლები X, XI, XIV-XVII საუკუნეებით თარიღდება (B. Кыз-НЕЦОВ, 1963). ცხადია, ყველა ეს ეკლესია ქართულია, რაც დასტურდება არქიტექტურული სტილითა და ტოპონიმიკით: „შუანა“* იგივე „სვანეთია“, „სენტი“, ბუნებრივია, ქართულ „სვეტ“-ს, სვეტცხოველს უკავშირდება. ამ სახელწოდების („სვეტიცხოველიდან“ მომდინარე) მონასტერი შუაგულ სვანეთშიც დგას, მესტიაში, სენტის წმ. გიორგის მონასტერი. ეს მონასტერი სვანეთის საერისთავოს სასულიერო ცენტრი იყო მთელი შუასაუკუნეების განმავლობაში და იქვე მოღვაწეობდნენ ქორეპისკოპოსი სეტიელები (სვანეთის წერილობითი ძეგლები, 1986).

ადგილობრივმა ფოლკლორმა და ტოპონიმიკამ, ისევე როგორც დანარჩენ ისტორიულ საქართველოში (ტაო, კლარჯეთი, შავშეთი, იმერხევი, ლაზეთი, ჰერეთი...) შემონახა ხსოვნა საქართველოს დიდი მეფის წმიდა თამარის შესახებ. ადგილობრივი გადმოცემებით, თამარ მეფე ხშირად იმყოფებოდა ამ მხარეში, ხუმარაში. ყუბრანის ხეობაში შემონახულია ტოპონიმი „თამარის მთა“. მთაზე ციხე მდგარა („თამარის ციხე“). დღეს იგი ნანგრევის სახითაა შემორჩენილი. იქვე შეინიშნება სხვა ნაგებობების კვალიც. „თამარის მთის“ ჩრდილოეთით კლდეში გამოჭრილია ეკესი, ხოლო აღმოსავლეთის მხარეს – 30 სენაკი. გადმოცემით, ამ სენაკებში თამარ მეფის ჯარი ბანაკდებოდა. მოხრობლებს თამარის საფლავი იქვე, ყუბრანის ხეობის სათავეში, ეგულებათ. ხუმარის მომიჯნავე მთის კალთებზე სამი მეტრი სიმაღლის ქვაჯვარია აღმართული. მას „თამარის ჯვარს“ უწოდებდნენ. იქვე ქრისტიანული სასაფლაო ყოფილა. მსგავსი ჯვრები მრავლად მდგარა, ზოგ ჯვარზე წარწერაც ყოფილა ამოკვეთილი. ხუმარშივე თ. მიბჩუანმა უზარმაზარი ოთხკუთხა ლოდი დააფიქსირა, ე. წ. „თამარის ქვა“. გადმოცემით, ამ ქვიდან მიმართავდა თამარი ჯარს. იქვე აბამდა თავის რაშსაც, რომლის ანაბეჭდებდად მიიჩნევენ ლოდის აღმოსავლეთ კედელზე არსებულ ჩაღრმავებებს (თ. მიბჩუანი, 1977, 29-31).

ბალყარეთსა და ყარაჩაიში შემონახულია ქრისტიანული სასაფლაოები, მაგ., ხუმარში, ნასოფლარ ჟაბოლარში*, ზედა ჩეგემში, ბაირიმში და ა. შ. საერთოდ, ჯვრების გამოსახულებები გარდა სასაფლაოებისა, ამოკვეთილია კოშკებსა და ციხეებზეც. გარდა ამისა, ყარაჩაელთა და ბალყარელთა მეტყველებაში შეინიშნება ქართული ქრისტიანული ტერმინების არსებობა, მაგ., ეკლესიას კილისას, კლისას; ჯვარს კი – ჯორს უწოდებენ. განსაკუთრებით ბევრი ქრისტიანული სამარხი გამოვლენილია ყარაჩაიში, ყუბანის სათავეებში. იქ აღმოჩენილია ადრეული შუა საუკუნეების, X-XIII საუკუნეების, ასევე გვიანი შუა საუკუნეების ქრისტიანული სამარხები, ქვაჯვრები და ა. შ.

ქართველ მთიელთა მენტალობაში დღემდეა შემონახული ტკივილიანი მოგონება დაკარგული ქართული მიწების შესახებ. მით უმეტეს აქტუალური იქნებოდა ეს პრობლემა XIX საუკუნეში. პირიქითა ქართული მიწების დაკარგვით გამოწვეული პროტესტის შესახებ მოთხრობილია 1872 წლის გაზეთ „დროებაში“: მულახის თემის მაცხოვრის ეკლესიას („მაცხერი“) საეკლესიო მიწა ჰქონია ბალყარეთში. ეს მიწა „არის ოსების* ხელში; მის მაგიერ ოსებმა უნდა უზიდონ ამ ეკლესიას წელიწადში 7-7 ხარი, ცხვარი და თხა. თუ ოსებმა ეს გადასახადი არ მისცეს



ეკლესიას, მულახელები დაეცემიან იმათ საჯოგეებს თავზე და ჯოგს წამოასხამენ თავის სოფელში“ (ლ. დადუანი, 1872). საეკლესიო მიწების ფონდი, ცხადია, შეწირულობებით იქმნებოდა. შესაძლოა, მიწის ეს ნაკვეთი, საეკლესიოდ სახელდებული, თავის დროზე, თავიანთ ისტორიულ საცხოვრისში (შემდგომ – ბალყარეთად წოდებულ მხარეში) მცხოვრებმა ქართველებმა შესწირეს მულახის „მაცხოვარს“, შემდგომში ქართველთა ერთი ნაწილი პირაქეთა საქართველოში გადმოვიდა, ნაწილი კი ასიმილირდა ბალყარებთან, მაგრამ დარჩა ხსოვნა საეკლესიო მიწის არსებობის შესახებ. ყოველივე საეკლესიო ქონება, რელიგიური სიწმიდე, სარიტუალო ჭურჭელი, საეკლესიო მიწა და სხვ. ქართველ მთიელთა განსაკუთრებული კრძალვისა და საგულდაგულო დაცვის ობიექტია: იგი წმიდათაწმიდაა, ხელშეუხებელია და, ცხადია, ეკლესიასვე უნდა დაუბრუნდეს. ბუნებრივია, სვანები თავს უკიდურესად დაზარალებულებად თვლიდნენ. ბალყარელებმა მათ ეკლესიას კუთვნილი გადასახადი დაუკარგეს, შესაბამისად კი შეურაცხვევს ამ ეკლესიის მრევლი. ამიტომაც არაა გასაკვირი სვანების რეაქცია. ისინი დაუცველნი იყვნენ სახელმწიფო სტრუქტურებისაგან. რუსეთის იმპერიამ მათ კუთვნილი მიწები ჩამოართვა და ბალყარელებს დაუმტკიცა. ისინი თვით აწესებენ სამართალს, თავს ესხმიან ბალყარელ მეჯოგეებს და ძალისმიერი გზით იღებენ მათგან საეკლესიო „ბეგარას“ საეკლესიო მიწით სარგებლობისთვის.

ამრიგად, ბალყარეთისა და ყარაჩაის ტერიტორიებზე შემონახული მატერიალური კულტურის ძეგლები (ციხე-დარბაზები, კოშკები, ეკლესიები, ქრისტიანული სამარხები...) ტოპონიმები, ეთნოგრაფიული მასალა (ლეგენდა-გადმოცემები, საგვარეულო ისტორიები, ფოლკლორი...) ავლენს ქართული ეთნიკური ელემენტის უძველესი დროიდანვე არსებობას ამ მხარეებში. ბალყარეთსა და ყარაჩაის მთიანეთი ფეოდალური ხანის საქართველოს სახელმწიფოებრივ სივრცეშია მოქცეული.

ქართული სახელმწიფოს დაშლის შემდეგ კი ამ მხარეებზე გარკვეულ გავლენას თვით XIX საუკუნის 30–40-იან წლებამდე ინარჩუნებენ ქართული სამთავროები (სვანეთის სამთავრო) და ცალკეული თემები (მულახის თემი, მესტიის თემი).

შენიშვნები

* ამავე დროს ჩამოაჭრეს სვანეთის სამთავროს დასავლეთის ტერიტორიაც. თუკი აქამდე მისი საზღვარი ს. ჯვარამდე აღწევდა, სადაც ამჟამადაც აღმართულია სვანური სასაზღვრო//საგუშაგო კოშკი (ამ ადგილს ცხვიმზაგრ-ის ქელი ჰქვია. ტოპონიმიც მხოლოდ ქართული ენის სვანური დიალექტებით აიხსნება), რუსებმა საზღვრად მდ. ეცი დაადგინეს, რითაც სვანეთის სამთავროს 30 კილომეტრი დაუკარგეს.

** სვიმერი მდებარეობს კავკასიონის ქედს გადაღმა დაახლოებით 25-30 კილომეტრში, ჩეგემში და იგი ძველად საქართველოს (სვანეთის) საკუთრებას შეადგენდა.

* ასე იხსენიება ბალყარეთი ძველ ქართულ წყაროებში.

** ეს ეკლესია XX ს-ის 60-იან წლებში მთლიანად იყო დანგრეული.

*** იგულისხმება XIX საუკუნე.

* გვარი „შუანალარ“ დღემდე ცხოვრობს ამ მხარეში.

* ჟაბოლარის ციხე-კომპლექსი დადემქელიანთა ერთ შტოს „ოთარალარ“-ს უკავშირდება (რ. გუჯაჯიანის ნაშრომის დასასრული).



ჩრდილოეთ კავკასიის ისტორიიდან, საინჟინრო მეცნიერებათა დოქტორი მ. ფირცხელანი (ხელნაწერი)

მ. ფირცხელანი წერს – „მდინარე ყუბანის ხეობა ძირითადად დასახლებული ყოფილა ქართველური (სვანური) ტომებით. ეს ის პერიოდია, როდესაც ქართველურ ტომებს (სვანებს, ხევსურებს, თუშებს, წანარებს და ა.შ.) კავკასიონის ქედის ორივე მხარე (როგორც სამხრეთი, ასევე ჩრდილოეთი) ეკავათ. ამის დამადასტურებელია

შემდეგი ფაქტები და წყაროები:

1. მიწის ქვეშა და მიწის ზედა არქეოლოგიური არტეფაქტები;
2. რელიგიური და საკულტო შენობა-ნაგებობები;
3. არქიტექტურა (სვანურ-ხევსურული კოშკების სისტემა);
4. ტოპონიმია;
5. წერილობითი საბუთები;
6. გვარების წარმომავლობა;
7. ზეპირი გადმოცემები.

ჩრდილოეთ კავკასია, როგორც ირკვევა, სხვადასხვა ტომის თუ სამხედრო გაერთიანებების მუდმივი თავდასხმის ობიექტი ყოფილა, რის შედეგადაც ადგილობრივი ქართველური (სვანური) მოსახლეობა თანდათან იძულებული გამხდარა ქედის სამხრეთით გადმოსახლებულიყვნენ. დამპყრობთა შორის ცნობილია სკვითური, თათარ-მონღოლური, ირანული, არაბული, თურქული და რუსული წარმომავლობის სამხედრო ფორმირებები.

მას შემდეგ, რაც რუსეთის მეფის ივანე მრისხანის და სხვა მის შთამომავალ მეფეთა მიერ დაპყრობილ იქნა ახლანდელი კრასნოდარის მხარე, თანდათან ხელი მიჰყვეს ჩრდილოკავკასიელი ადგილობრივი ტომების შევიწროებას.

ირკვევა, რომ რუსებთან მოყვრობა დაუმყარებიათ ყაბარდოელების დაწინაურებულ (მდიდარ) გვარებს, რომელთაც აწყობდათ სვანების წინააღმდეგ ერთიანი ძალით გალაშქრება და მათი განდევნა. რატომ სვანების? მას შემდეგ, რაც ქაშგებმა (ჩერქეზებმა) (ქაშაგ, კასკები), ყაბარდო-ბალყარებმა და ოსებმა დაიპყრეს

სვანური ტერიტორიები, მრავალი დაპირისპირების შემდგომ დაუდგენიათ, რომ დამპყრობლებს სვანებისთვის მიწის სანაცვლოდ ყოველწლიურად ბეგარა უნდა გადაეხადათ. რისგან შედგებოდა ბეგარა?

თითოეულ ოჯახს (ყაბარდო-ბალყარ და ნაწილობრივ ოს) წლის ბოლოს უნდა მიეცათ სვანებისათვის:

- 1) ერთი კათხა მარილი (სვანეთში მარილი არ იშოვებოდა);
- 2) „ტეტინაზიმ“ (ტეტ-ტოტი-ხელი) ხელის ზომა რკინის ნაჭერი;
- 3) სამი წლის მოზვერი ან ვერძი.

როდესაც ჩრდილოეთ კავკასიელები ამ ბეგარას ნებით არ იხდიდნენ, სვანები ჯარით გადადიოდნენ და იძულებით ახდევინებდნენ. ერთ-ერთი გადმოცემა მოგვითხრობს შემდეგს:

სვანებმა ერთ შემოდგომაზე გააგზავნეს ბეგარის ამკრეფი ჯგუფი, რომელსაც ქაშგებმა ბეგარის გადახდაზე უარი უთხრეს, ამის გამო სვანები ჯარით გადასულან. ცხადია, ქაშგებიც მომზადებულნი დახვედრიან. მათ დიდი რაოდენობის ჯარი მოაგროვეს. სვანების წინამძღოლს უთქვამს, ჩვენ ამათ ომს ძალით ვერ მოვუგებთ, რაღაც ხერხი უნდა ვიხმართო. მაშინდელ პერიოდში ომის დაწყება, სადილობა, ღამის გასათევად მოწყობა და ა.შ. ურთიერთშეთანხმებით ყოფილა. ორივე ჯარი მდინარის სხვადასხვა მხარეს დაბანაკებულან. სვანების წინამძღოლმა თავისი ჯარი დაარიგა: „როცა დასაძინებლად დაწვებით, თითოეულმა მეომარმა თავის გარშემო (უშუალოდ რიყზე) საგზლად წაღებული მუხუდოს და ცერცვის მარცვლები მრავლად მოაყარეთ. როცა გათენდება და მოწინააღმდეგე მხარე საუზმობას დაიწყებს, თითოეულმა თქვენთაგანმა დაიწყეთ პირით მუხუდოს და ცერცვის აკრეფა და ჭამა. მოპირდაპირე მხარე რომ დაგინახავთ, იტყვის, რომ რიყის კენჭებს ჭამენო, ანუ იმდენად ველურები არიან, ქვებს ინელებენო.“ მართლაც, მზის ამოსვლისას ლოცვის შემდგომ, ქაშგებს საუზმობა დაუწყიათ, ხოლო სვანებს, როგორც მათმა წინამძღოლმა დაარიგა, ვითომ ქვების აკრეფვა დაუწყიათ. გაკვირვებული ქაშგები სვა-



ნებს დიდხანს უყურებდნენ თურმე. როცა დარწმუნებულან, რომ „ქვებს“ ჭამდნენ, შეშინებულან. უფიქრიათ, ესენი ან მართლა ველურები არიან და ქვებს ინელებენ, ანდა რაღა კენჭების ჭამა გადაუწყვეტიათ, თავი გაუწირიათ, ანუ მაინც მოკვდებიან და თავს შეგვაკლავენო. ბოლოს აღუმართიათ თეთრი დროშა, რაც მორჩილებას ნიშნავდა. ამის შემდეგ მშვიდობიანად ჩაუბარებიათ მთელი ბეგარა სვანებისთვის.

მეორე თქმულება ბეგარის იძულებით გადახდის შესახებ არის არაჩვეულებრივი სიმღერა „დედემ-დედემ მირანგულა“. დედისერთა ვაჟკაცი მირანგულა გმირი მეომარი ყოფილა. როცა არ იხდიდნენ გადასახადს ჩრდილოეთ კავკასიელები, მარტო გადადიოდა და ძალით გადმოყავდა ხარ-ძროხების ჯოგები. დედამ სიფრთხილის მიზნით კოშკში ჩაკეტა თავისი ერთადერთი ვაჟკაცი: „ჟიგ ხოიგენა მურყვამთეჟი დედემ-ვოი დედემ“ (დედამ კოშკში ჩაკეტაო მირანგულა).

სადილ-ვახშამს კოშკში აუტანდა. „სადილ-ვახშამს მურყვამდ ჯი და დედემვოი დედემ“, ნაბადი დაგიჭრია და კოშკის შდუროზე გადმოგიკიდებიაო (თოკის მაგივრად) და გადმომხტარხარო (გაქცეულხარო), „ქავ ჯისკინა მურყვამიშ შდურქა, ქავ ჯიბა ა თაინად ზაგარს... ქავ ჯი იდა სავიამ ჯოგარ, ქავ ჯადვეჭახ სავია ლაშგარ“.

გადასულხარო (საყვარჩათე) ყარაჩაოსეთში, გადმოგიყვანიაო ჯოგები, დაგდევენებიანო ოსების ლაშქარი...

„ქავ ხოფიშდახ ცხემლი ცხვიარ, ქავ ხოფიტახ ისგუ ბარჯალ“.

„უსვრიათ მშვილდის ისრები და დაუხვრეტიათ შენი მხრები“-ო და ბოლოს დედის მოთქმა: „ვოი ლეშხიაქ ჯუმშიშ ლადად, მირანგულა დესა ემხვიდ“. „დაიწვასო ოთხშაბათი დდე, მირანგულა კოშკში არ დამხვდაო. მირანგულა გადამხტარა და საომრად წასულაო ყარაჩაოსეთშიო“.

„ვაი შვილო ყვავ-ყორნები თუ სჭამენ შენს ლამაზ თვალებსო, ერთადერთო ჩემო შვილო. მოლით სვანებო, ერთად

ვიტიროთ სვანეთის გმირი მირანგულა“-ო და სხვა.

მისამღერი: „დედემ-დედემ მირანგულა დედემ ვოი დედემ, დედემ ისგვამ სიგარ ხორდას დედემ ვოი დედემ“.

მესამე მტკიცებულება:

მე-19 საუკუნეში (1870-75 წწ.)

რუსეთის იმპერიამ დაიპყრო საქართველო და, მათ შორის (სულ ბოლოს) სვანეთი. ბალსქვემოური სვანეთის თავადი (ცნობილი პიროვნება) კონსტანტინე დადაშქელიანი ამ ბრძოლას შეეწირა (მან ხანჯლით ქუთაისის გუბერნატორი და მისი მხლებლები ამოხოცა). დედამისმა და მისმა მეუღლემ რუსეთის მეფეს (ჯერ კიდევ დაპყრობამდე) მიმართეს საჩივრით, რომ „ბოლო სამი წელია ყაბარდო-ბალყარელებს ბეგარა არ გადაუხდიათ და თუ თქვენს ქვეშევრდომობაში არიან, მაშინ ვალდებული ხართ თქვენ უზრუნველყოთ დაწესებული ბეგარის გადახდა“-ო (ეს დოკუმენტი დაცული უნდა იყოს პეტერბურგის არქივში).

მეოთხე მტკიცებულება: სვანეთში დღესაც ცნობილია ის გვარები, რომლებიც ჩრდილო კავკასიიდან, როგორც დევნილები, არიან გადმოსული და დღესაც ცხოვრობენ ზემო, ქვემო და დაღის (კოდორის) სვანეთში: ისინი არიან: მუკბანიანები, კახიანები, ვეზდენი, ქურდიანები, გუჯეჯიანები და სხვები. მათი განშტოებები დღესაც ცხოვრობენ ჩრდილოეთ კავკასიაში, რომელთაც გვარის ძირი სვანური აქვთ, ხოლო დაბოლოება რუსულ-ბალყარულ-ყაბარდოული ვეზდენოვი, ურუსბიევი, კურდანოვი და სხვა).

ქვემო სვანეთში ჩოლურის თემში ცხოვრობენ მუკბანიანები, ხოლო ზემო სვანეთში, წვირმის თემში, – მუკვანები. მათი ორივე შტოს გვარის ძირი წარმოდგება მდ. ყუბანიდან, კერძოდ, მუკბანიანი (მუკვანი) ნიშნავს ყუბანელის, ანუ მუყბანიანს (მუყვანას) (ქართულში ბგერა-ასო „კ“ და „ყ“ ხშირად მონაცვლეობენ), ე.ი. მე ყუბანელი ვარო, ანუ მე ყუბანიდან ვარო. სვანურად „მი“ ნიშნავს „მე“-ს, ყუბანის მაცხოვრებელს. თვითონ სიტყვა „ყუბ“ წარმოდგება სვანური სიტყვა „ლუყ



ბე“-შეკრება (შესაკრები), ხოლო „ანი“ სვანური ენისთვის დამახასიათებელი დაბოლოებაა. რატომ დაირქვეს მუკვებანიანებმა ან მუკვანებმა ეს გვარები მაშინ, როდესაც მათი ნამდვილი გვარები სულ სხვა უნდა ყოფილიყო? ცხადია, აქ საქმე გვაქვს ქართულ ტრადიციასთან. როდესაც ძალით (იძულებით) გადაასახლებდნენ მოსახლეობას, იმისათვის, რომ შთამომავლობას არ დაევიწყებოდა მათი (წინაპართა) წარმომავლობა (იმედი უკან დაბრუნებისა), სიმბოლურ გვარებს იტოვებდნენ. ამ შემთხვევაშიც სწორედ ასეთ ფაქტს აქვს ადგილი. ანალოგიურად მაგალითისთვის შეიძლება განვიხილოთ რაჭა-ლეჩხუმის ფაქტები. კერძოდ, როდესაც თავისუფალ სვანეთს წაართვეს ეს ორი კუთხე, იქაურმა სვანებმა დაირქვეს: „სვანი“, „სვანიძე“, „მეშველ-მუშან“-იანი. ძირი დატოვეს სვანური, ხოლო დაბოლოება იმერულ-ქართლურ-კახური. ცნობილია სვანეთში უძველესი გვარები: „ჯაფრანები“, „ცხვედიანები“, „ჩორგოლიანები“, „მარუშიანები“, „ვარდანიანები“, „შავლიანები“ და სხვა. მათი დღევანდელი შესატყვისებია: ჯაფარიძეები, ცხვედაძეები, ჩორგოლაშვილები, მარუშიძეები, მარშანიები, ვარდანიძეები, შერვაშიძეები (გურიელები – დადიანები – ფარჯიანები და მრავალი სხვა).

გვართა განვითარება ერთ-ერთი საინტერესო თემაა ქართულ ისტორიაში. მათი მეშვეობით მრავალი უცნობი თემის ახსნა გახდება შესაძლებელი მომავალში.

მეხუთე მტკიცებულება: ტოპონიმიკა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მდ. ყუბანის ეტიმოლოგიის ანალოგიურად, ჩრდილოეთ კავკასიაში მრავლად გვაქვს ქართული (სვანური) შესატყვისები. ყოველივე ამას უნდა შესწავლა და გამომზეურება. მაგალითად, მდ. ასას ხეობაში (ბარში) ცხოვრობენ ინგუშები. მათ საცხოვრის ადგილს (ხეობას) უძახიან „ტარკიმ“. სინამდვილეში, ეს არის სიტყვა „თაარგიმ“, რაც სვანურად ფხვიერ მიწას (თაარ – ფხვიერი, რბილი, გიმ – მიწა) ნიშნავს. ჩვენ იქ ყოფნის დროს (1988-89 წლებში) დავრწმუნდით, რომ ასეთი რბილი მიწა იშვიათად შეიძლება სადმე

იყოს. ინგუშები გვეუბნებოდნენ, რომ ჩვენ დედა სვანი გვყავდაო, ანუ სვანური გენეტიკა გვაქვსო. როცა გაგვიჭირდებოდა, ჩვენი წინაპრები სვანეთში გადავიდოდნენ და პურის მარცვალს (კვეცენს) გამოგვატანდნენო.

მდ. ასას ხეობელთა (ამ ხეობის ბარელთა) გადმოცემით, ამ ადგილებში წინათ თუშები და წანარები ცხოვრობდნენ. მუსულმანებმა დაიპყრეს ეს ტერიტორია. ვინც რჯულს შეიცვლიდა, თითო ოქროს უხდიდნენ, ვინც არ მუსულმანდებოდა, ავიწროებდნენ.

ამის გამო თუშები და წანარები გადასახლდნენ ასას ხეობიდან შატილის გავლით დღევანდელ მთა-თუშეთში. თუშების ნასახლარი დღესაც ჰქვია უშგულის თემში ერთ ადგილს („თუშრე ნალზიგ“), ხოლო წანარები სოფელსაც ჰქვია და ჩრდილო კავკასიაში გადასასვლელსაც (უღელტეხილი „წანაერ“). სოფელ ცან (წან, ცანარ-წანარ) უშგულსა და ყორულდაშს შორის მდებარე სოფელია.

ჩრდილო და სამხრეთ კავკასიის მოდგმის ტომების (სვანების, ხევსურების, მოხვევების, ვაინახების და ა.შ.) ერთიანი წარმომავლობის ერთ-ერთი ყველაზე უტყუარი მაგალითია არქიტექტურა, კოშკების აშენების მაღალი ხელოვნება და კულტურა. ტყუპი და-ძმასავით გვანან ხევსურულ-სვანურ და ჩეჩნურ-ინგუშური კოშკები და მანუბები. აშკარად ჩანს, რომ მათ ერთი წარმომავლობა აქვთ.

ჩრდილოეთ კავკასიაში ზოგიერთ ინგუშურ თუ ჩეჩნურ სოფლების კოშკებზე ჯვრები ქვაში გამოკვეთილი ნიშნად იმისა, რომ შთამომავლობას არ დაევიწყებოდა მათი ნამდვილი რელიგია – ქრისტიანობა. განსაკუთრებით ბევრია მე-8 – მე-13 საუკუნეების ქრისტიანული (ქართული) ეკლესია-მონასტრები ქართული წარწერებით, სადაც წირვა-ლოცვაც ქართულად ტარდებოდა. ადგილობრივები ხშირად გვიყვებოდნენ იმ ნეტარ დროზე, როდესაც ქართველები ქრისტიანობას ასწავლიდნენ და ეკლესიებს აშენებდნენ.

სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ მას შემდეგ რაც რუსებმა დაიპყრეს ჩრდილოეთ კავკასია, ხელი მიჰყვეს ძველ



ქართულ (სვანურ) სოფლებში კოშკების, მაჩუბების და მონასტრების დანგრევას ან მათ ადგილზე ახალი ტიპის შენობების დაშენებას.

ბოლოს, გვაქვს როგორც მიწის ქვეშა, ასევე მიწის ზედა არქეოლოგიური ნიმუშები, მათ შორის უძველესი „პიქტოგრაფები“ თითქმის ერთი-მეორის მსგავსი (სვანურ-ხევსურულ-ჩრდილოეთ კავკასიური) არაერთი ნიმუში, რომელიც მსოფლიოში არსებულ ცივილიზაციათა შორის ერთ-ერთი (თუ ერთადერთი არა) უძველესი დამწერლობაა, რომელიც ჯერ კიდევ ამოუხსნელია და ელოდება მომავალ „გაბრწყინებას“.

მიწის ქვეშ მოპოვებულ არქეოლოგიურ მასალა ან გატანილია რუსეთის მუზეუმებში, ან ოჯახებში ინახება. თუმცა, ვფიქრობთ ყველაზე მეტი ჯერ კიდევ შეუსწავლელია და მიწაში ელოდება მკვლევარს“.

**თორნიკე დიასამიძის ნაშრომი –
„ქართული კვალი ჩერქეზეთში
X-XII საუკუნეებში“**

(მეცნიერება და ტექნოლოგიები –
სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი,
2 (716), გვ.100-106, თბილისი, 2014 წ.).

თ. დიასამიძე წერს – გერმანელი რეინეგსი, რომელმაც იმოგზაურა ჩერქეზეთში XVIII საუკუნის 80-იან წლებში, წერს:

„სამხრეთით მაღალ მთაზე დგას კარგად შენახული, წმინდა გიორგისადმი მიძღვნილი ქვის ეკლესია. იქ ჯერაც ორი ზარია. ასევე ამტკიცებენ, რომ წიგნები, ბერების სამოსელი, თასი და ჯვარი ახლაც დაცულია იმავე მთაზე განსაკუთრებულ საიდუმლო ადგილას, რომელზედაც ეკლესია დგას. ეკლესიის ირგვლივ კი ბევრი ქვაბულია გამოკვეთილი. ეს ეკლესია ცნობილი ყოფილა თავისი საკვირველმოქმედებით, განდევნილებითა და ბერებით. ქერის მოსაგლის ალების შემდეგ

აქ იკრიბებიან გლეხები. ქრისტიანი მღვდელი კი ატარებს ღოცვას. თუ ვინმეს ამ ეკლესიის ახლოს მეხი მოკლავს, მას წმინდანად მიიჩნევენ. იქვე მარხავენ მის გვამს, შემდეგ მართავენ დღესასწაულს, იკვლება შავი ვაცი, ტყავს გატენიან და საფლავის ახლოს მაღალ ძელზე გამოჰკიდებენ, რათა ამ წმინდანად შერაცხულის ხსოვნა გაახანგრძლივონ“ [1].

გერმანელი მოგზაურის რეინეგსის ამ ცნობით:

1. შუანას, იგივე შოანას ეკლესია მე-18 საუკუნეშიც მოქმედი იყო.
2. შოანას ეკლესიის ქრისტიანული მრევლი მე-18 საუკუნეშიც კი ძლიერი იყო.

ამჟამად რუსული ორიენტაციის მკვლევრები დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ შოანას ეკლესია ალანებისა იყო, მაშინ, როცა ალანია ალანებითურთ ჯერ კიდევ მე-13 საუკუნეში გაანადგურეს მონღოლებმა. მაშ, ვინ ღოცულობდა შოანას ეკლესიაში მე-18 საუკუნეში მღვდელთან ერთად, როგორც რეინეგსი წერს? არა ალანები ანდა ოსები, არამედ ქართველები, კერძოდ კი სვანები. სწორედ მათ შემოინახეს მე-19 ს. დასაწყისში შესანიშნავად მღვარი შოანას ეკლესია მთელი სახურავითა და კედლებით, რომელსაც მე-18 საუკუნეში თავისი ზარებიც კი ჰქონდა. ქართველები აქედან გააძევეს უფრო მუსულმანურმა „სავიარებმა“. რუსებმა კი ეს უკანონობა დააკანონეს, ხოლო მე-19 ს-ში აქ ოსები ჩაასახლეს, სოფელს ხეთაგუროვო დაარქვეს. „ტადართან ახლოს უნდა ყოფილიყო წიგნსაცავი, საიდანაც რაინეგსმა წაიღო ორი წიგნი: ერთი საეკლესიო ცნობარი და მეორე, სავარაუდოდ, იესო ქრისტეს ცხოვრება. წიგნები დაწერილი უნდა ყოფილიყო ბერძნულ ენაზე, თუმცა ამის შესახებ ჩვენ ზუსტი ცნობები არ მოგვეპოვება“, – წერს თ. დიასამიძე. მე ვფიქრობ, რომ მე-18 საუკუნეშიც კი შოანას მოქმედ მღვდელს ლიტურგიისა და ღოცვებისათვის წიგნები ესაჭიროებოდა და, ცხადია, ეს წიგნები ქართულენოვანი იყო, რადგანაც მე-18 საუკუნეში კავკასიის მთებში



წირვა-ლოცვას არავინ აღასრულებდა ბერძნული, რუსული, ოსური ანდა აფსუათა ენებით. ერთადერთი სალიტურგიო ენა კავკასიაში მე-12 საუკუნიდან ვიდრე მე-19 საუკუნემდე, რუსების გაბატონებამდე, იყო ქართული ენა. ესაა ფაქტი და რეალობა. სწორედ ქართული ენის კავკასიის მთიანი რეგიონიდან გასაძეგვბლად შექმნეს რუსებმა ადგილობრივ დიალექტებზე საქრისტიანო წიგნები, რითაც არა მხოლოდ ქართული ენა გააძეგვეს კავკასიის მთებიდან, არამედ სათავე დაუდეს არაქართული ეთნოცნობიერების ფორმირებას და ქართულ ეთნოსუბსტრატზე ჩამოაყალიბეს ახალი პატარა ეთნოსები“.

შუანას და სენტის პირველი სამეცნიერო შესწავლა დაიწყო გერმანელმა მეცნიერმა ჯ. ბერნადცმა, რომელმაც იმოგზაურა ჩერქეზეთში 1829 წელს. „შუანას ტაძარი სრული სახით იყო შემორჩენილი. ტაძრის შიგნით შეიმჩნევა საღებავის კვალი, რომლითაც ტაძარი შეუეთებრებიათ“. შუანას ტაძრის შიგნით საკურთხეველიდან მარჯვენა მხარეს ინახება ჯვარი, რომლის ირგვლივ იკითხება ბერძნული წარწერა „ოკ... ევონ... ლოს... ლეონოს“ (სახელითა მსახურითა ღვთისა ლეონ. ლეონი, სავარაუდოდ, უნდა იყოს ეგრის-აფხაზეთის სამეფოს მეფე ლეონ III (945-963). სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება ტაძრის მშენებლობა, შუანას ტაძარი სტრუქტურულად ძალიან ჰგავს ლეონ III-ის მიერ აგებულ მოქვის ტაძარს“.

ბერნადცის ეს ცნობა, რომ შუანას ტაძარში აფხაზთა მეფის ლეონის მოსახსენიებელი წარწერიანი ნივთი აღმოჩნდა, მიჩქმალულია რუსული ორიენტაციის ისტორიკოსების მიერ, რადგანაც აფხაზთა მეფეები ლეონ მეორე და, განსაკუთრებით, ლეონ მესამე ზოგადად, მთელ საქართველოში აგებდნენ ქართული ეკლესიის იურისდიქციაში შემავალ დიდებულ ტაძრებს თავისი უხვი ქართულენოვანი წარწერებით. სენტისა და შუანას ეკლესიები არხიზ-ხელენჯუკის ეკლესიებთან ერთად მათი ან მათი მემკვიდრე – საქართველოს მეფეების აგებული უნდა იყოს. ამ ეკლესიათა აგებას კი რუსი

მეცნიერების უმეტესობა მიაწერს ალანებს, მათ მიერ მოწვეულ ბიზანტიელებს, მაშინ, როდესაც ზუსტად ასეთივე სტილის ეკლესიებითაა მოფენილი აფხაზეთი და მთელი საქართველო, ამიტომაც ასეთი სტილის ეკლესიათა მშენებლები ადგილზეც მრავალი იყო.

შუანას ტაძარი მდებარეობს მდ. ყუბანის მარცხენა სანაპიროზე, ყარაჩაევსკის ჩრდილოეთით, 7 კმ-ზე. ამავე სახელწოდების მთა შუანაზე ტაძარი წარმოადგენს სამნავიან, სამაფსიდიან შენობას, ოთხი კვადრატით, რომლებიც შეერთებულია ბოძებით. ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან მას აქვს ეკვდრები, ცენტრალური აფსიდა უფრო დიდი გვერდით აფსიდებთან შედარებით. დასავლეთიდან ტაძარზე მიშენებულია საყრდენი კედელი კონტრფორსებით. ტაძრის სიგრძე 12, 90 მ-ია, ხოლო სიგანე – 8, 90 მ. სიმაღლე კი 12 მ. ტაძარი წმინდა გიორგის სახელობისაა და, სავარაუდოდ, X საუკუნის უნდა იყოს. ამაზე მრავალი ფაქტორი მიუთითებს: წარწერა შიგნით, სადაც მოხსენიებულია ლეონი. ეს სწორედ ეგრის-აფხაზთა მეფე ლეონ III უნდა იყოს, რომლის სახელს უკავშირდება ტაძრების მშენებლობა აფხაზეთის ტერიტორიაზე. მეცნიერთა ნაწილს მიაჩნია, რომ ტაძრის აგების დროს ეს ტერიტორია ალანეთის ეპარქიის გამგებლობაში შედიოდა. თუმცა ჩვენ გვაქვს განსხვავებული მოსაზრებებიც, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი.

ამ პერიოდში ალანები სწორედ აღნიშნულ ტერიტორიაზე სახლობდნენ ქართველებთან, კერძოდ, სვანებთან ერთად. გიორგი II-ის შემდეგ მისი ღვაწლი გააგრძელა მისმავე ვაჟმა ლეონ III-მ. ტაძრის არქიტექტურულმა შესწავლამ ცხადყო, რომ ტაძარი X საუკუნის შუახანებში უნდა ყოფილიყო აგებული. ძველად შუანასთან გადიოდა დიდი აბრეშუმის გზა, რომელსაც იცავდა ხუმარას ციხე-სიმაგრე. აქვე იყო მიმოფანტული ქვის ჯვრები. ხელოვნებათმცოდნეები აღნიშნავენ შუანას ჯვარ-გუმბათოვანი ტაძრის მსგავსებას „აფხაზური ჯგუფის“ ეკლესიებთან. კერძოდ, სოფლების – ლოოს, ბზიფის, ლიხნეს, ბიჭვინთის,



ანაკოფიის, ახალი ათონის, მოქვის ეკლესიებთან. ყველა ეს ტაძარი X-XI საუკუნეებშია აგებული. ამ ტაძრებს ამსგავსებენ ტრაპიზონის ტაძრებსაც (Кузьмин, 2005:27). რაც შეეხება ტაძრის ამგებს, მეცნიერთა ნაწილი ტენდენციურად მიუთითებს, რომ ტაძარი აგებულია ბიზანტიელთა მიერ, ნაწილი კი შედარებით ლოიალურია და ტაძრის აგებისას არ გამორიცხავს ეგრის-აფხაზეთის სამეფოს როლს, თუმცა ამ სამეფოს განიხილავს არა ქართულ, არამედ ბიზანტიურ სამეფოთა რიგებში.

ამრიგად, ტერიტორია, სადაც შუანას ტაძარი მდებარეობს, საუკუნეების განმავლობაში ქართველთა საკუთრებას წარმოადგენდა, **სადაც დასახლებული იყო ქართული მოსახლეობა. დროთა განმავლობაში აღნიშნულ ტერიტორიაზე ალანები, ჩერქეზები და ყაბარდოელები დასახლდნენ, რამაც გამოიწვია ადგილობრივი მოსახლეობის ასიმილაცია ამ ხალხთან.**

შუანას ტაძრიდან მოშორებით, დაახლოებით 15 კ-ზე სოფ სენტში მდ. თებერდას სანაპიროზე შემადგენულ ადგილას, გორაზე დგას სენტის ტაძარი. ქვედა თებერდას ტერიტორიაზე ყარაჩაული მოსახლეობა გაჩნდა 1870 წლიდან. ადგილობრივთა გადმოცემით, სენტი ეწოდებოდა ქვის ძეგლს, რომელსაც ადამიანის გამოსახულება ჰქონდა და ინახებოდა მონასტერში. სენტი ქართული სვეტის იდენტური უნდა იყოს (მიბხუანი, 1986).

სენტის ტაძრის განხილვისას საინტერესოა წარწერა, რომელიც შესრულებულია შავი საღებავით ბერძნულ ენაზე.

წარწერის მიხედვით, თარიღი უნდა გამოვთვალოთ ბიზანტიური ქორონიკონით. ამ გამოთვლით, ეს არის 965 წელი. სწორედ ამ დროს უნდა განახლებულიყო ან აგებულიყო ტაძარი (Виноградов, 2005:87). აღნიშნული წარწერის გარდა ჩვენ გვაქვს სხვა ბერძნული და, სავარაუდოდ, ქართული წარწერებიც, რომლებიც შესრულებულია სენტის ტაძარზე. სენტის ტაძარი გამორჩეულია თავისი ფრესკებით. როგორც აღვნიშნეთ, ფრესკები პირველად

დააფიქსირა ვლადიმროვმა და აღწერა კიდევ. მანვე აღმოაჩინა ფრესკის ორი შრე. ისინი ან აღადგინეს ანდა ზედვე შესრულეს. ფრესკები ოსტატურად არის შესრულებული თეთრი, წითელი და მუქი ყავისფერი ფერებით. ფრესკები ძალიან დაზიანებულია. მათი ნაწილი XIX საუკუნეში დაიკარგა. ვლადიმროვი მიუთითებდა ფრესკების ბიზანტიურ წარმოშობაზე, მაგრამ არ გამორიცხავდა სიახლოვეს ქართულთან. სენტის ტაძართან ახლოს, მის ჩრდილო-დასავლეთით დგას უფრო გვიანი პერიოდის ქვის მავზოლეუმი (ამგები უცნობია). სამხრეთ კედელში გაკეთებულია შესასვლელი. შიგნით ჩანს სამარხების კვალი. ასეთი მავზოლეუმი არ არსებობს მთელ ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიაზე. სავარაუდოდ, იგი განკუთვნილი იყო უმაღლესი რანგის სასულიერო პირთათვის. მავზოლეუმი აგებული უნდა იყოს უფრო ძველი ერთაფსიდიანი ტაძრის ნანგრევებზე ალანთა გაქრისტიანების დროს. ჩვენს მიერ განხილული ორივე ტაძარი ძალიან ჰგავს აფხაზეთის ტაძრების არქიტექტურას. მსგავსების შესახებ აღნიშნავს რუსი მეცნიერი ვ.კუზნეცოვი, რომელიც ცდილობს გვერდი აუაროს ქართულ კვალს ჩრდილოეთ კავკასიაში და ძველი დაუკავშიროს მხოლოდ აფხაზეთს. როგორც ჩანს, ის აფხაზეთს განიხილავს, როგორც არაქართულ სახელმწიფოს.



ადიღების ჩამოსახლება ჩრდილოკავკასიის სვანეთში

XIV-XV საუკუნეებში თათარ-მონღოლთა ომების შემდეგ და თემურ-ლენგის ბრძოლების შედეგად შეიცვალა ჩრდილო კავკასიის ეთნიკური სახე. აქ გამოჩნდა ახალი ადიღე და თურქულენოვანი ხალხები, რომლებიც ესახლებოდნენ გაუკაცრიელებულ ალანიასა და ჩრდილოეთ კავკასიაში.

რუსული ენციკლოპედია წერს – В XIV-XV вв. после военных монголо-татарских экспедиции и опустошительных походов Тамерлана этно-политическая карта Сев. Кавказа кардинально изменилась. Новые адыго-тюркоязычные народы переместились в разоренные районы и вытеснив (ПЭ, I, с. 443).

„XIV-XV საუკუნეებში მონღოლ-თათართა სამხედრო ექსპედიციებისა და ასევე თემურ-ლენგის გამაუკაცრიელებელი ლაშქრობების შემდეგ, ჩრდილო კავკასიის ეთნო-პოლიტიკური რუკა კარდინალურად შეიცვალა. ახალი ადიღე-თურქულენოვანი ხალხები გადაადგილდნენ გაუკაცრიელებულ რაიონებში, ნაწილობრივ შეავიწროვეს ალანები ანდა შეერივნენ მათ, მიიტანეს თავიანთი ჩვევები და რწმენა, ხოლო XVIII ს-ში მიიღეს მუსულმანობა“ („პრაგოსლაენაია ენციკლოპედია“. ტ. I, მოსკოვი, 2000, გვ. 443, რუს. ენაზე).

თემურ-ლენგის (1336-1405) შემდეგ მალევე, ასევე თოხთამიშთან მებრძოლმა ოქროს ურდოს სარდალმა ედიგეიმ ჩრდილოეთ კავკასიაში შემოიყვანა თავისი ულუსი, რომელიც იქამდე მომთაბარებოდა დასავლეთ ციმბირ-ყაზახეთის მომიჯნავე მხარეებში. კავკასიაში ამ ულუსის ხალხს, წინამძღოლის სახელის შესაბამისად, ადიღეელები უწოდეს. „სინო-ტიბეტურ-ენისეური ენის“ მატარებელი ადიღეთა გარდა იქ თურქულენოვანი ტომებიც შემოსულან, ეს ტომები შეერივნენ ადგილობრივ ჩრდილოკავკასიურ-იბერიულ მოსახლეობას და თანდათანობით ჩამოყალიბდნენ ე.წ. „თურქულ-კავკასიურ“ და „სინოკავკასიურ“ ენების მატარებელ ტომე-

ბად. ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში, ამჟამინდელ ყარაჩაი-ბალყარეთის ტერიტორიაზე მათ დახვდათ სვანური ტომები, რომელთანაც ჰქონდათ მტერ-მოყვარული ურთიერთობები, შემდეგ ამ რეგიონში ადიღეები ჩაანაცვლეს თურქულენოვანმა ტომებმა.

ახალი ადიღე და თურქულენოვანი ხალხები ესახლებოდნენ გაუკაცრიელებულ სვანეთის ალანიაში, ჩრდილოეთ კავკასიის ჩრდილო ნაწილში, სადაც მათ დახვდათ მკვიდრი ქართულ-კავკასიური წარმოშობის მოსახლეობა.

კავკასიაში თემურ-ლენგის მიერ შემოსახლებულმა ჩრქეხულმა და თურქულენოვანმა ხალხებმა მოიტანეს თავიანთი ჩვევები და რწმენა. მათი შერევით მკვიდრ კავკასიელებთან ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონებში ჩამოყალიბდნენ ახალი ეთნოსები. კავკასიის ნარევი მოსახლეობამ საბოლოოდ XVIII საუკუნეში მიიღო მუსულმანობა.

ადიღეენოვანი ხალხები (მათ შორის, აფსუათა წინაპრებიც) აფხაზეთის საზღვართან გამოჩნდნენ მხოლოდ თემურ-ლენგის შემდეგ, ხოლო თურქულენოვანი ტომების ერთი ნაწილი ჩრდილოეთ კავკასიის ველებზე ადრეც მომთაბარებოდნენ. სხვები კი ადიღებს შემოყვნენ.

ვახუშტის ცნობაც ამავე ინფორმაციის შემცველია.

ამავე ეპოქაში კავკასიაში გამოჩნდნენ სხვა, კერძოდ კი, ირანულენოვანი ტომები. ამის გამო ირანულენოვან ტომებსაც „ოსები“ უწოდეს მათმა მეზობელმა ქართველებმა. მათ მალევე შეძლეს დეაღლეთში გაბატონება და მათი ასიმილაცია.



სვანეთის ჩრდილოეთ საზღვარი – დიგორხან მთავრინასა და სვპა ცნობებით

1834 წელს სვანეთში ბარონ როზენის წარმომადგენელმა სვანეთის სამთავროს ჩამოაჭრა ტერიტორიები ჩრდილოეთის მიმართულებით. ახალი საზღვარი გაკლებულ იქნა კავკასიის მთავარ ქედზე, იქამდე კი ძველი საზღვარი გადიოდა უფრო ჩრდილოეთით, ჩრდილოკავკასიის სიღრმეში, კერძოდ, ყარაჩაის მხარეს პუნქტ – „ლაბგვიართან“, ხოლო ყაბარდოს მხარეს სასაზღვრო წერტილები იყო – ჩეგემი, თეგენიკის მთა და ნაქამუკვარი. ამ ცნობას იძლევა ჩუბეხევის მთავარი ქალის დიგორხანის მოხსენება ბარონ როზენისადმი, 1835 წ. 14 ივლისს ის სვანეთის სამთავროს დაკარგულ მიწებს „ჩვენს მამულს“ უწოდებს და წერს – „სვანეთის მამული დღემდის ყოფილა ქუეშე ჩვენსა და არისცა. მამულთა მათ საზღვრავს ჩერქეზებისა მხრიდან მთა თეგენიკი და ყარაჩების მხრით არის საზღვარი, სადაც დასრულდება ვაკე ალაგი, რომელსაც ეწოდება ლაბგვიარი და ეს ლაბგვიარი არის ჩვენი და იმის იქით ყარაჩელთა ...

ჩერქეზების მხრივ, რომელნიცა სახლობენ ჩერქეზიადამ გადასახლებულნი მცხოვრებნი სოფელსა ბახსანსა. იგი ბახსანა არის საკუთარი ჩვენი. ამის გამო, რომელ იქ მცხოვრებნი, რომელნიცა დღესა სცხოვრობენ – ადრე სახლებულან ჩერქეზების სოფელსა ზანგისსა და იქი-დამ გადმოსახლებულან იმ სოფლის ნახევარი ხალხი თავიანთ მამულს, სოფელს ნაქამუკვარსა და ნაქამუკვარიდამ, არ არის დიდი ხანი, რომელ თათარყანის მამას ციოყს გადმოუსახლებია ჩვენს საკუთარს სოფელს ბახსანასა, და რომელნი ჩვენი გლეხნი სახლებულან ამ ბახსანაში. ისენი ზოგნი ამოუწყვეტია ჭირს და დანარჩომნი გადმოუსახლებია მთავარსა ციოყს სოფელსა ლეშტერსა და ლაშხრაშსა, რომელნიც გვემსახურებიან ჩვენ ბატონყმურის წესითა, ხოლო მთავრისა ციოყისა მიერ ეს ვითარი ბახსანასა მათი დასახლება ყოფილა მისდა შესამატ პირუცველელი ამისთვის, რომ იქ იმათის

მოსახლეობით დაიცავდა იმ მხარეს გარეულთა მტერთაგან ჩუმათ შემოსული-სათვის მამულსა თვისსა და მეორედ იმისთვის, რომ იგინი ისე გვემსახურებოდენ ჩვენ ვითარცა საკუთარი ყმანი, როგორც საბაღახოსა მოცემითა, აგრეთვე სხუათა სამსახურითაცა, რასაც უბრძანებდით ჩვენ დღემდის.

მეორე, ყარაჩელნი, როდესაც მოიხმარებდენ მამულსა ჩვენსა ლაბგვიარად წოდებულსა, ანუ სხვისა პირუტყვისა საძოვრებად გვაძლევდენ თვინიერ ყოვლისა უარის ყოფისა შესახვედრსა საბაღახოსა...

წარსულსა წელსა მოვიდა რა სვანეთში კაპიტანი კნიაზი შახოვსკოი... მისცა ბრძანება, როგორც ყარაჩელთა, აგრეთვე ბახსანას მცხოვრებლთაცა, რათა დღეის იქით არღარა გვაძლევდენ ჩვენ იგინი მამულისა ჩვენისა შემოსავალსა, რომლითაცა გვისარგებლია და არს ჩვენი სამკვიდრო, და მამულიცა იგი დასწერა მათზედ საკუთრობისა თვისა, ვითამცა იყოს მათი, მაშინ როდესაც ბახსანისა მცხოვრებნი არიან ჩვენგან დასახლებული და იქ მსახობელნი ჩვენნი გლეხნი დღეს ცხოვრობენ ლეშტერსა და ლაშხრაშსა, რომელნი ყოველმან მეკომურმან იციან თავ-თავისი ნამისახლარნი, სახლნი და საკუთარი მამულნი სოფელსა ბახსანასა...“ (სვანეთის (ჩუბეხევის თემის) მთავარი ქალის დიგორხან გარდაფხადის წერილი ბარონ როზენს, 1835 წ. წიგნიდან, ეგნატე გაბლიანი, ძველი და ახალი სვანეთი, 2010, გვ. 310).

წერილიდან ჩანს, რომ აღმოსავლეთით, სვანეთის ძველი საზღვარი გადიოდა ამჟამინდელ ყაბარდო-ბალყარეთში. აქ საზღვარში შემოდიოდა და სვანეთს ეკუთვნოდა ამ საბუთში ნახსენები პუნქტები – ჩეგემი, თეგენიკის მთა, ნაქამუკვარი, ბახსანი და ზანგისი.

დასავლეთით სვანეთის საზღვარი გადიოდა ამჟამინდელ ყარაჩაი-ჩერქეზეთში პუნქტ „ლაბგვიართან“, ახლა მას ეწოდება ულუ კამის ხეობა ყუბანზე (ყარაჩაიში).

მკვლევარი ე. გაბლიანი წერს – „ჩეგემი მულახის საზოგადოებას უხსოვარ დროიდან აძლევდა ყოველწლიურად 12



ვერძს სვიმერის საბალახო ადგილების ბაჟად, რომლის მიცემაზედ 1858 წ. მან უარი განაცხადა, ამიტომ მულახი დაეცა ჩეგემის მთებს და წაართვა აუარებელი ჯოგები“ (ეგნატე გაბლიანი, ძველი და ახალი სვანეთი, 2010, გვ. 315).

მთავრინას აღნიშნული ცნობით, ჩეგემის მიწა-წყალი და, შესაბამისად, საბალახო ადგილები არა მხოლოდ 1834 წლამდე ეკუთვნოდათ სვანებს, არამედ შემდეგ ათწლეულებშიც, ამიტომაც 1858 წელს სვანებმა მოითხოვეს ამ ადგილებიდან კუთვნილი „საბალახო“, ანუ გადასახადი ამ მიწებით სარგებლობისათვის ჩეგემში ციოყ დადემშქელიანის დროს გამოჩენილან უცხო ტომელი მოიჯარეები საძოვრებისა, სვანებმა მათ ნება მისცეს, რათა ესარგებლათ ცხვარძროხის საბალახო ადგილებით, სანაცვლოდ კი მოთხოვეს იჯარა, რომელსაც იღებდნენ 1858 წლამდე, შემდეგ კი რუსებმა ჩეგემი უსამართლოდ დაუკანონეს ყოფილ მოიჯარეებს და წაართვეს სვანებს.

კიდევ უფრო ადრე – მე-16-მე-17 სს-ში სვანები კიდევ უფრო ჩრდილოეთითაც ცხოვრობდნენ. მათი ბედი ტრაგიკული გახდა თემურ-ლენგის შემდგომ საუკუნეებში, მათი მიწები უცხოტომელებმა დაიკავეს დიდი ბრძოლების შემდეგ, ადგილზე დარჩენილი სვანები კი ასიმილირდნენ შემოსულებში და გამაჰმადიანდნენ. მათგან ზოგიერთ საგვარეულოს ამჟამადაც კი ახსოვს თავისი სვანური იდენტობა.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ჩრდილოკავკასიის (ყაბარდოს მხარეს, განსაკუთრებით ბალყარეთის მხარეს) მკვიდრი მოსახლე სვანები გამაჰმადიანდნენ და დაკარგეს იდენტობა იმით, რომ მოხდა მათი ასიმილირება ახლად მოსულ მუსლიმანურ მოსახლეობაში.

ისევე, როგორც საქართველოს კუთხეები – მესხეთი, ლაზეთი, ჰერეთი და სხვა გამუსლიმანდა, ასევე გამუსულმანდნენ ჩრდილოკავკასიის მკვიდრი სვანები.

იგივე ბედი ეწია ჩრდილოეთ კავკასიის უფრო აღმოსავლეთით მცხოვრებ ქართველებსაც. კერძოდ, გამუსლიმანდა ასევე ხევსურების მნიშვნელოვანი ნაწილი ისინი ჩეჩნებისა და ინგუშების ეთნოჯგუფს შეერწყნენ, გამუსლიმანებული

სვანები უფრო მეტად ბალყარელთა ეთნოჯგუფს შეუერთდნენ.

ხევსურები გამუსლიმანების შემდეგ ქისტებად იწოდნენ, ენათმეცნიერმა ჭუმბურიძემ გაარკვია, რომ სიტყვა ქისტი სიტყვა ქრისტიანისაგანაა ნაწარმოები, ანუ ქისტებს უწოდებდნენ ჩრდილოეთ კავკასიის ქრისტიან მოსახლეობას ყოფილი ხაზარეთის, ასევე დაღესტნის მიმართულებით.

როლანდ თოფჩიშვილის კვლევით, ბალყარელების დიდი ნაწილი სვანურად საუბრობდა, აქ ბილინგვიზმი იყო გავრცელებული. აქაურმა სვანური წარმოშობის გამაჰმადიანებულმა მოსახლეობამ გარკვეულ ეტაპზე იცოდა სვანური.

წყაროებში აღნიშნულია, რომ ბალყარეთის ზოგიერთ მხარეში ორ ენაზე, თურქულ და სონურ ენებზე ლაპარაკობდნენ.

„სონურ“ ენაში რუსი ავტორები ოსურ ენას გულისხმობენ. სონური ენა – სვანური ენაა. ისტორიულად დადასტურებულია, რომ დღევანდელი ბალყარეთის ტერიტორიის გარკვეულ მონაკვეთში, ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, სვანები ცხოვრობდნენ.

მაგალითად, კლაპროტი აღწერდა რა ბალყარეთის საზოგადოებებს, აღნიშნავდა, რომ სოფელი ხულამი დასახლებულია სვანური გვარებით, რომლებიც ჯერ კიდევ იმერულად იმოსებიან და თავის თავს სვანებს უწოდებენ. სვანური გვარების მატარებელნი მკვიდრობენ არა მარტო აქ (ე.ი. ხულამში), არამედ გაფანტული არიან მეზობელ კაშკატაუში და ქვემდებარებიან ყაბარდოელებს. ბალყარეთში, კაშკატოის მწვერვალებთანაც სვანები ცხოვრობდნენ. ისინი დროთა განმავლობაში ასიმილირებული იქნენ ბალყარელების მიერ.

ბალყარეთში არის გვარი შვანლარი (ყარაჩაიში – ებზელერ), რაც პირდაპირ მათ სვანურ წარმომავლობაზე მიუთითებს. არაერთ სხვა ბალყარულ გვარსაც აქვს გადმოცემა სვანური წარმომავლობის შესახებ (მაგალითად, აბეგევი და ედებოლოვები). ცნობილია, რომ ბალყარელი შახმურხაევების გვარი გუჯუჯიანების გვარიდან მომდინარეობს. დადასტურებულია აგრეთვე რაჭველთა მიგრაციის ფაქტები.



თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ასეი ურთიერთობანი ცალმხრივი არ იყო. გვაქვს შემთხვევები სავიართა (ბალყარელთა) სვანეთში მიგრაციისა. ჩერეკის საზოგადოებაში (ხეობაში) ესენი იყვნენ: აბაევეები, აიდუბულოვეები, ჯანხოტოვეები (მდრ. ქართული გვარი სვანეთში: ჯანხოთელი), მისაკოვეები; ჩეგემის ხეობაში – ბალყარუკოვეები, კელემენტოვეები; ხოლამის ხეობაში – შაკმანოვეები; ბიზინგის ხეობაში – სუნშევეები; ბაქსანში – ურუსბიევეები.

ითვლება, რომ ბალყარელების ფუძემდებელი მისაკი გადმოსახლება მდე ცხოვრობდა სადღაც ყუმუხეთის ველებში. სხვა გადმოცემით კი, ბალყარელების წინაპრები მალყარი და მისაკი ბალყარეთში მოვიდნენ რომელიღაც ადგილიდან, რომელსაც ბორაგანი ერქვა. აღსანიშნავია, რომ ბორაგანი ყუმუხურ-ხაზარული ტომების სახელწოდება იყო, რომლებსაც VII ს-ში ჩრდილოეთ კავკასიის სტეპები და მთისწინეთი ეკავათ კისლოვოდსკიდან დერბენტამდე.

ოქროს ურდოს პერიოდში არსებობდა ბორაგან-მაჯარის ადმინისტრაციული ოლქი. ყარაჩაულ-ბალყარულ ფოლკლორში ნართაულად ნათქვამია, რომ ოდესღაც ქალაქი ბორაგანი, რომელიც თითქოს სახანოს დედაქალაქი იყო, ჩრდილოეთ კავკასიისა და შავი ზღვისპირეთის არეალში თავის შემადგენლობაში ყუმუხებს, არაჩაელებს, ბალყარელებსა და სხვა თურქულ ტომებს აერთიანებდა.

ყარაჩაელთა გადმოცემით, ისინი თავიანთ აღმნიშვნელ ეთნონიმს უკავშირებენ წინაპარს, წინამძღოლ ყარჩას, რომელმაც თავისი ხალხი ყირიმიდან თუ ოქროს ურდოდან გამოიყვანა და ჯერ ბაქსანში, შემდეგ კი – ზემო ყუბანში დაასახლა. ყარჩას სამი მეგობარი თუ ძმა ჰყოლია: აბდურაჰაი, ბუდიანი და ნაურუხი. შემდგომში მათ ორი ძმა ხუბი და ხუბდი შეერთებიან. თუმცა ეს უკანასკნელი მალე აფხაზეთში გადასახლებულა.

გადმოცემაშიც კი აირეკლა მომთაბარეთა მარშრუტი – მოვიდნენ ჩრდილოეთიდან და გადასახლდნენ აფხაზეთში.

ყარაჩაის 13 თავადურ გვარს შორის ყურადღებას იქცევს ორი გვარი: კრიმშო-

ხალი და ყუმუხი. პირველ მათგანს ლ. ლაგროვი ყირიმელ შამხალებს უკავშირებდა, მეორე გვარი კი პირდაპირ მიუთითებს მათ ყუმუხურ წარმომავლობაზე.

ყარაჩაელები დამოკიდებულნი იყვნენ დიდ ყაბარდოზე, ჰქონდათ მათი ანალოგიური სოციალური სტრუქტურა და მსგავსი კულტურულ-ყოფითი წესჩვეულებები.

ყარაჩაელებისა და ბალყარელების გადმოცემები ადასტურებენ, რომ მათი წინაპრები გადმოსახლდნენ აზოვ-დონისა და ვოლგის შუამდინარეთიდან (ჩერქეზებთან ერთად) და დასახლდნენ კავკასიელთა ისტორიულ მიწებზე, ქართველები კი მათში ასიმილირდნენ, თუმცა ამ მხარეებში მცხოვრებმა მრავალმა მუსლიმანურმა ოჯახმა იცის თავისი ქართული (სვანური, დვალური, ხევსურული და სხვა, საერთოდ ქართული) წარმომავლობა.

იქაური ვანო ხვიბლიანი თავის პირად ინფორმაციაში, რომელიც მე გადმომცა, წერს – ჩრდილოკავკასიის სვანებს, დვალებს თუ ხევსურებს გეოგრაფიული დაშორებებისა და დაბრკოლებების გამო უჭირდათ საქართველოს ცენტრთან ურთიერთობა, მაგრამ მათთვის ადვილი იყო ჩრდილოეთ კავკასიის სხვა უბნებთან დაკავშირება. სამხრეთიდან არსებობდა გადასასვლელი გზა-ბილიკები – ქლუხორი და დალარი კოდორის ხეობაში, დონღუზ ორუნი, ქვიში, ტვიბერი, ზესხო – ზემო სვანეთში, დვალეთი და ხევსურეთი უშუალოდ ჩრდილოეთ კავკასიაში არსებობდნენ, ამის გამო სისტემატურად ხდებოდა მიმოსვლა ჩრდილოეთ კავკასიის მიმართულებით, ისტორიულად ჩრდილოეთ კავკასიაში დაფიქსირებულია ქართული ეკლესიები, საგვარეულო სასაფლაოები, – წერს ვანო ხვიბლიანი, რომელიც მსახურობდა სასაზღვრო ძალებში და იცნობდა ამ მხარეებს. ის წერს – „დღემდე ცხოვრობენ ბალყარეთში და ყარაჩაი-ჩერქეზეთში ქართული (სვანური) გვარის მატარებელი ხალხი, მაგალითად, ქალდანები ქალდანოვებად იწოდებიან, ქურდიანები – ქურდანოვებად, გუჯეჯიანები – ათმურზაეებად, ჯაჭუ-



ლიანები – ჯოჭაევებად, ვეზდენი – ვეზდენად და მრავალი სხვა.

„ბალყარები, კავკასიის სხვა ხალხებთან შედარებით, თავს თვლიან ქართველების ყველაზე მონათესავედ და ახლო მდგომად“, – წერს ვანო ხვიბლიანი. ის განაგრძობს – „ჩრდილო კავკასიაში ალპინისტური ბანაკები – უშგულანი, ჩეგემი, ბაქსანი და სხვა, ძირითადად, წარმოშობით ქართველი მეკლდეურ-ინსტრუქტორებით იყო დაკომპლექტებული. აქ მუშაობდნენ ქალღანოვები, ქურღანოვები, ათმურზაევი, ჯოჭაევი და სხვა). უშგულანი უშგულის ტოპონიმი, რაც შეეხება ჩეგემს, გადმოცემის თანახმად, ეს ჩეგი ანების გვარის საკუთრება უნდა ყოფილიყო“ – მომწერა მან 30.01.2015 წ.

თავისუფალი სვანეთის მტერი ცნობილი ისლამ დადემქელიანი ჩეგიანებს (რუჩეგიანებს) დაუმარცხებიათ. ისლამი ყაბარდოში გადასულა და ჩერქეზების ჯარით სვანეთში გადმოსულა (იხ. წიგნი, „სვანეთის ისტორიის ფურცლები“, 2011, გვ. 34). რუჩეგიანებისა ყოფილა დღევანდელი ბალყარეთის ისტორიული ქართული ტერიტორია, ამ გვარის განაყოფი ყოფილა გუჯეჯიანები (იქვე, გვ. 38). ჩეგიანებისაგან უნდა იყოს წარმოქმნილი გვარი-ჩიქოვანი.

თორნიკე დიასამიძე (ქართული კვალი ჩერქეზეთში, ქართული წყაროთმცოდნეობა, 2013 / 2014, ტ. XV-XVI, გვ. 59-64 59) წერს –

„ადილეების შესახებ ცნობებს ვპოულობთ გიულდენშტედტის მოგზაურობის ჩანაწერებში. მისი მოგზაურობის დროს კავკასიის მოსახლეობაში, სახელდობრ, ადილეური მოდგმის ხალხებში, არამდგრადი ხასიათის რელიგიური რწმენა-წარმოდგენები ფიქსირდება. მისი დაკვირვებით, კავკასიის ყველა სხვა ხალხებთან ერთად, ადილელები აღიარებდნენ ქრისტიანულ რელიგიას, რომელიც იქ საქართველოდან შედიოდა, მის დროს კი მხოლოდ ამ რელიგიის ნაშთები იყო შემორჩენილი. მისი დაკვირვებით, იმ დროს თავადები და აზნაურები აღიარებდნენ ისლამს, რიგითი ხალხი კი ყოველგვარი რელიგიის გარეშე ცხოვრობდა (გელაშვილი, 1964, 171). ჩრდილოეთ კავკასიაში

ქართული ქრისტიანული კულტურის არაერთი ძეგლია დაფიქსირებული, ხოლო ჩერქეზეთში მათი რაოდენობა განსაკუთრებით შთამბეჭდავია, ვინაიდან ქართველები ამ მხარეში გვიან პერიოდამდე, XVIII საუკუნის მიწურულსა და XIX საუკუნის დასაწყისამდე ცხოვრობდნენ. სვანეთის სამთავრო და სვანეთის ცალკეული ე.წ. თავისუფალი თემები XIX საუკუნის 30-40-იან წლებამდე ინარჩუნებდნენ გარკვეულ გავლენას ყარაჩაისა და ბალყარეთის მთიანეთზე (გუჯეჯიანი, 2007, 45). საისტორიო გამოკვლევებით დადასტურებულია, რომ ქართველები კავკასიონის ქედს გადაღმა და დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე უძველესი დროიდან ცხოვრობდნენ. წლების განმავლობაში ამ საკითხთან დაკავშირებით დაგროვილი მასალა გვარწმუნებს, რომ სვანების ჩრდილოეთ კავკასიაში განსახლება დასტურდება უამრავი ფაქტით (მიბზუანი, 63). ქართული ეთნიკური ელემენტის და ქრისტიანული კულტურის ძველთაგანვე არსებობა ბალყარეთსა და ჩერქეზეთში დასტურდება წერილობითი წყაროებით, ტოპონიმიკით, მატერიალური კულტურის ძეგლებით, ფოლკლორით, საგვარეულო ისტორიებით, რომლებშიც დაფიქსირებულია გადმოცემები ამა თუ იმ გვარის ქართული წარმომავლობის შესახებ. ქართული ქრისტიანული კულტურის კვალი ჩერქეზეთსა და ბალყარეთში დღესაც არსებობს. 1743 წლის ცნობით, ჩეგემის ერთ ხეობაში „სონის 300 ოჯახი ცხოვრობს, მათ აქვთ ორი ქრისტიანული ეკლესია, ეკლესიაზე გამოსახულია ჯვრები, „სონები დიდმარხვის შემდეგ თავს იყრიან ეკლესიებში, ზოგჯერ ხარსაც კლავენ, ხორცს ხარშავენ და ინაწილებენ, მათ გააჩნიათ საეკლესიო წიგნები, რომელთაც თვალისჩინივით უფროხილდებიან“ (გუჯეჯიანი, 2007: 47-48). ჩერქეზეთის ტერიტორიაზე არსებული მატერიალური კულტურის ძეგლებიდან აღსანიშნავია მდინარე ყუბანის სათავეებში მდებარე ქრისტიანული მონასტრები, რომლებიც დათარიღებულია X-XI საუკუნეებით. ერთ მათგანს ეწოდება სენტი (ქვედა თებერდაში) – ამ სოფლის ადრინდელი სახელი, მეორეს – შუანა, რომელიც აშენებულია ამავე სახე-



ღწოდების მთაზე. სენტი ქართულ სვეტს, ანუ სვეტიცხოველს უკავშირდება. ამ სახელწოდების მონასტერი შუაგულ სვანეთშიც დგას, მესტიაში – სეტის წმინდა გიორგის მონასტერი. ეს მონასტერი სვანეთის საერისთავოს სასულიერო ცენტრი იყო მთელი შუასაუკუნეების განმავლობაში და იქვე მოღვაწეობდნენ ქორეპისკოპოსი სეტელები (გუჯაჯიანი, 2007, 51). სენტის ეკლესიისგან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით მთა შოანაზე მდებარეობს ამავე სახელწოდების ეკლესია. ტაძრის აგების თარიღად სხვადასხვა ავტორები ასახელებენ მეათე საუკუნეს, ტერიტორია, სადაც მდებარეობს ეკლესია და მისი მიმდებარე მხარეები, ოდითგანვე დასახლებული იყო ქართველებით, კერძოდ, კი სვანებით. მდინარე ყუბანის, კერძოდ, ყარაჩაის მხრით – ლაბგვიარი – ახლანდელი ულუ კამის ხეობა და ყაბარდოს მხრით – თეგენი, XIX საუკუნის პირველ ნახევრამდე – 1834 წლამდე – სვანეთის საკუთრებას წარმოადგენდა, რისთვისაც სვანები იღებდნენ სათანადო გადასახადს იქ დასახლებული ყაბარდობალებსაგან. 1834 წელს ეს ტერიტორია სვანეთმა დაკარგა, ცხადია, ეს იყო საქართველოს დანაკარგი ტერიტორია ჩრდილოეთ კავკასიაში, ხოლო საზღვრად კი დარჩა კავკასიონის ქედი (გელოვანი, 2003, გვ. 42). საინტერესოა აგრეთვე თვით მთის სახელწოდება შოანა, რომელიც უნდა მომდინარეობდეს სიტყვა „შუან“-დან რომელიც სვანეთის თვითსახელწოდებაა, ხოლო „მუშვან? კი – სვანის (გელოვანი, 2003, გვ. 33). როგორც აღვნიშნეთ, ტაძარი აგებული უნდა იყოს მეათე საუკუნეში, ამ პერიოდში კი კავკასიაში ჰეგემონიისთვის ბრძოლას იწყებს საქართველოს სხვადასხვა სამეფო-სამთავროები, ერთ-ერთი გამორჩეული კი არის ეგრის-აფხაზეთის ქართული სამეფო. ტაძრის მარჯვენა მხარეს გამოსახულია ჯვარი. ჯვრის ორივე მხარეს გამოსახულია წარწერა, რომელშიც, სავარაუდოდ, მოხსენიებულია „მონა ღვთისა ღვთისა“? ტაძრის აგების თარიღს ემთხვევა ეგრის-აფხაზეთის მეფის, გიორგი II-ის ვაჟის ლეონ მესამის მოღვაწეობა 957-

967 წლებში. ცნობილია, რომ ლეონ III-ის მეფობისას დასავლეთ საქართველოში მიმდინარეობდა დიდი სააღმშენებლო სამუშაოები. ამ დროს აშენდა მოქვის და კუმურდოს ტაძრები. შესაძლებელია, სწორედ ლეონ III-ის აქტიურობით აიგო შუანას ტაძარი და ტაძრის შიგნით გამოსახული წარწერა მიგვითითებს ლეონ III-ის შესახებ. თ. მიბჩუანი აღნიშნავს, რომ შუანას ეკლესია, შესაძლოა, იგივე ქართული „ხარა-ხოტო“? იყოს, რომელსაც ვახუშტი ბატონიშვილი იხსენიებს, როგორც დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ ეპარქიას (მიბჩუანი, 65). ხელოვნებათმცოდნეები აღნიშნავენ შუანას ჯვარგუმბათოვანი ტაძრის იგივეობას „აფხაზური ჯგუფის? ეკლესიებთან სოფლებში ლოო, ბზიფი, მოქვი. შუანას შესახებ წერს გერმანელი ექიმი და მოგზაური რეინეგსი, რომელმაც, როგორც ჩანს, პირადად მოინახულა ეკლესია, საიდანაც წაიღო ორი წიგნი. სავარაუდოდ, შოანას ეკლესიაში უნდა ყოფილიყო წიგნთსაცავი, მაგრამ, სამწუხაროდ, ამჟამად ყველა ეს წიგნი დაკარგულია, გარდა ამ ორი წიგნისა რომელიც რეინეგსმა წაიღო გერმანიაში, წიგნები უნდა იყოს ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში“. თ. დიასამიძე. ქართული წყაროთმცოდნეობა, 2013 / 2014, ტ. XV-XVI, გვ. 59-64 63.

XVII-XVIII საუკუნეებში თურქულენოვან ტომთა მოძალებისაგან შევიწროებული ქართული სოფლები თანდათან იცლებოდა ქართული ეთნოსისაგან. მათი ნაწილი სახლდება სვანეთში, ნაწილიც ასიმილირდება ბალყარებთან და ჩერქეზებთან.

ქრისტიანული ეკლესია მდგარა ზემო ჩეგემშიც, სავარაუდოდ, ღვთისმშობლის სახელობისა, ამას გვაფიქრებინებს ტოპონიმი „ბაირგმ“?, რაც წმინდა მარიამს გულისხმობს.

საქართველო-ჩერქეზეთის კულტურულ-რელიგიურ ურთიერთობას ასახავს ჩერქეზეთისა და ბალყარეთის ტერიტორიაზე გამოვლენილი ფოლკლორი და ტოპონიმიკა, ისევე როგორც დანარჩენ ისტორიულ საქართველოში, იქაც ინახავენ ხსოვნას საქართველოს დიდი მეფის წმიდა თამარის შესახებ. ადგილობრივი გადმო-



ცემით, თამარ მეფე ხშირად იმყოფებოდა ამ მხარეში. ხუმარაში, ყუბანის ხეობაში შემონახულია ტოპონიმი თამარის მთა.

ჩრდილოეთის კლდეში გამოჭრილია ეკესი, ხოლო აღმოსავლეთის მხარეს – ოცდაათი სენაკი. ხუმარას მომიჯნავე მთის კალთებზე სამი მეტრის სიმაღლის ჯვარია აღმართული, მას თამარის ჯვარს უწოდებენ. იქვე ყოფილა ქრისტიანული სასაფლაო, მსგავსი ჯვრები მრავლად ყოფილა აქ, ზოგ ჯვარზე წარწერაც ყოფილა ამოკვეთილი.

ხუმარაში დაფიქსირებულია უზარმაზარი ოთხკუთხა ლოდი, ე.წ. თამარის ქვა (გუჯეჯიანი, 50-51). გადმოცემით ამ ქვიდან მიმართავდა თამარ მეფე ჯარს, იქვე აბამდა თავის ცხენსაც, რომლის ანაბეჭდებდაც მიიჩნევენ ლოდის აღმოსავლეთ კედელზე არსებულ ჩაღრმავებებს.

ბაღყარეთსა და ჩერქეზეთში შემონახულია ქრისტიანული სასაფლაოები ხუმარაში, ჟაბოლარში – ციხე-კოშკების კომპლექსი დადგმულიანთა ერთ შტოს „ოთარალარ“-ს უკავშირდება (გუჯეჯიანი, 53).

ჯვრების გამოსახულებები გარდა სასაფლაოებისა ამოკვეთილია კოშკებსა და ციხეებზეც. განსაკუთრებით ბევრი ქრისტიანული სამარხი გამოვლენილია ყარაჩაიში, ყუბანის სათავეებში. იქ აღმოჩენილია ადრეული შუა საუკუნეების, X-XIII საუკუნეების, ქრისტიანული სამარხები, ქვაჯვრები და ა.შ.

ზურაბ რატიანს თავის წიგნში „წყაროთა ღაღადი, ანუ პირიქითა საქართველო“, მოჰყავს ლეონტი მროველის ცნობა „ქართლის ცხოვრებიდან“, რომ ქართველთა ერთ-ერთი ეთნარქის ეგროსის წილხვედრი ქვეყანა ჩრდილოეთ კავკასიაში იწყებოდა მდ. ყუბანიდან.

„ქართლის ცხოვრების“ გარდა ზ. რატიანი იმოწმებს სხვა წყაროებს, მაგალითად, მე-16 საუკუნის ძეგლს – „ბიჭვინთის იადგარს“, რომელშიც ნათქვამია, რომ ბიჭვინთის კათალიკოსის სამწყსო მდებარეობს – „ლიხსა და კაფას შუა, და რუსეთის სამზღვარსა და ჭანეთს შუა“.

ზ. რატიანი ასკვნის –

„ლეონტის მროველის თანახმად, ოსები, ყარაჩაელ-ბაღყარელები და ჩერ-

ქეზული მოდგმის ხალხები (ადიდე-ყაბარდო-აბაზა-აფსუები) არ არის ჩრდილოეთ კავკასიის მკვიდრი მოსახლეობა. უძველეს დროში ეს ხალხები მხოლოდ მომთაბარეობდნენ ვოლგა-დონის შუამდინარეთში, რაც ლეონტიმ კარგად იცის“.

ზ. რატიანს მოჰყავს ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში უცხოელთა მიერ დაფიქსირებული მრავალი ტოპონიმი, რომლებიც ქართულ-ქართველურ ენის წრეს განეკუთვნება. მაგალითად, ქალაქის სახელი გელენჯიკი მეგრულად არის „გარე ჯიხა“ – გარე ციხე. ანაპასთან რამდენიმე ტოპონიმი – „ჯემეტე“ (ჯიმიტი (მარილის ადგილი – „მარილეთი“ – ტოპონიმი მარილის მოპოვებელ ლიმანთან), სონხთხ – სვანების ქედი, ამავე არეალზეა ტოპონიმები – „გეჯეური“, „კაცხური“, „გალენჯიხა“, „ჯიმიტი“, ყუბანის ხეობაშია მდ. „ქურჯიფსი“ – ქართველთა წყალი (ქურჯ-ქართველთა), მისი ვარიანტია-ქურჯიფსევე ქ. კრასნოდარის მახლობლადაა ტოპონიმები – „ქურჯ ნიბ“ და „ქურჯ ჩეი“. „ქურჯ ნიბ“ – ქართველის დაბლობი, „ქურჯ ჩეი“ – ქართველის ველი. მდ. ლაბას ქვემო წელზეა ტოპონიმი „სონე იმეზ“, ანუ სვანების ტყე. მდ ქურჯიფსის სათავეებთან არის ადგილი, რომელსაც ეწოდება „მერეთენე კუშხახუ“, ანუ იმერლების საძოვარი. აქვეა ოთხი დოღმენი სახელით – მერეთუყვა, ანუ იმერლიშვილებისა. აქ მკვლევრს პირადად უხილავს ქართველი კოლმეურნეები.

ზ. რატიანი ასკვნის, რომ ისინი იყვნენ არა იქ ჩასახლებული ქართველები, არამედ იქაური მკვიდრი ძირძველი ქართველები.

ამ არეალში, ყუბანის ხეობაში დასტურდება ტოპონიმები, რომელთა ფუძეა „ჯორ“ – ჯვარი. – ადიღეურში ნასესხები ქართული სიტყვა „ჯვარი“. იქაა ტოპონიმები – „ჯორე ჩიგ“, „ჯორე კოთხირ“, „ჯორეყოფს“.

გავრცელებული იყო რიტუალური სიმღერები „ჯორ“ – ჯვრის ხშირი ხსენებით. დიდი ზომის ხის ჯვარს მიადგამდნენ მაღალ ხეს და მის წინ ლოცულობდნენ, ლოცვაში ურთავდნენ სიტყვა „ჯორ“-ს.



აულ აგიუს (კუიბიშეგკა) შემოგ-
არენშია ტოპონიმი „ჯორეკოთხირ“. ქარ-
თული წარმოშობისაა მდ. ბელას სახელი,
ასევე მდ. ლაბალაფიანს, ანუ მღვრიეს
უნდა ნიშნავდეს.

ზ. რატციანის კვლევით, იგივე ითქმის
ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები მეგრე-
ლების შესახებაც, ისინი ჩრდილოეთ
კავკასიაში ცხოვრობდნენ უმეტესად შავი
ზღვისპირზე ვიდრე მდინარე ყუბანის
შესართავამდე. ამიტომაც წერს ლეონტი
მროველი, რომ ქართველთა ერთ-ერთი
ეთნარქის „ეგროსის“ წილი ქვეყანა
განვრცობილი იყო იქამდე, სადაც ზღვის
პირას ერთმანეთს უახლოვდებიან მდ.
ყუბანი და კავკასიის ქედის „წვერი“. „ხო-
ლო ეგროსს მისცა ქვეყანა ზღვის ყურისა
და უჩინა საზღვარი...ჩრდილოთ მდინარე
მცირისა ხაზარეთისა, სადა წარსწუთების
წვერი კავკასისა...“, ლეონტის თანახმად,
მდინარე ყუბანის მარცხენა ნაპირის ქვე-
ყანა, მისი მიმდგომი შავი ზღვის სანაპი-
როთი, ტამანის ნახევარკუნძულამდე,
უძველესი დროიდან ქართველთა ისეთივე
დედასამშობლო – საცხოვრისი ყოფილა,
როგორც ვთქვით კახეთი, მესხეთი და
ქართლი, ანუ ეს გახლდათ პირიქითა
საქართველო“ – წერს ზ. რატციანი წიგნში
– „წყაროთა დადადი, ანუ პირიქითა სა-
ქართველო“, მისი კვლევით, ამ ტერიტო-
რიაზე – ყუბანის ხეობასა და ზღვისპი-
რეთში ჩერქეზული ტომები თემურ-ლე-
ნგის შემდგომ შემოვიდნენ აზოვისპირე-
თიდან და ქართველთა ადგილი დაიჭირეს.
ზ.რატციანის აზრით, საერთოდ,
ჩრდილოკავკასიის მკვიდრი მოსახლეობა
გახლდათ ქართველები –

„ვაინახები (ჩეჩენ-ინგუშები) და და-
ღესტნელები, არც ადიღელები, არც ოსე-
ბი და საერთოდ არავითარი სხვა ჯურის
ხალხი იქ ლეონტის არ ეგულება პირველ
მკვიდრ მოსახლედ“, – წერს ზ. რატციანი.

იმავს წერდა საუკუნით ადრე დიდი
რუსი მკვლევარი, კავკასიისმცოდნე მილერი.



სვანური მურყვამის ქვა ზელენჯუკთან,
სადაც ადგილობრივი ქრისტიანი სვანები
ადასრულებდნენ სარიტუალო ცერე-
მონიებს (შეჯიბრებითი ცეკვები, კოშკობა,
მურყვამობა).

ამჟამადაც კი ჩრდილოკავკასიის
სვანური წარმოშობის მოსახლეობის შე-
სახებ ერთმანეთს საინტერნეტო ფორუმ-
ზეც კი ატყობინებენ უბრალო ადამიანები,
მაგალითად [https://forum.ge/?-
showtopic=33684627&st=60&#entry46680136](https://forum.ge/?-showtopic=33684627&st=60&#entry46680136)

წერს – „ტერსკოლი სავსეა ქურ-
დიანებით და მარგიანებით, თუმცა უმე-
ტესობა ქურდიევ-მარგიევებად იწერებიან,
ქართული უმეტესობამ არ იცის, მაგრამ
სვანურად სხლავენ“, ყარაჩაელების ერთი
ნაწილი გამუსლიმანებული რაჭველები და
სვანებია, რაჭველებიდან, მაგალითად,
რეხვაელები-რეხვიაშვილები არიან, ჩრდი-
ლოეთ კავკასიის ნაწილი რაჭასაც ეკუთ-
ვნოდა, დოსტობა და ნათესაობა დიდხანს
იყო ამ გვარებში. მაგალითად, ლებ-ჭიორას
რეხვიაშვილებსა და რეხვაეებს შორის.



ხალხური პოეზია სვანების ჩრდილოეთ კავკასიაში ცხოვრების შესახებ

ქართული ხალხური პოეზიის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწილია სვანური პოეზია.

სვანური ლექსები და გადმოცემები ჩაწერილია ძირითადად XIX-XX სს-ში და მრავალჯერ გამოიცა.

აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველა სვანური ლექსი ასახავს ჩრდილოკავკასიაში მიმდინარე ბრძოლების ამბავს. ჩრდილოკავკასიელი მუსლიმანური ტომები სავიარები (სავეები), ბასიანელები და სხვანი ჩრდილოეთ კავკასიის ოლქებში ებრძვიან ქრისტიან სვანებს (ჩეგემში და სხვა მხარეებში).

ჩრდილოკავკასიელი სვანები ამ პოეზიაში გმირულად იცავენ თავიანთ მიწა-წყალს, მაგრამ საბოლოოდ იძულებულები არიან მიიმე დაწაკლისით დატოვონ თავიანთი საცხოვრისი ბაქსანში (ბაქსანი), ჩეგემში და სხვა ადგილებში ჩრდილოეთ კავკასიისა, სადაც მათ საცხოვრისს სხვები, არაქრისტიანები, იჭერენ.

მელექსეთა თქმით, იქედან, ჩრდილოეთ კავკასიიდან, მე-17-მე-18 სს-ში აყრილი ღტოლვილი სვანები თავს აფარებენ უფრო სამხრეთით თავიანთ თანამოძმეებს პირაქეთა საქართველოში (მესტიის სვანეთში).

სვანურ პოეზიაში ასახულია მოსახლეობის ეთნიკური ცვლილება, რაც გამოიწვია ჩრდილოეთ კავკასიაში თემურ-ლენგის ლაშქრობამ და მის შედეგად ჩერქეზული და თურქული წარმოშობის ტომების გამოჩენამ და გაბატონებამ.

როგორც აღვნიშნეთ, ამ პოეზიაში ხშირად არის ნახსენები: ჩეგემი, ბაქსანი, ბასიანი, მისი მიმდებარე მხარეები იაღბუხის გარშემო, რომელნიც ამჟამად მდებარეობს ყარაჩაიში, ბალყარეთსა და ადიღე-ჩერქეზების ოლქებში.

აქედან ღტოლვილი სვანები პოეტური სახეებით იხსენებენ თავიანთ მიტოვებულ სახლებს, თავიანთი მიწა-წყალს, თავიანთი მამულებს, თავიანთი კოშკებსა და ეკლესიებს, ასევე სახნავ-სათიბებს,

რომელიც მტრის ხელში დარჩა, მათ გარდა პოეზია ასახავს ქრისტიანების დატყვევებას, მათ მომზადებას მონებად გასაყიდად, მათ გასაჭირს ამ დროს, ისიცაა ასახული, თუ როგორ ცდილობდნენ მათ განთავისუფლებას და უკან დაბრუნებას, უფლისა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შემწეობას ამ ტყვეთა გათავისუფლების საქმეში.

სვანურ პოეზიაში ასახულია ფაქტი იმისა, რომ მტერი იმ ადგილებში ერთბაშად ვერ დასახლებულა, ბრძოლათა შედეგად, თავდაპირველად, ადგილები ცარიელი დარჩენილა, მტერს უკვე ხელი მიუწვდებოდა მასზე, მაგრამ სვანებიც აკონტროლებდნენ ამ ნეიტრალურ ზონას. ამიტომაც სვანი მეომარი ვაჟაკები თავისუფალი სვანეთის მხრიდან გადადიოდნენ უკან ჩრდილოკავკასიის დაპყრობილ სვანეთში, თავიანთ ადგილ-მამულებში და იბრძოდნენ მის დასაბრუნებლად.

მაგალითად: სვანურ ხალხურ ლექსში, რომელსაც ეწოდება მირანგულა, გმირი, დედისერთა, არ უჯერებს დედას და გაეპარება მას, რათა ჩრდილოკავკასიაში ებრძოლოს სავიარების, ანუ სავების ტომს. ისინი ცხოვრობენ სადღაც, „მაღყარში“, ანუ ბალყარეთში. ამ სამგლოვიარო ლექსში დასახლებულია პუნქტები ჩრდილოკავკასიისა, მაგალითად, მთა მაჩხფარი მომხდურები სავები (სავიარები) არიან.

ლექსში მირანგულას დედა დატირებისას ჰყვება, თუ როგორ წასულა მისი ვაჟი სავების (სავიარების) სამტროდ, როგორ წაართვა მათ საქონელი – 9 ხარი, როგორ გამოეკიდა მას სავიარების მდევარი, მათ შორის სავიარების ქალებიც კი და, როგორც ამ ლექსშია ნათქვამი, ეს ქალები იყვნენ „ყველა უნიფხვო და ყველა ულენაქ“, ანუ თითქმის ველურ მდგომარეობაში მყოფი დამპყრობთა ტომი (ეს ლექსი გვაგონებს აკაკის ლექსს – „ვიყავ რუსეთში, ვნახე ვაკენი, ქალნი უნიფხვო...“, ჩანს, რუსეთის სტეპების მომთაბარეთა ქალები უნიფხვონი იყვნენ, ალბათ ამ ველების მომთაბარე ტომი შესულა სვანეთში).



მირანგულას მოუკლავს მღვდრიდან 9 კაცი, მაგრამ ბოლოს ისიც მოუკლავთ.

ამ ლექსში კარგად ჩანს, თუ როგორ ებრძვიან ქრისტიანი სვანებს არაქრისტიანები და ნათქვამია ასეთი სიტყვები – „საბრალო უშგულის მღვდლები, ისინი სავაჭროთ ბაღყარეთში (მაღყარი) იყვნენ, სადაც ისინი სავიარებს დაუჭერიათ, წვერებს პარსავდნენ ზეზე მღვდლთ, დიდება უშგულის მარიამს – მღვდლები სავიარებს გაქცევიან და მირანგულას გზაზე წაწყდომიან“. იქვე არის ნახსენები სეფისკვერი, ზედაშე და საზიარებელი ღვინო.

ამ ლექსში ჩანს დევნა და ხოცვა-ჟლეტა ქრისტიანი მოსახლეობისა, ასახულია რელიგიური ომი, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიაში დაიწყო თემურ-ლენგმა ქრისტიანების წინააღმდეგ, რომელიც შემდგომშიც გაგრძელდა.

იგივე სურათია დახატული მეორე სვანურ ლექსში, რომელსაც ეწოდება: „მურზაბეგ“.

ამ ლექსში ქრისტიანი სვანები ამბობენ: „ჩვენ საბრალონი, ჩვენ საცოდავნი, შემოგვრტყმან სამკეცად ეს ურჯულო სავები (სავიარები) და სალამს თოფებით გვაძლევენ“.

იქვე ნათქვამია სიტყვები – „სავები (სავიარები) გვლაშქრავენ, ზემოთ კლდეზე იდგა ჯარაშ-დუყვა (სვანი პიროვნება), ქვემოთ ხევში სავები (სავიარები), ბრძოლა ჩვენი სჯობდა, ქრისტეს დალოცვილი ჯარაშ-დუყვა მისი თოფი სწრაფად სცემდა, რვა-ცხრა მოუკლავს“.

ეს ქრისტიანი მეომარი გვარად ყოფიანი ყოფილა. ის ამ ლექსში იბრძვის ჩრდილოკავკასიაში თავის მამულის დასახსნელად.

მოდწეულია ამ ლექსის მეორე ვარიანტი, მასში ნათქვამია, თუ როგორ ემზადება მტერი სვანეთისაკენ სალაშქროდ და ნათქვამია, „სვანეთი აყრაზე მიგიყენებია, ყველა რჩეული ბასიანელები თან გახლდა ამხანაგებად, ებნანიდან გადმოსულხართ“, ბასიანი ერქვა ისტორიულ ოლქს, რომელიც მდებარეობდა თანამედროვე ჩრდილოეთ ოსეთის დასავლეთით, „იქიდან გასული ლაშქარი დაიძ-

რა სვანეთისაკენ“, ამ ლექსში სვანეთი ეწოდება ჩრდილოეთ კავკასიის მიწა-წყალს, მდებარეს იაღლუხის გარშემო.

მსგავსი ლექსი არის სვანური პოეზიის შედევრი დედემ-გურმაჩ, ანუ დედის ვაჟო გურმაჩ.

ლექსში კარგად ჩანს ჩრდილოეთ კავკასიაში სვანების დევნა, კერძოდ, მასში ნათქვამია – საბრალო გურმაჩი ტყვედ აიყვანეს ურწმუნო სავებმა (სავიარებმა), იარაღი ზეზეულად ჩამოგლიჯეს, სადღაც სათიბში მუშაობისას, არ დააცალეს თავისი სათიბის გათიბვა საქონლის გამო-საკეებად.

ასეთივე სურათია დახატული ლექსში „დიდება უშგულის მარიამს (დიდება ლამარია უშგვლაშის). კერძოდ, აქ ნათქვამია, რომ ერთ-ერთ სვანურ მთას, რომელიც საბოლოოდ სავიარებს დარჩა, ერქვა ქრისტეს ქედი, ნათქვამია, თუ როგორ განდევნეს აქედან ქრისტიანები და როგორი საბრალონი იყვნენ ისინი იმჟამად. არ დაინდეს გვარში ერთადერთი გადარჩენილი პირი, რომელსაც ყველა ამოუწყვიტეს, მაგრამ ის მაინც ქრისტეს ქედამდე მივიდა.

სხვა ლექსია „თავბექილა“, მასში ნათქვამია, რომ ჩეგემში ქრისტიანების დამარცხების შემდეგ, შემოსულებმა, უკვე ახალმოსახლეებმა „წარწყმენდილმა, ურჯულო ჩეგემელებმა, დაიჭირეს საბრალო თავბექილა“.

დატყვევების შემდეგ მკვიდრი, ჩეგემელი ქრისტიანი თავბექილა არ გატყდა და უშიშრად უწოდებს მტრებს – „თქვე ურწმუნოებო, თქვე ურჯულონო“, ის ფეხშიშველი წაიყვანეს ჩეგემის მთის სოფელში, ვითარცა ტყვე, რათა გაეყიდათ.

ლექსში ნათქვამია ასეთი სიტყვები – „შეგიყვანეს სოფელში, ქალი და ბავშვი შემოგეხვია, სათითაოდ ყველამ ქვა დაგარტყა, საბრალო თავბექილა, ზურგზე ტყავი აღარ შეგრჩა“.

შემდეგ მონათვაჭრებმა თავბექილა ჩეგემიდან გასაყიდად წაიყვანეს ჩერქეზეთში, შემდეგ ჩენეთში, იქიდან – სხვა მხარეს, ყუბანში მას გამოეცხადა ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი და ისხნა



ტყვეობიდან, ლექსი ასე გრძელდება: „ო, საბრალო თავბუქილა, ქრისტეს დალოცვილი ყუბანის თიბვის დრო, დიდება მაცხოვარ უფალს, მაცხოვარი უფალი კარზე მოგდგომია...“. ლექსში შემდგომ აღწერილია, თუ როგორ შეძლო მან გაპარვა ტყვეობიდან და როგორ გადახტა ის ყუბანის ხიდზე და როგორ მისდევდა მას მღვვარი ქალებთან და ბავშვებთან ერთად, რათა ტყვე უკან დაებრუნებინათ. ეს არის გრძელი ლექსი, სადაც ნახსენებია ქრისტიანების მტერი სავიარები.

სხვა სვანური ლექსი „გიერგ-დაღვან“ ამავე სულისკვეთებითაა დაწერილი. მასში აღწერილია, ჩრდილოეთ კავკასიაში თავის სოფელში მცხოვრები კაცი, როგორ წავიდა სამუშაოდ ყანაში თოხით ხელში, აღწერილია, თუ როგორ დაატყვევეს ის უკვე გაურჯულოებულმა ჩეგემელებმა, აქ ნახსენები არის ბაშის მთა და სხვა.

ამ ლექსში აღწერილია ტანჯვა ქრისტიანებისა. მაგალითად, ნათქვამია ასეთი სიტყვები: „მსხვილი ცრემლები წარმომცვივდა, უგვარო ჩეგემელებო მომასვენეთ“.

სხვა ლექსია „რიჰა“. ლექსი იწყება ასე – „რიჰა, დიდება მარიამს უშუგულინას, შესაწირი გვინდოდა, მაგრამ სავიარების ლაშქარი დაგვესხა, შენთვის შეწირული ხარები ქრისტეს მთაზე მიჰყავთ“. აქაც ნახსენებია მალყარი, ანუ ბალყარეთი, სადაც დატყვევებული ჰყავდათ ქრისტიანი სვანები.

სხვა სვანური ლექსია „ბეჩვი ლაშგარ“, ანუ ბეჩოს ლაშქარი. აქ ნახსენებია უკვე თუ როგორ უდარაჯებენ ბახსანელ სვანებს ჩერქეზები და ნათქვამია – „ბატონი ჩვენი აზნაური ბახსანში ბრძანდებოდა, მასთან მისული სამი კაცი შეხვეწინა ბატონს, უკითხავს ბატონს – რა გაგჭირვებითაა ჩემ კაცებს? სვანები პასუხობენ – როგორ თუ რა გაგჭირვებია, ჩვენი კაცები ტყვედ მიჰყავთ ჩერქეზებს“.

ლექსში აღწერილია ბახსანელი სვანი აზნაური თუ როგორ იბრძვის ჩერქეზების წინააღმდეგ ტყვეთა გასათავისუფლებლად.

სხვა ლექსი, რომელსაც ჰქვია „ციოყი და მისი ლაშქარი“ აღწერს, რომ ჩეგემელები მუსლიმანები არიან, მათზე ირონიულად არის ნათქვამი უკვე დოს შრატს, ამოყვანილი ყველის ნაწრეტს სვამენ.

ლექსში განდიდებულია ვერძისმკერდა ვაჟკაცი სვანები, ისინი ვაჟკაცურად იცავენ ქვეყანას ჩერქეზებისგან, ბოლოს ასე მთავრდება ლექსი „ქრისტეს, მაშ, დაულოცავს ციოყი და მისი ლაშქარი“.

ლექსი არის „თათრიშ ლაშგარ“, მასში აღწერილია, თუ როგორ ესხმის თავს ჩოლერს თათრის ლაშქარი. აქ ნახსენებია მულახის მაცხოვარი, ნათქვამია, როგორ ღუპავს თათრის ლაშქარი გიგო გარდაფხადეს და სხვა.

ლექსში „მეჩიყარა“ ნახსენებია ყაბარდოელები, ჩერქეზები (ქაშაგები), ნათქვამია, თუ როგორ მიაგნეს მათ ჩრდილოკავკასიელ ქრისტიანის საფლავს იმ ნიშნით, რომ თავთან სანთელი ენთო. მათ ქრისტიანი მიცვალებულიც არ დაინდეს, მისი საფლავიც კი გათხარეს და, როგორც ჩანს, შეურაცხყოფა მიაყენეს მიცვალებულს.

მსგავსი სვანური ლექსი არის სხვა მრავალი, მათში კარგად ჩანს, რომ სვანების ერთი ნაწილი ცხოვრობდა ჩრდილოეთ კავკასიაში, მათ, ვითარცა ქრისტიანებს, ებრძვიან მომხდური სავიარები, ქაშაგები, ბახსანელები და სხვები, დაუნდობლად ხოცავენ, გადარჩენილი ქრისტიანი მოსახლეობა ლტოლვილების სახით თავს აფარებს საქართველოს. ჩრდილოეთ კავკასიაში ადგილზე დარჩენილებს ამუსლიმანებენ ან ხოცავენ, ხოლო გადარჩენილებს ატყვევებენ, იმონებენ და ყიდიან.

399

სვანური ხალხური პოეზია საუკეთესო წყაროა სამტიცებლად იმისა, რომ სვანები, სვანური ქრისტიანული მოსახლეობა ცხოვრობდა ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც მათ ჰქონდათ სოფლები, ციხე-კოშკები და ეკლესიები.



**მაჰმადიან სვანთა გვარები
ყაბარდო-ბალყარეთში და
ადიღე-ჩერქეზეთში
თ. მიზნუანის მიხედვით**

„სტრაბონის (ძვ.წ. 64, ახ.წ. 24) ცნობით, სვანები ძლიერი, მრავალრიცხოვანი და ყველაზე ფართო ტერიტორიაზე განსახლებული ხალხი იყო კავკასიაში“ (თ. მიზნუანი, მეგობრობის სათავეებთან. 1986 გვ. 366). სტრაბონის ცნობას სვანების შესახებ ეთანადება მენანდრეს (ახ.წ VI ს.) ცნობა: სვანები „ერთი იმ ტომთაგანია, რომელიც კავკასიის გარშემო ცხოვრობს, ჰყავს მთავარი და ამ ქვეყანაზე სკითები გადიან“ (გეორგიკა, ტომი III, გვ.221). მენანდრე მიუთითებს იმიერკავკასიაში სვანების ცხოვრების შესახებ.

თ. მიზნუანის კვლევით, იმიერკავკასიის მთის ზოლში მდინარე ერგისა და ყუბანის სათავეებს შორის სვანები ანტიკური ხანიდანვე სახლობდნენ ვიდრე თემურ-ლენგისა და იმიერკავკასიის დაბლობში ჩერქეზების გამოჩენამდე (თ. მიზნუანი, მეგობრობის სათავეებთან. 1986, გვ. 360).

როგორც ცნობილია, თემურ-ლენგის შემოსევის შედეგად შეიცვალა იმიერკავკასიის ეთნიკური სახე, კერძოდ, იმიერკავკასიის სტეპებიდან იმიერკავკასიის მთიანეთში ვრცელდებოდა ისლამი და იმიერკავკასიის ბარში გაბატონებული ახალი ხალხი ცდილობდა მთებში შეღწევას.

იმიერკავკასიის მთიანეთის ერთი ნაწილი, როგორც ვთქვით, ეჭირა სვანებს, ხოლო რაც შეეხება იმიერკავკასიის ბარს, აქ გამოჩნდნენ, გაძლიერდნენ და გაბატონდნენ ჩერქეზული ტომები.

თემურ-ლენგის შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიაში ყველაზე დიდი და ყველაზე გაბატონებული ხალხი ჩერქეზები (ყაბარდოელები) იყვნენ. ისინი ბატონობდნენ ჩრდილოეთ კავკასიის დაბლობის ყველა ტომზე, იმორჩილებდნენ მათ ყველა საშუალებით.

ჩერქეზები ასევე ცდილობდნენ დაემორჩილებინათ ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთის მოსახლეობაც, მათ გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს ამ მხრივ, მაგრამ

გაუჭირდათ სვანების დამორჩილება. ამიტომაც ჩერქეზების ერთ-ერთი ცნობილი მთავარი ეძებდა გზებს, რათა მზარდი რუსეთის სამეფო გამოეყენებინა სვანებისა და სხვა მთიელთა ტომებთან ომებისას. ეს სურვილი აღსრულდა რუსეთში ივანე მრისხანის მეფობისას.

რუსეთის ხელმწიფე ივანე მრისხანე დაუმოყვრდა იმუამად ჩრდილოეთ კავკასიაში ძალზე დიდი ხალხის ჩერქეზების ერთ გავლენიან ბელადს, თემირიუკ იდაროვს, მისი ქალიშვილი ცოლად შეერთო. ამით რუსეთის გავლენის სფეროში შევიდა ჩრდილოეთ კავკასია, ჩერქეზების ბელადმა ივანე მრისხანეს სთხოვა დახმარებოდა ჯარით მტრის, „სონების“, წინააღმდეგ, რუსული ჯარი შეიარაღებული იყო იმუამად ყველაზე ახალი იარაღით, ცეცხლსასროლი თოფებით.

ჩერქეზთა ამ ბელადის განცხადებით, ის ებრძოდა სონების ტომს, ანუ სვანებს, რომლებიც იმუამად ვრცლად ცხოვრობდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში. გერმანელი მეცნიერი და მოგზაური გიულდენშტედტი, რომელმაც ფეხით მოიარა ეს მხარე, წერს, რომ სონები და სვანები ერთი ხალხის სახელია.

მოდწეული საისტორიო წყაროს, XVI საუკუნის ნიკონოვის მატეანის დამატებითი ნაწილის მიხედვით, 1562-1563 წლებში რუსეთის მეფე ივანე მრისხანის სიმამრმა თემირიუკ იდაროვმა ილაშქრა ყაბარდოს მეზობელ მხარეებში, მოღწეულ საბუთში ნათქვამია: იდაროვმა „164 მშანთა და სონთა დასახლება დაარბია“ (თემირაზ მიზნუანი, დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან, 1989, გვ. 12).

ამ საბუთიდან ჩანს, რომ ივანე მრისხანესა და ყაბარდოს ბატონის ჯარმა XVI საუკუნის 60-იან წლებში დაარბია, ანუ მოსპო და გაანადგურა ჩრდილოეთ კავკასიაში მდებარე 164 სვანური სოფელი.

აღნიშნული საბუთის მიხედვით, სვანების საცხოვრისი მოიცავდა თერგის, ბახსანისა და ყუბანის სათავეებს. ეს ცნობა დასტურდება სხვა წყაროს – ბარონ როზენთან 1835 წელს გაგზავნილი



სვანეთის მთავარ სოფელ დადუშქელიანის დედის დიგორ-ხანის მოხსენებითაც.

შესაბამისად, ჩრდილოეთ კავკასიის ვრცელი მონაკვეთი იალბუზის გარშემო სვანებით იყო დასახლებული, რომელთაც მტრობდა ჩერქეზების ბატონი.

საბოლოოდ, ჩერქეზებმა რუსების დახმარებით დაამარცხეს სვანები.

ნაწილი სვანი მოსახლეობისა აიყარა ჩრდილოეთ კავკასიაში მდებარე თავისი მიწა-წყლიდან და მიაშურა საქართველოში მდებარე სვანეთს, ხოლო ჩრდილოეთ კავკასიაში დარჩენილი სვანური მოსახლეობა თანდათანობით ასიმილირდა შემოსულ ტომებში, რომლებიც იყვნენ მაჰმადიანები.

ამის შედეგად ჩრდილოეთ კავკასიაში დარჩენილმა სვანურმა მოსახლეობამ მიიღო მაჰმადიანური სარწმუნოება და შეერწყა იქ გაბატონებულ ხალხს.

ამ მხარეებში შემდგომში ჩამოყალიბდა ყაბარდო-ბალყარეთისა და ყარაჩაი-ჩერქეზეთის ადმინისტრაციული ერთეულები.

გამუსლიმანებული სვანების ასიმილაციის საკითხი კარგად გამოიკვლია ცნობილმა მეცნიერმა თეიმურაზ მიჩბუანმა. მან შეისწავლა ყაბარდოსა და ყარაჩაიში მცხოვრები მოსახლეობის ეთნოთვითშემეცნება, ადგილზე მოაწყო სამეცნიერო ექსპედიციები.

თ. მიჩბუანმა თავის კვლევაში აღნიშნა, რომ ბალყარელებისა და ასევე ყარაჩაელების ერთი ნაწილი თავის თავს თვლის სვანური წარმოშობისად. ისინი ადასტურებენ, რომ მათ სვანი წინაპრები ჰყავდათ.

„ყაბარდო ბალყარეთში თავს სვანური წარმოშობისად თვლიან შემდეგი ბალყარელები (საგვარეულოები):

- ბოტტალარ,
- გეკილარ,
- ებზელარ,
- ერისტავლარ,
- ერისტაულარ,
- ერისტოვლარ,
- ოთარლარ,
- ჟაბელარ,
- ჟაბოლარ,

- ჟაბილარ,
- სოტალლარ,
- ტაპასხანლარ,
- ქურდალარ,
- ხოლალარ,
- შახმურზალარ,
- შუანლარ,
- ჩარკუიანლარ,
- ჯაპპულარ,
- ჯაფარლარ,
- ელმურზალარ,
- ათმურზალარ,
- თეყულარ,
- ალბუტლარ,
- ჯარაშულარ,
- ბეჩილარ,
- ბეჩელარ,
- ქურჩალარ,
- დინალარ,
- მამჩულარ,
- მეჩიეგ,
- ხუბილარ,
- ჭოჭაეგ.

ყარაჩაელებიდან თავს სვანური წარმოშობისად თვლიან შემდეგი გვარები:

- ჩაგილარ,
- თებულარ,
- უზდენლარ,
- ხუბილარ,
- ქოჩკალარ,
- ცულკიანლარ,
- ჭოტჭაეგ,
- გოჩიალარ,
- მამჩულარ,
- ებზელარ,
- პანგანლარ

(თეიმურაზ მიჩბუანი, დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან, 1989, გვ. 97).

თ. მიჩბუანი აღნიშნავს, რომ ჩამოთვლილ გვართაგან მრავალრიცხოვანნი არიან საგვარეულოები: გეკილარ, ოთარლარ, ჟაბოლარ, ჯაპპულარ, ებზელარ, ჰუბილარ და სხვები და უთითებს წყაროს (Населённые пункты Кабардино-Балкарской АССР I, перечень фамилий встречающихся в них, Нальчик, 1970, сс. 4-823).



თ. მიხუანმა თავის წიგნში სხვადასხვა წყაროსა და გადმოცემაზე დაყრდნობით გამოიკვლია, რომ

1. ბოტალარ (ბტლარ), ბოტაევები, გეკილარ, გეკიევები არიან კახიანები. ამასთანავე, მან აღნიშნა, რომ მას ზემოთ ჩამოთვლილი სვანური წარმოშობის გვარები მოცემული აქვს ბალყარული ენისათვის დამახასიათებელი ნიშნით და ეს გვარები რუსულად ჩაწერისას იმატებენ ევ და ოვ დაბოლოებებს. მაგალითად: ოთაროვი, ჩარკვიანოვი, ჟაბელოვი, ქურდანოვი, ხოლაევი, დინაევი, მამჩუევი, ჯარაშუევი, ებზეევი და სხვა. ზემოთ აღნიშნული გეკიევები და ბოტაევები ერთი წარმოშობის გვარებია, კახიანებისაგან მომდინარეობენ. ამიტომაც ისინი ერთმანეთს ენათესავებიან და ერთმოგვარეობის გამო მათ შორის ქორწინება აკრძალულია. ისინი ადრე ცხოვრობდნენ ბეზინში და იყვნენ ქრისტიანები, შემდეგ კი გამუსლიმანდნენ.

2. ებზელარ, ებზეევი, გვარი გავრცელებულია ყარაჩაიში და ისინი არღელიანების გვარის შტოდ ითვლებიან.

3. ერისტავლარ, ერისთავლარ ერისტოვლარ იგივე ერისთავები არიან. მოსახლეობდნენ სვანური ტოპონიმის მქონე ხეობაში ღესკინში. ღესკინთან ახლოს მდებარეობს ასევე სვანური ტოპონიმი სუკანი. ერისტავლარები ასევე ცხოვრობენ ზემო მალყარში, სვანთა ძველ ქვეყანაში.

4. ოთარლარ, ოთაროვები დადემქელიანთა გვარის შტოს განეკუთვნებიან. ჩრდილოეთ კავკასიაში გაძლიერებული სვანი დადემქელიანები გადმოსულან სამხრეთ სვანეთში, ანუ მესტიის მხარეს მდებარე სვანეთში და გაბატონებულან ეცერში. ჩრდილოეთ კავკასიიდან მათ თან ახლდნენ ანსიანებისა და ჯაჭვლიანების წინაპრები, გაბატონების შემდეგ დადემქელიანს მადლიერების ნიშნად ანსიანებისთვის უჩუქებია ჩუბუხევი ტერიტორია, „ხოლო ჯაჭვლიანებისათვის სოფელი ხუმარი“, – წერს თ.მიხუანი (თ. მიხუანი, სვანეთის ეთნოგრაფიული ექსპედიცია, 1968, რეკული №1, გვ. 49-52) .

აქ საინტერესო არის ის, რომ ჩრდილო კავკასიაში მდებარეობს ციხე-ქალაქის ნაშთები, რომელსაც ჰქვია ხუმარა. ჩრდილოეთ კავკასიის ამ ხუმარას მიიჩნევენ ძველ ალანურ, ოსურ ნაქალაქარად მაშინ, როცა თ. მიხუანი თავის ეთნოგრაფიულ ექსპედიციაში ხუმარად მოიხსენიებს სოფელ ცხუმარს ახლანდელ სვანეთში. ასე რომ, თვით სვანეთშივე, სვანურ მეტყველებაში, ტერმინი ხუმარა, ხუმარი, ტერმინ ცხუმარის შემოკლებული ვარიანტია. ბალყარეთის ტერიტორიაზე ასევე არის მრავალი სვანური საგვარეულო და ტოპონიმი.

როგორც აღვნიშნეთ, ჯაჭვლიანები ცხოვრობდნენ ცხუმარში. აქ იგულისხმება ჩრდილოეთ კავკასიის ხუმარაც, ხოლო ოთარლარ და ჯოყარლარ გვხვდებიან ყარაჩაი-ბალყარეთში.

5. ოთაროვი, სვანური საგვარეულო, წარმოშობილია პატრონიმიული სახელწოდება ოთარშასაგან. ეს სახელები ერქვა დადემქელიანების საგვარეულოში სხვადასხვა პირს.

6. ჟაბოევი დადემქელიანთა გვარის განშტოებაა. ჩრდილოეთ კავკასიაში მდებარეობდა ბეზინგი, ხულამის ხეობაში ჟაბოლართა გრანდიოზული ციხესიმაგრე. ე.ი. მე-5 და მე-6 საუკუნეებში დადემქელიანები ცხოვრობდნენ ჩრდილოეთ კავკასიის ჟაბოლარში.

7. სოტალარ, სოტაევები ყიფიანთა გვარის შტოს განეკუთვნებიან (თ. მიხუანი, გვ. 101). ყიფიანის მოგვარე სოტალარ, სოტაევები ცხოვრობდნენ აულ ურუზბიევიში.

8. ქურდალარ, ქურდანოვები სვანი ქურდიანების გვარის შტოს განეკუთვნებიან. მათი საცხოვრისი იყო ბახსანი ჩრდილო კავკასიაში (იქვე, გვ. 102).

9. ჯოპოევი ყოფილან ჯაპპოევი, ანუ ჯაფარიძეები. ისინი ცხოვრობდნენ გეკიევებთან ერთად ბახსანში.

10. ყარაჩაელი ლეაშეკოვები ქურდანი, ქურდანების (ქურდიანების განაყოფი ყოფილან), მათი წინაპარი ლეაშოკი ყარაჩაში ხურგუზში ცხოვრობდნენ, ქურდანის ძეები – სვანეთში, მულაყში. ერთ-ერთი გადმოცემის მიხედვით, ქურ-



დიანების ერთი შტო დასახლებულა ბახსანში, მეორე – კახეთში, მესამე – სვანეთში. ყარაჩაში მცხოვრები ლეპშოკოვები თვლიან თავიანთ თავს სვანური წარმოშობისად, მაგრამ არ იციან, რომ მათი ადრინდელი გვარი იყო ქურდიანი, – წერს თ. მიჩბუანი (თ. მიჩბუანი, დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან, 1989, გვ. 103). ჩრდილოეთ კავკასიაში ლაშკუტელი ქურდოვანები თავის წინაპარს მიიჩნევენ, ეს იყო სვანებთან დაკავშირებული და გადმოსახლებული ბახსანის ხეობაში.

11. გუჯუჯიანთა შტოს ეკუთვნიან ჩრდილოკავკასიელი შახმურზარლარები (შახმურზალოვები), ათმურზალოვები (ათმურზალოვები), ერმურზალოვები (ერმურზალოვები) და თეყულარები (ტეკულოვები).

12. ჯაფარიძეების მოგვარებად თვლიან თავიანთ თავს ჩრდილოკავკასიელების შემდეგი საგვარეულოები: ჯამპუღლარ, ჯამპუვე, ჯაფაროვ, ჯაფაროვები და სხვები.

13. ჩარკვიანები, რომლებიც ჩრდილოეთ კავკასიაში მკვიდრობენ და ითვლებიან ადგილობრივ მოსახლეობად, თავიანთ გვარს ასე აწარმოებენ: ჩერკურიანოვები.

14. ფანგანები სვანი ფანგანების შტოს ეკუთვნიან, ყარაჩაში არიან ანგანოვები, მათ სვან ფანგანებთან ამჟამადაც აქვთ ნათესაური ურთიერთობები.

აღსანიშნავია, რომ ასეთივე ნათესაური ურთიერთობები აქვთ ერთმანეთთან რაჭველ რეხვიაშვილებს და ჩრდილოკავკასიაში მცხოვრებ მათ ე.წ. დოსტებს, რეხვაეებს.

როგორც ჩანს, რაჭველების ერთი ნაწილი ცხოვრობდა ჩრდილოეთ კავკასიაში ისევე, როგორც სვანები. ისინიც გამაჰმადიანდნენ და ასიმილირდნენ ჩრდილო კავკასიის შესაბამის ხალხში, მაგრამ ნათესაური ურთიერთობა თავიანთ ნათესავებთან მაინც არ მიუტოვებიათ.

რაჭველები გადადიან ჩრდილოეთ კავკასიაში თავიანთ განაყოფ ნათესავებთან და სტუმრობენ, „დოსტობენ“. ასევე მუსლიმანი თანამოგვარები

გადმოდინ რაჭაში თავიანთ განაყოფ ქრისტიან ნათესავებთან და სტუმრობენ. ასეთ სტუმრობას უწოდებენ დოსტობას. ასეთი დოსტები რაჭის მთის სოფლებში მცხოვრებ რაჭველებს მრავლად ჰყავთ მეზობელ ჩრდილოეთ კავკასიაში სხვადასხვა საგვარეულოში.

ეს მიუთითებს, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში რაჭის მეზობელი რეგიონი დასახლებული იყო ქართული მოსახლეობით, რომელიც გამუსლიმანების შემდგომ შეერწყა იქ შემოსულ მაჰმადიანურ მოსახლეობას, ანუ ნათესაური კავშირები არ გაუწყვეტიათ საქართველოსთან.

15. სვანიძეების გვარის წარმომავლობისა შესაძლებელია იყვნენ ჩრდილოკავკასიური გვარები: შუანლარ, შუანოვები. ისინი თავიანთ თავს სვანური წარმოშობისად თვლიან.

16. ჩრდილოკავკასიელი თებუევები წარმოშობით სვანები არიან, მაგრამ არ იციან, რომელი გვარის შტოს ეკუთვნიან, – წერს თ. მიჩბუანი. (იქვე, გვ. 104).

17. სვანი ხვიბლიანების მოგვარებად ითვლებიან ჩრდილოკავკასიელი სუბიეები. მათ შორის ადრე ნათესაობაც ყოფილა.

18. სვანი კახიანების შთამომავლებად ითვლებიან ჩრდილო კავკასიელი ჯარაშუევები (ბალყარებში).

19. სვანი მიბჩუანების მოგვარებად თვლიან საკუთარ თავს ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები მამჩუევები.

20. სვანი ქოჩქიანების მოგვარები არიან ჩრდილოკავკასიელი ქოჩქანოვები და ალბეტოვები. ქოჩქანოვები ცხოვრობენ ბალყარეთსა და ყარაჩაში, ალბეტოვები მოსახლეობენ ზემო ჩეგემში.

21. სვანი ავალიანების მოგვარები არიან ყარაჩაელი დინაევები.

22. ჩრდილოკავკასიური საგვარეულო გერიჩო თავიანთ თავს თვლიან სვანებად, მაგრამ ძველი გვარი არ იციან.

23. ჩრდილოკავკასიური საგვარეულო თეთუევ თავიანთ თავს თვლიან სვანებად, მაგრამ ძველი გვარი არ იციან.

24. ჩრდილოკავკასიური საგვარეულო კერაკოზოვ თავიანთ თავს თვლიან სვანებად, მაგრამ ძველი გვარი არ იციან.



25. ჩრდილოკავკასიური საგვარეულო მეხივე თავიანთ თავს თვლიან სვანებად, მაგრამ ძველი გვარი არ იციან.

26. ჩრდილოკავკასიური საგვარეულო გოჩიავე თავიანთ თავს თვლიან სვანებად, მაგრამ ძველი გვარი არ იციან.

27. ჩრდილოკავკასიური საგვარეულო ბეჩლოვ თავიანთ თავს თვლიან სვანებად, მაგრამ ძველი გვარი არ იციან.

28. ჩრდილოკავკასიური საგვარეულო მეხივე თავიანთ თავს თვლიან სვანებად, მაგრამ ძველი გვარი არ იციან.

29. ჩრდილოკავკასიური საგვარეულო გერიხო თავიანთ თავს თვლიან სვანებად, მაგრამ ძველი გვარი არ იციან.

30. ჯაჭვლიანების მონათესავეებად ითვლებიან ჩრდილოკავკასიელი ჭოჭაევიები.

31. სვანი სუბელიანების მონათესავეებად ითვლებიან ჩრდილო კავკასიელი ჩაგილოვები.

32. სვანი არღვლიანების მონათესავეებად ითვლებიან ჩრდილოკავკასიელი საბჩაევიები.

33. ჩრდილოკავკასიური საგვარეულოები სონოვ, სონ, სონნ, შეიძლება ჩაითვალოს სვანური საგვარეულოს შთამომავლობად, რადგანაც ამას თვითონ გვარი მიუთითებს, სონ, შონი, აშუან, აშანუა ნიშნავს სვანს.

34. სოტავე სვანური საგვარეულოს ჩრდილოკავკასიური სახე, ცხოვრობენ სოფელ ლაშკუტაში.

35. ამავე სოფელ ლაშკუტაში ცხოვრობენ სვანური წარმოშობის ქართლიკოვები, კერძოდ, პიროვნება ქართლიკო რაჟაბისაგან ჩაუწერიათ ერთ-ერთი გადმოცემა (იქვე გვ. 133).

36. ამავე სოფელ ლაშკუტაში ცხოვრობენ ჩერკუიანოვები.

37. ამავე სოფელ ლაშკუტაში ცხოვრობენ ქურდანოვები.

38. ამავე სოფელ ლაშკუტაში ცხოვრობენ ნასტაევიები.

39. ამავე სოფელ ლაშკუტაში ცხოვრობენ აკაევიები.

40. ამავე სოფელ ლაშკუტაში ცხოვრობენ ჯაპპუევიები.

41. სოფელ ელბრუსში ცხოვრობენ სვანური წარმოშობის ქურდანოვები, უზდენოვები, ვეზდენოვები.

42. ნალჩიკის რაიონის სოფელ ხასანიაში ცხოვრობდნენ ბოტაევიები, ნატჩიევიები, ხოლამხანოვები, რახაევიები.

43. ნალჩიკის რაიონის სოფელ ზემო მალყარში ცხოვრობდნენ თეთუევიები.

44. ჩეგემის რაიონის სოფელ ბულუნგუში ცხოვრობდნენ კირაკიზოვები, აპასხანოვები.

45. სოფელ ელტიუბეში ცხოვრობდნენ შაჰმურზაევიები, ბაპინაევიები (იქვე გვ. 133).

46. ყარაჩაევსკის რაიონ სოფელ ხუმარაში ცხოვრობენ ძამიხოვები.

47. კამენამოსტში ცხოვრობენ გურჯიევი, უზდენოვი, გერიკოვი, ჯოჯუევი და სხვები.

როგორც აღინიშნა, რუსების ხელმწიფეს ივანე მრისხანის ჩერქეზების მთავარი დაუნათესავდა. მან რუსთა ხელმწიფის ლაშქრის დახმარებით შეძლო ჩრდილოკავკასიელი სვანების დამორჩილება, შემდგომ კი – მათი გამუსულმანების გზაზე დაყენება. ურჩები იღუპებოდნენ ანდა გარბოდნენ. ძირითადად, თავს აფარებდნენ საქართველოში სვანეთს. ეს ფაქტი კარგად ჩანს სვანურ პოეზიაში.



ბალყარეთ-სვანეთი

ბალყარელები ყარაჩაელების მონათესავე თურქულენოვანი ხალხია. ისინი იაღბუზის მთის აღმოსავლეთით სახლობენ. ქართულ წყაროებში ბალყარეთს ბასიანს უწოდებენ.

ყარაჩაელები იაღბუზის მთის ჩრდილო-დასავლეთით ცხოვრობენ. იაღბუზის მთა ყარაჩაის გამოყოფს ბალყარეთისა და ყაბარდოსაგან. სვანები ბალყარელებს ამჟამადაც სვირებს უწოდებენ.

გადმოცემით ცნობილია, რომ ყარაჩაყარაჩაელთა ერთ-ერთი წინამძღოლი ყოფილა, რომელსაც ეს ხალხი ოქროს ურდოდან თუ ყირიმიდან გამოუყვანია და ჯერ ბაქსანში, შემდეგ კი ზემო ყუბანში დაუსახლებია. სვანები ყარაჩაელებს ყრჩოლს ეძახიან (თოფჩიშვილი რ. 2007). ბალყარელები და ყარაჩაელები ქართველებს (სვანებს) ებზეს სახელით იცნობენ. ყაბარდოელები სვანებს სონეს გვიწოდებენ.

<http://geworld.ge/ge/%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2/>

XVI საუკუნის რუსული წყაროებით, ქართველები ჯერ კიდევ ვრცელ ტერიტორიაზე ყოფილან განსახლებულნი. XVII-XVIII საუკუნეებში თურქულენოვან ტომთა მოძალებისგან შევიწროებული ჩრდილოეთ კავკასიის ქართული სოფლები თანდათან დაცლილა ქართული ეთნოსისგან. ქართული ეთნიკური ელემენტის და ქრისტიანული კულტურის ძველთაგანვე არსებობას ბალყარეთში, ყარაჩაისა და ყაბარდოში წერილობით წყაროებთან ერთად ადასტურებს არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალაც: ტოპონიმიკა, მატერიალური კულტურის ძეგლები (ციხესიმაგრეები, კოშკები, ეკლესიები, ქრისტიანული სასაფლაოები), ფოლკლორი, საგვარეულო ისტორიები, რომლებშიც დაფიქსირებულია გადმოცე-

მები ამა თუ იმ გვარის ქართული (სვანური) წარმომავლობის შესახებ და ა.შ. ყარაჩაისა და ბალყარეთის ერთი ნაწილის ტოპონიმები (სოფლების, უბნების, ციხეების, კოშკების, მთების, ხეობების, სათიბების სახელები) აიხსნება მხოლოდ ქართული სალიტერატურო ენითა და მისი დიალექტებით. ქართული ქრისტიანული კულტურის კვალი ჩრდილოეთ კავკასიაში დღეს თითქმის გამქრალია, მაგრამ წერილობითი წყაროები ზოგიერთი დასკვნის გამოტანის საშუალებას იძლევა.

ტურხოვეის ცნობით (1743 წ.) –

ჩეგემის ერთ ხეობაში 300 „სონის“ ოჯახი ცხოვრობს. მათ აქვთ ორი ქრისტიანული ქვის ეკლესია. ეკლესიებზე გამოსახულია ჯვრები „სონები“ დიდმარხვის შემდეგ თავს იყრიან ეკლესიებში, ზოგჯერ ხარსაც კლავენ, ხორცს ხარშავენ, დაინაწილებენ, მათ გააჩნიათ საეკლესიო წიგნებიც, რომლებსაც თვალის ჩინივით უფრთხილდებიან მასალა თვალნათლივ ავლენს ჩეგემში ქართველების კომპაქტური დასახლებების არსებობას. ასევე, სვანეთის ეთნოგრაფიის ზერელე მცოდნეც კი ამ აღწერილობაში ადვილად ამოიცნობს ქართველ მთიელთა (სვანთა) რელიგიურობას, კრძალვასა და მოწიწებას ყოველივე საკრალურისა და საეკლესიო ქონებისადმი.

ი. გიულდენშტედტის ცნობების მიხედვით (1772 წ.) ბასიანელები ძველად იყვნენ ქვეშევრდომები საქართველოს მმართველებისა, ქრისტიანები, რისი ნაშთები ახლაც არის შემონახული, ზოგი ძველი ეკლესიის, კვირა დღის უქმობის, დიდმარხვის შენახვისა და ღორის ხორცის ჭამის სახით.

მაგალითად, სამი საუკენი სიგრძის ქვის ეკლესია არის შემონახული ჩეგემის მხარეში ულუელთან (გიულდენშტედტი, 1964). გიულდენშტედტი სხვაგანაც აფიქსირებს ეკლესიას: „ქედის ძირში, იქ სადაც ყუბანი ამ ქედიდან გამოდის, არის ალთი-ქესეკის კუთვნილი სოფელი ქეჩია და მის მოპირდაპირე მხარეზე ქვის ძველი ეკლესია“ (გიულდენშტედტი, 1964). თ. მიბჩუანის დაკვირვებით, რომელმაც საგულდაგულოდ შემოიარა და შეის-



წავლა ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთის არქეოლოგია, ტოპონიმოკა, ეთნოგრაფია, გიულდენშტედტისეული უღუელის მხარე ამჟამინდელი ელტიუბე უნდა იყოს (ზემო ჩეგემი), ხოლო ს. ქეჩია – დღევანდელი აული ქართჯურთია ლაბგვიარის (უღუ-კამის) მიდამოებში, სადაც ძველთაგანვე ქართველები ცხოვრობდნენ.

მეორე გერმანელი მკვლევარი რეინეგსი, რომელმაც იმოგზაურა იმჟამად ჩერქეზეთად წოდებულ, ამჟამინდელ ყარაჩაიში და მოინახულა იქ შონას, სენტისა და სხვა ტაძრები XVIII საუკუნის 80-იან წლებში, როგორც აღინიშნა, წერს:

„სამხრეთით მაღალ მთაზე დგას კარგად შენახული, წმიდა გიორგისადმი მიძღვნილი ქვის ეკლესია. იქ ჯერაც ორი ზარია. ასევე ამტკიცებენ, რომ წიგნები, ბერების სამოსელი, თასი და ჯვარი ახლაც დაცულია იმავე მთაზე განსაკუთრებულ საიდუმლო ადგილას, რომელზედაც ეკლესია დგას. ეკლესიის ირგვლივ კი ბევრი ქვაბულია გამოკვეთილი. ეს ეკლესია ცნობილი ყოფილა თავისი საკვირველმოქმედებით, განდევილებითა და ბერებით. ქერის მოსაგლის აღების შემდეგ აქ იკრიბებიან გლეხები. ქრისტიანი მღვდელი კი ატარებს ღოცვას. თუ ვინმეს ამ ეკლესიის ახლოს მეხი მოკლავს, მას წმინდანად მიიჩნევენ. იქვე მარხავენ მის გვამს, შემდეგ მართავენ დღესასწაულს, იკვლება შავი ვაცი, ტყავს გატენიან და საფლავის ახლოს მაღალ ძელზე გამოჰკიდებენ, რათა ამ წმიდანად შერაცხულის ხსოვნა გაახანგრძლივონ“[1].

გერმანელი მოგზაურის რეინეგსის ამ ცნობიდან კარგად ჩანს შემდეგი:

1. შუნას, იგივე შონას ეკლესია მე-18 საუკუნეშიც მოქმედი იყო, „რადგანაც, თვითმხილველი გერმანელი მოგზაურის რეინეგსის სიტყვით, აქ იკრიბებიან გლეხები და ქრისტიანი მღვდელი ატარებს ღოცვას“. მაშასადამე, მე-18 საუკუნეში მღვდელი ღოცულობდა შუნას ეკლესიაში და მას მრევლი ჰყავდა.

2. შონას ეკლესიის ქრისტიანული მრევლი მე-18 საუკუნეშიც კი ძლიერია. ის მოქმედია და ცდილობს, განსაზღვროს,

თუ მათ შორის რომელია ღვთის მიერ უფრო გამორჩეული ქრისტიანი. უბრალო ხალხი, რიგითი ქრისტიანი გლეხები, ასეთად მიიჩნევენ ეკლესიის ახლოს, წორედ უშუალოდ ეკლესიასთან, თუნდაც მეხის გამო დაღუპულს. ხალხური ადათით, ეკლესიასთან (ეკლესიისათვის) დაღუპულს მიაგებდნენ სათანადო პატივს, თუმცა, ცხადია, მღვდელი საეკლესიო წესების შესაბამისად მოქმედებდა.

3. ეთნიკურად ის ქრისტიანები, რომელნიც რეინეგსის დროს შონას (შუნას) ეკლესიის ძლიერ სამრევლოს წარმოადგენდნენ იყვნენ სვანები, შესაბამისად, ქართული ეკლესიის იურისდიქციაში შემავალი სასულიერო პირები. ეს ქრისტიანები აქედან გააძევეს უკვე მე-18 საუკუნის 80-იანი წლების შემდეგ, ნაწილი მათგანი, ადგილზე დარჩენილები ასიმილირდა შემოსულებში, ხოლო გადარჩენილი ქრისტიანები ლტოლვილების სახით შეეხიზნენ მათთვის ყველაზე ახლოს მყოფ ქრისტიანულ სვანეთს. ის წიგნები, რომლებიც რეინეგსმა ნახა შუნას ეკლესიაში, შესაბამისად, იყო ქართულენოვანი საეკლესიო წიგნები.

1834 წელს ყოფილი სვანური ადგილები ი. შახოვსკიმ შემოიარა. ვერც მან უარყო ჩეგემის მხარეში ქართული კულტურის არსებობა. 1849 წელს ა. ფირკოვიჩმა ბეზინგში ქართული ქრისტიანული ეკლესია აღწერა. ტაძარი ქვით ნაგები და მოხატული ყოფილა. ფრესკებით შემკულ ტაძარზე ქართული წარწერებიც არსებულა. ამ წარწერებს ლ. ლავროვიც იხსენიებს. მისი აზრით, წარწერები ქართველი მშენებლების შესრულებული უნდა იყოს. ეს ეკლესია XX ს-ის 60-იან წლებში მთლიანად დაინგრა. ლ. ლავროვის აზრით, მდ. ყუბანის სათავეებში ქართველები (სვანები) დასახლებულან XIV-XVII საუკუნეებში, ბაქსანის ხეობაში კი – 1640–1743 წლებში. მათ ეს მხარე მიუტოვებიათ ყაბარდოელთა შემოტევების შედეგად XVIII საუკუნის ბოლოს. ლავროვის მტკიცება, რომ სვანებმა ეს ადგილები ჩრდილოეთ კავკასიისა დატოვეს მე-18 ს. ბოლოს დასტურდება სხვა ცნობებითაც,



მაგრამ სვანები ამ ადგილებში ქრისტიან-შობამდეც ცხოვრობდნენ, როგორც ამას აჩვენებს მენანდრეს (ახ.წ. VI ს). ცნობა: სვანები „ერთი იმ ტომთაგანია, რომელიც კავკასიის გარშემო ცხოვრობს, ჰყავს მთავარი და ამ ქვეყანაზე სკვითები გადიან“ (გეორგიკა, ტომი III, გვ. 221). არის მოსაზრება, რომ სვანები ჩრდილოეთ კავკასიაში ფლობდნენ სვანური კომპლექსის მსგავს ციხეებს, რომლებიც სვანების აგებული უნდა იყოს. ეს მიწებიც მათი კუთვნილებაა. სვანებისაა იქ მდებარე ქრისტიანული სასაფლაოები; ხოლო მდინარეების, კიჩკენიკულისა და ყუბანის, შესართავთან გვიჩვენებენ უძველესი ხიდის ნანგრევებს, როგორც საბუთს იმისა, რომ აქ ძველად მდებარეობდა მათი ქალაქი, ციხესიმაგრე, რომელიც დარაჯობდა საზღვარს.

ქართული ეკლესია მდგარა ზემო ჩეგემში. სავარაუდოდ, ღვთისმშობლის სახელობისა, რასაც გვაფიქრებინებს ტოპონიმი „ბაირმ“. იგი წმ. მარიამს გულისხმობს.

ქართული ქრისტიანული კულტურის ძეგლები დაფიქსირებულია ყარაჩაიშიც.

განსაკუთრებით აღსანიშნავია შუანის მთაზე აღმართული ქრისტიანული ეკლესია („შუანა“), ქვედა არხიზისეულია თებერდის ხეობის სენტის მონასტერი. ეს ძეგლები X, XI, XIV-XVII საუკუნეებით თარიღდება. ცხადია, ყველა ეკლესია ქართულია, რაც დასტურდება არქიტექტურული სტილით და ტოპონიმიკით. ადგილობრივმა ფოლკლორმა და ტოპონიმიკამ შემოინახა ხსოვნა საქართველოს დიდი მეფის წმიდა თამარის შესახებ. აქ შემონახულია ტოპონიმი „თამარის მთა“. მთაზე ციხე მდგარა („თამარის ციხე“). დღეს იგი ნანგრევის სახითაა შემორჩენილი. იქვე შეინიშნება სხვა ნაგებობების კვალიც. „თამარის მთის“ ჩრდილოეთით კლდეში გამოჭრილია ექვსი, ხოლო აღმოსავლეთის მხარეს – 30 სენაკი. ხუმარის მომიჯნავე მთის კალთებზე სამი მეტრი სიმაღლის ქვაჯვარია აღმართული. მას „თამარის ჯვარს“ უწოდებდნენ. იქვე ქრისტიანული სასაფლაო ყოფილა. მსგავსი ჯვრები მრავლად მდგარა, ზოგ ჯვარ-

ზე წარწერაც ყოფილა ამოკვეთილი. ხუმარაშივე თ. მიხეიანმა უზარმაზარი ოთხკუთხა ლოდი ნახა, ე.წ. „თამარის ქვა“. გადმოცემით, ამ ქვიდან მიმართავდა თამარი ჯარს, იქვე აბამდა თავის რაშსაც, რომლის ანაბეჭდებად მიიჩნევენ ლოდის აღმოსავლეთ კედლებზე არსებულ ჩაღრმავებებს. ბალყარეთსა და ყარაჩაიში შემონახულია ქრისტიანული სასაფლაოები. ჯვრების გამოსახულებები, სასაფლაოების გარდა, ამოკვეთილია კომპლექსა და ციხეებზეც. გარდა ამისა, ყარაჩაელთა და ბალყარელთა მეტყველებაში შეინიშნება ქართული ქრისტიანული ტერმინების არსებობაც. იქ ნაპოვნია ადრეული შუა საუკუნეების, X-XIII საუკუნეების, ასევე გვიანი შუა საუკუნეების ქრისტიანული სამარხები, ქვაჯვრები. ცნობილია, რომ ყაბარდოელთა რწმენა-წარმოდგენებშიც მნიშვნელოვანი ადგილი ეკავათ ქრისტიან წმინდანებს: ღვთისმშობელს, ელია წინასწარმეტყველს, წმიდა გიორგის, რაც ამ მხარეზე ქართული კულტურის გავლენითაა განპირობებული. მკვლევართა დაკვირვებით, ბალყარეთსა და ყარაჩაიში გამოვლენილია ქართული ტიპის 40-მდე საფორტიფიკაციო ნაგებობა: უამრავი ციხე-კოშკი, რომლებიც, გადმოცემების თანახმად, ქართველთა აგებულადაა მიჩნეული. მაგალითად, ყარაჩაიში არის ხუმარის ნაქალაქარი (X-XI სს.), შოანა, თამარის ციხე, გომაის ყალა – გომეანთა ციხე; ბასიათმა ყალა – ჟორჟოლიანების კოშკი; ბალყარეთში: ებზე ყალა, ბადილშა ყალა – გომეანების კოშკი. ცნობილია, ბეზინგი ჩერეკის მარჯვენა მხარეს იდგა ციხე-კომპლექსი „ჟაბოლარის ციხე“. იგი ერთ სვანური ტიპის კოშკს და სამ ქვის სახლს მოიცავდა. ციხე დადგმულიანების განშტოების – ოთაროვების კუთვნილი იყო. უღელტეხილებთან მდებარე ქართული სოფლების მოსახლეობა, რომელსაც შედარებით აქტიური მიმოსვლა ჰქონდა ბალყარეთთან და ყარაჩაისთან (მესტია, მულახი, ბეჩო, ნაკრა), საბჭოთა კავშირის დაშლამდე ნათესაურ და მეგობრულ ურთიერთობას აგრძელებდა გადაღმა მხარეს მცხოვრებ ყარაჩაელთა და ბალ-



ყართა იმ ნაწილთან, რომელიც თავის თავს ქართული წარმომავლობისად მიიჩნევდა. ამავე დროს, არსებობდა ჩრდილოკავკასიელ და ქართველ მთიელთა ძმადგავიცვის ჩვეულებაც. ამას ხელს უწყობდა ხშირი სტუმრობა ერთმანეთთან, ერთმანეთის ენების ცოდნა. ბევრმა ხანდაზმულმა სვანმა იცოდა ბალყარული და ყარაჩაული. ასევე ჩრდილოეთ კავკასიელებს ესმოდათ სვანური ქართველ მთიელთა მენტალობაში დღემდეა შემონახული ტკივილიანი მოგონება დაკარგული ქართული მიწების შესახებ. აქტუალური იქნებოდა ეს პრობლემა XIX საუკუნეში. პირიქითა ქართული მიწების დაკარგვით გამოწვეული პროტესტის შესახებ მოთხრობილია 1872 წლის გაზეთ „დროებაში“: მულახის თემის მაცხოვრის ეკლესიას საეკლესიო მიწა ჰქონია ბალყარეთში... თავიანთ ისტორიულ საცხოვრისში (შემდგომ ბალყარეთად წოდებულ მხარეში) მცხოვრებმა ქართველებმა შესწირეს მულახის „მაცხოვარს“. მოგვიანებით ქართველთა ერთი ნაწილი პირაქეთა საქართველოში გადმოვიდა, ნაწილი კი ასიმილირდა ბალყარებთან, მაგრამ დარჩა ხსოვნა საეკლესიო მიწის არსებობის შესახებ.

<http://geworld.ge/ge/%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2/>

მე-18 საუკუნის შემდეგ სვანები იძულებული გახდნენ მიეტოვებინათ თავიანთი ტერიტორიები ჩრდილოეთ კავკასიაში, ნაწილი ასიმილირდა შემოსულ თურქულენოვან მოსახლეობაში (ყარაჩაისა და ბალყარეთში) და მიეღოთ ისლამი, ამჟამინდელი მკვლევრები ადასტურებენ, რომ ამის შედეგად ყარაჩაელებს ისევე, როგორც ოსებს (ასიმილირებულ ყოფილ დგალებს) აქვთ ქართული გალოჯგუფი G2, G2a1a1-P18. რუსი მკვლევარი წერს – ქართველებს, ოსებს, ასევე

ყარაჩაელებსა და ბალყარელებს აქვთ ერთნაირი გალოჯგუფი. ის ოსებმა მიიღეს არა ალანებისაგან, ყარაჩაელებმა და ბალყარელებმა არა თურქებისაგან, არამედ ქართველებისაგან – „гаплогруппа G2a у осетин ...В Грузии почти на треть – та же гаплогруппа G2a1a1-P18, что и в Осетии. Аланы, понятно, там были не при чем... По-видимому, на тюркский язык перешла часть сванов, которые и составили местную основу как карачаевского, так и балкарского этногенеза. Типичность балкарцев и карачаевцев как носителей кавказского комплекса признаков и отсутствие в их антропологическом составе какой-либо инородной примеси и здесь говорят о малочисленности тюркских мигрантов, переселившихся в ущелья из степных районов“.

<http://wap.alanla.forum24.ru/?1-0-90-00000276-000-60-0>

ზოგიერთი რუსი მკვლევრის სიტყვით, ყარაჩაელებისა და ბალყარელების ძირითადი გალოჯგუფი აჩვენებს, რომ – ისინი ყოფილი სვანები არიან, მსგავსადვე, რუსი მკვლევრების აზრით, ოსებმა თავიანთ გალოჯგუფი მიიღეს არა ალანებისაგან, არამედ ქართველებისაგან

<http://wap.alanla.forum24.ru/?1-0-90-00000276-000-60-0>

ისინი წერენ –

Аланы и скифы, по мнению А.А.Клёсова и В.П.Алексеева Клёсов А.А. – В современных исторических науках принято считать, что предки осетин – это аланы, а аланы – ираноязычное племя скифо-сарматского происхождения. То есть по всем признакам они должны были бы иметь основную гаплогруппу, но этой гаплогруппы у осетин практически нет, ни у дигорцев, ни у иронцев. У осетин доминирует гаплогруппа 2a – от двух третей (дигорцы) до трех четвертей (иронцы), а эта гаплогруппа к скифам и аланам никак не вписывается, ...Либо аланы – это не потомки скифов-сарматов, либо осетины – не потомки аланов, ...гаплогруппа G2a у осетин – ...В Грузии почти на треть – та же гаплогруппа G2a1a1-P18, что и в Осетии. По-видимому, на тюркский язык перешла часть сванов, которые



и составили местную основу как карачаевского, так и балкарского этногенеза. Типичность балкарцев и карачаевцев как носителей кавказского комплекса признаков и отсутствие в их антропологическом составе какой-либо инородной примеси и здесь говорят о малочисленности тюркских мигрантов, переселившихся в ущелья из степных районов“.

Яндекс. Директ <http://wap.alanla.forum24.ru/?1-0-90-00000276-000-60-0>

ენობრივი ფაქტები მიუთითებს, რომ შესაძლოა თურქულენოვანი ალანების მემკვიდრეები არიან ყარაჩაელები, აბულფედას და ალ-დიმაშკის ცნობებით ალანები და ოსები თავდაპირველად თურქულენოვანი ტომები იყვნენ.

ამ ფაქტის ანარეკლია ბალყარელების უშუალო მეზობლების, სვანებისა და მეგრელების, მეტყველებაში ასახული ენობრივი დეფინიცია.

მაგალითად, ყარაჩაელებსა და ბალყარელებს მეგრელები უწოდებენ ალანებს, ამავე დროს, სვანებისა და მეგრელების მეტყველებაში ტერმინი „ოსური“ აღნიშნავს არა ირონულ ენას, არამედ ყარაჩაულ ენას (თურქულ ენობრივ ოჯახში შემაჯავალს).

ამასთანავე, სვანები და რაჭველები (გლოლელები) ოსებს მოიხსენიებენ ტერმინით – „დიგორელი“, „დვალი“.

ამ ენობრივი ფაქტიდან ჩანს, რომ „ოსები“ და „ალანები“ კავკასიაში ერქვათ არა ამჟამინდელ ოსებს, არამედ ყარაჩაელებისა და ბალყარელების წინაპრებს. სწორედ მათ აღვიღვას მდებარეობდა კავკასიის ალანია.

„У сванов для карачаево-балкарцев два названия – савер и овс.“

Академик Н.Я. Марр о грузинском термине овс (ос):

„Термин осский (осетинский) у сванов означает не иронский язык , как мы понимаем, иранского происхождения, а карачайский, относящийся к турецкой семье. Для иронского у сванов термин дигорский. Кстати, по личному сообщению А.Г. Шанидзе, так обстоит дело и в гебском подговоре рачинского говора грузинского языка: здесь оси, кстати, звучащее в глольском говоре иногда, как и в

древнегрузинском овс(и) (ср. мингрел. офс(и), означает обыкновенно карачайца, а оссури карачайский язык, что же касается переноса и распространения этого этнического термина, _ продолжает Н.Я.Марр, – так же и на иронов осетин, т.е. употребление его вместо племенных названий дигорели и двали, то в этом надо видеть плод влияния грузинского литературного языка или точнее грузинской речи интеллигенции“. Мингрелы карачаево-балкарцев чаще называли

„аланами“<http://wap.alanla.forum24.ru/?1-5-0-00000007-000-0-0>.

Сваны и „аланами“ называли карачаевцевю Мегрели называют АСАМИ Карачаевцев, Балкарцев и Алан. Мегрелы называли карачаевцев – „алани“.

<http://wap.alanla.forum24.ru/?1-5-0-00000007-000-0-0>

მუსლიმანი სვანი-ბალყარელები სოციალურ ქსელში

„Есть семьи, даже целые фамилии в Балкарии, которые считают себя выходцами из Сванетии. О многосторонних связях между Балкарией и Сванетией поется в старинных песнях. Все это не могло не отразиться на языке и топонимах как того, так и другого народа. К топонимам сванского происхождения можно отнести: Зинки – от сванского зинги „неровный, дугообразный“; Лабу – от сван. лаб „Груз или воз для осла“; Лагура – от сван. лагвра „стадо“; Личири – от сван. личири „снимать кожуру“; Ушба – от сван. шуб „копье (вершина)“; Цана – от абхаз. – сван. цан – этноним; Некра – сван. „ровное место, равнина“. Мусукаев Б.Х. Топонимия высокогорья Балкарии.

1981<http://wap.alanla.forum24.ru/?1-5-0-00000007-000-0-0>

Есть у нас в Балкарии сванские названия мест, и Ушба: и Накра и другие, около 10-ти, и для нас эбзе, так мы называем сванов, очень близкий народ по многим преданиям, и нашу историю без сванов нельзя писать“. წერენ სოციალურ ქსელში ბალყარელი სვანები.



თავის დასკვნა

ადიღეთა შემოსევამდე ჩრდილოეთ კავკასიის დასავლეთი ნაწილის მთიანეთი, მთისწინეთი და მიმდებარე სტეპები დასახლებული იყო სვანებით (და საერთოდ ქართველებით), მათ ადიღეელებს დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს, იმდენად, რომ მათ მთავარს, რომელიც ივან გროზნის სიმამრი იყო, დასჭირდა თხოვნით მიემართა თავის სიძისათვის, რუსეთის ხელმწიფისათვის. ივან გროზნიმ მას მეთოფეთა რაზმი გაუგზავნა. იმის გამოც, რომ ახალი შემოღებული იყო ეს ცეცხლსასროლი იარაღი, რუს-ჩერქეზთა გაერთიანებულმა ჯარმა შეძლო გადაეწვა 150 სვანური სოფელი ჩრდილოეთ კავკასიისა, ამის შედეგად სვანების განსახლების არეალი ჩრდილოეთ კავკასიაში მკვეთრად შემცირდა, მიუხედავად, ამისა, ადგილზე დარჩენილა სვანთა ისეთი დიდი რაოდენობა, რომ ადიღეური ენის ადგილობრივ დიალექტში შევიდა მრავალი სვანური (საერთოდ ქართული ფუძის მქონე) სიტყვა – სასოფლო-სამეურნეო, სოციალური, სამოხელეო და საეკლესიო ტერმინი.

ეს იყო ერთ-ერთი პირველი შემოტევა, ამის შემდეგ სვანების წინააღმდეგ იბრძოდნენ ძირითადად თურქულენოვანი ტომები (მე-17, მე-18 სს.) და ესახლებოდნენ მათ მიწებზე, ჩრდილოკავკასიის სვანური მოსახლეობის ნაწილი მათ განერიდა, გადმოსახლდა საქართველოს სვანეთში, ადგილზე დარჩენილებს, რომელნიც მუსლიმანებად იქცნენ, ჯერ კიდევ ახსოვთ თავიანთი სვანური წარმოშობა.



„ბალყარუყ-ყალა“ სოფ. ზედა ჩეგემი (ელტი- «Балкару-кала» село верх. Чегеми უმე)



მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე

საქართველოს ეპლუსიის საკანონმდებლო კრებები

რუის-ურბნისის საეპლუსიო კრება
(1103-1104)

„ძეგლისწერა“ – რუის-ურბნისის
კრების კანონები

რუის-ურბნისის ცნობილ საეკლესიო კრებას მრავალი გამოკვლევა მიუძღვნეს გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერებმა. ივანე ჯავახიშვილის აზრით, იგი „ჩვეულებრივი, მორიგი კრება კი არა, არამედ საგანგებო და განსაკუთრებული ყრილობა ყოფილა“ (ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. VI, 1982, გვ. 54)

უნდა აღინიშნოს, რომ ე. გაბიძაშვილი კრების მოწვევის თარიღად მიიჩნევს 1105 წელს. (ე. გაბიძაშვილი, რუის-ურბნისის საეკლესიო კრება, ჯვარი ვაზისა, 1989, №1, გვ. 58)

ტრადიციული თვალსაზრისით, ეს კრება 1103 წელს მოიწვია დავით აღმაშენებელმა. რ. მეტრეველის მიხედვით, კრება მოწვეულ იქნა 1104 წელს. (ქსე, 8, გვ. 468)

1103 წლით კრების დათარიღებას ხელს თითქოსდა ის უშლის, რომ კრების ძეგლისწერა ასეა დასათაურებული: „ძეგლისწერა წმიდისა და ღმრთივშეკრებულისა კრებისა“, რომელი შემოკრება ბრძანებითა კეთილად მსახურისა და ღმრთივ დაცვულისა მეფისა ჩუენისა დავით აფხაზთა და ქართველთა, რანთა და კახთა მეფისაათა, პირთათუს, რომელნი ქუემო მოჰსენებულ არიან“. დიდი სჯულისკანონი“, 1975, გვ. 543) მიღებული თვალსაზრისით კი, 1103 წლისათვის კახეთ-ჰერეთი

მეფეს მიერთებული არ ჰქონდა, მაშასადამე, არც შესაბამისი ტიტული გააჩნდა, მაგრამ ამ ძეგლისწერის დასათაურება შეიძლება გვიანი პერიოდის იყოს. საერთოდ კი, კ. კეკელიძის აზრით, „ძეგლისწერა“ მეტად საყურადღებო ნაშთია ქართული იურიდიული მწერლობისა და არა მარტო ქართულის, არამედ საზოგადოებისა, რამდენადაც იმაში აღიბეჭდა საზოგადო საეკლესიო-იურიდიული ნორმები“. (კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, 1980, ტ.1, გვ. 571)

ძეგლისწერა იწყება საღვთისმეტყველო ვრცელი შესავლით. საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების შესახებ მასში გადმოცემულია ფუნდამენტური თვალსაზრისი, რომ ანდრია მოციქულმა მხოლოდ დასავლეთ, ანდა სამხრეთ საქართველოში კი არ იქადაგა, არამედ „მთელ საქართველოში“ და მის დროს არა ქართველთა ერთმა ჯგუფმა მიიღო ქრისტიანობა ქვეყნის რომელიმე კუთხეში – არამედ მთელი ქართველი ერის უმეტესობამ. II-III სს-ში ქრისტიანობა იღვენებოდა და ქრისტიანთა რიცხვიც შემცირდა, ამიტომაც საჭირო შეიქნა წმიდანინოს ქადაგება, სამეფო სახლის მოქცევა. ძეგლისწერა ყურადღებას მიაპყრობს, რომ წმ. ნინომ მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველო კი არ გაანათლა, არამედ



სრულიად საქართველო, მთელი ქართველი ერი. თუ რაოდენ დიდმნიშვნელოვანია ასეთი თვალსაზრისი, იქიდანაც ჩანს, რომ დღესაც კი წმ. ნინოს აღმოსავლეთ საქართველოში მოღვაწედ და მეფე მირიანს აღმოსავლეთ საქართველოს მეფედ მიიხნევენ, ძეგლისწერის მიხედვით კი მეფე მირიანი სრულიად საქართველოს მეფე იყო და მის დროს როგორც დასავლეთმა, ისე აღმოსავლეთ საქართველომ ერთდროულად მიიღო ქრისტიანობა. ასე რომ, XI-XII სს-თა საქართველოში ეროვნული თვითშემეცნება, ერისა და ქვეყნის სულიერი მთლიანობის შეგნება გაცილებით უფრო მაღალ დონეზე იდგა, ვიდრე შემდგომ, დღევანდელ დღემდე. შესაბამისი ტექსტი ასეთია: „...პირველწოდებული ანდრია, ძმა თავისა მოციქულთაჲსა პეტრესი, ვიდრე ჩვენდამდეცა მოიწია და იქადაგა საცხოვრებელი ქადაგება სახარებისა ყოველსა ქვეყანასა საქართველოჲსასა და ურიცხვნი სიმრავლენი ერთანი განაშორა საცდურისაგან... უმრავლესმან ერმან ქართლისამან სიმრავლესა შინა ჟამისასა დაივიწყა ქადაგებაჲ იგი მოციქულთაჲ და საცდურისავე მიმართ კერპთაჲსა მიაქცია“. (დიდი სჯულისკანონი, 1975, გვ. 545) ამიტომაც, ღმერთმა მოგვივლინა წმიდა ნინო, რომელმაც „სარწმუნოებასა მიმართ თვისსა მიიზიდა ყოველი საჯსება ყოვლისა ქართველთა ნათესავისაჲ“. (იქვე გვ. 546) მის ქადაგებათა შემდგომ ქართველთა მეფემ მირიანმა კონსტანტინე დიდის ნებით მცხეთაში ჩამოიყვანა ანტიოქიელი პატრიარქი ევსტათი: „წმიდათა მიერ ხელთა მისთა ნათელ-ილო მან და ყოველმან ერმან ქართლისამან“. (იქვე, გვ. 546)

როგორც აღვნიშნეთ, ტექსტში ხაზგასმულია მთელი ქართველი ერისა და მთელი საქართველოს ერთდროული გაქრისტიანება შავი ზღვიდან სომხეთ-ალბანეთამდე. აღსანიშნავია, რომ ეს წყარო „საქართველოს“ უწოდებს მთელ ქართველთა ქვეყანას, როგორც მოციქულთა, ისე წმ. ნინოს დროს. ამჟამად კი ზოგიერთი მკვლევარი კრძალავს სიტყვა „საქართველოს“ მოხსენიებას XI ს-მდე. მათი

მტკიცებით, ეს ტერმინი თითქოსდა მხოლოდ XI ს-ში გაჩნდა და ამიტომაც მხოლოდ მის შემდეგ უნდა იქნეს გამოყენებული ისტორიული ფაქტების გადმოცემისას. როგორც აღინიშნა, რუის-ურბნისის ძეგლისწერა მოციქულთა და წმ. ნინოს დროინდელ ქართველთა ქვეყანას როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ ნაწილებს „საქართველოს“ უწოდებს. ამიტომაც ჩვენთვის სწორედ ძეგლისწერის მიდგომა უნდა იყოს არსებითი და არა აღნიშნული მკვლევარებისა, ამიტომაც „საქართველო“ უნდა ვუწოდოთ ქართველთა ქვეყანას XI ს-მდეც.

აღსანიშნავია მეორე ტერმინოლოგიური მიდგომაც. ამჟამად მიხნეულია, რომ ქართული ეკლესიის მეთაურს „კათოლიკოსი“ უწოდებდა V ს-ის შემდეგ და ამ სიტყვასთან აკავშირებენ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის მოპოვებას, მაგრამ რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერა „კათალიკოსს“ უწოდებს ქართული ეკლესიის პირველივე მეთაურს IV ს-ში. ანტიოქიელმა ევსტათიმ პირველი ქართული ეკლესიის აშენების შემდეგ, „ხელდასხმულყო მას შინა მათთვის ეპისკოპოსი-კათოლიკოსი“. (დიდი სჯულისკანონი) ასევე ეფრემ მცირეც „კათალიკოსს“ უწოდებს ქართული

ეკლესიის პირველ მეთაურს IV ს-ში. მართლაც, IV ს-ში ქრისტიანობის სახელმწიფოებრივი აღიარება და მთელი ქვეყნის მომცველი ქართული ეკლესიის ორგანიზება, მისი მკაცრი იერარქიული სტრუქტურიდან გამომდინარე, სწორედ იმას გულისხმობდა, რომ მეფის ქალაქში მჯდომი ეპისკოპოსი იქცა ქვეყნის საყოველთაო იერარქად, საყოველთაო ეპისკოპოსად, რომელსაც უნდა დაქვემდებარებოდნენ ქვეყნის პროვინციათა ეპისკოპოსები. „კათალიკოსი“ სწორედ საყოველთაო ეპისკოპოსს ერქვა ბერძნულად, ამიტომაც თუკი ქრისტიანობა ნამდვილად საერთო-სახალხო სარწმუნოებად იქცა IV ს-ში და იმავე დროს ორგანიზებულ იქნა ქართული ეკლესია, მის პირველ მღვდელმთავარს საყოველთაო სასულიერო ძალაუფლება უნდა გაეგრძელებინა კიდევ მთელ ქვეყანაზე. ქართული ეკლესიის მეთაურის



დადგენის ცნობის მოწოდების შემდეგ, „ძეგლისწერა“ ეხება მსოფლიო კრებათა კანონებს, გადმოსცე მს მათ და აგრეთვე ეკლესიის წმიდა მამათა მიერ გამოცემულ კანონებსაც. კერძოდ, რუის-ურბნისის კრება აღიარებს შვიდი მსოფლიო კრების, ადგილობრივი კრებებისა და მამათა მიერ მოცემულ კანონებს, „ეს არის წმიდა და საეკლესიო კანონთა კრებული, დაბეჭდილი და შენახული ყოველგვარი შემატებისა და მოკლების გარეშე. ამათი ცოდნა, მიყოლა და მტკიცედ პერობა მართებს ყველა ქრისტიანულ მადიდებლობის წინ ამძღვარ მღვდელმთავარს, მღვდლებსა და დიაკვნებს, ჩვენ შორის მოძღვრად სახელდებულ მონაზვნებს და მთლიანად და სრულიად მართლმადიდებელთ ეკლესიას“. (დიდი სჯულისკანონი, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1987, გვ. 466.)

ამის შემდეგ „ძეგლისწერა“ გადმოსცემს მაცხოვრის ქვეყნად მოსვლის მიზეზებსა და. მნიშვნელობას, თუ როგორ „მოგვეცა პირველად ბუნებითი და მერმე დაწერილი რჯული“. აღწერს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს „ქრისტესმოყვარე ერის სასულიერო დასთან ერთხმობას“, რომ „ამისთვის იქნა ქრისტესმოყვარე და ღვთივდაცული მეფეების მიერ ღვთისმოყვარე ეპისკოპოსების და ღვთის სათნომყოფელი მამების კრებების მოწვევა დროდადრო, რომ საქმით სრულყოფილი სარწმუნოებით ღმერთთან შეაერთონ ქრისტიანები“ რომ მათი მაგალითისამებრ დავით აღმაშენებელმა გადაწყვიტა მოეწვია საეკლესიო კრება. იქვე კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღინიშნა, რომ კრება სარწმუნოებრივი საკითხების განხილვას არ ეძღვნებოდა, რადგანაც ქართველთა სარწმუნოება უბიწო იყო წარსულში და არც არასოდეს რაიმე ბიწი არ შეხებია. მაშასადამე, კრება შედგა საეკლესიო ტრადიციის შესაბამისად, როგორც წარსულში ღვთისმოყვარე მეფეები იწვევდნენ კრებებს.

„ამიტომ შეიკრიბა ღვთისმოყვარე ეპისკოპოსთა, პატროსან მღვდელთა, ღირს დიაკვნთა, ქრისტესმოყვარე მონაზონთა, დაყუდებულთა და მეუდაბნოეთა კრება ქართლის მიდამოებში, ორ ახლოს მდე-

ბარე საეპისკოპოსოში რუისსა და ურბნისში. ქართველთა უბიწო სარწმუნოებას რაიმე ბიწი არ შეხებია, ეს ღმერთმა ნუ ქნას! არ გეცრუნებით შენ, ჩვენი სიწმიდით მშობელო წმიდა კათოლიკე ეკლესიავე, არცა გაგცემთ შენ ჩვენო სიამაყევ – მართლმადიდებლობავე, რომლისათვისაც არადით, და რისი მოწმეც ჭეშმარიტებაა. ეს შეკრება მოხდა სხვა, საეკლესიო, სამღვდელო და საქრისტიანო საკითხების ძიებისათვის“. (იქვე გვ. 467 კანონი გვ. 467)

„არა გეცრუნებით შენ, სიწმიდით მშობელო ჩვენო კათოლიკე ეკლესიაო, არცა განგცემთ შენ, სიქადულო ჩვენო მართლმადიდებლობაო“. (486 „დიდი სჯულისკანონი“, 1975, გვ. 549) კრებას თავმჯდომარეობდა „ყოვლისა საქართველოდსა დიდი მამამთავარი (ე.ი. პატრიარქი) ყოვლად ღირსი მთავარეპისკოპოსი-კათალიკოსი“ იოანე, ე.ი. იოანე იყო პატრიარქი (მამამთავარი), კათალიკოსი და მთავარეპისკოპოსი.

კრებამ თავის მიერ გამოცემული კანონების 1-ლი მუხლით განკვეთა უღირსი ეპისკოპოსები, რომლებიც „ღირსეულად ვერ ატარებდნენ მღვდელმთავრის პატივს“. ისინი კრებას არც წყევლით „შეუკრავს“ და არც შეუხვეწებია, არამედ მისცა ერისკაცებთან ერთად ზიარების ნება. ისინი უნდა ყოფილიყვნენ მეფის მოწინააღმდეგე ეპისკოპოსები. მათ ნაცვლად შეირჩნენ სხვები – „ასაკითაც და საქმითაც სარწმუნონი“.

კრების კანონების მე-2 მუხლიც ეპისკოპოსთა ასაკს შეეხება, რომ არაა საჭირო მათი კურთხევის დროს სულმოკლეობა და აჩქარება. დადგინდა: ეპისკოპოსი ხელდასხმულ იქნეს 35 წლისა, მღვდელი 30 წლისა, დიაკვანი 25 წლისა, წიგნისმკითხველი 8 წლისა (ე. გაბიძაშვილის მიხედვით არა 8, არამედ 18 წლისა).

მე-3 მუხლით აიკრძალა უწესობა, როცა ვინმე ერთსა და იმავე დღეს იღებდა ხელდასხმას წიგნისმკითხველად, იპოლიაკვნად, დიაკვნად და ეპისკოპოსადაც. თუ რაიმე საჭირო მიზეზი არ არის ასაჩქარებლად, კანდიდატებმა „წელი და



წლები უნდა დაყონ თითოეულ ხარისხში, უფრო მეტად დიაკნობაში“.*

მე-4 მუხლით ეკლესიებში გამოსაყენებლად დაკანონდა გიორგი მთაწმიდელის მიერ თარგმნილი „დიდი კურთხევანი“.

მე-5 მუხლით აიკრძალა მექრთამეობა ხელდასხმისას (სიმონია). დამნაშავე განიკვეთებოდა.

მე-6 მუხლით აიკრძალა ნივთების, სიწმიდეთა ჭურჭლის, ეკლესიის ქონებისა და ოქრო-ვერცხლის მოხმარება რაიმე საქმისათვის, „ტყვეთა გამოსახსნელადაც კი“.

მე-7 მუხლით აიკრძალა ეკლესიის გარეთ ნათლისცემა, ქორწინება, მონ აზუნად აღკვეცვა და სხვ.

მე-8 მუხლით გვირგვინის პირველად და მეორედ კურთხევის ჟამს ნეფე-დელოფლის ზიარების ნება გაიცა.

მე-9 მუხლით განისაზღვრა, რომ მეორედ გვირგვინის კურთხევის შემდეგ მღვდელი არ უნდა მისულიყო ქორწილის სუფრაზე. მეორედ ჯვრისწერა ნებადართული იყო, მაგრამ ეკლესიისათვის არ იყო სათნო.

მე-10 მუხლით დადგინდა აკრძალვა ჩვილი ბავშვების ჯვრისწერისა, მაგრამ მათ მშობლებს ნება მიეცათ ჩვილი ქალვაჟის დანიშნისა. სრულწლოვანების მიღების შემდეგ კი ნება ეძლეოდათ ჯვრისწერისა, ამ დროს ქალი არ უნდა ყოფილიყო 12 წელზე უმცროსი.

მე-11 მუხლი ეხებოდა ქორეპისკოპოსებს. ისინი სჯულის და წიგნის მცოდნენი და უანგარონი უნდა ყოფილიყვნენ. შენიშვნა: მუხლებს ვიხილავთ

ე. გაბიძაშვილის დაყოფის მიხედვით

მე-12 მუხლით შემცირდა მონასტრებში ე.წ. „მოძღვრების“ რიცხვი (ესენი იყვნენ „რჯულის მცოდნენი“, „მერჩულენი“), მათი სიმრავლე იყო „მრავალი შფოთისა და განხეთქილების მიზეზი“ მონასტერში მხოლოდ ერთი მოძღვარი (დიდში კი შეიძლება ორიც) უნდა ყოფილიყო (იქამდე ერთ მონასტერში 5-დან 30-მდე იყვნენ).

მე-13 მუხლით აიკრძალა მონასტრებში ვაჭრობა, ე.ი. ერის სავაჭრო შეკრება.

მე-14 მუხლით დადგინდა: „ერთ საკურთხეველთან ერთი და იმავე შესაწირავის შეწირვით მრავალი სულისათვის მრავალი მღვდლის მიერ ჟამისწირვა წესი არ არის და უკუგდებულია“. (დიდი სჯულისკანონი, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 1987, გვ.471;) დადგინდა, რომ წირვა დაყენებულიყო არა ერთი რომელიმე პირისათვის, არამედ ყველა ქრისტიანისათვის. ერთი კაცისათვის (ცოცხლის ან მიცვალებულისათვის) წირვის დაყენება შეიძლებოდა მხოლოდ პატარა სამკვეთლოში ან ეგვტერში (ეკლესიის შტოში).

მე-15 მუხლით დადგინდა მართლმადიდებლობაში შესული ყოფილი მონოფიზიტის (ძველქართულით „ხაჩეცარის“) მონათვლა.

მე-16 მუხლით აიკრძალა მართლმადიდებლების ქორწინება არამართლმადიდებლებთან.

მე-17 მუხლში აღნიშნულია, რომ დიდკაცობაში შესულა ჩვევა „კიდის-კიდე“ ჯვრისწერისა, როცა ჯვრისწერის დროს სიძე სხვა ადგილას იყო, დედოფალი კი სხვა სოფელსა თუ ქალაქში. მათ ჯვარს წერდნენ ასეთი სახით: სიძესთან დგებოდა დედოფლის წარმომადგენელი მამაკაცი, ქალთან კი სიძის წარმომადგენელი მამაკაცი, რომელთაც ჯვარს წერდნენ. ჯვრისწერის ასეთი სახე, ივანე ჯავახიშვილის თანახმად, იმ დროისათვის მიღებული ყოფილა დასავლეთ ევროპაში. ქართულმა ეკლესიამ იგი აკრძალა განკანონებით.

მე-18 მუხლში ნათქვამია, რომ სოლომელთა ცოდვამ დაამხო სპარსთა, მიდიელთა, სომეხთა და სხვა სამეფოები. „არ ვიცით როგორ შემოაღწია ამ უკეთურებამ ქრისტეს მოღვაწედ სახელდებულ ერში“, ე.ი. საქართველოში. მუხლში აღინიშნა, რომ ამ ცოდვის მქნელნი „არ დაიმკვიდრებენ კურთხევას“.

მე-19 მუხლი მიმართულია ხატების თაყვანისცემის უარყოფელთა წინააღმდეგ: „ცხადია, ღვთის ხატის თაყვანისმცემელი ღმერთს სცემს თაყვანს მისი საშუალებით და ღვთის ხატის მაგინებელი ღმერთს აგინებს უჭკველად, როგორც



წერს ამას წმიდათა შორის დიდი ბასილი“ (იქვე გვ.474; ხატებრძოლი განკვეთით დაისჯებოდა.

კრების მდივანი ყოფილა „მეფე დავითის მონაზონი არსენი“, რომელმაც, ჩანს, კრების ოქმი მიართვა მეფეს შესაბამისი მიძღვნით, რაც თან ახლავს „ძეგლისწერას“. კრებამ მრავალჯამიერი სიცოცხლე უსურვა მეფე-დედოფლებსა და ეკლესიის მეთაურებს, საუკუნო ხსენება უსურვა ღირს საეკლესიო მოღვაწეებს.

რუის-ურბნისის კრება გვაძლევს მსოფლიო და ადგილობრივ კრებათა შემდეგ ჩამონათვალს:

I. „მეფემან კოსტანტინე შეკრიბა პირველი და მსოფლიო წმიდა კრება ნიკეას სამასათრვა მეტა წმიდათა მამათანი, რომელთა დასხნეს კანონნი რიცხვთ ოცნი“. (დიდი სჯულისკანონი“, 1975, გვ.546.)

II. „მეორე წმიდა და მსოფლიო კრება კოსტანტინოპოლის ასერგასისთა წმიდათა მამათა, რომელთა კანონნი არიან რიცხვთ შვიდ“. (დიდი სჯულისკანონი“, 1975, გვ.546)

III. „მესამე ეფესოსა წმიდა და მსოფლიო კრება მცირისა თევდოსის მეფისა მიერ შეკრებული, რომელმან დასხნა კანონნი რვანი“. (დიდი სჯულისკანონი“, 1975, გვ.546.)

IV. „მეოთხე ხალკიდონს ექვსას ოცდაათთა წმიდათა მამათა მსოფლიო კრებად კეთილად მსახურისა მარკიანე მეფისა მიერ შემოკრებული და განმავსებელი კანონთა რიცხვთ ოცდარვათა“ (დიდი სჯულისკანონი“, 1975, გვ.546.)

V. „მეხუთემან წმიდამან და მსოფლიომან კოსტანტინოპოლის შეკრებულმან კრებამან მცირედ იზრუნა საეკლესიოთა კანონთა განწესებისათჳს“. (დიდი სჯულისკანონი“, 1975, გვ.546.)

VI. „მეექუსემან წმიდამან და მსოფლიომან კრებამან იუსტინიანეს ზე კეთილად მსახურისა მეფისა გუმბადსა შინა სამეუფოსა პალატისასა შეკრებულმან ადავსო დაკლებული მისი... დასხნა კანონნი რიცხვთ ას და ორნი, კუალად ნიკიისა მეორემან წმიდამან კრებამან

დასხნა კანონნი ათ რვა მეტნი“. (დიდი სჯულისკანონი“, 1975, გვ. 546.)

VII. „წმიდასა და მეშვიდესა წმიდათა ხატოათვის შეკრებულსა მსოფლიოსა კრებასა განუწესებთან კანონნი რიცხვთ სამნი ოდენ. (იქვე გვ. 547;)

რუის-ურბნისის კრება აღნიშნულთა გარდა ჩამოთვლის შემდეგ „ადგილობით“ კრებებს I მსოფლიო კრებამდე: – „პირველი ანკურიას, რომელსა დაესხნეს კანონნი ოცდაოთხნი“ (დიდი სჯულისკანონი, 1975, გვ. 546) „მეორე ნეოკესარიას, დამსხმელი კანონთა ათოთხმეტა. (დიდი სჯულისკანონი, 1975, გვ.546)

I მსოფლიო კრების შემდეგ „ადგილობითი კრებანი“: – „ღანგრისა, რომლისა კანონნი არიან ოც“; „ანტიოქიისა, დამსხმელი კანონთა ოცდახუთთა“; (დიდი სჯულისკანონი, 1975, გვ.546) „ლაოდიკიისა, ფრიგვიისა და კანონნი მისნი ოცდაერთნი“. (დიდი სჯულისკანონი, 1975, გვ. 546;)

IV მსოფლიო კრების შემდეგ „ადგილობითი კრება“: – „კართაგენისა და კანონნი მისნი ასოცდატარვამეტნი“. (დიდი სჯულისკანონი, 1975, გვ.546;)

„გუმბადის“ (ტრულის) კრების შემდეგ: – „არიან სხუანიცა ორნი მასვე სამეუფოსა ქალაქსა ეკლესიასა შინა წმიდათა და ყოვლად ქებულთა მოციქულთასა შეკრებულნი კრებანი, რომელთა განუწინიან კანონნი რიცხვთ ათშვიდმეტნი“. (იქვე გვ. 547)

მსოფლიო კრებათა კანონების შემდეგ რუის-ურბნისის კრება ჩამოთვლის „მამათა მიერ განწესებულ“ კანონებს:

1. „დიონ სიოს ალექსანდრიელ მთავარეპისკოპოსისა კანონნი ოთხნი“;

2. „პეტრე ალექსანდრიელთა მღვდელთმთავრისა და მოწამისა კანონნი ათხუთ მეტნი“;

3. „გრიგოლი ეპისკოპოსისა ნეოკესარიელისა საკვირველთმოქმედისა ეპისტოლე კანონიანი“;

4. „დიდისა ბასილის კანონნი ოთხმეოცდახუთნი“, მისივე „კანონიანი ეპისტოლეები“: დიოდორეს, გრიგოლ ხუცის, „ხორეპისკოპოსთა“, „მის ქუეშეთა ეპისკოპოსთა“, „ამფილოქეს მიმართ“;



5. „გრიგოლი ნოსელისა კანონნი რვანი“;
6. ტიმოთე ალექსანდრიელისა კანონნი ათხუთმეტი;
7. ფილოთეოს ალექსანდრიელის სიტყვა, 10 კანონი, 3 ეპისტოლე;
8. კირილე ალექსანდრიელი მთავარ-ეპისკოპოსის 7 კანონი;
9. წმ. გენადი კონსტანტინოპოლელი პატრიარქის ეპისტოლე. (იქვე გვ. 547)

„ძეგლისწერა“ – რუის-ურბნისის კრების კანონები

[ძეგლისწერა რუის-ურბნისის კრებისად] [1103 წ.]

ძეგლისწერად წმიდისა და ღმრთივ შეკრებულისა კრებისად, რომელი შემოკრება ბრძანებითა კეთილად მსახურისა და ღმრთივ-დაცვულისა მეფისა ჩუენისა დავით აფხაზთა და ქართველთა, რანთა და კახთა მეფისასა, პირთათვის რომელნი ქუემო მოვსენებულ არიან.

[სრული ტექსტი]

ყოვლისავე ხილულისა და უხილავისა სოფლისა და ყოველთავე საცნაურთა და გრძნობადთა ბუნებათა არაარსისაგან არსებად მომყვანებულმან ღმერთმან უხილავთა მათ და ზესთა სოფლისათა ძალთა ბუნებად უკუდავებითა და უხრწნელებითა შეამკო; ხოლო ქუენადსა ამის სოფლისაგანნი ყოველნი ქმნისა და ხრწნილებისა შორის განაწესნა.

ამისსა შემდგომად მოიგონა ახალი რადმე და უცხო დაბადებული, რომელსა თუთ მის თავადისაცა დამბადებელისა, და სიტყვერისა და პირუტყვისა და ყოვლისავე აგებულისა ბუნებისა ზიარება თავსა შორის თვისსა მოაქუნდეს. და მის მიერ, ვითარცა საზოგადოდსა საკრველისა მიერ, შეერთებად ღმრთისა შემოკრებოდინ ყოველნი დაბადებულნი; და თანად ხუთნივე

სახენი ყოველთა არსთა განყოფილებიანი დაიკვნებოდინ; რომელი ვითარცა მეორე რადმე სოფელი მცირე დიდსა შინა, ანუ დიდი მცირესა შინა, დაადგინა ქუეყანასა ზედა, ღმრთივ შუენიერი იგი და დიდებული სამოთხე დაასხა აღმოსავალსა ედემისასა.

გარნა ვინადგან მან ნივთად თუთმფლობელისა მიცემული მისდა სჯული წინაუკუმოდ საღმრთოთსა ნებისა იკუმია, და შურითა ეშმაკისადათა და განმცდელობითა დედაკაცისადათა ცდომილი ძელისა მისგან ცხორებისა და სამოთხისა და ღმრთისა სიბოროტისათვის ექსორია იქმნა და სიკუდილითა და ხრწნილებითა დასჯილი, ბევრეულთა ვნებათა და ძურთა მიერ უფლებულ იქმნა.

რამეთუ პირველად სისხლთა მიერ ძმისათა მეწამულ მყოფელმან კვლთამან კაინ კუალად მეორისა ღმრთისა მიერისა წყევლისა თანამდებ ყო ქუეყანად.

მერმე სიბოროტემან გმირთამან შენანებად არწმუნა დამბადებელსა უცხოთსა მის ცხოველისა კაცისა ესოდენ საკვირველებით დაბადებისად; და წყლითა რღუნისადათა აღკოცა ყოვლისა აღმდგომისა პირისაგან მიწისა.

ამისსა შემდგომად, სიღალითმან კვლყოფამან გოდლის მაშენებელთამან, შერევნითა ენათადათა და მიმოდაყოფითა ნათესავთადათა, მეოთხედ დასაჯა ნათესავი კაცთადა.

ხოლო გამოჩინებამან კერპთა სიბოროტილისამან და ნაცვალად დამბადებელისა მსახურებამან დაბადებულისამან სრულიად განაშორა და უცხო ყო კაცი შემოქმედისა ღმრთისაგან.

მერმე დადადებამან სოდომელთა სიბილწით სლვისამან წუნწუბასა თანა აღრეულითა ცეცხლითა მოწუვად აიძულა სოფლები ხუთქალაქისადა.

კუალად გულფიცხელობასა ფარაოდსასა და უსახურებასა მეგვრტელთასა უცხოთა მძლავრებათათვის უცხო მიეგო მისაგებელი, და გუამთა მათთა – უცხოდ დამმარხველი საფლავები.

ამისსა შემდგომად დიდი მოსე, შჯული, მღღელობად, მსხუერპლნი, სალხინე



ბელნი თითო სახენი, მსაჯულნი, მეფობა, წინასწარმეტყუელება, ყოფადთა წინადასწარი ცნობა, სახის შეცვალეებითი ღმრთის გამოცხადებანი.

მერმეცა კუალად კერპთმსახურებად, თუთ მის მოსეს მიერ ეგუპტით გამოყვანებულისა და სჯულდებულისა, და ესოდენტა პატივთა ღირს-ქმნულისა, და პირმშოდ ძედ აღსარებულისა ერისა.

ამისსა შემდგომად კუალად მძლავრებად, კუალად ტყუეობად მრავალგზის მრავალთა ნათესავთა, და უკუანადაცნელ ბაბილოვნელთა მიერი, რომელთა მეფისა ღმრთის წინა-აღმდგომსა მოგონებასა საქმით ამხილეს სამთა მათ ჭაბუკთა ისრაიტელთა, რაჟამს საკრველთა რკინისათა განმღვეველმან საკუმბილმან შეუხებლად დაიცვნა მათნი ადვილად განსალევენელი თმანი და შესამოსელნი, მერმეცა კუალად ქალაქი და ტაძარი, კუალად სჯული და მდღელობად.

და რაოდენნი რად იყვნეს სჯულისანი, და საკრველისა მის სჯულიერისა მსახურებისანი, გარნა ვერცა ერთი რა პირველ თქუშულთა ამათგანი დშემძლებელ იქმნა კურნებად ბუნებისა, გინათუ მტანჯველობითა და საშინელებათა, ანუ ქველის-მოქმედებითა სიტკბოებათაგანი, რომელთა თანა სჯულნიცა უქმ იყვნეს, ბუნებითსა ვიტყვ და დაწერილსა, და უძლიერესი საკმარ იყო წამალი საღმობათათვს უბოროტესთა.

ამისთვს, თუთ გუამოვანი იგი სიბრძნე და ძალი და თანა-არსი ღმრთისა მამისა სიტყუად, რომელი დასაბამად იყო, და ღმრთისა თანა იყო, და მარადის იყო, მოვიდა ხატისა თვისისა და უხრწნელთა მათგან და ყოველად უბიწოთა სისხლთა ჭეშმარიტებით, და საკუთრად ღმრთის-მშობელისა მარადის ქალწულისათა ჯორცნი შეიმოსნა ჯორცთათვს, და სულსა გონიერსა და სიტყუერსა შეეზავა, სულისათვს ჩემისა მსგავსითა მსგავსსა განწმედად, რამეთუ მიუღებელი უკურნებელცა არს. და თვისისა ქმნულისა წილ თუთ მითუადა ბრძოლად.

და ესრეთ, ყოველივე ორცთა მიერი განგებულებად, ჯუარისა თანა ვნებათა, საფლავსა და ღმრთივ-შუენიერსა აღდგო-

მასა, სრულ ყო რად, ქუეყანასა ზედა დიდებით აღმავალმან ზეცად, წარავლინნა ათორმეტნი მოწაფენი თვისნი, რომელთაცა მოციქულად უწოდა, რადთა ღმრთის მეცნიერებისა ნათლითა, ყოვლით კერძო სოფლისადთ განჯადონ ბნელი უღმრთოებისად, და, სახელისა მიმართ წმიდისა სამებისა ნათლის-ცემითა, ასწონ თაყუანისცემად თანა-არსისა ერთ ღმრთეებისად, და, დამარხვითა საცხორებელთა მცნებათადთა, კუალად აგნენ კაცნი პირველსავე ნეტარებითსა დიდებასა.

ესენი, ვითარცა შარავანდენი მზისა მის სიმართლისანი, განეფინეს რაკიდეთა ქუეყანისათა, ყოველი ნივთი კერპბორგნეულისა უღმრთოებისად მახვლითა სულისადთა მოჭრეს და ცეცხლითა სარწმუნეობისადთა მოწუეს; და ერქუნითა ჯუარისადთა მოიორნატნეს გულნი შემწყნარებელთა კაცთანი.

და დასთესეს მათ შორის თესლი კეთილად მსახურისა სარწმუნოებისად და მხოლოდსა და ჭეშმარიტისა ღმრთისა მსახურებითი თაყუანისცემად; მრავალთა და სიცრუვით მოპოვნებულთა ღმერთთა წილ ღმრთივ-შუენიერებით ასწავეს; და საკერპოთა მათ წილ ტაძართა და ბომონთა, სიმრავლენი ეკლესიათა და საკურთხეველთანი აღუმართნეს ღმერთსა, ყოვლით კერძო ქუეყანისადთ.

და სიძულილი სოფლისად და მტერობად ჯორცთა რწმუნებით ასწავეს მათ, რომელთა-იგი ღმრთად შეერაცხა სოფელი და ჯორციელთა გემოთა მძლავრებისადა მონად მიეცნეს თავნი; და განცოფებული იგი სიბრძნე ელლენებრისა სინქურისა ვიეთისადმე, სიმარტივითა ღმრთივ-სწავლულისა მათდა სიბრძნისადთა, რომლისათვს იგი პავლეს ჰბასრობდეს ათინელნი, ყოველად სიბრძნით მხილებულყვეს, და არცა ერთისა სიტყუსა, ღირსად გამოაჩინნეს მათნი იგი ზღაპართ-მწერლობითნი ჯელოვნებანი.

და დიდისა კლიმენტოსის მიერ დასხნეს კანონნი საეკლესიონი, რიცხვით ოთხმოცდახუთნი.

რომელთაგანი ერთი, პირველ-წოდებული ანდრია, ძმად თავისა მოციქულთადასა პეტრესი, ვიდრე ჩუენდამდეცა მოი-



წია და ქადაგა საცხორებელი ქადაგებად სახარებისად ყოველსა ქუეყანასა საქართველოდსასა; და ურიცხვნი სიმრავლენი ერთანი განაშორნა საცთურისაგან მრჩობლ ეშმაკეულებისა; და ერთისა ღმრთისა და ქრისტეს მისისა თანაარსით მათით სულითურთ რწმუნებით თაყუანისცემადა ასწავა; დაღათუ უმრავლესმან ერმან ქართლისამან სიმრავლესა შინა ჟამისასა დაივიწყა ქადაგებად იგი მოციქულისა. და საცთურისავე მიმართ კერპთადასა მიაქცია.

ამათისა ქადაგებისა ნაყოფად აღმოცენნეს ყოვლით კერპო ყოვლისა სოფლისადათ სიმრავლენი ღუაწლისა დამდებელისა ქრისტეს სიკუდილსა მიმსგავსებულთა წმიდათა მოწამეთანი; ვინადათგან სამასნი, მცირედთა სხუათა თანა, ვიდრე მეფედ ქადაგებამდე დიდისა კოსტანტინესსა შორის გარდაკდეს წელიწადნი, რომელი-იგი პირველად ქრისტიანე იქმნა მეფეთა შორის და თვთ მოციქულ და ქადაგ საცხორებელისა ქადაგებისა, და ნათელსა თავისუფლებისასა მიმფენელ ქრისტიანეთა ღმრთივ-შუენერისა მოქალაქობისა.

ამისთავე უკუე ჟამთა სრულიად მომხედნა ჩუენცა აღმოსავალმან მალლით და დედაკაცისა ვისმე მიერ ტყუექმნულისა, რომელსა-იგი ნუნნად კაპადუკიულად აქა სადმე პოვნილნიცა ქადაგებენ წიგნნი საეკლესიოთა მოთხრობათანი; სარწმუნოებისა მიმართ თვისისა მიიზიდა ყოველი სავსებად ყოვლისა ქართველთა ნათესავისა, საკურველთ-მოქმედებითა ნიშებშემოსილთა სასწაულთადათა; რაჟამს იგი ქართველთა მეფემან მირიან, მეფეთა შორის დიდისა კოსტანტინესსა მივლინებითა და მისგან გამოთხოთა მეფობისა თვისისა, ქალაქად მცხეთად შთამოიყვანა ევსტათი დიდი – საყდრის მპყრობელი ანტიოქელთა ეკლესიისა.

და წმიდათა მიერ ჰველთა მისთა ნათელ-ილო მან და ყოველმან ერმან ქართლისამან, და თვთ პატრიაქთა შორის სახელგანთქმულმან ევსტათი ჰველითა თვისითა შთადგა საფუძველი მაშინ სადმე მცხეთას აღშენებულისა ეკლესიისა,

რომელიცა ფრიადისა თანა გულსმოდგინებისა განასრულეს რა მათ განწმედად იგი, და ჰველთდასხმულ ყო მას შინა მათოვს ეპისკოპოსი-კათოლიკოსი.

ამან საუკუნოდ ჰსენებულმან მეფემან კოსტანტინე შეკრიბა პირველი და მსოფლიო წმიდა კრება ნიკეას სამას ათრვამეტთა წმიდათა მამათადა, რომელთა დასხნეს კანონნი რიცხვთ ოცნი; რომლისა პირველად ქმნილ იყვნეს სხუანიცა ადგილობითნი კრებანი: პირველი ანკურიას, რომელსა დაესხნეს კანონნი ოცდაოთხნი; მეორე ნეოკესარიას, დამსხმელი კანონთა ათოთხმეტთა.

ხოლო შემდგომად დიდისა მის და მსოფლიოდა კრებისა სხუანიცა იქმნნეს ადგილობითნი კრებანი, ვითარ-იგი ღანგურისადა, რომლისა კანონნი არიან ოც; და კუალად ანტიოქიისადა, დამსხმელი კანონთა ოცდახუთთა; ამათანა ლაოდოკიისადა, ფრიგვიისადა, და კანონნი მისნი – ოცდაერთნი.

ამათსა შემდგომ მეორე წმიდა და მსოფლიო კრება – კოსტანტინოპოლის, ასერგასისთა წმიდათა მამათადა, რომელთა კანონნი არიან რიცხვთ შუდ.

მერმე მესამე – ეფესოდა წმიდადა და მსოფლიოდა კრებადა, მცირისა თევდოსის მეფისა მიერ შეკრებული, რომელმან დასხნა კანონნი რვანი.

მეოთხე – ხალკიდონს, ექუსას ოცდაათთა წმიდათა მამათა მსოფლიო კრებადა, კეთილად მსახურისა მარკიანე მეფისა მიერ შემოკრებული და განმარტებული კანონთა რიცხვთ ოცდარვათადა.

მერმე – ადგილობითი კრება კართაგენისადა, და კანონნი მისნი ას ოცდაათ-ვრამეტნი.

ხოლო მეხუთემან წმიდამან და მსოფლიომან კოსტანტინოპოლის შეკრებულმან კრებამან მცირედ იზრუნა საეკლესიოთა კანონთა განწმენისათვის.

არამედ მეექუსემან წმიდამან და მსოფლიომან კრებამან, იუსტინიანესზე, კეთილად მსახურისა მეფისა, გუმბადსა შინა სამეფუფოდა პალატისასა შეკრებულმან, აღავსო დაკლებული მისი, რამეთუ დასხნა კანონნი რიცხვთ ას და ორნი.



კუალად ნიკისა მეორემან წმიდამან კრებამან დასხნა კანონნი ათრვაშეტი.

ამისსა შემდგომად არიან სხუანიცა ორნი მასვე სამეფოსა ქალაქსა ეკლესიასა შინა წმიდათა და ყოვლად ქებულთა მოციქულთასა შეკრებულნი კრებანი, რომელთა განუჩენიან კანონნი, რიცხვთ ათშუდმეტი.

ხოლო წმიდასა და მეშუდესა წმიდათა ხატათვის შეკრებულსა მსოფლიოსა კრებასა განუწესებინ კანონნი, რიცხვთ სამნი ოდენ.

ამათა წმიდათა კრებათა მიერ განჩინებულთა კანონთა თანა არიან სხუანიცა თითოეულთა მამათა მიერ განწესებულნი და თანა აღრაცხულნი კანონნი:

დუონუსიოს აღექსანდრიელ მთავარ-ეპისკოპოსისა კანონნი ოთხნი;

პეტრე აღექსანდრიელთა მღვდელთ-მთავრისა და მოწამისა კანონნი ათხუთმეტი;

გრიგოლი ეპისკოპოსისა ნეოკესარიელისა საკრველთ-მოქმედისა ეპისტოლე კანონიანი;

დიდისა ბასილის კანონნი ოთხმოცდახუთნი;

მისივე ეპისტოლე კანონიანი, დიდორეს მიმართ;

მისივე ეპისტოლე კანონიანი, გრიგოლის მიმართ ხუცისა;

მისივე ეპისტოლე კანონიანი, ხორეპისკოპოსთა მიმართ;

მისივე ეპისტოლე კანონიანი მის ქუეშეთა ეპისკოპოსთა მიმართ;

მისივე, ამფილოქეს მიმართ სულისა წმიდისათვის მიწერილთა მათ თავთაგან;

გრიგოლი ნოსელისა კანონნი რვანი;

ტიმოთე აღექსანდრიელისა კანონნი ათხუთმეტი;

ფილოთეოს აღექსანდრიელისა კანონნი, ღმრთის გამოცხადებისათვის თქმულისაგან;

მისნივე სხუანი კანონნი ათნი;

მისივე ეპისტოლე, აფიგიონის მიმართ ეპისკოპოსისა;

მისივე ეპისტოლე, აგათონის მიმართ ეპისკოპოსისა;

მისივე ეპისტოლე მინაფს მიმართ ეპისკოპოსისა; კურილე აღექსანდრიელთა

მთავარ-ეპისკოპოსისა კანონნი შუდნი, გენნადი წმიდისა პატრიარქისა კოსტანტინეპოლელისა და მისთანა წმიდისა კრებისა ეპისტოლე, მიტროპოლიტთა მიმართ გარემოთა სამთავროთადასა.

ესე არიან შეკრებანი წმიდათა და საეკლესიოთა კანონთანი, დაბეჭდულნი და დამარხულნი, თვნიერ ყოვლისა შემატებისა და მოკლებისა, და ამათი მეცნიერება და შედგომა და მტკიცედ პყრობა უკმს ყოველთა წინამძღუართა ქრისტეანობითისა მადიდებლობისათა: მღვდელთ-მთავართა, და მღვდელთა, და დიაკონთა, და ჩუენ შორის მოძღურად სახელდებულთა მათცა მონაზონთა, და ერთბამად ყოველსა საესებასა მართლმადიდებელთა ეკლესიისასა.

ხოლო ჩუენ ესე ამისთვის მოვიტყვენით, რათა პირველითგან პირი სიტყვსა ჩუენისა განვმარტოთ.

ვინაფთგან დაჰბადა ღმერთმან დასაბამსა ხატებად და მსგავსებად თუსსა კაცი, ვითარცა პირველ ვიტყოდეთ, რათა მის მიერ, ვითარცა საზოგადოდსა საკრველისა მიერ, ხილულთა და უხილავთადასა, თავსა თუსსა შეაერთეს ყოველნი საცნაურნი და გრძნობადნი დაბადებულნი სათნოებით რად, საკუთარ ექმნას იგი შემოქმედსა თუსსა.

ხოლო იგი ეგვიტარისა მის მადლთა სიმდიდრისგან განშიშუელდა ცთომისა მის მიერ და განდგომილთა და რისხვეულთა მონათა მონება მოატყუათავსა, არამედ არა სახიერმანცა დამბადებელმან მისმან, რამეთუ ვითარცა თავსიდვა უგულუბელსყოფა ესოდენისა ჳელთა მისთა საქმისად, რომელ არს კაცი.

არამედ უკრწნელსა შინა საშოსა ყოვლად წმიდისა ღმრთის მშობელისა და მარადის ქალწულისასა არღარა პირველისაებრ იტყვსა მადლით, არამედ გუამოვნებით შეაერთა იგი თავსა თუსსა და ზესთა ბუნებისა განაღმრთო მის მიერ მიღებული იგი და მისთანა ერთგუამქმნილი კაცი.

და რომელი-იგი იყო პირმშო ყოვლისა აგებულისად, თავს იდვა პირმშო მრავალთა ძმათა შორის ყოფად, რადთა სახელისა მისისა მიმართ წოდებულნი და მადლით ძმად მისსა აღსაარებულნი, რო-



მელი-იგი ყრმათაცა ეზიარა ორციოთა და სისხლითა და გუამად ერთისა მის ყოველთა თავისა გამოჩინებულნი, მუნ აღმიყვანნეს კუალად განკორციელებითა თვისითა, სადა იგი თუთ არს თავი სასოებისა ჩუენისად; და თანა-მოქალაქე მყენეს წმიდათა და სახლეულ ღმრთისა, და სამკ დრებელად მისსა გამომაჩინნეს სულითა, რაჟამს თავისა მიმართ შემოკრბეს თითოეულეა ასოთა განყოფილებისა და თბისა მიმართ გარდაინივთოს ვითარებად ყოვლისა აღსუარულისა.

ვინადაცა ამისთვის მოგუეცნეს პირველად ბუნებითი და მერმე დაწერილი სჯული; ამისთვის იქმნა განკაცება ღმრთისად; ამისთვის ქალწულისაგან შობად, ბაგად, წარგრავნად, ანგელოზნი მადიდებელნი, ვარსკულავისა სრბად, მოგუთა ძღუნის-მომრთუმელობად, წინადაცუეთად, ნათლის-ღებად, ზეცით წამებად, განცდად, ქოლვა ჩუენთვის და ვნებანი უვნებელისანი, განცემად, შემსჭვალვად, დაფლვად, აღდგომად, აღსლვად ზეცად; ამისთვის – ქადაგებანი მოციქულთანი, სისხლნი მოწამეთანი, სწავლანი მოძღუართანი, ოფლნი ღირსთა მამათანი, გულს-მოდგინებანი კეთილად მსახურთა და მორწმუნეთა მეფეთანი, წადიერებანი ღმრთის-მოყუარეთა მთავართანი, კადნიერებანი ღმრთის-სახისა მღდელთ-მთავრობისა რწმუნებულთანი, წინამბრძოლისა თვისისა თანა სიმკნით თანა-მბრძოლებანი მღდელთა და სამღდელთანი, ცოდვისა მიმართ სიმკნით წინაგანწყობანი, ნიეთაგან განშიშულებულისა მონაზონთა დასისანი და მათთანა ერთ მობანი ქრისტეს მოყუარისა ერისანი.

ამისთვის იქმნნეს ქრისტეს-მოყუარეთა და ღმრთივ-დაცვულთა მეფეთა მიერ უამად-უამადნი კრებანი, ღმრთის-მოყუარეთა ეპისკოპოსთა და ღმრთისა სათნო-ყოფილთა მამათანი, რადთა საქმეთა მიერ განსრულებულითა სარწმუნოებითა შეაერთნეს ღმერთსა ქრისტეანენი.

რომელთასა კეთილად ებაძვა შურსა ჩუენიცა ესე გვრგვინოსანი, მრჩობლ-მარჯუენე და შეყუარებული, გვრგვინი თავისად და სასურველი ძე დავით; რომელი-

ეე ერთბამად მკნეცა არს და ბრძენ, მართალ და წმიდა, იგივე მყუდროცა და მშუდ, სახიერ და ტკბილ, მოწყალე და ძვრუკსენებელ და მისგავსებულ სახიერებასა ღმრთისასა< რომელი აღმოუბრწყინვებს მხესა კეთილთა და ბოროტთა, და ზრდის ყოველთა წვმითა სწორებით.

ესე ვინადთგან გარეშეთა ბრძოლათა შინა წინადაუდგრომელობით უბრძოლელ და გარეშისა სახისა ქმნულებითა სხუათა კაცთაგან შესწორებად შეუძლებელ იყო, რამეთუ კეთილ დიდ არს ვითარცა გმირი, შეუენიერ არს ვითარცა სიძე, ბრწყინვალე არს ვითარცა ცისკარი, ნაყოფიერ არს კეთილთა მიერ ვითარცა აღმოსავალი, ყუავილოვან წარმატებათა მიერ ვითარცა სამოთხე ღმრთისად, არა თავს-იდვა, რადთა არა უმეტეს მოღუაწე იქმნეს განბრწყინვებად შინაგანთაცა სიკეთეთა სულისათა; ვინადთგან იგინი წარმდინარ, ხოლო ესენი დაუსრულებელობასა თანა ღმრთისასა-თანა დაუსრულებელ არიან.

ამისთვის შემოკრიბა კრება ღმრთის-მოყუარეთა ეპისკოპოსთა, პატიოსანთა მღდელთა და ღირსთა დიაკონთად, ქრისტეს-მოყუარეთა მონაზონთა, დაყუდებულთა და მეუდაბნოეთად, სანახებთა ქართლისათა, მახლობელად ორთა საეპისკოპოსოთა რუისა და ურბნისისა; გარნა არა თუ უბიწოებასა ქართველთა სარწმუნოებისასა ბიწი რადმე შეჰხებოდა, ნუ იყოფინ ესე, არა გეცრუენეთ შენ, სიწმიდით მშობელო ჩუენო კათოლიკე ეკლესიასო, არცა განცვეთ შენ, სიქადულო ჩუენო მართლმადიდებლობასო, რომლისა არცა განმცემელ ქმნილ ვართ, ვინა თგან შემეცნებასა შენსა ღირს ქმნულ ვართ, მოწამე არს ჭეშმარიტებად; არამედ სხუათა საეკლესიოთა და სამღდელთა, და საქრისტიანოთა ძიებათათვის, რომელთა თავ, და წინამძღუარ, და პირწმიდისა მის კრებისა იყო, ღმრთისა მიმართისა საკუთრებისათანა სიმშუდითაცა სულისათა მიმგავსებული მოსესი, და მსგავსად დიდისა სამოელისა წინამლოცველი ერისა და მცხებელი მადლით სრულყოფადთა იოვანე – ყოვლად ღირსი მთავარეპისკოპოსი, კათოლიკოსი და ყოვლისა საქართ-



ველოდსა დიდი მამათ-მთავარი, და მის თანა სიმრავლე პირველ კსენებულთა მათ საესეებისა.

[კანონთა ტექსტი]

[1]. და პირველად ეპისკოპოსნი ვინმე ვერ-ღირსებით შემოსრულნი პატივისა მღვდელთ-მთავრობისასა და უღირსნი ქრისტეს, პირველისა მის მწყემსმთავრისანი, განგუეთენით და უცხო-ვეყენით მღვდლობისაგან, ვინათგან არაწმიდისა შეხებად სიწმიდეთად არა-უცთომელობა არს და მახლობელი ღმრთისად, მახლობელ ცეცხლისა არს, და უკმს, რათა ყოვლითურთ ოქრო იყოს;

ხოლო არა კრულ ვეყენით და არცა შევაჩუენენით, ნუ იყოფინ, არამედ ლიტონთა ერისკაცთა-თანა ზიარებად ფლობილ ვეყენით, უკუეთუ ოდენ ამიერითგან მმარხველ იყვნენ სიწმიდისა.

და ნაცვლად მათდა სხუანი დავად-გინენით, რომლისა ჰასაკისაგანცა და საქმეთაგან აქუნდა წამება და კეთილად განეწუართნეს ორცნი დამორჩილებლად სულისა.

[2]. ამას-თანა სულ-მოკლებადცა კვლთ-დასხმათად, ვითარცა უწესო და უკანონოდ, დაფუკსენით.

და განვაწესეთ, რათა ამიერითგან არღარა-ვინ იკადროს ქმნად, თვნიერ ვითარ-იგი განაწესებს კანონი: რამეთუ ეპისკოპოსი ოცდაათხუთმეტისა წლისად, მღვდელი ოცდაათისა წლისად, დიაკონი ოცდახუთისა წლისად და წიგნის მკითხველი რვისა წლისად კვლთდასხმულ იქმნებოდინ.

[3] ამას თანა სხუადცა უწესო წესი კვლთ-დასხმათა დაკსნად განვაჩინეთ: ვითარცა მასვე და ერთსა დღესა კვლნი დაესხნეს ვისმე წიგნის-მკითხველად, კერძო-დიაკონად, დიაკონად და მღვდლად, ანუ თუ ეპისკოპოსადცა. რომელი-ესე უკუეთუ იქმნას-და სადა ამიერითგან, კვლთ-დამსხმელი და კვლთ-დასხმული ერთბამად განიკუეთნენ მღვდლობისაგან, რამეთუ პირველად წიგნის-მკითხველად და კერძო-დიაკონად ოდენ ჯერ-არს კვლთ-დასხმად, და ორისავე ამისა ერთსა დღესა შესაძლებელ არს ქმნა და მერმე დიაკონად; და ვითარცა დაყვნეს დღენი დია-

კონობასა შინა და ჰმსახუროს მღვდელთა არა მცირედთა დღეთა, მერმეღა მოიყვანონ მღვდელობად.

ხოლო უკუეთუ ეპისკოპოსობად მომავალ იყოს, შემდგომად შუდთა დღეთა უამისწირვისა მოიყვანონ კვლთ-დასხმად ეპისკოპოსობისა. და ამას ვიტყვთ მათ-თვს, რომელთა საჭირო რამე მიზეზი ასწრაფებდეს, ხოლო რომელთა არცა ერთი-რა აქუნდეს სათანადო მიზეზი მასწრაფობელად, მათ წელიწადი და წელიწადნი დაყვნენ თუთოეულსა ხარისხსა შინა და უფროდ-და დიაკონობისასა, ვინათგან თვნიერ დიაკონთა სიმრავლისა, ვერა მიიღებს შუენიერებასა საეკლესიოთა წესთაგანი. ამისთვის ვამცნებთ ყოველთა ეპისკოპოსთა, რათა უფროდ-და დიაკონთა განმრავლებისათვის მოღუაწე იყვნენ ეკლესიათა შინა მათთა.

ხოლო მონაზონთა, რომელნი მღვდლობად და ეპისკოპოსობად მომავალ იყვნენ, პირველად სრულიად მონაზუნად დიდითა სქემითა უბრძანებთ განსრულებასა, და ეგრეთდა მღვდლობად მოსლვასა.

[4]. ხოლო წესი კვლთ-დასხმადთა სრულებისად ეგრეთ აღესრულებოდედ, ვითარცა ახალთა შინა კურთხევათა ნეტარებით მოკსენებულისა მამისა გიორგი მთაწმიდელისათა დაწერილ არს. ეგრეთვე – კურთხევა ეკლესიისად, და დამყარება საკურთხეველისად, და წმიდა-ყოფად ღმერთ-მყოფელისა მიპრონისად, ეგრეთ სრულ იქმნებოდედ, ვითარცა მუნშინა მოკსენებულ არს.

[5]. ხოლო ქრთამისათვის და საფასისა, რომელსა მიიღებენ კვლთ-დამსხმელნი, კვლთდასხმადთაგან, ზემოთ-განისა წმიდათა მოციქულთა და მამათა მოციქმისაებრ, განჩინებად ვიკადრებთ ჩუენცა, რათა მოისპოს ეგვეთარი-იგი ეკლესიისაგან და აღიკოცოს მღვდლობისაგან, მაკურთხეველისა თვისისა თანა, რომლისა ქმნად ამიერითგან ნუღარამცავის უკადრებიეს, რათა არა-იგიცა შეესძინოთ, ვითარმედ შეიხუენოს ვითარცა სუმონ მოგუ პეტრე მოციქულისაგან და ნუმცა მიიღებენ რათურთით ნუ-რა-რას, ნუ ოდეს: ნუცა პირველ კვლთ-დასხმისა, ნუცა თუთ მას კვლთ-დასხმასა შინა,



ნუცა შემდგომად ჳელთდასხმისა, ნუცა ქრთამსა, ნუცა ძღუენსა, ნუცა ევლოგიასა, ნუცა კათოლიკოსი ეპისკოპოსთაგან, გინა ხუცეს-დიაკონთა და ხორებისკოპოსთა, ნუცა ეპისკოპოსნი დიაკონთაგან და მღდელთა და ხორებისკოპოსთა, ნუცარათ სხუათა სამღდლოდსა დასისაგანთა ანუ რომელთავე საეკლესიოთა მნეთაგან.

[6]. მერმეცა სამღდლოთა ჳურჳელთა და ღმრთისადა შეწირულთა სიწმიდეთათჳს, რომელ არიან: ბარძიმ-ფეშხუმ, სამწერობელნი და ყოველივე ეკლესიათადა შეწირული და ერთგზის ღმრთისადა მიცემული, ოქროდ, ვეცხლი, თუალი, მარგალიტი, ჳიქად, სტავრადა, ნაქსოვი, სინი, რვალი, რკინადა, ძელი, კეცი, ქვადა, ამას განვაწესებთ შედგომითა წმიდათა კანონთადათა, რადთა არა-ვის ჳელეწიფოს ჳმარებად მისსა არა-რად, არცა ტყუეთასაქსრად, დაღათუ ცუდადცა და უჳმრად მდებარე იყვნენ და ფერჳითა დასათრგუნველად ისხნენ ეკლესიასა შინა და საჳურჳელსა მისსა.

ხოლო უკეთუ ვინმე იკადროს ამათგანისა რაცსაცა გარეგნით მის ეკლესიისა, და თჳნიერ მისსა ვითარ-იგი განწესებულ იყოს, და ვითარ სახედცა სამსახურად ეკლესიისა, ანუ საკურთხეველისა შექმნილ იყოს, სხუად რადცა ჳმარებად, მოელოდედ აჳა უკუე ბაბილოვნელთა მეფისა ბალტასარის და ანანიადს და საპფირადას სასჯელსა; ხოლო მუნცეცხლსა საუკუნესა, განმზადებულსა ეშმაკათათჳს და ანგელოსთა მისთათჳს.

[7]. ამასთანა ესეცა მოვიჳსენეთ, ვითარმედ თჳნიერ ეკლესიისა და საკურთხეველისა არცა ნათლის-ცემა შესაძლებელ არს, არცა გურგუნთა კურთხევადა, არცა მონაზუნისა ეპისტოლითა გინა სჳემითა კურთხევადა, და არცა მონაზონსა ხუცესსა გურგუნთა კურთხევადა ჳელეწიფების, არცა ერისგანსა მღდელსა მონაზონისა კურთხევადა.

[8] ხოლო შემდგომად გურგუნთა კურთხევისა პირველთა და მეორეთა ცოლ-ჳმართა წმიდათა საიდუმლოთა ჳიარება უჳმს მას დღესა, რომელსა იკურთხნენ უჳჳეულად, არა თუ გარდარეუ-

ლთა რადთმე ბილწებითა შებღალულ იყვნენ, დაღათუ უზიარებლობითაცა განკანონებულ იყვნენ. და მერმე აღსრულება კანონისა უზიარებლობისა მათისასა.

[9] ხოლო მეორეთა გურგუნთა მაკურთხეველი ხუცესი სამხრობად ნუ მივალს მათ თანა, ნუცამცა მეორეთა ცოლ-ჳმართა პირველნი გურგუნნი ეკურთხევიან.

ხოლო სხუებრ და არა ესრეთ მოჳმედი ამათი ხუცესი უკუე განკუეთისა, ხოლო ერისკაცი უზიარებლობისა თანამდებ იყოს.

[10] კუალად ამასცა განვასაზღვრებთ, რადთა ამიერიტგან არღარა ეკურთხეოდინ გურგუნნი ჩხულთა ქალ-ჳმათა, არამედ უკუეთუ საჳიროდ რადმე იყოს, მშობელთა მათთა დიად დაუწინდნენ იგინი ურთიერთას, და რაჳამს ჳასაკად მოვიდენ ორნივე, მაშინ იქორწინნენ.

და ქალი ათორმეტისა წლისასა უმცროდსი ნუმცა შეყოფილ არს ქორწინებით მეუღლისადა. ხოლო ამის განჩინებისა დამჳსნელი, თანამდებ იყავნ ჳემოჳსენებულისა მის განჩინებისა.

[11] კათოლიკოსისა და ეპისკოპოსთაგან ხორებისკოპოსი სჯულისა და საღმრთოთა წიგნთა მეცნიერი გამოირჩეოდედ მღდელი ანუ დიაკონი და შიშითა ღმრთისადათა ემცნებოდედ მას უბიწოდ დაცვადა ყოველთავე საქრისტეანოთა წესთა რადთა არა რა მათგანი განსცეს ქრთამისათჳს, არცა რა განყიდოს ვეცხლად, ვითარცა იუდა უფალი; რადთა არა შიშთვილიცა მისი დაიმკვდროს.

[12] შემდგომად ამათსა ამისიცა სათანადოდ ვჳგონეთ მოჳსენებადა, ვინადათგან მოძღურად წოდებულთა მათ მონაზონთა ფრიადი და აღურიცხეველი არს სიმრავლე, და ერთსა მონასტერსა შინა ხუთნი და ათნი, მრავალგზის ოცნიცა და ოცდაათნი იპოებიან, დიდი თუ

იყოს მონასტერი და მრავლისა შფოთისა და განხეთქილებისა მიხეზსა შემოიღებს სიმრავლე მათი, ამისათჳს განვაჩინებთ, რადთა ამიერიტგან დასცხრეს ესევეითარი ესე უწესობადა.



და პირველად ამას განვასაღზღვრებთ, რადთა უმღდელოსა არა ჭელ-ეწიფებოდის განმკითხველობად სულთა, არა თუ ეპისკოპოსი იყოს, ანუ მღდელი, ანუ დიაკონი, რამეთუ პირველად შეკრვისა და განჯსნისა ჭელმწიფებასა უკმს ქონებად, და ეგრეთ-და განკითხვისა სულთადასა ჭელ-ყოფად; ამას თანა, რადთა დიდთა მონასტერთა შინა ორ-ორი, ხოლო მცირეთა შინა თითოდ ხოლო კმა იყოს მოძღუარი.

და უკუეთუ ვინმე ამას განჩინებასა გარდაჰხედეს, უეჭუელად ესმეს მას, ვითარმედ ხოლო დომისაგანთა მათ და ურჩთა ჭეშმარიტებისათა და მორჩილთა

სიცრუესათა რისხვა და გულისწყრომად, ჭირი და იწროებად და შემდგომი.

[13] წესი იგი, რომელსა კრებულთა დასხმად უწესენ, ნუღარამცა კადრებულ არს ქმნად ამიერითგან, ნუცა მონასტერთა შინა შექმნად სავაჭროთა ერის კრებათად, ნუცამცა-რად სხუა სამოქალაქო და სოფლიოდ წესი ქმნილ არს მონასტერთა შინა ოდესცა, რადთა არა სალოცველთა მათ ადგილთა ქუაბ-ავაზათა შექმნითა, სულთაცა თქუენთა საფარდულეები საღმრთოდასა სიტყუსა მიერ დაიქცეს, ვითარცა მეკერძეთა მათ ტაბლეები, და წმიდათა მამათა და კრებათა მიერ განკანონებისა თანამდებ იქმნეთ.

[14] ხოლო ერთსა საკურთხეველსა და მასვე და ერთსა წინადაგებასა ზედა წმიდისა შესაწირავისასა მრავალთა სულთათვის მრავალთა მღდელთა მიერ ქმნად წმიდისა ჟამისწირვისა უწესო არს და განგდებულ, რომელი-ესე ნუღარამცა სადა ქმნილ არს.

უფროდსა თავად საკურთხეველსა ზედა დიდისა ეკლესიისასა, საეპისკოპოსოდასა გინა მონასტრისასა, ერთისა არავისთვის წეს-არს ჟამის წირვად არაოდეს, არცა ცოცხლისა, არცა მიცვალებულისათვის, თვნიერ აღაპთა და სულისა საკსენებელად განჩინებულთა დღეთადასა, არამედ მის ეკლესიისა მაშენებელთა და შემომწირველთა.

და ერთბამად ყოველთა სულთა ქრისტეანეთა ცოცხალთა და მიცვალებულთათვის ჯერ-არს ჟამის-წირვად, ხოლო ერთისა კაცისათვის, ანუ ერთისა სული-

სათვის ეგუტერთა საღმე შინა, ანუ შტოთა ეკლესიისათა ჯერ-არს თითოეულისა ხუცისაგან ჟამის-წირვად.

[15] რომელნიცა ღმრთის მანებელობითისა მის წვალებსაგან ხაჩეცართადასა, რომელ არიან სომეხნი, მართალსა და უზაკუველსა სარწმუნოებასა მოუკდებოდინ, და წმიდასა კათოლიკე ეკლესიასა შეერთებოდინ, და ბიწსა მას წვალებასა ერთ-ბუნებიანთა, და ერთისა ნებისა და ერთისა მოქმედებისა ღმრთეებისაგან და კაცებისა შეზავებულისა, და არცა საღმრთოდასა, არცა კაცობრივისა, არამედ შერეულისა რაღმე და უცხოდასა, ქრისტეს, ჭეშმარიტისა ღმრთისა ჩუენისა, ზედა სიჩქურით მეტყუელთასა შეაჩუენებდენ.

ესრეთ განვაწესებთ მათთვის, რათა სრულიად ნათელ-სცემდენ, ვითარცა წარმართსა, ვინაფთგან სხუათაცა დიდთა ეკლესიათა ვჰპოვებთ მოქმედად ამისსა, ვითარ იგი არს საპატრიარქო საყდარი ანტიოქიისად, და ყოველნი მიმდგომნი მისნი ეკლესიანი ყოველისა აღმოსავალისანი.

[16] კუადად განვაწესებთ, რადთა არცა მართლმადიდებელი მამაკაცი მწვალებელსა გინა წარმართსა დედაკაცსა, ანუ დედაკაცი მამაკაცსა შეეუღლდენ. ვინაფთგან ყოველი მართლმადიდებელი ტაძარი არს ღმრთისად, დამკუდრებულისა მის მიერ სულისა მისისა ჩუენ შორის; ხოლო ყოველი ბოროტად მადიდებელი, ანუ ყოველად არა-მადიდებელი ტაძარი არს ეშმაკისად; ხოლო ვითარმედ არცა ერთი ზიარება არს ტაძრისა ღმრთისა კერპთა თანა, ვითარ-იგი ბნელისად ნათლისა თანა – მოწამე არს საღმრთო მოციქული. ხოლო რომელმან ამიერითგან იკადროს-და ქმნა ამათი, განიკანონოს იგი პირველ თქუმულითა მით კანონითა.

[17] ვინა თგან ესეცა უწესობა მრავალთა მიერ აღსრულებულად გუესმა, უფრო სდა დიდთა ვიეთმე და წარჩინებულთა და არა ლიტონად კაცთაგან ქმნილად, რომელ არს კიდეს-კიდე და ერთგან კურთხევად გვრგვნთა ქორწინებით ერთ-ჭორც ქმნადთა მეუღლეთად, ვითარ-იგი ჰყოფენ უსჯულოებით დედაკაცისასა უკუე სხუსა ვისმე უცხოდასა მამაკაცისა თანა კურთხევასა; ხოლო მა-



მაკაცისასა მამაკაცისავე სხვსა თანა, რომლისასა რადმცა იყო სხუად უუწესოესი და უსაცინეფესი; ანუ არა ყოვლითურთ მსგავს არსა, მარკიონის მწვალებელთა მიერ მკუდრისა-წილ ნათლისცემასა ცოცხალისასა! რამეთუ ესე ერთგან კურთხეულნი მამაკაცი და დედაკაცი ნუუკუე შეირაცხნენ ნახევარ-მემრუშედ ცოლქმრად, ვინადგან სხვსად ივსენების სახელი, და სხუად წარმოდგომილ არს მუნ; ხოლო ორთა მათ ერთგან კურთხეულთა მამაკაცთაჲს რად ვინ მოიგონოს სახელი, გარნა თუ ვინმე ვრცელითა სიცილითა განბასროს ესევეთარი ესე სჯულისა, და კეთილისა წესიერებისა ჩუენისა, და კაცობრივისა ქცევისა, და ჩუეულებისა გარეგანი უსჯულოებად.

რომლისათჳს ამას განვასაზღვრებთ: რომელნიცა მოაქამდე ესრეთ კურთხეულნი ყოფილ არიან და გარდასრულ არიან, იგინი შენდობილ არიან უმეცრებისათჳს; ხოლო უკუეთუ აწ სადმე იპოვნენ ვინმე ეგევეთარნი, იგინი სჯულიერად ცოლქმრად ნუმცა შერაცხილ არიან.

ამიერითგან კულა ნულარამცა ვისგანმცა კადრებულ არს ქმნად ამისი. და უკუეთუ იქმნას სადა, ოთხნი იგი კურთხეულნი და ორნი მაკურთხეველნი მათნი ხუცესნი, – ექუესნივე განიკანონნენ.

[18] მერმეცა ღმრთის-მოძაგებულისა მის და ღმრთის-განმამწარებელისა, ცოდვათაუბილწესისა საძაგელებისა სოდომელთაჲსა, რომლისად არა უწყით, თუ ვითარ შეეთვსა იგი უბადრუკსა ამას ნათესავსა და სრულიად განაშორნა და უცხო-ყვნა ღმრთისაგან, ვიეთანაცა პოა თავისა მისადრეკელი.

ამას განვასაზღვრებთ სიტყვთა ღმრთისაჲთა და სამოციქულოთა ჳმითა და მამობრივითა განჩინებითა: დადათუ მრავალგზის ქმნილ არიან მრავალთა ნათესავთა მიერ მრავალნი და რიცხვსა მძლენი ცოდვანი, ვითარ იგი: მტერობანი, შურნი, სიძულილნი, კაცისკლვანი, მრუშეზანი, ცრუ-ფიცებანი და უკუანადსენელი და თავი ყოველთა ბოროტთაჲ – კერპთმსახურებად, და თაყუანისცემისა შეცვალებად და მბადებელისაგან დაბადებულ-

თა მიმართ. გარნა, არცა-ერთისა მათგანისათჳს აღძრულ არს აღძრველი იგი, ვითარცა თუთ იტყოდა აბრაჳამის მიმართ, ვითარმედ დადადებამ სოდომისა და გომორისაჲ მოიწია ჩემდა და გარდამოვჳედ ხილვად, უკუეთუ დადადებისაებრ მათისა არიან საქმენი მათნი; რომლისა შემდგომად იხილეთ თუ რად იქმნების, და თუ ვითარ ნივთნი ესე სამსახუროდ კაცთაჲს დაბადებულნი ღმრთისაგან, წინაუკუმო ბუნებისა თჳსისა, შესცვალებენ ბუნებითსა ძალსა თჳსსა, და უცხოჲსა ცოდვისა აღსაჯოცელად უცხოსა მოიპოებენ მოქმედებასა.

რამეთუ მარადის აღმართ მოძრავი და სუბუქი ბუნება ეთერისა ცეცხლისაჲ, ვითარცა ზრქელი რადმე და მიიმე, დაღმართ ჰყოფს დამოდინებასა და, სახედ მძაფრისა წჳმისა, საშინელებით მჩქეფროდს აღრეული წუნწუბასა თანა, მრისხანედ განსალევენელად უკეთურთა მათ სიბილწეთა მრავლითა კაცთა.

ხოლო წულილი და თხელი უფერული ბუნება ჰაერისაჲ, მიზეზი ცხოველთა აღმოფშვნისაჲ და სიცოცხლისაჲ, სიზრქედ აღმურისა შირისა, და ფერად ჳელით საძიებელისა ბნელისაჲ, და შემაშთობელად კუამლად, სასწაულად რისხვისაჲ, შესცვალებს თავსა თჳსსა მათ ზედა.

ამათ თანა ქუეყანად, მყარი და მტკიცე დამტვრთველი სიმძიმესა მას ზედა მდებარეთა გუამთასა, ვერდარა იტვრთავს სიმედგრესა ბილწებათა მათთასა, არამედ პირველად შესძრავს საფუძველთა თჳსთა და სიღრმით იატაკთა თჳსთაჲთ აღმომდულარე, ჰაერად აღმოიხუამს სიღრმეთა საფუძველისა მათისა სიმტკიცეთასა; და მიწად გარდამოიხუამს სიმალეთა გოდოლ-ტაძრებისა მათისა სიმავრეთასა.

მერმე განადებს ვიდრე მუნ-კამადმედ განუღებელსა პირსა და თანად-ქალაქებითურთ და სახლებით შთანთქამს არდარა კაცებსა, არამედ დამწურებსა რასმე ძუალებსა, და ოდესმე ყოფილთა კაცთა საწყალობელსა ნეშტებსა.

ხოლო წყალი იგიცა უცხოდ იხილების შეცვალებულად მათთჳს და არდა-



რა საშუალებად და საკმრად, არამედ, სხუათა ნივთთაგან დაშთომილისა ნეშტისა მათისა აღსაკოცელად პირსა ზედა მათეულისა ქუეყანისა, უფროდსა საფულავ მათდა ქმნილისა ჯოჯოხეთისა, იხილვების მოღინებულად, ეგოდენ შეცვალელებული სხუათა წყალთაგან ბუნებითა, რაოდენ ივინი სხუათა კაცთა ჰმატდეს ბილწებისა გარდარეულებითა.

ამან უსჯულოებამან ასურასტანელთა იგი უმრავლესთა ნაწილთა ქუეყანისათა დამპყრობელი მეფობა ტყუედ წარუქცია სპარსთა და მიდთა და სრულიად აღმოჰფხურა ქუეყანით საკსენებელი, არა ხოლო მეფე და მძლავრი, არამედ კაცყოფისაცა მათისა.

ამან ცოდვამან დიდი იგი და ყოვლით-კერძო ყოვლისა ქუეყანისაით ჳმანსმენილი ნათესავი სომეხთა, მეფობითურთ და მთავრობით მათით, არა ოდენ დაამდაბლა და დაამკუა, არამედ სრულიად აღიღო კაცთაგან სახელი მათი, რომელთა ვერვინ პოსს დღეს ერთიცა მეფე ანუ მთავარი, მქონებელი დაუმონებელისა თავისუფლებისა, დაღათუ ყოველნიცა ვინ პირი მიწისა მთიხილოს.

ამან ბილწებამან სპარსთა იგი მაღალი, და მარადის ჰრომთა მეფობისა მკდრომაფლობად, მკეცის ბუნებათა ვიეთმე კაცთა ავაზაკურითა ზედა-მოსლევითა, მიწადმდე დამდაბლებულყო, და ვიდრე მოაქამდე მძლავრებისა მათისა მორჩილ ყო.

ესე არა უყწით, თუვინად უკეთურებით შემოეხრწნა მოქალაქობასა ქრისტეს მოსახელისაცა ერისასა, რამეთუ რა ზიარებად იყო ბელიარისი ქრისტეს-თანა და, ჳელსა უცხო თესლთასა მიცემით დასასრულ მახვლისა მათისა ქმნითა, ნეშტნი ოდენდა დამიტევნა ისრაჰლისანი, რომელნი უკუეთუ ვეგნეთ-და მასვე უკეთურებასა ზედა, ოდ ჩემდა, დავიდუმო ძნელ-სიტყუად, რომელი ყოველთადა ცხად არს, დაღაცათუ ჩუენ ვჰრიდოთ.

ამისთვის ვამცნებთ ყოველსა დიდსა და მცირესა, მდიდარსა და გლახაკსა, მეფესა და მთავარსა, აზნაურსა და მდაბიორსა, მღვდელთა და უმღვდელთა, მოწესეთა და ერისკაცთა, ბერთა და ჳაბუკთა, და შუა-კაცთა ყოველსა პატივისა

და ყოველსა წესსა და ყოველსა ჰასაკსა განყენებად ამის ვნებისა უფროდს-და საძაგელისა ბილწებისა.

და ესრეთ დაუმტიცებთ, სახელითა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა: ყოველმან სულმან ქრისტეანემან მართლმადიდებელმან, ამათ სიტყუათა მსმენელმან, რომელმან შემდგომად ამის ძეგლისა წარკითხვისა, არა იჯმნას ბილწისა მის სოდომურისა ცოდვისაგან და, არა ხოლო საქმით ქმნისა მისისა, არამედ რეცა ლაღობით ფერებისა და სიტყვით თქუმიისა, რათაცა სამისოთა და მისთა დამსახველთა სიტყუათა და საქმეთაგან, უჭუელად მოიწიოს მის ზედა ამას უკუე საწუთოსა საშინელი რაჳმე და ცოცხლივ ჯოჯოხეთად შთამკდელი რისხვად, მსგავსად წუნწუბასა-თანა აღრეულისა მის სოდომელთა ცეცხლისა.

ხოლო მუნ-იგი მიმთუალველ ექმნეს მას, რომელი ვალს წინაშე პირსა უფლსასა და შესწუვავს გარემოდს მისსა მტერთა მისთა, ვინადთგან სიყუარული ჳორცთად მტერობად არს ღმრთისა. და რომელმან განხრწნას ტაძარი ღმრთისა, განხრწნეს იგიცა ღმერთმან, და ამას თანა და ჩუენგან, უღირსთა მონათა საღმრთოდსა მონებისა ღირს-ქმნულთადსა, ჳი ჩუენდა, არღარა კურთხევად, არამედ კდემად და მხილებად დაიმკუდროს საუკუნოდ.

[19] ხოლო ვინადთგან მიზეზად ურთიერთას პატივით თაყუანის-ცემისა ჩუენ შორის მყოფი ხატებად ღმრთისა აღსაარებულ და ქადაგებულ არს დიდთა მოძღუართა და მამათა ჩუენთაგან, ცხად არს, ვითარმედ თაყუანის მცემელი ხატისა ღმრთისა ღმერთსა თაყუანის-სცემს მის მიერ, მაგინებელიცა სადმე ხატისა ღმრთისა ღმერთსა ავინებს უჭუელად, ვითარცა წმიდათა შორის დიდი ბასილი ესრეთ დასწერს ამას.

ამისთვის განვასაზღვრებთ, რადთა ესეცა ღმრთის-შემაწუხებელი და ღმრთისა შეურაცხისყოფელი ცოდვად სრულიად მოისპოს ყოვლისაგან ენისა და ნათესავისა ჩუენისა.

და რომელმან ამიერთგან შეაგინოს-და სული, გონებად და პირი თვისი უსახურითა გინებითა, ჳემოწერილისა ამის თანამდებ იყოს იგიცა განკანონებისა.



მეფესა დავითს მონაზონი არსენი

ამათდა მომართ რასა იტყუ, რომელ-
სა ჰსიბრძნის ჰმოყუარებ შენ უფროსად
ბრწყინვალეო თუალო ყოვლისა სოფლისა
მეფეთა ერთგუამობისაო!

რომელი ეგე ჰაეროვან ხარ, ვითარცა
სამყარო ხილულისა სოფლისა შორის;

საჩინო, ვითარცა მზე ვარსკულავთა
შორის;

ბრწყინვალე, ვითარცა ეთერი ნივთ-
თა შორის;

ნათლის-ფერ, ვითარცა ელვა ღრუ-
ბელთა შორის;

ცისკროვან, ვითარცა აღმოსავალი
კერძოთა შორის;

ტკბილ, ვითარცა არე ჟამთა შორის;

ღმრთის სახე, ვითარცა სიყუარული
სათნოებათა შორის;

გულის სათქუმელ, ვითარცა ოქრო
მიწათა შორის;

ელვარე, ვითარცა აკინთი ქვათა
შორის;

მაღალ, ვითარცა ფინიკი ნერგთა
შორის;

შუენიერ, ვითარცა ვარდი ყუავილთა
შორის;

აღმატებულ, ვითარცა სამოთხე
ქუეყანისა შორის;

ძლიერ, ვითარცა ლომი მკვეცთა
შორის;

მტკიცე, ვითარცა ანდამატი
განუკუეთელთა შორის;

სახელგანთქმულ, ვითარცა ნებროთ
გმირთა შორის;

ახოვან, ვითარცა ისო წინა მბრძოლ-
თა შორის;

მოშურნე ვითარცა ფინეზ მღვდელთა
შორის;

მკნე, ვითარცა სამფსონ მსაჯულთა
შორის;

უბრძოლელ, ვითარცა აქილდეკ
ელლენთა შორის;

ბრძენ, ვითარცა სოლომონ მეფეთა
შორის;

მშუდ, ვითარცა დავით ცხებულთა
შორის;

შურის-მეძიებელ, ვითარცა იოსია
შარაგანდელთა შორის;

უხარო, ვითარცა მაკედონელი მფლო-
ბელთა შორის;

განმადიდებელ ფლობისა, ვითარცა
ავლუსტოს კეისართა შორის;

კაცთმოყუარე, ვითარცა ჩემი იესუ
ღმერთთა შორის;

ბუნებით ღმერთი, მაღლით ღმერთ-
ქმნულთა შორის;

მკურვალე, ვითარცა პეტრე მოწაფე-
თა შორის;

საყუარელ, ვითარცა იოვანე მეგო-
ბართა შორის;

მკვრცხლ, ვითარცა პავლე მოცი-
ქულთა შორის;

სახის-დასაბამ უცთომელისა ქრის-
ტეანობისა, ვითარცა დიდი კოსტანტინე
თვთმპყრობელთა შორის; სიმტკიცე კეთი-
ლად მსახურებისა, ვითარცა თევდოსი
სკიპტრის მპყრობელთა შორის;

სათნო უჩანან ესენი მყუდროებასა
შენსა; განსუენებულ არსა ამათ ზედა
სიბოროტისა სულთა მღვენელი დავითია-
ნი სული შენი, რომელნი ესე აწ ძღუნად
მოგართუნა შენ მწყობრმან შენთა ამათ
ნაზირეველთა სიმრავლისამან, რადთა შენ
მიართუნე ესენი ღმერთსა და მოწყალე
ჰყო ამათ მიერ წყალობის მოყუარე
უფალი, რომელ მოსწრაფებით შემოკრე-
ბად უბრძანე შენ, და დიდისა ამის და
ღმრთისა სათნო სა წარმართებისა თანა
შუამდგომელად ღმრთისა მიმართ მოიგენ,
ვითარცა საკუთარნი მონანი, რადთა
რომელიმე ღმრთისა სახისა მღვდელთ-მთავ-
რობისა მიერ მახლობელ ექმნებოდის
შენთვის ღმერთსა; ხოლო რომელიმე
მღვდელთ-შუენიერთთა მეოხებითა შეესა-
კუთრებოდის დამბადებელსა; სხუასა სულ-
თქუამანი მოაქუნდენ, სხუასა განდნობა
ცრემლითა, სხუასა დამე-ყოველობითნი
მღვდარებანი, სხუასა კმელ-სარეცლობად,
სხუასა რადთურთით არარას ქონება
კეისრისასა ყოველსავე ღმრთისასა, მხო-
ლოდ ვორცთა ოდენ და მათცა მარხვითა
განლყულთად; სხუასა სიტყუად, დაღათუ
მდაბალი და უნდოდ, გარნა არავე უერმოდ,
არცა უმუსიკელო მომზიდველ ყოფად



სმენისა, ამის თანა შემსგავსებულთა ძა-
ლისაჲ, ყოველთა ლიტანიობაჲ, ყოველთა
ვედრებაჲ, ყოველთა ერთკმობაჲ;
ვითარმედ ღავით კეთილად მსახურისა და
ღმრთივდაცვულისა მეფისა ჩუენისა მრავალ-
მცა არიან წელიწადნი.

[მოსაგსენებელნი] კეთილად მსახუ-
რისა და ღმრთივ-დაცვულისა მეფისა ჩუე-
ნისა გიორგი მეფეთა მეფისა და ყოვლისა
აღმოსავალისა და დასავალისა კესაროსი-
სა, მრავალმცა არიან წელიწადნი.

კეთილად მსახურისა და ღმრთის-
მოყუარისა დედოფლისა ჩუენისა მართა
ავღუსტინაისნი, მრავალმცა არიან წელიწადნი.

ღავით ღმრთის-მსახურისა და
ღმრთივ-დაცვულისა მეფისა ჩუენისა
აფხაზთა და ქართველთა, რანთა და
კახთა თუთმპრობელისა, მრავალმცა
არიან წელიწადნი.

წმიდისა დედოფლისა და ღმრთივ-
სულიერისა დედისა ჩუენისა, მარიაჲ
მონაზონისა, საუკუნომცა არს ვსენებაჲ.

იოვანე წმიდისა მთავარეპისკოპოსი-
სა, ჩუენისა კათოლიკოსისა და ყოვლისა
საქართველოჲსა ყოველად ღირსისა
მამათმთავრისა, მრავალმცა არიან წელიწადნი.

წმიდისა ბერისა და სულიერისა
მამის ჩუენისა ევსტრატნი მონაზონისა,
მრავალმცა...

ღირსისა მეუფისა ჩუენისა და თუა-
ლად წმიდისა ამის კრებისა ცნობილისა
გიორგი მონაზონისა და მწიგნობართა
უხუცესისა, მრავალმცა...

ყოველად ღირსთა კრებისა ამის
ყოველთა მამათა მღვდელთმთავართა,
მღვდელთა და მონაზონთა, მრავალმცა...

სჯულიერისა მოღუაწისა არსენი
მონაზონისა კალიპოსელისა, მრავალმცა...

ყოველნიმცა მართლმადიდებელნი
კურთხეულ არიან, ყოველნი მწვალე-
ბელნი შეჩუენებულ არიან.

კეთილად მსახურთა და მართლმა-
დიდებელთა პირველ აღსრულებულთა
სანატრელთა მეფეთა ჩუენთა, საუკუნომ-
ცა არს ვსენებაჲ და კურთხევაჲ მათი.

სანეტრელთა და წმიდათა კათოლი-
კოსთა და ნეტართა მღვდელთმთავართა
და მღვდელთა, საუკუნომცა...

საუკუნოჲსა ნეტარებისა ღირსთა და
დიდთა მნათობთა ჩუენთა ეფთჳმი და
გიორგი მთაწმიდელთა, საუკუნომცა...

ღირსთა მამათა ჩუენთა ღავით
ტბელისა და სტეფანე სანანოჲს ძისაჲ,
საუკუნომცა...

დაუსრულებელისა ნეტარებისა
მკუდრთა, ბერთა ჩუენთა, საბა სულაჲს
ძისა და ანტონი ტბელისა და ეფრემ
მცირაჲსაჲ [და არსენი მონაზონისა
იყალთელისა] საუკუნოჲ...

ღირსებით მოხსენებულთა მამათა,
ეფთჳმი გრძელისა, იოვანე რეხუეს ძისა
შვილითურთ, მიქელ ჭუაისაჲ და გიორგი
ბერისაჲ საუკუნომცა...

კუალადცა ვიტყუთ:
ყოველნიმცა მწვალებელნი შეჩუენე-
ბულ არიან.

ყოველნიმცა მართლმადიდებელნი
კურთხეულ არიან.

ყოველთა მართლმადიდებელთა წელ-
ნიმცა მრავალ არიან.

ყოველთა მართლმადიდებელთა საუ-
კუნომცა არს სენებაჲ.

ყოველნი მწვალებელნი საუკუნოდ-
მცა შეჩუენებულ არიან.

ყოველთა მწვალებელთა, საუკუ-
ნომცა არს წყევალ და დაუსრულებელი
შეჩუენებაჲ. (ქართული სამართლის ძეგ-
ლები, ტ. III, 1970, გვ. 106-127. ტექსტი შე-
ჯერებულია დიდი სჯულისკანონის (1975)
ძეგლისწერის ტექსტთან - გვ. 543-559.)



საკანონმდებლო კრება გიორგი ბრწყინვალეს დროს (1335 წ.)

„ძეგლის დადება მეფეთმეფის გიორგის მიერ“ [ამოკრეფილი მუხლები]

1335 წ. მეფე გიორგი ბრწყინვალემ მოიწვია საკანონმდებლო კრება, რომელშიც მეფის შემდეგ უპირველესი პირი, როგორც თვითონ მეფე ბრძანებს – იყო „წმიდა მეუფე და ქართლის კათალიკოზი ევფთვიმე“. ეპისკოპოსებთან ერთად საკანონმდებლო საქმიანობაში მონაწილეობდნენ ვეზირები, მოურავები, თემისა და თემის ერისთავები, სვეისთავები, ხევისბერები და „ჰეროვანნი“. მეფის, უმაღლესი იერარქებისა და მთავრობის უმაღლესი პირების მონაწილეობით ეს კრება მიაგავს სახელმწიფო დარბაზობას, რომელმაც განიხილა შექმნილი ვითარება და გამოსცა შესაბამისი კანონები, როგორც თვითონ კრების ოქმი ბრძანებს. ამ კანონებში გადმოცემული იყო „სასჯულო საქმე და საეკლესიო, რისიც გინდა სასაქმოსა – კაცის მკვლელთა, ეკლესიის მკრეხველთა, ცოლის დამგდებელთა უბრალოსათა, ანუ წამგვრელთა“. (ძეგლის დადება მეფეთმეფის გიორგის მიერ, შესავალი, ქ.ს.დ., 1963, ტ. I გვ. 402)

კრების მიერ გამოცემული სამართალი, რომელიც ცნობილია სახელწოდებით „სამართალი მეფისა გიორგისა“, შეიცავს ეკლესიისადმი მიძღვნილ ზოგიერთ მუხლს, მაგრამ მთლიანობაში იგი წარმოადგენს არა საეკლესიო, არამედ საერო, ანუ „მსოფლიო“ სამართალს, ამიტომაც აღნიშნავს კიდევ კრება – „ჩვენ მსოფლიოსა მისი სისხლი და პატივი და სასაქმო გაგვიჩენია“, (ქ.ს.დ. გვ. 402.)

მაგრამ კრება იქვე ბრძანებს, თუკი რაიმე სხვა სამართლებრივი საკითხი წამოიჭრება, მისი გადაჭრა ეკლესიის მეტაურებს შეუძლიათ – „სხვა რაც სასჯულო საკითხავი იყოს, იგი კათალიკოზმან და მათ განაჩენთა მათ ზედა ეპისკოპოსთა მათ ჰკითხონ“ (ქ.ს.დ. გვ. 402.)

კრება, ი. დოლიძის გამოკვლევის თანახმად, შედგა 1335 წელს (იქვე, გვ.616)

კრებამ განიხილა შემდეგი საკითხი: იმის შემდეგ, რაც მეფე დიმიტრის ძემ, გიორგი ბრწყინვალემ თავისი ტახტისა და სკიპტრის განმტკიცების მიზნით შემოიარა თავისი საბრძანებლის მთიანი მხარე უინვალიდან დარიალამდე და უკან – მუხრანამდე, აღმოჩნდა, რომ როგორც ი. დოლიძე წერს – „ჩამორჩენილ მთიულებს ესაჭიროებოდათ ადგილობრივი ხასიათის საკანონმდებლო ძეგლი“. მართალია, გაერთიანებული საქართველოს სამეფოსათვის XI-XIII სს-ში არსებობდა სამართლის წიგნები, სამეფო სჯულმდებლობა, მაგრამ „ისინი შეუსაბამონი და გამოუსადეგარნი იყვნენ ჩამორჩენილი, განვითარების პატრიარქალურ საფეხურზე მდგომი მთიული მოსახლეობისათვის“. (ი. დოლიძე, ძეგლის დადება, ქ.ს.დ. I, გვ. 615)

ამიტომაც კრებამ გიორგი ბრწყინვალეს ნებით განიზრახა შეედგინა ადგილობრივი მნიშვნელობის სამართლის წიგნი. მისი ერთერთი წყარო ყოფილა ბექა მანდატურთუხუცესის კანონები, „გიორგი ბრწყინვალის საკანონმდებლო კრებამ გამოიყენა საათაბაგოს სამართლის სათანადო ნორმები მთიულთა სჯულმდებლობისათვის“. (ი. დოლიძე, ძეგლის დადება, ქ.ს.დ. I, გვ. 617)

„ძეგლის დადება შედგება შესავლისა და 46 მუხლისაგან. იგი სისხლის სამართლის კანონმდებლობის – „სისხლის განაჩენს“ წარმოადგენს, სამოქალაქო სამართლის საკითხებს მხოლოდ ორიოდ მუხლი ეხება“. (იქვე, გვ.617) სამართალი, თავდაპირველად, მუხლებად დაყოფილი არ ყოფილა. ჩანს, მუხლებად ვახტანგ VI-ის კომისიას დაუყვია.

ეს კრება „თბილის ქალაქსა“ ჩატარებულა, როგორც „ძეგლის დადების“ შესავლიდან ჩანს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში გამოყენებულ სჯულმდებლობას ამ ძეგლის მიხედვით „ქართველთ სჯული“ ერქვა. ვალის, ანუ ფულის სესხად აღების შემდეგ, მისაცემი პროცენტი, ანუ „სარგებელი არც ქართველთ სჯულსა შიგან ძე



წესად რომე აიღონ და არც სხვათა სჯულთა უწერია და სარგებელი არის უწესო“ (მუხლი 46-ე, სამართალი მეფის გიორგისა (იქვე, გვ. 420.) სხვა სჯულში“ ჩანს, იგულისხმება ბიზანტიური სამართალი. მაშასადამე, არც ქართული და არც ბერძნული სამართალით ვალის „სარგებლის“ აღება არ შეიძლება, ანდა უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება „ათსა თეთრს ზედა ორი თეთრი მიეცეს (იქვე, გვ. 421). „მართლაც, ვახშის აღება იკრძალება საეკლესიო სამართალით. ზოგადად, რა თქმა უნდა, განსახილველი სამართალი საეკლესიო სამართალს ეფუძნებოდა. როგორც ი. დოლიძე აღნიშნავს, შუა საუკუნეების განმავლობაში „საქართველო მჭიდრო კულტურულ და სახელმწიფოებრივ ურთიერთობაში იმყოფებოდა ბიზანტიასთან. ქართულმა სამართალმა თავისებურად დაამუშავა და გამოიყენა ბიზანტიური სამართლის ზოგიერთი ინსტიტუტი და მოხდენილად შეუფარდა ისინი ჩვენი ცხოვრების სინამდვილეს“. (იქვე გვ. 678)

„ძეგლის დადება მეფეთმეფის გიორგის მიერ“

[ამოკრეფილი მუხლები]

ჩუენ, მეფეთმეფემან გიორგიმ, ძემან ყოველთა შორის წარჩინებულისა მეფეთმეფის დიმიტრისამან, დავდევით ძეგლი-განაჩენი ესე მას ჟამსა, ოდეს შევედით მთიულთა შიგან მოსავლელად ღმრთის მოწყალებითა ყოველგნით უცილებლად ქონებასა შინა სამეფოსა ჩუენისასა და უცილებლად პყრობასა ტახტისა და სკიპტრისასა.

წარვედით ტახტით ჩუენით ქალაქით და შევედით სასახლესა ჩუენსა ჟინვანსა. და მუნით მივედით ჳადა-ცხაოტს და მოვასხენით ყოველნი მუნებურნი ხევისბერნი და ჳეროვანნი, და გავიგონეთ მათნი საქმენი, დავსხედით მათსა სასაქმოსა.

და მივედით დარიელამდის და ვსცანით ესე, რომელ ღმრთივ გვრგვინოსანთა და სანატრელთა ჩუენთა ჩამომავალთა მეფეთაგან ამად არ გასჩენოდა ძეგლითა გაჩენითა და დადებითა სისხლისა და სხუათა მრავალთა უწესოთა მიმძლავრებულთა საქმეთა: რომელთამე საქმისა რომლისათვისმე ჳპრიანებოდათ აღრევით ყოფა ერთმანეთსა შიგან, და რომელთამე სხვს ჟამისა შემოსრულობისათვის უკუე გაჩენა ვერ სწრებოდა-და სრულად მთიულთა საქმის მოკლებასა და გაჩენასა.

და ჟამ-გუცეს, მოწყალებითა ღმრთისათა დარიელით მობრუნვებულთა ვილცეთ ღომისის მთავარმოწამის წინაშე და ჩამოვიარეთ ცხრაზმის ხევი და მოვიკულივეთ მუნებური სასაქმო.

მოვედით მუხრანს, საზამთროსა ჩუენსა დავდევით, და შემოვედით ქალაქსა და შემოვიტანეთ თემისა და თემის ერისთავნი და ჳვეისთავნი და ჳვეისბერნი და ჳეროვანნი.

დავსხედით და დავსვტო წმიდა მეუფე და ქართლისა კათალიკოზი ეფთვიმიე, დავსხით ვეზირნი და ებისკოპოზნი და მოურავნი, და გავიგონეთ, რომელ დიდი უსამართლო და მძლავრებული ქმნილიყო ერთმანეთსა ზედა, და სისხლის მსუბუქობისათვის ადვილ ჩნდა ერთმანეთის დაღატად დასხმა და დაქცევა ციხეთა, სიკუდილი, ცოლის წაგურა და უბრალოდ დაგდება, და მრავალფერნი უღუსობა და ყოლ სამართალი აღარ იყო-და.

და დღეისით წინათ-და ერთმანეთის საყოფთა საქმეთა ამად აღარ შემოვიდეთ, – ერთმანეთის ამოსულა არ იქნებოდა, განაჩენ-დაუდებლობა ექმნათ.

და აწ ყუელა გავაჩინეთ, რა რიგად ვის რა ეყოს ერთმანეთის ავი, სისხლი დგეს ანუ სხუა სასაქმო რა გინდა რა იყოს – გარდავდეს.

ჯუართა ყელს აქეთ, ჳადა-ცხაოტს, ზანდუკის ჳევს, კიბეთ ქუეშეთ და მენესოს ზემოთ ეს განაჩენი დავდევით.

სასჯულო საქმე და საეკლესიო, რისაც გინდა სასაქმოსა, – კაცის მკულელობა, ეკლესიის მკრეხველთა, ცოლის დამგდებელთა უბრალოსათა, ანუ წამგურელთა, – სხუა რაც სასჯულო საკითხავი



იყოს, იგი კათალიკოზმან და მათ, განა-
ჩენთა მათ ზედა ეპისკოპოსთა, მათ
ჰკითხონ.

ჩვენ მსოფლიოსაა მისი სისხლი,
პატივი და სასაქმო გაგზავნილია.

დღეისთვის ვაძმა ესრეთ იქმნას.

[ლომისისა გლეხისა ასრე იყოს] 42.
ლომისისა ვინც გლეხი მოკლას, თუ მე-
ფეთაგან შეწირულია, გინა სხუათა ვის-
განმე, ათასსუთასი თეთრი დაეურვოს.
თავით ძუელთგან გაჩენილი არის ლომი-
სის სამძღვარსა ზედა, – ამიერი ჰადა-
ცხაოტის მიმდგომი არის, – და აგრევე
გაჩენით იყოს.

ვალის საქმე ასრე გაგაჩინეთ 46.
სარგებელი არც ქართველთ სჯულთა
შიგან ძეს წესად, რომე აღიღონ, და არც
სხუათა სჯულთა უწერია. და სარგებელი
არის უწესო.

და თუ რადმე მიმცემი კაცი ესრე ავი
იყოს, რომე სარგებელი აღიღოს, რა გინდა
რა ხანი გამოსულიყოს, ათსა თეთრს
ზედა ორი თეთრი მიეცეს, – რაზომი დიდი
ხანიდაეყოს, ამის მეტს ნურას მისცემს და
არც სამართალია მისაცემლად.

და თუ დია რათმე ავი კაცი არ
არის, არც ამისი აღება მართებს.

სამართალი ესრეთ ყონ ყოველთა.
(ქართული სამართლის ძეგლები, ტომი I,
1963, გვ. 401-421)

ჭულევის საკანონმდებლო კრება (1381-1386 წწ.)

*„ბაგრატ კურაპალატის, ბექასა და
აღბუღას კანონები“ „კანონიკური
სამართალი“ [ამოკრეფილი მუხლები]*

XIV ს-ის 80-იან წლებში მესხეთში,
ჭულევის მონასტერში, (თანამედროვე ადი-
გენის რაიონში) შედგა საეკლესიო სა-
კანონმდებლო კრება, რომელიც მოიწვია
ათაბაგამირსპასალარმა აღბუღამ. ი. დო-
ლიძის აზრით, ეს კრება უნდა ჩატარებუ-
ლიყო 1381- 1386 წლებში. „მე ათაბაგ-
ამირსპასალარმან აღბუღა, მოვასხენეთ
პატიოსანსა მაწყვერელსა და ბიძათა ჩემ-
თა, შაშიასა და მისსა ძმას საფარის მოძ-
ღვარსა პაფნუტის, ხუთსავე თემსა სამ-
ცხისასა, ტაოველთა, შავშთა და კლარ-
ჯთა და მათ შინა მყოფთა ეპისკოპოსთა
და მეუდაბნოეთა, მოწესეთა მოწმობითა,
მინდობილნი ღმრთისანი და ყოველად
წმიდისა ღვთისმშობელისანი“. (ქართული
სამართლის ძეგლები, ტ. I, 1963, გვ. 425)
ამ კრების მიერ გამოცემული სამართალი
გავრცელდა მთელ საქართველოში, რო-
გორც საეკლესიო და საქვეყნო მოქმედი
სამართალი.

ჩვენ ადრე ვწერდით, რომ საეკლესიო
კრება საქართველოში წარმოადგენდა ამა-
ვე დროს სახელმწიფო დარბაზის სხდო-
მას, მაშასადამე, კრებას ეპისკოპოსებსა
და სასულიერო წარმომადგენლებთან ერ-
თად ესწრებოდნენ დარბაისელებიც –
დარბაზის წევრებიც მეფის მეთაურობით,
ანუ უკეთ რომ ვთქვათ, დარბაზობა
საეკლესიო საკითხთა განხილვის დროს
საეკლესიო კრებას წარმოადგენდა. ჭულე-
ვის კრებასაც ესწრებოდნენ მესხეთის
ეპისკოპოსები, კერძოდ, თვით სამცხიდან
მოწვეულნი ტაოელი, შავშელი, კლარჯე-
ლი ეპისკოპოსები, განსაკუთრებული ად-
გილი ეჭირათ აწყურისა და საფარის სა-
სულიერო პირებს, სხვა „მოწესეებს“ და
მეუდაბნოე მამებს. საერო პირთაგან კი
გამოირჩეოდნენ სამთავრო სახლის



მეთაური, რომელიც ამავე დროს იყო სრულიად საქართველოს სახელმწიფოს

50 ათაბაგ-ამირსპასალარი აღბუღა და სხვა ადგილობრივი უმაღლესი ხელისუფალნი (შაშია და მისი ძმა, რომელიც ამავე დროს საფარის მოძღვარი იყო). რა წარმოადგენდა კრების განხილვის საგანს? ხელნაწერის სახით შემონახული კრების ოქმიდან ჩანს, რომ კრებამ განიხილა და უკლებლივ დაამტკიცა 70-80 წლით ადრე, დაახლოებით 1295–1304 წლებში შედგენილი ბექა მანდატურთუხუცესის სამართალი. კრებამ ამ სამართალს დაურთო თავის მიერ შემუშავებული ახალი კანონები, რომელთა ამოქმედების მიზეზი შეიქნა დროთა ვითარებაში „შემოსული უწესო საქმეები“, გარდა ამისა, განისაზღვრა საქართველოში შემოდებული ახალი ფულის ერთეულის ნომინალიც და მისი მოქმედების არეალი გაავრცელეს მესხეთში.

საეკლესიო კრებამ ბექას კანონებს დაუმატა 33 მუხლი, რომელიც აღბუღა ათაბაგამირსპასალარის სამართლის სახელითაა ამჟამად ცნობილი, რადგანაც სწორედ იგი იყო მეთაური და ინიციატორი ახალი კანონების შემოღებისა თავის საბრძანებელში (სამცხეში). შექმნილი ვითარების გამო – „ლაშქართა შინა ცხენის პარვა შექმნილიყო, ეწყინა საპატიოთა კაცთა და მის წინაშე საპატიოთა მსხდომთა კაცთა... ესრეთ გააჩინეს. (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, 1963 გვ. 450).

მაშასადამე, კანონები შემუშავდა „საპატიო მსხდომთა კაცთა“ მიერ. იქამდე კი შექმნილი მდგომარეობის შესახებ აღბუღას „საპატიო კაცებისათვის“ უცნობებია, მათ კი თავის მხრივ სხდომა, ანუ შეკრება მოუწვევიათ, ეს იყო სწორედ ჭულევის საეკლესიო კრება.

კრებამ, როგორც აღვნიშნეთ, თავდაპირველად განიხილა ბექა მანდატურთუხუცესის კანონები და აღიარა იგი ქმედითუნარიანად (სულ 65 მუხლი), შემდგომ კი მას ახალი მუხლები დაუმატა (ე.წ. აღბუღას კანონები). თავდაპირველად, კანონები მუხლად დაყოფილი არ ყოფილა, არამედ დაყოფილი იყო მთავარ

ნაწილებად საკითხების მიხედვით. საბოლოოდ კი კრებამ აღნიშნულ (ბექასა და აღბუღას) კანონებს დაურთო ძველთაგანვე არსებული ე.წ. „ბაგრატ კურაპალატის სამართლის“ მუხლები და აგრეთვე კანონიკური სამართლის მუხლები შედგენილი თვით ჭულევის კრების მიერ. ე.ი. გამოცემულ იქნა სამართლის ახალი კრებული, რომელიც თავის მხრივ შეტანილ იქნა ვახტანგის „სამართლის წიგნების კრებულში“. ი. დოლიძის გამოცემის მიხედვით, ძველი შეიცავს სულ 170 მუხლს, აქედან ბექას სამართალს მიეკუთვნება 1-65 მუხლი, აღბუღას – 66-98, ბაგრატ კურაპალატს – 99-160, კანონიკურ სამართალს – 161-170, კანონთა ბოლოს შეცდომით, განმეორებით მიუწერიათ რამდენიმე კანონი. (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, 1963 გვ. 621)

ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის უმთავრეს ნაწილს სისხლის სამართლის ნორმები შეადგენს. სათანადო ადგილი აქვს დათმობილი საეკლესიო და სამოქალაქო სამართალსაც. მაგალითად, მაწვევრელი ეპისკოპოსის ადგილი სასამართლო წარმოებისას გათანაბრებულია პატრონ – ათაბაგთან, მუხლებში 1, 4, 18, 22, 25, 33, 40.

პირველი მუხლის თანახმად, პატრონად იწოდება მაწვევრელი, ისევე, როგორც ათაბაგი. „სისხლის განაჩენის“ აღნიშნული მუხლით, თუ დიდებული დიდებულს მოკლავდა, ადგილზე უნდა მისულიყო „ათაბაგის კაცი“ და „მაწვევრელის ხატი“, შემდეგ მოშულარ მხარეთა შორის მტრობა უნდა შეწყვეტილიყო და საქმე სასამართლოს უნდა გადასცემოდა. თუ ერთი მხარე გადაიხვეწებოდა, „მამული პატრონსა აქუნდეს ჯაყელსა და მაწვევრელსა“, ე.ი. მამული დამნაშავეს ჩამოერთმეოდა და ჯაყელსა და მაწვევრელს გადაეცემოდა. ასევე იყო, აგრეთვე, როცა აზნაური აზნაურს მოკლავდა.

22-ე მუხლის თანახმად, თუ ძმა ძმას მოკლავდა, დამნაშავეს უნდა გადაეხადა „პატრონის“ (ჯაყელის) და „ლაშქრის“ სასარგებლოდ და, აგრეთვე, მაწვევრელის ან სხვა ადგილობრივი ეპისკოპოსის სასარგებლოდ: „ეპისკოპოსმან მისი წესი



იცის, რაცა მართებს, მან უყოს“. (ს.ძ, ტ.1, გვ. 433)

33-ე მუხლში ნახსენებია „პატრონი მაწყვერელი“. „პატრონს“, სხვა მუხლის თანახმად, შეეძლო დამნაშავეის „მორბევა, მამულის წაღება, გაძევება“ და სხვ. (მუხლი 40). საერთოდ, სამართალი იხილავს სასჯელებს მკვლელობის, სხეულის დაზიანების, შეურაცხყოფის, ცილისწამების, სქესობრივი დანაშაულის, ქალის მოტაცების, ცოლის ან ქმრის დაგდების, გაძარცვის, ქურდობის, მექრთამეობის, ღალატის, თვითნებობის დროს. აგრეთვე, შეიცავს სამოქალაქო სამართლის მუხლებს, რომლებიც განიხილავენ საკუთრების უფლებას, გირავნობას, ნასყიდობას, მიბარებას, სესხს, ჩუქებას, თავდებობას, თხოვებას, საოჯახო სამართალს, მე მკვიდრეობას. სასამართლო წყობილებასა და სასამართლო წარმოებას ეძღვნება მუხლები, რომლებიც განიხილავს – ბჭისა და ბჭობის, შუაკაცის, ფიცის და მოფიცარის, მოწმის, წერილობით საბუთების საკითხებს. (იქვე გვ. 622)

ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნის ბოლოში დართულია კანონები ბაგრატ კურაპალატისა და საეკლესიო დადგენილებები. ი. დოლიძის თვალსაზრისით, ამ კანონების სჯულმდებელი უნდა იყოს მეფე ბაგრატ IV (1027-1072) და მას უნდა მიეწეროს ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნის 99-160 კანონები. სხვა მეცნიერთა აზრით, როგორც განვიხილეთ, ეს კანონები ეკუთვნის ბაგრატ კურაპალატს (IX ს.). ეს კანონები „ეპისკოპოსთა, დიდებულთა და აზნაურთა და ჭკუიანთა კაცთა მეფეთა წინაშე ერთბამად“ შეუმუშავებიათ, ანუ „გაუწენიათ“ „განგებითა ღმრთისათა“. (იქვე, გვ. 464)

მაშასადამე, კანონების შემუშავებაში ეკლესიის იერარქებს – ეპისკოპოსებს დიდებულებთან ერთად მიუღიათ მონაწილეობა. მუხლების ერთი ნაწილი საეკლესიო საქმეებს აწესრიგებს, ამიტომაც ეს სამართალი საეკლესიო სამართლის წყაროა. პირველივე მუხლი მოუწოდებს მოსამართლეებს „მართალი სამართალი უნდა გააჩინოთ ღვთის შიშით,

ქრთამისა და თნების გარეშე“. სასურველად მიიჩნევდა მოსამართლე მომრიგებლად დაადგინონ „მოძღვარი“ ან სხვა საპატიო პირი. 103-ე მუხლით, თუ ეპისკოპოსი დამნაშავეა მეფის წინაშე, მეფეს არ შეუძლია მისი შეპყრობა, არამედ ეპისკოპოსს ევალება „შეხვეწა, შეკაზმვა მეფისა“. განსაკუთრებით საინტერესოა და ცნობილია ბაგრატ კურაპალატის სამართლის 102-ე მუხლი, რომელშიც ნათქვამია – „მეორე მეფე ეპისკოპოსი არს“. მთლიანად ეს მუხლი ასეთია – „თუ მეფე ეპისკოპოსსა გაუწყრეს, გინა უსამართლოდ, გინა სამართლით, ხელთა შეპყრობად არცა მაშინ მოხდების, ამისათვის რადმე მეორე მეფე ეპისკოპოზი არსდა ქრისტიანეთა სჯულისა დამამტკიცებელი და რადცა მეფესა სჯულისა საქმე აქვს, აგრე შეიწყნარენ“ (ქ.ს.ძ ტ. I, გვ 464).

მაშასადამე, ეპისკოპოსისა და მეფის იურიდიული წონა სამართლის სამსჯავროს წინაშე თანაბარია, ამიტომაც თუკი ეპისკოპოსი დამნაშავეა კანონის წინაშე, იგი ისევე უნდა დაისაჯოს, რა სასჯელსაც კანონმდებლობა ითვალისწინებს მეფისათვის მოცემული დანაშაულის შემთხვევაში. მეფეს დამნაშავე ეპისკოპოსის შეპყრობა არ შეუძლია, არ შეუძლია მისი შეპყრობა იმ შემთხვევაშიც, თუკი მეფე პირადად მიიჩნევს ეპისკოპოსს არასასურველ პირად. კანონმდებლობა სასულიერო და საერო უმაღლეს ხელისუფალთ (ამ შემთხვევაში, მეფესა და ეპისკოპოსს) ათანაბრებს. ეს პრინციპი, ი. დოლიძის აზრით, მომდინარეობს ბიზანტიური სამართლიდან. (იქვე, გვ. 641)

ეს პრინციპი ასახულია ვახტანგის სამართლის წიგნის 25-ე მუხლშიც – „მეფისა და კათალიკოზის საქმე... ორისავე სწორი არის, ამიტომ რომ ერთი ხორცის ხელმწიფეა და მეორე სულისა“.

მეფისა და ეპისკოპოსის უფლებრივად გათანაბრების პრინციპი ასევე გატარებულია ბაგრატის სამართლის 103-ე მუხლშიც, რომლის თანახმად სჯულის, ეკლესიის, ეპისკოპოსისა და მეფის წინაშე დამნაშავე მღვდელი, მოძღვარი ან მონ აზონი არ ექვემდებარებოდა შეპყ-



რობას. მისი ქმედება უნდა გამოეძიათ და თანხის გადახდით დაესაჯათ.

უფრო მეტი, 105-ე მუხლის თანახმად, დიდებულის თუ სხვათა მიერ სასულიერო პირის შეპყრობისათვის სასჯელი შემპყრობს დაედებოდა. ასევე იხსება შემდეგი მუხლით მღვდლის მეუღლის „მომყინვებელი“. 106-ე მუხლით დიდებულის, რომელიც ეპისკოპოსს შეაგინებდა, დიდი ხეწნის შემდეგ 40.000 თეთრს გადაიხდიდა. ხოლო იმავე ქმედებისათვის აზნაური 20.000 თეთრით დაისჯებოდა, საზოგადოდ, მომდევნო მუხლები უმეტესად ეკლესიას, ანდა სასულიერო პირებს შეეხება, ასე რომ, ბაგრატ კურაპალატის სამართალიც საეკლესიო სამართლის წყაროა. საინტერესოა 121-ე მუხლი, რომლიდანაც ვიგებთ, რომ ეკლესიაში „ქვეყნის სამლოცველოდ“ დასვენებულ მაცხოვრის ხატისათვის ქვეყანა ვალდებული იყო შეეწირა 30 გლეხი, ე.ი. მათგან შემოსავალი უნდა მოხმარებოდა ხატის მოვლა-პატრონობას, დაცვასა და მის წინაშე ღოცვის საქმეს. ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატისათვის 12 გლეხი უნდა შეეწირათ, ამდენივე გლეხი იყო დადგენილი სხვა ხატებისთვისაც. ამით იყო გამოწვეული ის, რომ უდიდესი განძი, ძვირფასი ხატები და საეკლესიო ნივთები ეკლესია-მონასტრებში საუკუნეთა მანძილზე შესანიშნავად იყო დაცული. ზემოთ მოყვანილი მუხლები ეპისკოპოსთა ხელშეუხებლობის შესახებ საქართველოში იმდენად გათავისებული იყო, რომ მხოლოდ უცხოელებმა – სპარსელებმა და რუსებმა გაბედეს მისი დარღვევა – მაგალითად, როდესაც როსტომ-ხანმა ევდემოზ კათალიკოსი მოაკვლევინა და რუსმა ხელისუფლებმა კი ცემით მოკლეს დოსითეოს ქუთათელი მიტროპოლიტი, იმერეთის კათალიკოსის ადგილზე მჯდომი.

ჭულევის საეკლესიო კრებას, როგორც აღვნიშნეთ, მოუძიებია და დაურთავს აღბუღას კანონებისათვის ბეჭდის მანდატურთუხუცესის და, აგრეთვე, ბაგრატ კურაპალატის კანონები. ჭულევის კრებას უნდა დაემატებინა მთელი ამ სამართლის კრებულისათვის ე.წ. „კანონიკური სამართლის“ მუხლები.

კრებას ამ კანონებით სურდა დალატით ძმის თუ სხვა კაცის მკვლელის, ასოთა მოჭრის, ბრძოლაში მოკლულის გაძარცვის, უსამართლოდ სახელგატეხილი კაცის მოკვლის, კანონიერი ცოლის წაგვრის, სასულიერო პირის დალატით მოკვლის და სხვა მსგავსი უზნეო ქმედების აღმოფხვრა. ამიტომაც ყოველ მუხლს ახლავს დამარღვევლის წყევლის ფორმულა. საზოგადოდ, ქურდობის, ეკლესიის გატეხის, ვენ ახის აჭრის, საყდრის საქონლის მოტაცების, ცეცხლის წაკიდებასა და სხვა დანაშაულში მხილებული დამნაშავეები წყევლითაც იხსებოდნენ და, აგრეთვე, შესაბამისი კანონითაც (საეკლესიო სასჯელის გარდა). კრება 165-ე, 168–170-ე მუხლების დასასრულს ითვალისწინებს სანქციას, რომ დამნაშავე „კანონსამეცა ქვეშე იქნების წმიდაცა მოციქულთაცა“ – რაც კანონიკური სამართლის ფორმულას წარმოადგენს (ქ.ს.დ. ტ. I, გვ. 630) ამიტომაც, ასეთი მუხლების, ანუ საკანონოს დადება შეეძლო სწორედ საეკლესიო კრებას და ასეც მოქცეულა ჭულევის კრება. კანონებში მოხსენიებული „საპირო და სანახშირო“ უნდა ნიშნავდეს, სამომრიგებლოს, სამოსალაპარაკებლოს, ანუ მხარეთა შორის მოლაპარაკებისა და მორიგების მიღწევისათვის განკუთვნილ გასამრჯელოს. „სანახშირო“ სალაპარაკო ადგილს ერქვა. სამართალი, ძირითადად, მსოფლიო საეკლესიო კრებათა კანონებს ეყრდნობა.

ი. დოლიძე წერს: „სამცხე-საათაბაგოს სამთავროს საშინაო მართვა-გამგეობა მთლიანად პატრონ – ათაბაგის მიერ დამოუკიდებლად ხორციელდებოდა. „იმხანად საქართველოს მთლიანობა იმდენად დაშლილი იყო, რომ მეფეს თითქმის აღარავითარი ძალა აღარ ჰქონდა“. (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, 1941, გვ.143).

საკანონმდებლო ხელისუფლება საათაბაგოში პატრონ ათაბაგს ეკუთვნის და იგი ამ უფლებას საქართველოს მეფისაგან დამოუკიდებლად ახორციელებს, იგი აღჭურვილია უზენაესი სასამართლო ხელისუფლებითაც“. (ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, 1953, გვ 32.)



მაგრამ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ პატრონი ათაბაგი არაა თვითმპყრობელი ხელისუფალი, მის სამთავროში ზოგიერთი განსაკუთრებული სახელისუფლო და სასამართლო უფლება მინიჭებული აქვს ეკლესიას, კერძოდ კი – აწყურის ეპისკოპოსს (მაწყვერელს). „აწყურის ეპისკოპოსის სასამართლო იურისდიქციას ექვე მდებარებოდა მთელი რიგი მნიშვნელოვანი სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეები (ბექა-აღბუღას სამართლის მიხედვით). მაწყვერელი ათაბაგთან ერთად ახორციელებს უმაღლეს სასამართლო ხელისუფლებას. საათაბაგოს საქართველოს სამეფოსაგან განდგომამ დიდი გავლენა მოახდინა მაწყვერელის დამოუკიდებლობაზე და მისი სასამართლო იურისდიქციის ზრდაზე. საათაბაგოში მაწყვერელი ისეთივე უმაღლესი საეკლესიო თანამდებობის პირი იყო, როგორც კათალიკოსი საქართველოში. თუ ათაბაგი საქართველოს მეფეს არაფერს ეკითხებოდა, მაწყვერელიც დამოუკიდებელი იყო მცხეთის საეკლესიო კათედრისაგან. სამცხე-საათაბაგოში იგი დამოუკიდებლად ახორციელებდა უმაღლეს საეკლესიო ხელისუფლებას და სჯულმდებლობას“. (იქვე, გვ.116) მაგრამ ხაზგასმითაა აღსანიშნავი, რომ „თუ სასულიერო საქმეებში მაწყვერელი უხედავს პირია, საერო სამართლის საქმეებში ის ათაბაგის თანასწორია, მასთან ერთად ახორციელებს უმაღლეს მართლმსაჯულებას“. (იქვე, გვ.117)

ამით (ე.ი. სამართლის სფეროში ათაბაგისა და მაწყვერელის თანასწორობით) არის გამოწვეული ბექა-აღბუღას სამართლად ცნობილი წიგნების შედგენილობა. ი. დოლიძის თვალსაზრისით, ბექასა და აღბუღას სამართალი თავდაპირველად 98 მუხლისაგან შედგებოდა (ეყრდნობა 1672 წლის ხელნაწერს), ე.ი. იგი შედგებოდა მხოლოდ ბექა მანდატურთუხუცესის და აღბუღა ათაბაგამირსპასალარის სამართლისაგან. მხოლოდ შემდგომ საუკუნეებში „სხვა მუხლები შემთხვევითა და შემთხვევით მიუმატეს ამ საკანონმდებლო ძეგლს“. (იქვე, გვ. 42) ეს

ჩამატება ი. დოლიძის თვალსაზრისით, შეუსრულებია „ვახტანგ მეფის საკოდიფიკაციო კომისიას“. ჩვენი თვალსაზრისი განსხვავდება ამ მხრივ. ჩვენი ფიქრით, ჭულევეში შედგა საკანონმდებლო საეკლესიო კრება, რომელმაც საბოლოოდ გამოსცა მთლიანი სახით ერთიანი საკანონმდებლო ძეგლი, რომელიც იმთავითვე შედგებოდა როგორც ბექასა და აღბუღას სამართლისაგან, აგრეთვე შეიცავდა 99-160 (ე.ი. ბაგრატ კურაპალატის სამართალს) და რაც უმთავრესია, კრების მიერ გამოცემულ 161-170 მუხლებს (ე.ი. კანონიკურ სამართალს). ეს გამოწვეული უნდა ყოფილიყო ზემოაღნიშნული გარემოებით, კერძოდ, იმით რომ, მართალია პატრონი ათაბაგი სათავეში ედგა სამთავროს საკანონმდებლო ხელისუფლებას, მაგრამ იგი ამ უდიდეს უფლებას იზიარებდა მაწყვერელთან ერთად. ეკლესიის ეს უფლებამოსილება (სამართლის სფეროში) კარგად ჩანდა უძველეს ადგილობრივ (ყოფილ ტაო-კლარჯეთში) შემუშავებულ ძეგლში, რომელიც ბაგრატ კურაპალატის სამართლის სახელით იყო ცნობილი (IX ს-ის ძეგლია). ამ ძეგლის ჩართვით ჭულევის კრებამ ეკლესიის უხედავსი სასამართლო და სახელისუფლო უფლებანი კიდევ ერთხელ გახადა თვალსაჩინო და კანონმდებლობის სახით დაამტკიცა.

**„ბაგრატ კურაპალატის, ბექასა და აღბუღას კანონები“,
„კანონიკური სამართალი“**

[ამოკრეფილი მუხლები]

[შესავალი, ბექა მანდატურთუხუცესის სამართლიდან]. შევიყარენით ჭულევეთა, მინდობილნი ღმრთისანი და აწყურის ღმრთისმშობლისანი, და... დავიდევით წინა პატრონისა პაპიქემისა მანდატურთუხუცესის ბექას განაჩენი და იგი აგრევე სრულობით და უკლებლად დავსწერეთ.

და რაცა ჟამთა სიავითა სხვანი უწესონი საქმენი შემოსულიყვნენ, მათი სამართალიცა ზედა დაურთეთ, ასრე



რომე, – რაც სისხლისა და გერშისა, დასხმისა და ღალატისა და რასა გინდა ფერისა დასაურევებელი საქმე იყოს.

პატრონისა პაპისჩემისაგან განაჩენი ყაზანური თეთრი იყო და ამა ჟამთ-შიგა ყაზანურობა აღ-სადმე-მოკლებულიყო (?). და დიდის წარჩინებულის მეფის გიორგის ჟამისა თეთრი გავაჩინეთ; ორიანი ხუთი დანგი წმინდა ვერცხლი და როგორაცა აწ ჟამისა თეთრი იყო, ანგარიშით ამა წესით აღიღებდენ.

ამად არა ჩამოვამცრევით, რომე ავი საქმე ნუ ვისგანმე გაადვილდების.

აწყურისა და საფარისა, ვითა ძველითგან ყოფილიყო, არცა დიდსა მეფესა მოეშალა და ჩვენ განაღამცა აგრეთვე დავამტკიცეთ.

წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოვლისავე სახელითა ღმრთისადათა დაუსაბამოდსა მამისა, ძისა და წმიდისა სულისადათა, მეოხებითა ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისადათა და ყოველთა წმიდათა ზეცისა და ქუეყანისადათა, მეათაბაგამილსპასალარმან აღბუდა, მოვაკსენეთ პატიოსანსა... მაწყურელსა და ბიძაძეთა ჩემთა, შაშისა და მისსა ძმას საფარის მოძღუარსა პაფნუტის; ხუთსავე თემსა სამცხისასა, ტაოველთა, შავშთა და კლარჯთა, და მათ შინა მყოფთა ეპისკოპოზთა და მეუღაბნოვეთა, მოწესეთა მოწმობითა. მინდობილნი ღმრთისანი და ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისანი, დაველიდევით წინაშე პატრონისა პაპისჩემისა ბექაძის განაჩენი; იგი სრულობით და უკლებლად დავწერეთ; და რადცა ჟამთა სიაჟთა სხუანი უწესონი საქმენი შემოსრულ იყვნეს, მათი სამართალი ზედა დაურთეთ, ასე რომე, – რადცა სისხლისა, გერშისა დასხმისა, ღალატისა და რადსა გინდა თეთრისა საურაჟსა საქმე იყოს.

პატრონის პაპისჩემისაგან განაჩენი ყაზანური თეთრი იყო. ამა ჟამსა შინა ყაზანურობა არღარა იყო. დიდისა მეფისა გიორგის ჟამისა თეთრი გავაჩინეთ: ორიანი ხუთი დანგი წმინდა ვერცხლი. და როგორცა თეთრი იყო, ანგარიშად იმა წესითა აიღებოდეს. ამად არა ჩამოვამცრევით, რომე ავი საქმე ნუ ვისგან გაადვილდების.

აწყურისა და საფარისა ვითა ძველითგან ყოფილიყო, არცა დიდსა პატრონსა მოეშალა, ჩვენ განაღამცა ეგრეთვე დავამტკიცეთ.

[ბაგრატ კურაპალატის სამართლიდან] 100. ვინცა მოძღუარი იყოს, ანუ მეფეთა წინაშე ზრდილი და ნამყოფი კაცი იყოს, ანუ კარგი დიდ-ვაჭარი, ანუ კარგი სოფლისა მამასახლისი იყოს, აგეთი კაცი დასვი ბჭედ, ჭკუიანი იქნების და კარგად ეცოდინების ბჭობად, და უსამართლოს არას იტყვს.

101. თუ ებისკოპოზმან მეფესა შესცოდოს, მეფისაგან კვლად შეპყრობა არა ეგების, ამად რომე მისდა მუქაფად სასჯელისა დამამტკიცებელი არს.

შესუეწად, შეკაზმად მართებს ებისკოპოზსა მეფისად.

102. თუ მეფე ებისკოპოზსა გაუწყრეს, ვინა უსამართლოდ, ვინა სამართლითა, ელთა შეპყრობა არცა მაშინ მოდების, ამისთ ის რომე მეორე მეფე ებისკოპოზი არს და ქრისტიანეთა სჯულისა დამამტკიცებელი.

და რადცა მეფესა სჯულისა საქმე აქუს, აგრე შეიწყნარენ.

103. თუ მოძღუარმან ანუ მღვდელმან, ანუ მონაზონმან მეფესა ანუ ებისკოპოზსა შესცოდოს, ანუ სჯულსა, ანუ ეკლესიასა შესცოდოს, კვლთა არავისგან შეიპყრობის. გაკითხვა უნდა, და რადცა მიზეზი დასწამონ, მას მიზეზსა უნდა გამონახვა გარდაცდევინებად.

104. ვინცა, ანუ დიდებულმან, ანუ აზნაურმან, ანუ სხუამან ვინმე, მონაზონი ანუ მღვდელი მძლავრებით კვლთა შეიპყრას, რადსაცა გუარისა იყოს, მის სისხლსა ხუთი ათასი სხუად ემატოს.

და თუ გუარიანი იყოს ანუ კვლისმქონებელი, მისსა სისხლსა ნახევარი სისხლი ემატოს.

105. თუ კაცმან ხუცისა ცოლი მოაცივნოს, ვინა უზესთაესმან, ვინა უქუემოესმან, მისსა სისხლსა სამოცი ათასი თეთრი სხუად ემატოს.

106. თუ ებისკოპოზსა დიდებულმან აგინოს, ორმოცი ათასი თეთრი დაურვოს და დიდად შეესუეწის.



107. თუ [ეპისკოპოსსა] აზნაურმან აგინოს, დიდთა შეხუეწითა ოცი ათასი თეთრი დაუურვოს.

108. თუ აზნაურმან ანუ დიდებულმან მღვდელსა აგინოს, ანუ უქუემოესმან, მესამედი სისხლისა დაუურვოს და დიდად შეხუეწოს.

109. თუ კაცმან კაცი გუემოს და ეკლესია გაუტეხოს, რა საცა გუარისა იყოს, სრული სისხლი დაუურვოს.

112. თუ იგი ეკლესიად სანახევრო იყოს, ანუ სამესამედო, ანუ სამეთხედო, ანუ სამრევლო, ანგარიში ქნან და აგრე დაუურვოს, რადცა წილი ედვას.

ვისითაცა მიხეზითა დამართებოდეს, საპირო მან დაუურვოს. და იმა ეკლესიისა მოზიარენი გვერცა უდგენდა რომე მათცა არა გამოყონ, არა ემართლებიან.

113. თუ ეკლესია მეკობრეთა გატეხონ პატრონისა უკითხავად და ესე დასწამონ, შენ იცოდით, პატრონმან მის მეკობრისამან უცოდნელობა ფიცოს ოცდაოთხისა კაცითა და დაეჯერების. მეკობრე ჰელთა მისცეს, რა გინდა უყონ, ნუ დაემდურების. ალაფიცა უკლებლად შეაქციონ, გინა მათ გამოიღონ.

115. თუ ეკლესიასა დაესხნენ, ხუთი ათასი თეთრი დაუურვონ საუპატიოდ.

121. სადაცა მაცხოვრისა ხატი ესუენოს სამცველოდ ქუეყანისა, საუპატიოდ ოცდაათი გლეხი მართებს, თორმეტი – ყოვლად წმიდისა, თორმეტი – მთავარანგელოზთა, თორმეტი – სხუათა წმიდათა მღვდელთ-მოძღვართა, მოციქულთა, წმიდის გიორგისა, ნათლისმცემელისა და სხუათა წმიდათა.

[კანონიკური სამართალი] 161. რომელმანცა, ვინცა გინდა დიდმან, ანუ მცირემან კაცმან, დალატით ძმა მოკლას და ანუ დალატით სხუა კაცი, კრულ და წყეულ, შეჩუენებულ იყავნ დაუსაბამო საღმრთისა პირითა.

და ვითარისაცა გუარისა იყოს კაცი იგი, ორკეცი სისხლი დაუურვოს.

და ვინცა უშუელოს და შეიწყნაროს, კრულ და წყეულ, შეჩუენებულ იყავნ.

162. ვინცა ქრისტიანემან კაცმან ძმას თუალნი დასწუნეს ცხადად ანუ

დალატად, ანუ მოჰკუეთოს რა მე ასოთაგანი, სისხლი სრული და სანახშირო დაუურვოს.

კრულ და წყეულ, შეჩუენებულ იყავნ, და ცუდმცა არს მოსა სენებელი სიცოცხლე და სიკუდილი მისი.

163. ბრძოლათა შინა რომელიცა კაცი მოკუდეს, აბჯრისაგან კიდე ტანსაცმელსა და ნიფხავ-პერანგსა ნუ ვინ მოკვდის.

კრულ, წყეულ და შეჩუენებულ იყავნ ღმრთისა პირითა.

164. ვინცა მეკობრე, მეჯურმუცე და მპარავი კაცი მოკლას, ცხადად გამოჩნდეს, რომე უსამართლო ყოფილიყოს, – ვინცა მისმან ნათესაგმან და საშუალთა მისი სისხლი იკითხონ, კრულ და შეჩუენებულ და წყეულ იყავნ.

165. რომელმან კაცმან ვის გინდა მისი გვრგუნ ნაკურთხი ცოლი წაულოს და მოსტაცოს, სრული სისხლი დაუურვოს, რასაცა გუარისა იყოს.

კრულ და წყეულ და შეჩუენებულ [იყავნ] პირითა ღმრთისადათა.

და კანონსამცა ქუეშე იქმნების წმიდათა მოციქულთასა.

166. რომელმანცა, ვინ გინდა გუარმან კაცმან, ხუცესი, მონაზონი ანუ დიაკონი მალვით, დალატით მოკლას, შეიპყრას და გაძარცოს, ორი კეცი სისხლი დაუურვოს.

კრულ და წყეულ და შეჩუენებულ [იყავნ] სული და ჳორცი მისი.

167. რომელმანცა კაცმან რა გინდა რა მოიპაროს და გამოჩნდეს, ორნივე თუალნი დაეწუნენ და ანუ ჳელ-ფერვი დაეჭრას.

თუ საპატიუოსა ადგილსა არა მოეპაროს, ვინ იყიდდეს, ვითაცა დააფასონ, ეგრე მიჰყიდონ, და ნაპარევი დაუკლებლივ მისსა პატრონსა მისცეს.

და კრულ, წყეულ და შეჩუენებულ იყავნ.

168. რომელმანცა კაცმან, დიდმან ანუ მცირემან, რადსა გინდა ნივთიანისა საქმისათუს და მტერობისათუს, სისხლისა და ვალისა გარდაკვისათუს ეკლესია გატეხოს ანუ ცეცხლი შეუდვას და და-



წუას, ანუ ცხადად ანუ იდუმალ, კანონ-სამცა ქუეშე არს წმიდათა მოციქულთასა და წმიდათა კრებათასა.

კრულ და წყეულ და შეჩვენებულ იყავნ.

მცირე ესე დასაურვებელი განგვიჩენია, – რაჲცა ამისა ეკლესიისა დასაურვებელი პატიჟი ეწეროს და გაჩენილ იყოს, ორკეცი დაუურვოს, და ალაფი რა ცა წაელოს, უზღოს. ამავე კანონსა ქუეშე იყოს კაცი იგი.

169. რომელმანცა კაცმან, გინდა სისხლისა და გულის ტკივილისათვის, ვენაჟი დაჭრას ანუ ხენი ნაყოფიერნი, ანუ ყანა დათიბოს, ცხადად ანუ იდუმალ, კრულ და წყეულ და შეჩვენებულ იყავნ კაცი იგი ცათა შინა და ქუეყანასა ზედა.

[1691]. ვინცა საყდრისა საქონებელთა სენაკთა, აგარათა, სახლთა, ბედელთა, მარანთა და ვის გინდა სხუათა კაცისა მოსა მარებელთა ღამით ცეცხლი შეუღვას, რაჲსა გინდა სისხლისა [და] მეტრობისათვის, რაჲსაცა გულის ტკივილისათვის ანუ მოვალეებისათვის, კრულ, წყეულ და შეჩვენებულ იყავნ იგი კაცი ცათა შინა და ქუეყანასა ზედა.

და რომლისაცა საქმისათვის ქნას იგი საქმე, გარდაჯდეს.

და ვითარცა ადგილი იყოს, სისხლი და პატიჟი გარდაიჰადოს და კანონსა ქუეშე იყოს. და დანაკლები უზღოს.

170. ვინ გინდა კაცმან რაჲსა გინდა საქმისა და მტერობისათვის საყდარსა და საყდრისა საქონებელსა მალვითა ანუ ცხადად ცეცხლი შეუღვას, დაწუას რა გინდა რა, ცხადად გამოჩნდეს, საყდრის პატიჟად ოცდათორმეტი ათასისა თეთრისა დაუურვოს.

და კრულ და წყეულ და შეჩვენებულ იყავნ, და ცუდმცა არს მოსაკსენებელი სული და კორცი მისი ამას სოფელსა და მას საუკუნოსა დაუსაბამოდსა ღმრთისა მადლითა და კანონსა ქუეშე არს წმიდათა მოციქულთასა. (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I გვ. 425-473)

ცაიზ-ბედიის შიპრება
 (1470-1474 წწ.)

„მცნებაი სასჯულოი“ [სრული ტექსტი]

XV ს-ის ბოლოს საქართველოში ჩამოსულა ანტიოქია-იერუსალიმის პატრიარქი მიხეილი, მისთვის უმასპინძლია ბედიელ-ცაიშელ ეპისკოპოს იოაკიმეს, მეფე ბაგრატს, დადიან-გურიელ შამადავლას, სხვა ერისთავებს, დიდებულებს, აზნაურებს. საყოველთაო, საქვეყნო საჭიროებისათვის ანტიოქიელ პატრიარქს ძეგლისწერაც დაუტოვებია, რომელსაც ბოლოში „ბიჭვინტის ღვთისმშობლისა საჭეთმკურთხელი კათალიკოსის“ ბეჭედი აზის. ამიტომაც უნდა ვიფიქროთ, რომ ანტიოქია-იერუსალიმის პატრიარქის მიხეილის ჩამოსვლისას მოხდა შეკრება ეპისკოპოსებისა, მით უმეტეს, რომ ამ დროს ახალი კათალიკოსიც უკურთხებიან, რაც, ცხადია, ეპისკოპოსთა შეკრების გარეშე არ მოხდებოდა, ამიტომაც მათ თავშეყრას შეიძლება „კრება“ უწოდით.

ზოგიერთი ისტორიკოსის თვალსაზრისით, ანტიოქიელმა პატრიარქმა ხელი დაასხა აფხაზეთის კათალიკოსს, აკურთხა იგი და ამით თითქოსდა ქართული ეკლესიის წიაღიდან გამოყო ლიხთიმერეთის (აფხაზეთის) საკათალიკოსო. ამ თვალსაზრისის გაზიარება არ შეიძლება. საქმე ისაა, რომ როგორც ანტიოქიელი პატრიარქის XV ს-ში საქართველოში ჩამოსვლამდე, ისე მას შემდეგაც, აფხაზეთის, ანუ დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსო ყოველთვის იყო ქართული ეკლესიის ერთ-ერთი ცოცხალი და ძლიერი ნაწილი. მის მრევლს წარმოადგენდნენ დასავლეთ საქართველოში მცხოვრები ქართველები, რომელნიც მტერთაგან შედარებით დაცულობის გამო, მტკიცედ ინარჩუნებდნენ ძველ-ქართულ ადათებს, წესებსა და ჩვეულებებს. ამ საკათალიკოსოში მუდამ, ვიდრე XIX ს-მდე, რუსეთის მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებამდე, წირვა-ლოცვის, ღვთისმსახურების ერთადერთი ენა იყო ქართული ენა. აფხაზეთის კათალიკოსები



მუდამ ქართველები იყვნენ ისევე, როგორც ეპისკოპოსები და ცხადია, მრევლიც: საბუთები, სიგელები, გუჯრები, წარწერები მხოლოდ და მხოლოდ ქართულად იყო შედგენილი.

ჩვენამდე მოღწეულია გვარები აფხაზეთის კათალიკოსებისა, რომელნიც ზეობდნენ ანტიოქიელი პატრიარქის მიხედვის შემდეგ, ყველას გვარი ქართულია, ყველანი ქართული ეკლესიის ცნობილი მოღვაწენი არიან, მათ შესახებ და მათი ხელით შედგენილი მრავალი დოკუმენტი მოღწეული, ესენია: მალაქია აბაშიძე (1519–1532), ევდემონ ჩხეტიძე (1557–1578), ექვთიმე I საყვარელიძე (1578–1605), მალაქია გურიელი (1616–1639), მაქსიმე მაჭუტაძე (1639–657), ზაქარია ქვარიანი (1657–1660), სიმონ ჩხეტიძე (1660–1666), ევდემონ II საყვარელიძე (1666–1669), ექვთიმე II საყვარელიძე (1669–1673), დავით ნემსაძე (1673–1696), გრიგოლ ლორთქიფანიძე (1696–1742), გერმანე წულუკიძე, ბესარიონ ერისთავი (1742–1769), იოსებ ბაგრატიონი, მაქსიმე აბაშიძე (1776–1795) და სხვები. არც ერთი მათგანი არ კურთხეულა უცხო პატრიარქის მიერ, ასე რომ, ანტიოქიელი პატრიარქის მიხედვის მიერ აფხაზეთის კათალიკოს იოაკიმეს კურთხევას, თუ ეს ნამდვილად ასე მოხდა, არ შეუზღუდავს დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსოს თავისთავადობა – ავტოკეფალია, სხვა, რომელიმე უცხო ეკლესიის სასარგებლოდ, არავითარი ზეგავლენა არ მოუხდენია ამ მხრივ მის კანონიკურ მდგომარეობაზე. შესაძლებელია უცხო პატრიარქმა მიხედვით მონაწილეობა მიიღო ბედიელი ეპისკოპოსის (იოაკიმეს) კათალიკოსად კურთხევაში, ანდა ხელი შეუწყო მას, რათა დაეჭირა საკათალიკოსო ტახტი. ცხადია, ყოველივე ეს არ ამცირებს უცხო პატრიარქის მიერ საქართველოს ეკლესიის საწინააღმდეგოდ მიმართულ ქმედებას, რომელიც კარგად აქვს გამოკვლეული ივ. ჯავახიშვილს. იგი წერს: „საქართველოს სწვევია ანტიოქიისა და იერუსალიმის პატრიარქი მიხედვი, ჩვენი ქვეყანა ჩვეული იყო ამ უცხო-ქვეყნელ მღვდელმთავართა სტუმრობასა

და კალმასობას, თავის მოგზაურობის გასამართლებლად და ფულების დატყუების გასაადვილებლად, თანაც საქართველოს თავისი მუდმივ შემოსავლის წყაროდ ქცევისათვის იერუსალიმელ-ანტიოქიელი პატრიარქები ცდილობდნენ მთელი თავიანთი ყოფაქცევისათვის კანონიერი საფუძველი მოეძებნათ. განკერძოების მომხრე მეფე-მთავრები საქართველოში სარგებლობდნენ ამ მღვდელმთავრების მოგზაურობით თავიანთი მიზნების განსახორციელებლად“ (ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. III, 1982, გვ. 337).

ჩამოსვლისთანავე მიხედვი თავის საქმეს შესდგომია: „იქნა გამოძიება და მოკითხვა გუჯართა, დავთართა და იადგართა, ვითარ იგი პირველად ქართლისა და აფხაზეთისა კათალიკოსნი ანტიოქიისა პატრიარქისაგან იკურთხებოდნან“, – წერს ანტიოქიელი პატრიარქი. (მცნებაი სასჯულო“, ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 222.), მაშასადამე, ამ უცხოელ პატრიარქს დაუწვია ქართულ საეკლესიო საბუთებში მასალის მოძიება იმის დასამტკიცებლად, რომ უძველეს დროს, ქართველი კათალიკოსები ანტიოქიის პატრიარქისაგან იკურთხებოდნენ. რატომ არ მოძებნა მან ამის შესახებ ბერძნული საბუთები თვით ანტიოქიისა და სხვაგან? ჩანს, ძებნა კიდევ, მაგრამ ვერაფერისათვის მიუგნია, მართლაც, ცნობილია, რომ პირდაპირი უცხოური წყაროები ქართული ეკლესიის უცხოურ ეკლესიაზე დამოკიდებულების შესახებ არ არსებობს, (ა. ჯავარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ. I, 1996, გვ. 315-325).

ამიტომაც ანტიოქიელი პატრიარქი იძულებული გამხდარა თვით ქართულ საბუთებში მოეძებნა რაიმე მასალა. როგორც ცნობილია, ქართულ წყაროებში მოიპოვება ნაწვევები ევრემ მცირეს ნაშრომიდან ქართული ეკლესიის ოდეს-ღაც ანტიოქია-იერუსალიმზე დამოკიდებულების შესახებ. ევრემ მცირემ თავის ნაშრომში „უწყება მიხეუსა ქართველთა მოქცევისასა“ გამოიყენა ბერძნული წყაროები, მაგრამ, როგორც გამოკვლეული



გვაქვს, ეფრემს უცხოური ცნობები, რომელნიც ეხებოდა „ქვემო იბერიის“ ეკლესიას, მიუხედავად ზოგადად ქართულ, ანუ „იბერიის“ ეკლესიის შესახებ დაწერილ ცნობად. საქმე ისაა, რომ უცხოელები „ქვემო იბერიის საარქიეპისკოპოსოს“ უწოდებდნენ დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) ეკლესიას, ხოლო ზემო იბერიის საარქიეპისკოპოსოს აღმოსავლეთ საქართველოს (ქართლის) საკათალიკოსოს. ეფრემის ამ ნაშრომიდან ნაწყვეტები შესული იყო სხვადასხვა საეკლესიო საბუთში, სწორედ მათთვის მიუზნია პატრიარქ მიხეილს და უცდია გამოეყენებინა თავის სასარგებლოდ. „ცხადია, თუ რისთვის დასჭირდებოდა ეს ცნობა მიხეილ პატრიარქს. მას უნდოდა ამ ძველი დამოკიდებულებით ესარგებლა, იგი ანტიოქიის მღვდელმთავართა საქართველოს ეკლესიაზე ბატონობის განახლება-აღდგენაზე ოცნებობდა უკვე, როდესაც მას ცნობა ხელთ ექნებოდა, მაშინ გულუბრყვილო ხალხს უფრო ადვილად დაარწმუნებდა, რომ საქართველოს ეკლესიის შინაურ საქმეებში ჩარევის უფლება ჰქონდა და როგორც „უამთა სიძველისაგან და სოფლისა სივერაგისაგან იყვნეს მრავალნი წესნი შემლით და გარდაქცევით“ (სამართლის ძეგლი, III, გვ. 222). ვითომც ამგვარადვე ქართული ეკლესიის თვითმწყემსობა და დამოუკიდებლობა უკანონო და „შემლილ“ წესად უნდოდა გამოეცხადებინა“. (ივ. ჯავახიშვილი, III, გვ.337).

„ვაკურთხეთ კათალიკოზი იოვაკიმ, მარჯვენა იერუსალიმისა აფხაზეთის კათალიკოზი და კურთხეულმცა არს, დავაყენეთ და დავსვით ყოველთა ქრისტიანეთა ღიხთ-ამერისა, ოდიშისა, გურიისა და აფხაზეთისა... ვაკურთხეთ“⁵²⁰ (სამართლის ძეგლი, III, გვ. 222) წერს მიხეილ პატრიარქი.

არაა შემთხვევითი, რომ იგი მრავლობით რიცხვში ლაპარაკობს, მაშასადამე, იოვაკიმე აფხაზეთის, ანუ დასავლეთ საქართველოს კათალიკოსად აკურთხა არა მარტო მან, არამედ სხვებმაც. ვის ჰქონდა უფლება კათალიკოსის კურთხევისა? ავტოკეფალურ ეკლესიაში, როგორც

ავტოკეფელი წესი, კათალიკოსს (ე.ი. მეთაურს) აკურთხებს ეპისკოპოსთა კრება მოცემული ეკლესიისა, სწორედ ამით გამოიხატება ამ ეკლესიის ავტოკეფალია. როგორც ჩანს, დასავლეთ საქართველოს ეპისკოპოსები შეკრებილან და გამოურჩევიათ მეთაური, პატრიარქ მიხეილს კი კურთხევაში მონაწილეობა მიუღია. როგორც ჩანს, უფრო ადრე დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) კათალიკოსის კურთხევაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქართლის კათალიკოსი, რომელსაც აგრეთვე ჰქონდა ტიტული „საქართველოს პატრიარქისა“. ახლა კი იგი ახალი კათალიკოსის კურთხევაზე არ მიუწვევიათ, ანდა ვერ ჩასულა. მაშასადამე, მიხეილის დროს აფხაზეთის საკათალიკოსომ თავისთავადობა კი არ დაკარგა ანტიოქიის სასარგებლოდ, არამედ მან უფრო აიმაღლა თავისი დამოუკიდებლობა ქართლის კათალიკოსის მიმართ. აფხაზეთის ერთი კათალიკოსის საბუთი, რომელსაც ქვემოთ მოვიყვანთ, უჩვენებს, რომ იმ დროს ქართულ ეკლესიაშიც დაწყებული იგივე პროცესი, რომელიც უკვე დაწყებული იყო ქვეყანაში – დანაწევრება დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ ერთეულებად. აღსანიშნავია, რომ გარკვეულ დრომდე იმერეთისა და კახეთის მეფეები იჩენდნენ არა სეპარატიზმს, ამ სიტყვის კლასიკური გაგებით, არამედ, პირიქით, სურდათ ცენტრალური ხელისუფლება მათ ხელში გადასულიყო, თავიანთ თავს „იმერეთის“ ან „კახეთის“ მეფეებს კი არ უწოდებდნენ, არამედ სრულიად საქართველოს კანონიერ მეფეებად წარმოაჩენდნენ შესაბამისი სრული ტიტულატურით: „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა“ და ა.შ. კუთხურ-რეგიონალურ პოლიტიკურ ერთეულთა მეთაურები თავიანთ თავს მიიჩნევდნენ სრულიად საქართველოს მეფეების კანონიერ მემკვიდრეებად, მაშასადამე, მათში არსებობდა სურვილი საქართველოს ერთიანობისა, ოღონდ თავიანთი მეთაურობით. მსგავსი პროცესი ყოფილა დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) საკათალიკოსოშიც. აფხაზეთის კათალიკოსს არა გამოყოფა სურდა საქართველოს ეკლესიიდან, არამედ მის-



წრაფოდა, რომ მას მიკუთვნებოდა „სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის“ ტიტული, ეს ჩანს 1712 წელს შედგენილ შეწირულობის წიგნში „კათალიკოს გრიგოლ ღორთქიფანიძისა ბიჭვინთისადმი“, ამ საბუთში აფხაზეთის კათალიკოსი თავის თავს „სრულიად საქართველოს კათალიკოსს“ უწოდებს, კერძოდ, საბუთს ბოლოში აზის ბეჭედი ასეთი წარწერით: „გრიგოლ მწყემსი ქრისტეს მიერ ყოვლისა საქართველოსა კათალიკოზი. (ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 1970, გვ. 675).

აქედან აშკარად ჩანს, რომ აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) ეკლესია არა თუ გამოეყო ქართულ ეკლესიას, პირიქით, სწორედ მას მიანდა ჭეშმარიტ ქართულ ეკლესიად თავისი თავი, ხოლო მისი საჭეთმყრობელი „ყოველი საქართველოს კათალიკოზად“.

მართალია, ადმინისტრაციული თვალსაზრისით ქართლისა და აფხაზეთის საკათალიკოსოები თავისთავადნი იყვნენ, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ანალოგიური შემთხვევები მსოფლიო ეკლესიაში. მაგალითად, ბერძნულ ეკლესიაში არსებობს ერთმანეთის მიმართ სრულიად ავტოკეფალური ბერძნული საპატრიარქოები (კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, იერუსალიმის), სარქიეპისკოპოსოები (ელადის, კვიპროსის), და მათ გარდა არსებობს აგრეთვე ავტონომიური ბერძნული საეკლესიო ერთეულები (თესალონიკის, ათონის) და სხვ. ანალოგიური მდგომარეობაა სომხურ ეკლესიაშიც. სულიერი თვალსაზრისით ერთიან და მთლიან სომხურ ეკლესიაში არსებობდნენ ერთმანეთის მიმართ ავტოკეფალური საპატრიარქოები და საკათალიკოსოები (მაგალითად, ალვანქის, ანუ ალბანეთის საკათალიკოსო, დაარსდა VI-VIII სს-ში, იარსება 1813 წლამდე), იერუსალიმის საპატრიარქო (სომხური), დაარსდა VI ს-ში, გამოეყო ცენტრალურ სომხურ საკათალიკოსოს 1311 წელს, არსებობს ამჟამადაც, აღთამარის საკათალიკოსო (1113 -1895), კილიკიის საკათალიკოსო (არსებობს 1446 წლიდან დღემდე), კონსტანტინოპოლის საპატ-

რიარქო (სომხური, არსებობს 1461 წლიდან), თუ რათქმაუნდა, აღარას ვიტყვიტ ეჩმიადინის საპატრიარქოზე.

ზემოთ მოყვანილიდან გამომდინარე, ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული განცხადება იმისა, თითქოსდა ანტიოქიის პატრიარქის მიხეილის ქმედებათა შედეგად „აფხაზეთის ქართული ეკლესიის თვითმწყობის უფლება შეიღახა, დამოუკიდებლობა მოისპო და იერუსალიმ-ანტიოქიის პატრიარქის ხელქვეითი შეიქმნა“. (ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, III, გვ. 338). ეს არასწორი მოსაზრებაა. ანტიოქიელი პატრიარქის მიხეილის ჩამოსვლის შემდეგ, როგორც ითქვა, დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსო არ დამორჩილებია იერუსალიმ-ანტიოქიის საპატრიარქოს, მისი თავისთავადობა და თვითმწყობის უფლება არ შეზღუდულა. XXVIII სს-ის უამრავი დოკუმენტი და მასალა, რომელიც აფხაზეთის საკათალიკოსოდანაა გამოსული, ანდა მას ეხება, ნიშანწყალსაც კი არ შეიცავს იმისა, რომ ეს საკათალიკოსო იერუსალიმ-ანტიოქიის საპატრიარქოსადმია დაქვე მდებარებული. ერთადერთი წყარო, რომელიც თითქოსდა ასეთი მოსაზრების გამოთქმის ნებას იძლევა, არის ჩვენი განსახილველი „მცნება სასჯულო“, რომელიც, როგორც ჩანს, ძველ საქართველოში განხილვებოდა არა ვითარცა იურიდიული, არამედ ისტორიული ხასიათის დოკუმენტი. ასე, მაგალითად, თუკი ე.წ. „კათალიკოზთა სამართალს“ სამოქმედო იურიდიული ხასიათის დოკუმენტად მიიჩნევდნენ შემდგომი დროის კათალიკოსები და მას „განაახლებდნენ“ კიდევ, ე.ი. მის ძალმოხილვას თავიანთი ხელის მოწერით და კვლავ ხელახლა ამტკიცებდნენ, „მცნება სასჯულოს“ ხელს არც ერთი იმდროინდელი ეპისკოპოსი და არც ერთი შემდეგი დროის კათალიკოსი არ აწერს. ამ დოკუმენტს ერთი ხელისმოწერა ბეჭედი აზის, ალბათ, კათალიკოსად ახალნაკურთხი იოვაკიმესი.

ზემოთ მოყვანილიდან გამომდინარე, არც ასეთი განცხადებაა სწორი: „ამ საქციელით პატრიარქმა მიხეილმა, ბაგრატ



მეფემ და დადიან-გურიელმა შამადავლამ ქართველი ერის საუკეთესო შვილთა და მთელი ხალხის მიერ საუკუნეთა ბრძოლით მონაპოვარი, ქართული ეკლესიის თავისუფლება მოსპეს და გაანადგურეს“ (ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, III, გვ.338)

ქართული ეკლესიის თავისუფლება მართლაც ქართველი ერის საუკეთესო შვილთა საუკუნოვანი ბრძოლით მიღწეული მონაპოვარია, მაგრამ მისი შებღაღვა, საბედნიეროდ, ვერ შეძლო ანტიოქიელმა პატრიარქმა მიხეილმა, თუმცა კი, როგორც ჩანს, მას დიდი სურვილი და მიზანსწრაფვაც ჰქონია, რაც გამომჟღავნებულია იმავე დოკუმენტში – „მცნებად სასჯულოდში“. კერძოდ, მიხეილს შეუთხზავს თეორია საქართველოს ეკლესიის მთლიანობის დასარღვევად. სხვათა შორის, ამ თეორიას ამჟამადაც სიამოვნებით იმეორებს ქართული ეკლესიის ისტორიის გადმოცე მისას არა ერთი პირი, თუმცა კი, ცხადია, ყოველგვარი წინასწარგანზრახვის გარეშე. ეს თეორია შემდგომში მდგომარეობს – თითქოსდა წმ. ანდრია მოციქული განმანათლებელია არა სრულიად საქართველოსი, არამედ მხოლოდ მისი დასავლეთი ნაწილისა, ამგვარადვე წმ. ნინო განმანათლებელია არა სრულიად საქართველოსი, არამედ მხოლოდ მისი აღმოსავლეთი ნაწილისა (ქართლისა). ეს თეორია, როგორც აღინიშნა, XV ს-ში შეთხზა პატრიარქმა მიხეილმა, ძველ საქართველოში კი ამის შესახებ სხვაგვარი მოსაზრება ჰქონდათ. ივ. ჯავახიშვილი წერს: „...გიორგი მთაწმიდელი და განსაკუთრებით ეფრემ მცირე, რუისურბნისის 1103 წლის საეკლესიო კრების ყველა სულისჩამდგმელი და ნიკოლოზ კათალიკოსი ამტკიცებდნენ, რომ ანდრია მოციქულმა იქადაგა „ყოველსა ქუეყანასა საქართველოდსასა“, ხოლო შემდეგში დავიწყებული ქრისტიანობა კვლავ აღადგინა წმ. ნინომ, რომლის სასწაულმოქმედებამ და ქადაგებამ „მიიზიდა ყოველი სავსება ყოვლისა ქართველთა ნათესავისა“. (რუის-ურბნისის ძველის წერა, ქრონიკები, II, გვ.58). ნიკოლოზ კათალიკოსიც წმ. ნინოს საერთო მოციქულად და

განმანათლებლად მიიხნევა „ჩვენ ქართველთადასა“. (სასწაულნი სვეტიცხოვლისა, იქვე, გვ. 40-43, 69) ერთი სიტყვით, ანდრია მოციქულიცა და წმ. ნინოც საერთო ქართული ეკლესიის დამაარსებლად და მთელი ქართველი ერის განმანათლებლად იყვნენ ცნობილნი. საქართველოს სხვადასხვა ნაწილისათვის ცალკე მქადაგებლების არსებობის აზრი და გამოძებნის სურვილი არა ჰქონიათ, რადგან ისინი მთლიანი და განუყოფელი საქართველოს განმტკიცებისა და აღორძინებისათვის იღვწოდნენ. ანტიოქიელიერუსალიმელი პატრიარქი მიხეილი სწორედ ამ ქართველ სახელოვან მეცნიერთა მიერ შექმნილსა და მთელი ქართველი ერისაგან შესისხლხორცებულ შემეცნებას სპობდა“. (ივ. ჯავახიშვილი, ტ. III, გვ.340)

ქართველთა ფსიქიკური ერთობის ამ ერთ-ერთი გამოხატულებისათვის საფუძვლის გამოცლას თურმე პატრიარქ მიხეილთან ერთად ქართველი დიდებულეზიც უწყობდნენ ხელს, როგორც აღნიშნავს ივ. ჯავახიშვილი, ეს მას გასაოცარ საქმედ მიაჩნია. მასვე გამორკვეული აქვს თ. ჟორდანიასა და ს. კაკაბაძის შრომებზე დაყრდნობით, რომ „მცნებად სასჯულოდ“ დაწერილი უნდა იყოს 1470-1474 წლებში. ამის საფუძველს იძლევა ის, რომ ძველში მოხსენიებული შამადავლა „ბედიანი“ გახდა 1470 წელს და 1474 წელს კი გარდაიცვალა. იმ დროისათვის დასავლეთ საქართველოში არსებობდა სამთავრო „საბედიანოს“ სახელწოდებით, მის მთავარს „ბედიანი“ ერქვა. „მცნებად სასჯულოდდან“ ჩანს, რომ ბედიანი დიდი ერისთავთ-ერისთავი შამადავლა „დადიან-გურიელი“ ყოფილა, მაშასადამე, მას სამეგრელოს გარდა, გურიაც სჭერია. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ სამთავროს დედაქალაქი ბედიანში იყო. ჩანს, ეპისკოპოსთა შორის დედაქალაქის, ე.ი. ბედიის ეპისკოპოსი ყველაზე მეტად განდიდებულია და მას პრეტენზია განუცხადებია დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) საკათალიკოსო ტახტზე. ამ საქმეში მას, როგორც აღვნიშნეთ, ანტიოქიელი მიხეილი დახმარებია, ცაიშელ-ბედიელი იოვანკიმე კათალიკოსი გამხდარა. ჩანს, კათა-



ლიკოსობის დროსაც მისი ძირითადი სამყოფელი არა ბიჭვინთაში, არამედ სამთავროს კარზე, ე.ი. ბეღიაში იყო. თვითონ „მცნებად სასჯულოდ“ მიუთითებს, რომ ნამდვილი აფხაზეთი, სადაც ბიჭვინთა მდებარეობს, იმ დროისათვის სარწმუნოებრივ კრიზისს განიცდიდა. პატრიარქი მიხეილი ამიტომაც მიუთითებდა: „აფხაზები ქრისტიანობისაგან სრულიად მიდრეკილ იყვნენ, ქრისტეს მცნებათაგან განშორებულ იყვნენ“. (ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 222) აღნიშნულთა გამო უნდა ვიფიქროთ, რომ მიხეილი მიიღეს არა ბიჭვინთაში, არამედ მტერთაგან უფრო დაცულ ქალაქში, ჩანს, ბეღიაში. ალბათ, აქვე აიყვანეს საკათალიკოსო ტახტზე იოვაკიმე, კრებაც აქვე უნდა ჩატარებულყო. ცხადია, აფხაზეთის საკათალიკოსო მხოლოდ საბეღიანოს არ მოიცავდა, არამედ სრულ დასავლეთ საქართველოს, „მცნებად სასჯულოდში“ გადმოცე მულია მისი იურისდიქციის საზღვრები: „ლიხთა ამერისა, ჭოროხს აქათ, ოვსეთსა აქათ, ზღვა პონტოხსა აქათ, სადა დიდი ბიჭვინტისა საზღვარი მიაწევს“. (იქვე გვ. 223)

მაშასადამე, აფხაზეთის საკათალიკოსო ფარგლავდა ტერიტორიას შავი ზღვიდან ლიხის მთამდე, ჭოროხიდან კავკასიის ქედამდე. ეს იყო სრულიად დასავლეთი საქართველო. „ლიხთა-ამერი, ოდიში, გურია, აფხაზეთი“ – როგორც ეს ძეგლიდან ჩანს.

ამ დროისათვის, როგორც აღნიშნული იყო, საქართველოს დაშლა-დანაწევრებას, პოლიტიკურ ურჩობას, თან დაერთო ხალხის ზნეობრივი დაცემა. ასეთ დროს როგორც სასულიერო, ისე სახელმწიფო მოღვაწეებს ესაჭიროებოდათ მსოფლიო ქრისტიანობის ბურჯთაგან შემწეობა და დახმარება. ამიტომაც, ცხადია, სიამოვნებითა და სიხარულით მიიღეს ანტიოქიელი იერუსალიმელი პატრიარქი, რომელმაც „მცნებად სასჯულოდ“ მისცა მათ. იერუსალიმ-ანტიოქიის ავტორიტეტი ხალხს ზნეობრივ დახმარებას უწევდა. „კანონიკური ეპისტოლეის ხასიათი აქვს იმ „სასჯულოთა მცნებას“, რომელიც XV ს-ში

მიუცია აფხაზეთის საკათალიკოსოსთვის ანტიოქია-იერუსალიმის პატრიარქს მიხეილს... მცნებაში გათვალისწინებულია შემდეგი მუხლები: 1. „უხვედრი ან უკანონო ქორწინება“... 2. „მრუშობა“... 3. „მარხვის შერევა“... 4. „უქმეთა დარღვევა ან ახლის შემოღება“... 5. „მღვდელმსახურთა ზნეობრივი თვისებანი და მოვალეობანი“... 6. „აღამიანის მკვლელობა“... 7. „სამონასტრო და საეკლესიო მამულების მიტაცება“... 8. „საეკლესიო კანონებისა და საღვდელმოებისადმი მორჩილება“. (კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ.568)

თვითონ ანტიოქიელი პატრიარქი „მცნებად სასჯულოდში“ აღნიშნულ კანონიკურ მუხლების ჩამოთვლას იწყებს მიმართვით მრევლისადმი: „ესე ქარტაწერილი თქვენთვის აღწერე“. იმდროინდელი საქართველოს საზოგადოება დაავადებული იყო ურჩობის სენით. ურჩობა იყო ძირითადი მიზეზი ქვეყანაში არსებული პოლიტიკურ-ზნეობრივი ქაოსისა. ამიტომაც „ქარტა-წერილის“ მუხლებში, შეიძლება ითქვას, ძირითადი ყურადღება ეთმობა მორჩილებას. მაგალითად, ი. დოლიძის დაყოფით, მე-8 მუხლი ასეთია: „აწ შეიღწო ძმანო და მამანო გაუწეებთ და გამცნებთ: ვინცა და რამანცა კაცმან ქრისტიანე მან ანუ დიდმან და ანუ მცირე მან პატრონსა უღალატოს, ანუ უსამართლოდ უორგულოს, ქრისტე ღმერთი და სჯული უარუყვიეს. ეგრეთვე უსამართლო ორგული მეორემან ნუ შეიწყნაროს“. (ქ.ს.ძ., III, გვ.225) სხვა მრავალი მუხლი ეძღვნება პატრონის, ქვეყნის, მღვდელმთავრისადმი მორჩილებას. ამ მხრივ, უთუოდ თავის დროისათვის დიდად სასარგებლო კანონიკური ხასიათის შემცველია განსახილველი ძეგლი, რომელიც, ჩანს, დროდადრო ივსებოდა ან იცვლებოდა კიდევ. მაგალითად, მასში უქმე დღის დარღვევადაა მიჩნეული პარასკევს „მიწის არევა“, „ეს უკანასკნელი შენიშვნა უნდა იყოს შემდეგი დროის ინტერპრეტაცია, ოსმალთა ზეგავლენით ჩადენილი“. (კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრ., გვ.568)



აქვე „მარხვის შერევადა“ მიხნეული „ალაჯორის“ მარხვის დარღვევა, „ალაჯორი“ სომხური ეკლესიის პრაქტიკაში მიღებული მარხვა იყო, ამიტომ მისი მოხვედრა „მცნებად სასჯულოდში“ გაცეხას იწვევს და აღძრავს ფიქრს, ნატყუარ ანდა სახეცვლილ ძეგლთან ხომ არ გვაქვს საქმე? ყოველ შემთხვევაში, ძეგლი ერთ რაიმეს უეჭველად გვიჩვენებს, XV ს-ის 70-იან წლებში ქართულ საეკლესიო ცენტრალიზებულ ერთობას ბზარი შეეპარა. ანტიოქიელ პატრიარქს კი ამისათვის ხელი შეუწვია, დასავლეთ საქართველოს ეკლესიას ადმინისტრაციული დამოუკიდებლობა მოუპოვებია ქართლის (მცხეთის) საპატრიარქოსაგან. მაგრამ საბოლოოდ ანტიოქიელ პატრიარქს მიზნისათვის ვერ მიუღწევია. მართალია, შესაძლოა, ამის შემდეგ დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსის კურთხევაში მცხეთელი პატრიარქის ნება შესუსტდა, მაგრამ საეკლესიო-ზნეობრივი ურთიერთდამოკიდებულება ორ ქართულ საკათალიკოსოს შორის არ დარღვეულა. ამას მიუთითებს ე.წ. „კათალიკოსთა სამართალი“, რომლის შემუშავებაშიც საქართველოს ორივე კათალიკოსი მონაწილეობდა.

**„მცნებაი სასჯულოი“
 [1470-1474 წწ.]**

მცნებად ესე სასჯულოდ, ურწმუნთა მომაქცეველი და მორწმუნეთა განმამტკიცებელი და განმამ ნობელი, ყოველთა ქრისტიანეთათვის მოვლენილი ზეცისა ქალაქისა იერუსალიმისაგან და ცათა მობაძვისა ანტიოქიისა

[ც]ის მბადისაგან არსთა ყოველთა ღმრთისა მამისა, ძისა და სულისა წმიდისათა, რომელი ჩუენისა ხსნისათვის ცათა კამარათაგან განზრახუთა მამისათა კსნისა ჩუენისათვის გარდამოხდა. და საშოდ ქალწულისა დაიმკვდრა და იშვა უქცეველად და იკსნნა ქმნილნი ხატად პირისა მისისანი ქალწულისაგან უქორწინებულისა იშვა და დაითმინნა მიზეზნი და ყუედრებად, კიცხვად, ბასრობად,

ჯვარცმად და დაფლვად. გუერცა ლახურითა მოწყულმან აღმოგვცენა უკვდავებად, რომელსა შუენის დიდებად და პატივი დაუსაბამოდ თანა მამით, ძით და სულით წმიდითურთ.

[და] ვითარ ინება და იგულსმოდგინა მან, არსებით მიუწოდომელმან, და ღმრთაებით მმართველმან სჯულისა ქრისტეანობისამან, და უხრწნელად და უბიწოდ მშობელმან მისმან, და მადლმან ზეცისა ქალაქისა იერუსალიმისამან და ცათა მობაძვისა ანტიოქიისამან, და მოვივლინე ღმრთისა მიერ მე, ყოველთა ნარჩევი, იერუსალიმისა და ანტიოქიისა პატრიარქი მიხაელ, მოვიწიე დიდსა მას ქრისტეს სამწყსოსა, მაზებელსა იერუსალიმისასა, საქართველოსა.

ვითა სათანადო არს მეფეთა, დადიანთა, ათაბაგთა, ერისთავთა, ამილახორთა, დიდებულთა, აზნაურთა და ყოველთა ქრისტეს სჯულისა მოსავთა მორწმუნეთაგან მოკითხუად, განაგეს მოკითხუა სჯულისა, საყდართა, მონასტერთა, ომფორისა და კათალიკოზ-ებისკოპოსთა.

და მოკითხეს, ძუელით ვიდრე ახლადმდე, ღმრთივგურგუნოსანმან ბაგრატ და დიდმან ერისთავთერისთავმან დადიან-გურიელმან შამადავლა, მისთა თავადთა თანადგომითა და დიდად ღმრთისაგან სათნოდ გამორჩეულისა, პატივ სარვეითანისა (?) ღმერთ-შემოსილისა [ცაიშელ] ბედიელისა იოვაკიმისა.

იქმნა გამოძიებად და მოკითხვად გუართა, დავთართა, და იადგართა, და ვითარ-იგი პირველად ქართლისა და აფხაზეთისა კათალიკოზნი ანტიოქიისა პატრიარხთაგან იკურ[თ]ხეოდინან, და ჟამთა სიძუელისაგან და ს[ო]ფლისა სივერაგეთაგან იყუნეს მრავალნი წესნი შემლით და გარდაქცევით, ვნახეთ და შევემთხვენ მადლსა, ვითარცა მეუფისა, ცაიშელ-ბედიელ მთავარებისკოპოზისა იოვაკიმისთა.

ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა, და დიდისა და ცათა მობაძვისა იერუსალიმისა მადლითა, და ცათამდის მადლისა კათალიკე საყდრისა ანტიოქიისა ღმრთისმშობელისა მეოხებითა, ვაკურთხეთ კათალიკოზი იოვაკიმ, მარჯუენად



იერუსალიმისა, აფხაზეთისა კათალიკოზი და კურთხეულმცა არის, დავაყენე[თ] და დავსვით აფხაზეთს, საყდართა მათ ანდრია მოციქულისათა, ყოველთა ქრისტიანეთა ლიხთ-ამერსა, ოდიშისა, გური[ი]სა და აფხაზეთისა. ყოველთა ურჩთა და ღმრთისა არა ნებისყოფელად მყოფთათ ს მომაქცეველად ვაკურთხეთ.

და ურჩქმნილ იყუნეს ყოველნი, და ვითა სათნოებანი უგულებელს-ეყუნეს ებისკოპოზთა და მოძღუართა, მღვდელთა და დიაკონთა, ბერთა და ერთა, დიდად ეშრომა მას, მარჯ[უ]ენასა იერუსალიმისასა, კაცსა ღმრთისასა იოვაკიმს. და აფხაზეთი ქრისტიანობისაგან სრულიად მიდრეკილ იყუნეს, ქრისტეს მცნებათაგან განშორებულ იყუნეს. აწ გამოვნახენით ძუელინი შრომანი წმიდათა ნიკელთა მამათაგანი და, ვითარცა [სათ]ნო არს სჯული ღმრთისა, ეგრეთ მორჩილ ექმნით სათნოდ ღმრთისაგან გამორჩეულსა, ვითარცა მოციქულსა პავლეს და ანდრიას დამორჩილდით, ისმნეთ, მოიქეცით და შეინანეთ.

და სათნო ეყვენით ღმერთსა მეფენი სიმართლითა მეფობისათა, სიწმიდით, მოწყალებითა, მშვიდობითა სიყუარულითა. თავადნი სიმართლესა ბჭობდით, სიწმიდით დაიცვენით თავნი თქუენნი, ობოლნი და ქურიენი შეიწყალებით, ვითარცა იტყვს წინასწარმეტყუელი დავით - “ობოლი და ქურივი შეიწყალე და გზა ცოდვისა არა იყოს შენ თანა”. და ვითარცა გამცნოს [მ]ქადაგებელთამან წმიდათა მოციქულთამან, ეგრეთ განმხნდით.

და ებისკოპოზი ლიხთა ამერისა, ჭოროხსა აქათ, ოვსეთსა აქათ, ზღუად პონტოძსა აქათ, სადა დიდისა ბიჭუინტისა სამზღვარი მიაწევს, ებისკოპოზნი ამა იერუსალიმისა მარჯუენისაგან კათალიკოზისაგან იკურთხეოდინ, [და მიიღებდით] კურთხევასა; და ქადაგებასა მისსა [ისმენ]დით; ჯერ-იყვენით და ნუ ურჩექმნებით, რათა იკურთხნეთ მარჯუენისაგან ღმრთისა.

აწ მამანო, ძმანო და შვილნო! ქრისტეს საფლავისა მარჯუენა, ლიხთ-ამერისა და აფხაზეთისა კათალიკოზი იოვაკიმ

ქრისტეანობის სჯულისა მამაგრებელად და დამამტკიცებელად ვაკურთხეთ, სჯულისა და მერჯულეთა უფროს და უხუცესად ვაკურთხეთ მე, დიდისა და ცათა მობაძვისა ანტიოქიისა და იერუსალიმისა პატრიარქმან მიხაილ.

და ესე ქარტა-წერილი თქუენთვს აღვწერე.

1. ქრისტეს მოყუარენო, მამანო და ძმანო, ვისცა ქრისტე ღმერთი გიყუარს და სჯულსა ქრისტეანობისსა მორჩილებთ, კათალიკოზისაგან კურთხევას მიიღებდეთ. და ვინცა გულითა მორჩილითა მიიღოთ კურთხევა კათალიკოზისაგან და მორჩილ ექმნეთ, დიდისა მის დაუსაბამოძსა მამისა, ძისა და სულისა და დიდისა მის საპატრიარქოსა, ცათა მობაძავი იერუსალიმისა და ანტიოქიისა მადლითა კურთხეულ იყვენით ამა სოფელსა ხორციითა და საუკუნოსა – სულითა; და მათ სჯულისა დამამტკიცებელთა შუდთა კრებათა მადლითა, და ოთხთა მქადაგებელთა მახარებელთა მადლითა, სულითა და ხორციითა თავითა და შვილთა შვილითი შვილამდე, ვიდრე უკუნისამდე ამინ იყავნ.

2. ვინცა სჯულისა მსაჯულისა ქრისტესსა და ქადაგებულსა მონათა მიქსთასა ურჩ ექმნათ, კურთხევისა წილ მოვდის თქუენდა წყევა იგი სოლომისა და გომორისა; იყავნ დანთქმა დათან და აბირონისი; სეგრს (sic) ნუმც შეესწრები დაწვასა; ზარი დაეცეს თქუენ ზედა გუელებოძს (sic) მათაებრ; იყვენით წყეულ, შეჩუენებულ ცათა შინა, ქუეყანასა ზედა; კრულ თქუენ და საცხოვარი თქუენი, სახელი, ყანა, ვენახი; საყოფელთა თქუენთა ნუმცა იპოების მკუდრი; ცაჲ რისხვით, ქუეყანა მწუხარებით თქუენთვს, რომელთა არა ირწმუნოთ სიტყუად ქარტად დაწერილი ესე; დაიწყეოს ნაყოფი თქუენი, ვითარცა უნაყოფოჲ იგი ღედუ; შეიჩუენენით ვითარცა სიმონ მოგუ, ვითარცა არიოზ, რომელმან განხია კუართი უფლისა იუფსი; და წყეულ ვითარცა მაკედონის სულისა წმიდისა მგმობარი, და ევთიბიოს და აპოლონიოს.

3. და ვინცა საყდართა, მონასტერთა და ეკლესიათა მამცრობელნი და მეუჭვენ



იყვნეთ და კათალიკოზისა ბრძანებასა ურჩ ექმნათ, ვითარცა-იგი პირველნი ხელმწიფებანი ზეცით გარდამოთხინეს და ღმრთისა რისხვთა ქუესკნელს შთაიყარნეს, ნაწილი მათი იყოს მათ თანა; იქმნებისმცა ნაწილად მათდა ბნელი გარესკნელი, მატლი უძილი, ცეცხლი უშრეტი, ღრჭენა კბილთა, ტირილი, უნუგეშინიცემოდ; სადა არს ბნელი გარესკნელი არის-მცა სამკუდრებელად მათდა გამოუხსნელად სულითა და ხორცითა უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

4. ანუ მეფეთა, ანუ მთავართა, ანუ აზნაურთა, ანუ აზნაურის შვილთა, ანუ მსახურთა, ანუ გლეხთა, ანუ მთავარდიაკონთა, ანუ დიაკონთა, ანუ სახარებად დიაკონთა, ანუ კერძო დიაკონთა, ანუ მოხელეთა, ანუ ხელის მქონებელთა, ანუ დიდთა, ანუ მცირეთა ყოველივე ურჩქმნილი წყევლ, შეჩუენებულმცა არის სულითა და ხორცითა.

5. მორჩილნი სჯულისანი და თანამდგომნი სარწმუნოებისანი კურთხეულ იყავნ უკუნისამდე.

6. ძმანო და მამანო ამისთვის გამცნებ და გაუწყებ, რათა რომელი ჯუარს-ეცუა, დაეფლა, აღ[ს]დგა, იგი მხოლოდ უფალი იესო ქრისტე შეიყუაროთ ყოვლითა გულითა თქუენითა, რომელმან სისხლითა თვისითა მოიყ[ი]და ადამ, ნათესავითურთ მისით; და განჰბრწყინდეთ ვითარცა მზე, ნათლითა ქრისტესითა; საუკუნოდ სუფევდე წინაშე ღმრთისა; ესე სოფელი წარმავალ არს და საუკუნო წარუვალ.

აწ ყოველთა შეიყუარეთ ქრისტეს სჯული და ქრისტემან თქუენ შეგიყუარნეს ყოველნი. მოიქეცით ბრძანებასა და ქადაგებულსა ქრისტეს მარჯუენის, ღიხთა ამერისა ღმრთისა მეორისა მოციქულის პავლეს თანამოსაგრის იოვაკიმისი.

7. და ვინაითგან იგულსმოდგინა ღმერთმან, და ჯერ-იჩინა ჩუენისა ხსნი-სათუს და სჯულისა ქრისტეანობისა დამკუდრებისთვის და დამტკიცებისათუს, ღმრთისა ბრძანებითა ჩუენ, დიდისა ცათა მობაძავისა საყდრისა ანტიოქიისა და იერუსალიმისა პატრიარქმან მიხაილ, ნებითა ღმრთისათა, ვითარცა უფალმან ჩუენმან იესო ქრისტემან ანდრიას

მოციქულსა თუთა საუფლოდთა ხელითა შემოსა თვისი სამეუფო ბისონი, და აკურთხა, აწ შემდგომად მისსა ვაკურთხეთ კათალიკოზი იოვაკიმ და სჯულისა და მერჯულეთა თავად და უხუცესად დაგუპტიციციბეს.

და აღიწერა ქარტა ესე ჩემ მიერ.

აწ შეიღნო, ძმანო და მამანო! გაუწყებთ და გამცნებთ:

8. ვინცა და რამანცა კაცმან ქრისტიანემან, ანუ დიდმან და ანუ მცირემან, პატრონსა უღალატოს, ანუ უსამართლოდ უორგულოს, ქრისტე ღმერთი და სჯული უარუყოფიეს; ეგრეთვე უსამართლო ორგული მეორემან ნუ შეიწყნაროს.

9. ვინცა და რომელმან სჯულისა და კათალიკოზისა ურჩად უხუედრი ცოლი შეირთოს, ანუ სვინად, ანუ მეყვისი, ანუ რძალი, ანუ ბიძის ცოლი, ანუ ხუცის ცოლსა ცოდოს, ანუ დიაკონისა ცოლსა თანა ცოდოს, ანუ მთავარ-დიაკონისა ცოლსა თანა ცოდოს, ანუ სწავლულისა კაცისა ცოლსა თანა ცოდოს და შეგინებულსა საწოლსა ზედა დააწ ნოს, ამათ ყოველთა უსჯულოებათა მოქმედი კრულ, წყევლ და შეჩუენებულმცა არს სულითა და ხორცითა, ამინ.

10. და თუ არ ღმრთისა უარისმყოფელნი ხართ, მეკობრესა ხუცესსა მოარჩობდით.

11. ვინცა ანუ დედის-ნაცუალსა, ანუ დედობილსა თანა ცოდოს, წყევლ, კრულ და შეჩუენებულმცა აწ და უკუნისამდე.

12. ვინცა ძმა მოკლას, ქრისტე ღმერთი უარუყოფიეს და ნაწილი მათი აღიხოცნენ უკუნისამდე.

13. ანუ თვისი და ანუ სხუა მოკლას, კრულ, წყევლ და შეჩუენებულმცა არს.

14. და რომელმანცა იკადროს მოციქულთა მარხვათა ოთხშაბათ-პარასკევთა, რომელიცა ხსნილი არ იყოს და შერიოს, ანუ მიცვალებისა მარხვა, მარტვილთა კიდე ვინ ჭკუიანმან შერიოს წუელითა ანუ ხორცითა ხსნილთაგან კიდე, კრულმცა არს ცათა შინა და ქუეყანასა ზედა.

15. და რომელმანცა წელიწადთა შინა რომელნიც უქმნი განუწყესიბეს წმიდათა კრებათა და არა ისმინოს და



თვსითა ნებითა უქმობდეს, წყეულიმცა არს წმდათა კრებათაგან.

16. ვინცა შეუნდობლად დაბეჭდილი კათალიკოზისგან და ქორებისკოპოზისაგან ეკლესია გახსნას, შეუნდობლად კრულ, წყეულ და შეჩუენებულმცა არს მათი ხუცესი და ერი მათი.

17. რომელმანცა წმდათა კრებათგან განაჩენი და განაწესი სჯული მაგრად არა დაიჭიროს და შეცოდება დაუწყოს, ღმერთმან წყევით მიაგოს საქმეთა მათაებრ; წყეულიმცა არს სჯულისა უარისმყოფელთა თანა.

18. ვინცა სჯულისა შემცოდე პატრონმან არ მისცეს ებისკოპოსსა და ქორებისკოპოზსა სასჯულოდ არ მიანებოს და სასჯულოდ მოსაკითხავად სოფელი არ დაანებოს, და ძალი არ მისცეს, იმა სოფლისა ცოდვა მან გარდაი აღოს და შეუნდობელმცა არს.

19. ვინცა ამა მცნებათა არ დასჯერდეთ და კათალიკოზსა და ქრისტეს სჯულსა ურჩეკმნათ, კრულ, წყეულ და შეჩუენებულ იყავით ღმრთისა დაუსაბამოდსა მადლითა, მამისა, ძისა და სულისა წმიდისა მადლითა, იერუსალიმისა მადლითა, ანტიოქიის მადლითა, ამინ, თავითა, შვილითა, ვიდრე შვილით შვილამდე.

20. დამამტკიცებელნი და სჯულისა მამაგრებელნი, და იესო ქრისტეს ერთგულნი, ებისკოპოსთა, მოძღვართა, მღვდელთა და მონაზონთა პატივისცემელნი და რჯულისა მამაგრებელნი, ობოლთა და ქურიეთა, გლახაკთა და დავრდომილთა მოწყალენი და შემწენი და შემწყნარებელნი კურთხეულმცა არიან ცათა შინა და ქუეყანასა ზედა, სულითა და ხორცთა თავითა და შვილითა, ვიდრე უკუნისამდე, ღმრთისა დაუსაბამოდსა პირითა, ამინ.

21. და ამასცა გამცნებ და გაუწყებთ შვილნო და ძმანო ჩემნო: ვინათგან ღმრთისმოყუარენი, და ერთგულნი, ღმრთისა მართლმადიდებელ[ნი], და ძრწოლით და შიშით თაყუანისმცემელნი ჭეშმარიტად და მართლმადიდებლობით აღიარებთ და თაყუანისსცემთ სახელსა მის მოსამართლისა გარე შემოუწერელსა [და] ტკბილსა

და მრავალმოწყალესა ღმერთსა დაუსაბამოდსა, მამასა, ძესა და წმიდასა [სულსა], ნუ თანამზრახველ ექმნებით ამა უკანასკნელისა სიცრუეთა და სივერაგეთა, არამედ მორჩილ ექმნებით ბრძანებასა ღმრთისასა.

22. ვითარცა ანდრია მოციქულმან ურწმუნონი სარწმუნოებად მოაქცინა და სჯულსა და სარწმუნოებასა ზედა დაამტკიცა, მას ჟამსა ოდეს ქრისტემან ღმერთმან ჩუენმან ხსნისა ჩუენისა და მოქცევისათვს მოავლინა თვსითა სამეფოთა შესამოსლი[თა], პორფირბისონოქროვანითა, სამოსლითა ელ[ვართი]ა და შექმიუაჩრდილებელითა შემოსა და, სახედ და [სა]მუქფოდ მოციქულ, ნათლისა მახარობელად კათალიკოზად დააყენა, რამეთუ მისისა ბრძანებისა ქადაგებითა მოიქცეს თემნი, ქალაქნი და ქუეყანანი ესე ჩრდილოეთისანი, ვიდრე ნინო ქართ[ლისა] დედამან მოაქცინა ქართლი, მისთა სამზღვართა აქათ წმიდამან ან[დრია მოციქულმან] ნათლითა მიუჩრდილებელითა განანათლნ[ა] და განას[უნნე]ლა ყოველნი მორჩილნი სჯულისანი.

აწ, მსგავსად მისსა, ვაკურთხეთ და დავამტკიცეთ სჯულისა თავად კათალიკოზი იოვაკიმ, [ვითარცა] ქრისტე ღმერთი თავი არს ეკლესიათა.

23. აწ, შვილნო, ძმანო და მამანო ჩემ[ნო] მო[რჩილ] ექმნით მწყემსისა მის სახიერის ნაცვლად [ღმრთისა მიერ] მოვლენილსა, რათა მარად პირმეტყუელ[ად] სამწყესოდ გამ[ო]სწინდეთ, და შეიკრიბნეთ ბაკსა ზეცისა [არვი]ხსასა, და არა იქმნეთ [შე]საჭმელ მგელთა მძვნ[ვარეთა], და არა შეგემთხვოს გან[საცდელ]ი, ვითარცა-იგი მაშინ, რომელნი უ[რჩ] ექმნეს ანდრია მოციქულსა, [რომელმანცა] მოუვლინა ღმრთისაგან მრისხ[ანე] ანგელოზი და შეცვალნა [ყოველთაგ] მათ ურჩთა სახლი ს[აც]ხოვარი, კაცითგან მიპირუტყუთამდე, ვიდრე მოიქცეოდეს.

და შემდგომად სარწმუნოებად მოყუანებისა მათ[თა] მო[ავლინა] ღმერთმან ანგელოზი [მშვიდობ]ითა და წყალობითა, [და ყოველი] ნათესავი კაცთა ნათლ[ითა] გამოუთქმელითა ა[ღ]ივისო, სახლნი დ[ა]



საყოფელნი მათნი, კეთილითა მო[უკ]ლუ-
ბელითა. საცხოვარნი სიმრავლითა
აღივსნეს და საუკუნე კეთილად
[წ]არ[ე]მართნეს, ნათლითა აღს[ა]ვ[ს]ედ.

24. აწ თქუნცა გულსმოდგინებითა,
სიმშვიდითა და კრძალულებითა გულს-
მოდგინებითა აღმსრულებელ ექმენით
ბ[ძანებასა] ღმრთისასა და ღმრთისა მო-
ციქულ[ისა] მეორ[ისა], აწ, ახლ[ისა] იერუ-
სალიმ[ისა] მამაგ[რებელსა] და ქრისტეს
საფლ[ავისა], და სრულიად ღმრთისა ამე-
რისა და აფხაზეთისა კათალიკოზს
იოვან[კიმს].

25. და ყოველთა შენობა [და წირ-
ვა] მი[ი]ღეთ, რათა აქაცა [კურთხეულ]
იყვნეთ და საუკუნესცა [კურთ]ხეულ
გიწოდოს უფალმან ჩუენმან იესო ქრის-
ტემან, დღესა მას განკითხვისა და ზარის
ასახდელ[სა], რათა] გამოსწნდე ძედ ნათ-
ლისად და განგადღიერნ[ეს] თქუენ სარ-
წმუნობასა ამას და [მტკი]ცესა ზედა
მაზებელ[ისა], აღმსრულებელნი და და-
[მ]ამტკიცებელნი, [რათა არა მი]გიგოს
თუალუხავმან მან, დღესა მას დიდსა
ზარის ასახდელსა, ვითარმედ წარვედით[თ
ჩემგან წყეულნი ბნელსა [გა]რესკნელსა
და ცეცხლ[სა] უშრეტსა წყუდიადი[სასა];
არამედ დაიცევით ესე მცნება.

26. [და რომელმან ა]რა ირწმუნოს
და [არ]ა გულსმოდგინედ დაიცვა[ს]
მცნება ესე, იყოს წყეულ და შეჩუენებულ
მამისაგან, ძისაგან და სულისა წმიდი-
საგან, ვითარცა ზემოთ წერილ არს, ამინ
მეამენეთა, და იყავნ წმიდათა ანგელოზთა
[მიერ] უკუნუსამდე და უკუნითი უკუნი-
სამდე.

27. აწ კუალად ისმინეთ ებისკოპოზო-
თა [და ქორ]ეპისკოპოზოთა ვითარცა წმიდ-
თა კრებათა განაჩინეს, [ეგრეთ] უთნე-
ვარად დადევით, ნუ ვის ათნევ, სამწყ-
სოჲ შენი სწავლით და მაგრად დაიჭი-
რეთ, რათა მეორედ მოსვლვასა თქუნთ-
გან არ ითხოოს სიტყვს მიგება.

28. ეგრეთვე მოძღუართა: წესიერე-
ბით, ქრისტეს სიყუარულითა თქუნე,
[სამ]წყსოდ მ[ო]წაფით[უ]რთ, შეიყუარეთ
სჯული ქრისტესი და თავი თუსი დადევ
ცხოვართა თუსთათუს, ვითარცა მწყემსმან
სახიერმან, რათა არა ყოველთა ცოდვა

ხელთაგან შენთა იდიოს, და უკანასკნელ-
თა მათ ძრწოლა და აღმოფშვნვასა და
დაისაჯო.

29. მდღელთა: მართალთა ნების-
ყოფელად ნუ ცრუ-წინასწარმეტყუელ,
[არამედ] დაიცევი თავი შენი სიძვისაგან,
ტაცებისაგან, სიხარბისაგან, დიდის
სიცილისაგან, მთურალობისაგან და გარ-
დარევისაგან, რომელი არა ჯერ-არს
მოწესეთაგან.

30. მიეც ერსა უმეცარსა მარხვად,
რადცა წმიდათა კრებათა გააჩინეს
მარხვად, მიეც მტკიცედ და გაუტყველად
უქმი უქმად, ვითა სწერია გაჩენით
საეკლესიოთა დავთართა შიგან.

31. და რომელმანცა ებისკოპოზმან,
გინა ქორეპისკოპოზმან, ანუ მოძღუარმან,
გინა ხუცესმან არა გულითა მართლითა
დაიცვას მცნება ესე და ერსა არა უქადა-
გოს სარწმუნოება და კათ[ა]ლიკოზისა
ბრძანებასა ზედა მომჭირნედ და ძალმიცე-
მით არ იდგეს, კრულ წყეულ და შეჩუე-
ბულმცა არს აწ და უკუნისამდე; კრულ-
მცა არს ღმრთისა დაუსაბამო საგან
თ[ა]ვითა, შეილითა და ყოველითა მისითა,
რაოდენიცა რა არს სოფლითგან საუკუ-
ნოდმდე უკუნისამდე.

32. და უკეთუ ვინცა მეფეთა, თავად-
თა, აზნაურთა და აზნაურისშვილთა,
მოხელეთა, მოურავთა, ხელისუფალთა,
დიდთა და მცირეთა, მდიდართა და გლა-
ხაკთა, ყოველთა, [რომელთა] ესე მცნება,
ღმრთისა მიერ წმიდათა კრებათაგან
განაჩენი, ქრისტეს ღმრთისა მიერ
მართლმადიდებელთა სასურველი სიმტკი-
ცე და საწადელი, და მწვალებელთათუს
საკდემელი სჯული არა აღიაროს, არა
ირწმუნოს, და მტკიცედ არ გულსმოდ-
გინოს, და მაგრად არ იპყრას, და სხუა-
თაცა არ უქადაგოს, კრულ, წყეულ და
შეჩუენებულმცა არს რისხ თა ღმრთისა
დაუსაბამოჲსა მამისა, ძისა და წმიდისა
სულისაჲთა.

33. რომელი ხუცესი ცუდად ზღაპ-
რობდეს, ანუ ცუდად მეტყუელებდეს, ანუ
წესსა აკლებდეს სამწყსოთა სოფელთა
და ქუეყანათა, და მისისა სამრევლო სა
ცოდვა კათალიკო[ზ]სა და ქორეპისკო-
პო[ზ]სა არ გამოუცხადოს, ანუ ნატაცებსა



ცოლ-ქმართა გვრგვნი უკურთხოს, ანუ იპაროს, ანუ უხვედრთა ცოლ-ქმრთა შენდობა მისცეს, ანუ მისთა სამრევლოთა მარხვსა რევად უქმისა რევად შეუნდოს და რადცა მდღელობისა საქმე შეცოდებით დაიჭიროს, – წირვისაგან აღიხოცოს და წირვა მისი შეუწირავი იყოს, სადამდის კათალიკოზისა მოხსენებითა და გაგონებითა არ განიკანონოს.

34. ეგრეთვე, ვინცა და რამანცა კაც-მან მონასტერთა და საყდართა მამული მოიგოს, იურვოს, ანუ ვინ მოურავად და მოსაქმედ შემოვიდეს, – კრულ, წყეულ და შეჩუენებულ[ლ] ღმრთის დაუსაბამოდსა პირითა, შუღთა კრებათა მადლითა; ნუმცა იხსენების სულითა ჯოჯოხეთისაგან, ნუცა წირვითა, ნუცა გლახაკთა მიცემითა, ნუცა იერუსალიმს წარსლვითა, იტანჯებოდეს გამოუხსნელად უკუნისამდე.

35. ვინცა უხუედრი ცოლი შეირთოს, ანუ სვინასა, ანუ მეყვსსა შე[ე]ქოს, ანუ ძმის ცოლსა, ანუ შეირთოს, ანუ ბიძის ცოლი შეირთოს, ანუ რა გინდა უხუედრი ცოლი შეირთოს კათალიკოზისა აღლუარებლად, ქრისტეს უარისმყოფელთა თანამცა არს ნაწილი მისი, აწ და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

36. ვინცა უქმთა წელიწადისსა და შაბათსა, ცხრა უამითგან ორშაბათსა განთენებადმდე, სცოდებდეს, და პარასკევსა მიწას რევდეს, და წმიდათა კრებათაგან განაჩენი უქმნი დღენი კრძალვით და მაგრად არ შეინახნეს, მისთვის განწესებულ არს რისხუად ღმრთისა, მატლი უძილი, ცეცხლი უშრეტი, ღრჭენა კბილთა, მრისხანენი ანგელოზნი მას ზედა; და არა აქუს ნაშრომსა მისსა ბარაქად; ნაყოფი მისი მისთვის ურგებ.

37. კუალად ვინცა შესცოდოს წმიდათა მარხუათა და ხელყოს შეცოდება, გინა ოთხშაბათ-პარასკევთა, გინა ქრისტეს შობის მარხუათა, ანუ ღმრთისმშობლისა მიცვალებისა მარხუათა, ვინ გინდა შესცოდოს, გინა პეტრეს და პავლეს, რომელ არს პეტრე-პავლობის მარხვად, მარტულთა რეგუენთა კიდევ;

38. და ვინ უხუედრი ცოლი შეირთოს შეუნდობელი და კათალიკოზისა

ბრძანებითა არ გაეყაროს და ურჩად დაუდგეს, გინა სასჯულოსა საქმესა ზედა ძალი არ მისცეს, და უსჯულოთა შემწე ექმნას, გინა მეყვისობისათვის, გინა ქრთამისათვის ანუ შეხვეწისათვის;

ანუ მარხუა[სა] რევდეს, რადცა წმიდათა კრებათა გა[ა]ჩინეს ამას ზედა, მაგრად არ იმარხვიდეს მართლად, ანუ უქმთა რევდეს, ანუ მართლად არ შეინახოს და წმიდათა კრებათგან განეწილი შეურაცხყოს, და კათალიკოზისა ბრძანებასა არა მორჩილებდეს;

გინა მონასტერთა დამცრობასა მოიჭირვოს თავისთვის გინა სხუათათვის იურვოს, ანუ სხუათა უურვოს, ანუ მეტრობისათვის, ანუ მეორისა მოყურობისათვის, გინა ქრთამისა აღებისათვის რა გინდა რა გამოახოს გინა გლეხი მოსახლე გინა საჭურჭლე, გინა კაცი, გინა ჯოგი, გინა დიდი, გინა ცოტად, და არ მიღმა შემატებდეს;

კათალიკოზისა სიტყუასა და ბრძანებასა არ დამორჩილდეთ, და ესე, ცნება არა დაიცვად, და არა გულითა წმიდითა აღიაროთ და ძალმიცემით არ დაიჭირვოთ და არა ირწმუნოთ, – გინა მეფეთა, გინა თავადთა, გინა დიდებულთა, გინა აზნაურთა, გინა ებისკოპოსთა, გინა ქორებისკოპოზთა გინა მოძღუართა, გინა მღვდელთა, გინა დიაკონთა, გინა მსახურთა, გინა გლეხთა, გინა მამათა, გინა დედათა, გინა დიდთა, გინა მცირეთა, ვინ გინდა ვინ ეს მცნება არ ირწმუნოთ, და კათალიკოზსა არ დამორჩილ ექმნას, და ვითა ესე აღწერილი მოგვითხრობს მარხვათა განაჩენსა და ესრეთ არა იმარხოს;

39. წელიწადთა შინა ოთხშაბათ-პარასკევი ესრეთ განიხსნების: ყოველთა ოთხშაბათ-პარასკევთა, ვითარცა დიდთა მარხე[ა]თა, ჯერ-არს მარხვად, უკეთუ საუფლოდ დღესასწაული არა დახუდეს, ანუ საჩინოთა წმიდათა, რომელსა ტადარსა შინა შეკრებულნი ერნი დღესასწაულობენ; ქრისტეს შობა მსგეფსამდე ხსნილი არს; მიგებება ხსნილი არს; ზადიკთა განზოგება ხსნილი არს; ამადღებისა წინა დღე ხსნილი არს, ოთხშაბათ-პარასკევი არა; ახალ კურიაკე ხსნილი



არს მსგეფს[ამდე; სულის წმიდისა მოს-
ლვისა მსგეფსამდე ხსნილი არს; აღა-
ჯორთ კვირიაკე და ყუელიერისა კვირია-
კე ხსნილი არს მონოზონთათუს და ერის-
კაცთათუს.

ამათ გარეთ ოთხშაბათ-პარასკევი
არა განიხსნების. და რომელმან განხსნას,
საშინელი სატანჯუელნი განმზადებულ
არიან მათთუს ღმრთისაგან, და კანონსა
ქუეშე იქმნებიან უზიარებელნი, და ეკლე-
სიას არ შეიშვების ვითარცა ურჩი
ღმრთისა.

ეგრეთვე წმიდისა გიორგისი თავადი
დღესასწაული აპრილსა ოცდასამსა მათთუს
ხსნილი არს, ვინ ეკლესიას მივიდენ. ვინ არ
მივიდეს, ვერ განხსნის ნოენბერსა ი.

და უქმნი, წერილსა შინა, ვითარცა
საეკლესიოთა წიგნთა კრებათგან
განჩენილმან ამცნოს, ეგრეთ.

40. და ვინ ორი ცოლი ერთად
შეირთოს, გინა დედა-შვილი მამა-შვილთა
შეირთოს, გინა ორი დანი ორთა ძმათა
შეირთონ, ანუ ვის ცოლი მოუკუდეს,
ცოლისა ასული შეირთოს, ანუ ვინ
ცოლისა დედა, რომელ არს სიდედრი,
შეირთოს, ანუ მეყუსი შეირთოს, ანუ ვინ
ცოლი უხუდრი შეირთოს, ანუ ვინ
რძალი შეირთოს, გინა შე[ე]ხოს, გინა
დობილი ანუ დედობილი შეირთოს, დიდ-
მან გინა მცირემან, გინა ხუცესი, ბილწი
იყოს და შეაგინოს ხორცი თუსნი სხუასა
დიაცსა თანა, გინა მხევალი ისვას და
ჟამის-წირვად იკადროს, –

ვინ ესე მცნებანი და სწავლანი,
სასულიერო და სახორციელო, ყოვლითა
გულსმოდგინებითა და გულითა უყალ-
ბოთა და უტყუვართა არა აღიაროს, არ
დაიცვას და არა შეინახოს, და ურჩ ექმ-
ნას ამა სწავლასა წმიდათა კრებათგან
განჩენსა და დამტკიცებულსა, და კატა-
ლიკოსსა ურჩ-ექმნას: მეფენი, გინა თა-
ვადნი, აზნაურნი, გინა აზნაურისშვილნი,
მსახურნი, გინა გლეხნი, ებისკოპოზნი,
გინა ქორებისკოპოზნი, მოძღუარნი, გინა
მღდელნი, გინა დიაკონ[ნი], მოხელენი
ხელისუფალნი, დიდნი გინა მცირენი, ყო-
ველნი ურჩქმნილნი წყეულ და შეჩუ-
ნებულმცა არიან ღმრთისა დაუსაბამოძსა
პირითა, რომელმან შექმნა საუკუნენი;

კრულმცა არს სამკვდრებელი მათი,
სული და ხორცი მისი; კრულ, წყეულ და
შეჩუენებულმცა არს სახლი სამყოფი მი-
სი;

კრულ, წყეულ და შეჩუენებულმცა
არს პატიოსნისა და ცხოველსყოფელისა
ჯუარისაგან, რომელსა ზედა განიყრნა
უხრწნელნი ხელნი თუსნი ხსნისათუს
ჩუენისა ქრისტემან ღმერთმან ჩუენმან;

წყეულმცა არს წმიდათა ზეცისა
ძალთაგან; წყეულმცა არს წმიდისა იოვანე
ნათლისმცემელისგან; კრულ, წყეულმცა
არს წმიდათა და ყოვლადქებულთა მოცი-
ქულთაგან; კრულმცა არს შვიდთა კრე-
ბათგან;

წყეულმცა არს ყოველთა ღმრთისა
წმიდათაგან, რომელნი საუკუნითგან
სათნო-ყუენეს უფალსა ჩუენსა იესო
ქრისტესა, და აწცა სათნო ყოფად არიან.

41. ამა მცნებათა ურჩქმნილნი და
შეურაცხის-ყოფელნი კრულ და
შეჩუენებულმცა არიან ცათა და ქუეყანი-
საგან, ხორცითა და სულითა, თვითა და
ცოლითა, შვილითა და შვილის შვილითა,
მისითა ერდგულითა;

არისმცა მისთუს ესე სოფელი
მოკლე და უსარგებლო; არისმცა ცოლი
მისი ქურივ და მწუხარე, შვილნი მისნი
ობოლ, შერყეულ და დაცვივნებულ,
ვითარცა მართუენი ყორნისანი; უნაყო-
ფომცა არს ყანა, სათესვი არა არს თეს-
ლისა გამომდებელ, მამული მისი უნაყო-
ფომცა და ნუ შეიკრებს მისგან ნაყოფსა;

წყეულიმცა არის მისი ცხენი,
ზროხა და ყოველი საცხოვარი; ნუმცა
ეპოების სახლისა მისისაგან სანუგეშინის-
მცემო.

კრულმცა არს თავი მისი მხართა
მისთა ზედა; კრულმცა არს, მხარნი მისნი
წელთა მისთა ზედა; კრულმცა არს წელ-
ნი მისნი თეძოთა მისთა ზედა; კრულმცა
არს თეძონი წყვლთა მისთა ზედა; კრულ-
მცა არს წყვლნი მისნი მუხლთა მისთა
ზედა; კრულმცა არს მუხლნი მისნი კოჭ-
თა მისთა ზედა; კრულმცა არს კოჭნი
მისნი ფერხთა მისთა ზედა; კრულია ფერ-
ხი მისი მიწათა, ადგილთა და სამყოფთა
ზედა; კრულ არს იგი ადგილი მისთუს,
სადა დადგენ ფერხნი მისნი; კრულ არს



თუაღნი მისნი სახედველად და მხედველად; კრულმცა არს პირი მისი პურისა მჭამელად, ენა მეტყუელად, ხელნი საქნელად, ფერხნი სავლელად, გული საქმისა გასაგონებლად; კრულმცა არს იგი და მისი გასაგის[ი], მისი გასაგებელი სხვამან მიიღოს; კრული არს მისი სიცოცხლე, კრული არს მისი სიკ[უ]დილი; კრულ არს მისი საფლავი, სადა დაეფლვის.

ნუმცა იხსნების სულითა და ხორცი-თა, თავითა და ცოლითა და შვილითა და ყოვლითა მისითა გასაგებელითა; ნუმცა იხსნების წირვითა ებისკოპოსთა და მღვდელთათა; ნუმცა იხსნების იერუსა-ლემს წასლვითა, ნუმცა ღოცვითა მოლო-ზონთათა, ნუმცა გლახაკთა მიცემითა, ნუმცა მშიერთა განძღომითა; არა რა ქუელის საქმე ერგოს მას; ყოველივემცა უსარგებლო არს მისთვის.

42. ვინცა ესე მცნებად და სწავ-ლად არა აღიაროს, არა ირწმუნოს და არა ჭეშმარიტებით აღასრულოს, იყოს ნა-წილად მისად, სად არს ტანჯვით სამ-ყოფი, ქრისტეს უარისმყოფელთა, ბნელი წყუდიადი, განუხნათლებელი, ვაებით აღ-სავსე, ცეცხლი უშრეტი, მატლი უძილი, ტარტაროზი, გლოვა უნუგეშინისცემოდ, და ღრჭენად კბილთა, ნისლი წყუდიადი, საბურველი თუაღთა მყოფთა ფსკერთა ჯოჯოხეთისათა; ნუმცა არს ხსნა და გა-მოსხნა მათ მიერ ვიდრე უკუნითი უკუ-ნისამდე, ამინ, ამინ, ამინ.

43. ქრისტიანენი მართლმადიდებელ-ნი, რჯულისა მამტიკიცებლნი ღმერთმან აკურთხნეს.

ბეჭედი: ბიჭვინტისა ღუთის-მშობლი-სა საჭეთ-მპყრობელი კ“ზი. (ქ.ს.დ. 1970, ტ. III, გვ. 221-233.)

ბიჭვინტის საეკლესიო კრება (1543–1549)

„სამართალი კათალიკოსთა“
[სრული ტექსტი]

ჩვენი დიდი მემადიანე ბატონიშვილი ვახუშტი წერს XVI ს-ის ბოლოსა და XVII სის დასაწყისში შექმნილი ვიტარე-ბის შესახებ: „უამთა ამათ შინა იქმნა განტევება ცოლთა, კვლა კაცთა და იღუ-მალ ტყვის ყიდვა და უჯერონი სჯულსა ზედა მრავალნი იმერეთსა შინა. ამი-სათვის შეკრბნენ ქართლისა კათალიკოსი მალაქია, აფხაზთა კათალიკოსი ევდემონ და ყოველნი ეპისკოპოსნი იმერეთ-ოდიში-სანი. ხოლო ეპისკოპოსნი ესენი იყვნენ: ქუთათელი სვიმონ, გენათელი ანტონი, ჭყონდიდელი, ბედიელი, მოქველი, დრან-დელი ფილიპე, ცაგერელი კოზმან, ხონე-ლი ზაქარია, ნიკორწმინდელი იოაკიმ, ჩაიშელი კვირილე, ამათ განაჩინეს მოქ-მედთა მათთვის ჯეროვანი შერისხვანი, დაწერნეს და შეაჩვენეს მოქმედნი მისნი, ვითარცა გაუწყებს აღწერილი მათი“. (ქართლის ცხოვრება IV, 1973, გვ. 824).

მართლაც, ჩვენამდე მოღწეულია ქართული საეკლესიო სამართლის ძეგლი, ცნობილი „კათალიკოსთა სამართლის“ სახელით, რომელშიც გადმოცემულია XVI ს-ში შემდგარი საეკლესიო კრების დადგენილება: „სამართალი კათალიკოს-თა. ქ. სახელითა ღვთისათა მე, ქრისტეს მიერ კურთხეულმან ყოვლისა საქარ-თველოდსა პატრიარქმან მალაქია, მე, ქრისტეს მიერ კურთხეულმან აფხაზეთის კათალიკოსმან მამათ-მთავარმან ევდემონ, დაგსხედით და შეგკრიბენით ყოველნი ეპისკოპოსნი აფხაზეთისანი. და დიდი სიყ-მილი მოვიდა ცოდვათა ჩვენთაგან, მრავალნი უწყსობა და უჯერო საქმე შემოვი-და: კაცის კვლა, კაცის სყიდვა, ეკლესიის კრეხვა და უხვედრობა. დავიდევით სჯუ-ლის კანონი და ჩვენიცა იმისაგან გამო-ვიდეთ და რაცა იმისაგან არ გამოვი-დევით, ჩვენ ჩვენი მაგიერი ბიჭვინტის



საეკლესიო კრება (1543-1549) არა შეგვიმატებია რა. და სჯულის კანონიცა ასრე ბრძანებს“. (ქს.დ. I, 1963, გვ.393)

ამ დადგენილებაში სჯულის სამართლის მუხლები დამტკიცებულია საეკლესიო კრების მიერ. კრებამ დალოცა ყოველი აღმსრულებელი ამ კანონებისა: „ვინც ეს მოციქულთა და წმიდათა კრებათაგან განწესებული და ჩვენ მიერ დამტკიცებული სჯული და წიგნი გაათაოს კურთხევა ღვთისა, უბიწოდ მშობელისა მისისა და წმიდათა კრებულთაგან და წმიდათა მოციქულთა და ყოველად წმიდათაგან“... (იქვე, გვ.396)

კრებამ იქვე დაკრულა არაღმსრულებელი კრების დადგენილებებისა: „ვინცა ამ წმიდა კრებათა მოციქულთაგან განწესებული და ჩვენ მიერ დამტკიცებული არ შეიწყნაროს და კათოლიკეს საყდარზედ დასმულსა წინააღმდეგს და ჩვენი მცნება არ დაიმარხოს, კრულმცა არის ცათა შინა და ქვეყანასა ზედა წმიდათა კრებულთაგან, წმიდათა მოციქულთაგან და ყოველთა წმიდათაგან“... (იქვე, გვ. 397)

კათალიკოსთა სამართალი, როგორც ეს ძველის შესავალიდანაც ჩანს, შედგენილია არა ერთი კათალიკოსის, არამედ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქისა და აფხაზეთის კათალიკოსის მიერ, ასევე დამტკიცება ბიჭვინთის იადგარისა, რომელიც „კათალიკოსთა სამართლის“ დამატებად მიიხნევა, ევალეობდა ქართლის კათალიკოსს აფხაზეთის კათალიკოსთან ერთად, აქედან ჩანს, რომ ქართული ეკლესია მიუხედავად ურთულესი პოლიტიკური ვითარებისა XVI-XVIII სს-ში, სულიერად მთლიანი იყო. ანტიოქიელი პატრიარქის მიხედვისა და სხვათა მცდელობას, გაეყოს საქართველოს ეკლესია, მოსალოდნელი შედეგი არ მოჰყოლია. კვლავინდებურად მცხეთელი პატრიარქის ავტორიტეტი დასავლეთ საქართველოში მაღალია, რასაც მიუთითებს ჩვენგან განხილული კრების მიერ გამოცემული დოკუმენტი. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ XVI ს-ის დასაწყისიდან დასავლეთ საქართველოს კათალიკოსები უკვე ითავისებდნენ პატრიარქის ტიტულს.

იქამდე, როგორც ცნობილია, საქართველოში კათალიკოს-პატრიარქი მხოლოდ ერთი იყო, რეზიდენციით მცხეთაში. XVI ს-ის შემდეგ, საქართველოს პოლიტიკურ დაქუცმაცებულობას თავისი ასახვა მოჰყვა საეკლესიო ცხოვრებაშიც. ცნობილია, რომ დაშლის შემდეგ, ქართლის, კახეთის, იმერეთის მეფეები თავიანთ თავს „სრულიად საქართველოს მეფეებს“ უწოდებდნენ (გარკვეულ დრომდე). ამით ისინი მიანიშნებდნენ, რომ არ ცნობდნენ საქართველოს სახელმწიფოს დაშლას, ცდილობდნენ მის გაერთიანებას პირადი მეთაურობით. მსგავსადვე, დასავლეთ საქართველოს კათალიკოსები პატრიარქის ტიტულით თავიანთ თავს სრულიად საქართველოს უზენაეს სულიერ პირველ იერარქად მიიხნეოდნენ, როგორც ეს აფხაზეთის კათალიკოს გრიგოლ ლორთქიფანიძის ბიჭვინთისადმი მიძღვნილ შეწირულების წიგნის დამამტკიცებელი ბეჭდის წარწერიდან ჩანს: „გრიგოლ მწყემსი ქრისტესმიერ ყოვლისა საქართველოს კათალიკოზი“ (1712 წ.). იგივე კათალიკოსი ბიჭვინთისადმი სხვა შეწირულობის წიგნში თავის თავს „ჩრდილოეთისა და აფხაზეთის კათალიკოზს“ უწოდებს. (ქართული სამართლის ძეგლები III, გვ. 769:)

ცნობილია, რომ ძველქართულ საისტორიო გეოგრაფიაში ტერმინი „ჩრდილოეთი“ და ტერმინი „საქართველო“ იდენტური ტერმინები იყო. „ჩრდილოეთს“ (ზოგჯერ „აღმოსავლეთს“) საქართველოს უწოდებდნენ. პატრიარქის ტიტულის მინიჭებით, ჩანს, დასავლეთ საქართველოს კათალიკოსს სრულიად საქართველოს ეკლესიის კანონიერ მამამთავრად წარმოაჩენდნენ, ისევე, როგორც ვთქვამთ, იმერეთის მეფეები სრულიად საქართველოს მეფეებად წარმოაჩენდნენ თავიანთ თავს. იმერეთის მეფე ბაგრატ I 1545 წლის სიგელში თავის თავს „მეფეთამეფეს“ უწოდებს და „ლიხთ-ამერისა და ლიხთ-იმერის“ ციხისთავებს უბრძანებს, დაამტკიცონ მის მიერ გაცემული სიგელი (ქს.დ. II გვ.189). „მეფეთამეფის“ ტიტულის მინიჭებით იმერეთის მეფეები თავიანთ თავს წარმოადგენდნენ სრულიად საქართველოს კანონიერ მეფეებად, ასეთივე პოლიტიკუ-



რი შინაარსი ედო დასავლეთ საქართველოს კათალიკოსთა მიერ პატრიარქის ტიტულის მინიჭებას. შემდგომში, მათ ტიტულარტურაში ბოლომდე რჩება ეს წოდება. მაგრამ მაინც ქართლის კათალიკოსები უზენაეს სასულიერო ავტორიტეტებად და უპირველეს მამტიციცებელ რჯულმდებლებად მიიჩნეოდნენ დასავლეთ საქართველოშიც. მაგალითად, ბიჭვინთის იადგარში, რომელსაც ხელი მოაწერეს და თანდათანობით დაამტიციცეს დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) კათალიკოსებმა: მალაქია აბაშიძემ (1519–1532), ევდემონ ჩხეტიძემ (1543–1575), ეფთვიმი I საყვარელიძემ (1578–1605), მალაქია II გურიელმა (1605–1639), მაქსიმე I მაჭუტაძემ (1628–1657), ზაქარია ქვარიანმა (1657–1659), სვიმონ I ჩხეტიძემ (1659–1666), დავით ნემსაძემ (1667–1682), ნაბრძანებია იმის შესახებ, რომ, როგორც აღინიშნა, ეს დოკუმენტი უნდა დაამტიციცოს ქართლის კათალიკოსმაც: „და თქვენ წმიდანო მეფენო, მღვდელთ-მთავარნო, აფხაზეთისა და ქართლის კათალიკოსნო, თქვენცა ასრეთ დაუმტიციცეთ“. (იქვე, გვ. 182) თუმცა, ზოგიერთი უცხოური წყარო „ქვემო იბერიის არქივისკოპოსს“ (ასე უწოდებენ ისინი აფხაზეთის კათალიკოსს) უფროს, უხუცეს პირველიერარქად მიიჩნევენ „ზემო იბერიის არქივისკოპოსთან“ შედარებით.

ბიჭვინთის საეკლესიო კრების მიერ გამოცემული „კათალიკოსთა სამართლის“ კანონთა ტექსტი ი. დოლიძის დაყოფით შეიცავს 23 მუხლს, დალაგებულია გარკვეული თანამიმდევრობით: 1-ლი მუხლი კაცის ყიდვა-გაყიდვას ეხება, მე-2–6 მუხლები ეკლესიის გატეხას, ქურდობასა და კაცის კვლას, მე-7–15 მუხლები ეპისკოპოსის მიერ და ეპისკოპოსის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულს, მე-16 მუხლი – მეფის დალატს, მე-17–18 მუხლები – კათალიკოსისა და ეპისკოპოსის შეურაცხყოფას და უღირსი მღვდლის კურთხევას, მე-19 მუხლი – საქმის მრუდად გამოძიებასა და დამნაშავის გასამართლებას, მე-20 მუხლი საეკლესიო მამულ ების დატაცებას, 21-ე მუხლი – სჯულდების შესრულებას, 22-ე მუხლი – რძლის შერთვას

და უკანასკნელი 23-ე მუხლი – ცოლის უბრალოდ დაგდებას“. (ქ.ს.დ. I, 1963, გვ. 608)

პროფ. ი. დოლიძე აღნიშნავს – „კათალიკოსთა სამართლის“ მთავარი წყარო არის, როგორც ეს სამართლის წიგნის შესავლიდან ჩანს, „სჯულის კანონი“... აკად. კ. კეკელიძემ გამოიკვლია, რომ კათალიკოსთა კანონები დამყარებულია „დიდი სჯულის კანონზე“ და არა ექვთიმე მთაწმიდელის მიერ ნათარგმნ „მცირე სჯულის კანონზე“... „კათალიკოსთა სამართალი“ არ წარმოადგენს სჯულის კანონის უბრალო გამოკრებას. იგი ქართული საეკლესიო სამართლის ორიგინალური ძეგლია, რომლის დადგენილებანი ქვეყნის მაშინდელი ყოფაცხოვრების სინამდვილეს ასახავენ“. (იქვე, გვ.608).

კათალიკოსთა სამართალი მთელ საქართველოში მოქმედი სჯული იყო. მასში არაა აღნიშნული საეკლესიო კრების მოწვევის ადგილი. თ. ჟორდანიას აზრით, რომელიც ამჟამად აღიარებულია, „კათალიკოსთა კანონები“ დაწერილია XVI ს-ის პირველ ნახევარში. მასში მოხსენიებული იმერთა კათალიკოსი ევდემოზ უნდა იყოს ევდემოს I (1549–1578) და არა ევდემოს II (1666–1669). „კათალიკოსთა სამართლის“ ხელრთვაში აღნიშნული ქუთათელი მიტროპოლიტი სვიმონი აღსაყდრებულია 1529 წელს, იგი უკურთხებიან ბიჭვინთის ტაძარში. (ქრონიკები, II, გვ. 572) კრების ხელის მომწერი ცაიშელი (ჩიშელი) ეპისკოპოსი კვირილე მოღვაწეობდა ლეონ დადიანის დროს (1533–1571), მისი გვარი ყოფილა ჟვანიძე. (იქვე გვ.414) კ. კეკელიძის აზრით, კრება ჩატარებულია 1543–1549 წლებში. (კ. კეკელიძე ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია II, 1960, გვ.571) პირველი თარიღი (1543) აფხაზეთის კათალიკოსის ევდემონ I ჩხეტიძის აღზევების წელია, ხოლო მეორე (1549) ქართლის კათალიკოსის მალაქიას გარდაცვალებისა. „ამრიგად, კათალიკოსთა სამართალი შედგენილია XVI ს-ის 40-იან წლებში იმერეთის მეფის ბაგრატის დროს (1510–1565). (ქ.ს.დ. II, გვ.605)



მაშასადამე, კათალიკოსთა სამართალი შედგენილია იმ დროს, როდესაც აფხაზეთის (იმერეთის) კათალიკოსთა ტახტი იდგა ბიჭვინთაში, უფრო გვიან (1657 წ.) ტახტი ჩრდილოკავკასიელ (აფსარ-აბაზ-ჩერქეზ) ტომთა შემოსევებისა და ოსმალთა მძლავრობის გამო გადატანილ იქნა გელათში. მაშასადამე, თუ ზემოაღნიშნულ კრების მოწვევის თარიღს დავეთანხმებით, კრება ჩატარდა ბიჭვინთაში, საკათალიკოსო ცენტრში, მაგრამ არსებობს სხვა თვალსაზრისიც. ვახუშტი ბატონიშვილს აღნიშნული კრება XVII ს-ში ჩატარებულად მიაჩნდა (დაახლ. 1605 წ.). ჩვენ ვეთანხმებით პირველ დატარებებს, რადგან ძეგლიდანაც ჩანს, რომ კრების მოწვევის დროისათვის „კაცის სყიდვას“ ჯერ კიდევ არ ჰქონია ფართო, ღია, დაუფარავი ხასიათი მიღებული, ჯერ იგი არ ყოფილა გადაქცეული „ტყვეთა სყიდვად“, რომელსაც XVII ს-ში უკვე დაუფარავად მისდევდნენ. ვახუშტის და სხვა მემკვიდრეებს მიაჩნდათ, რომ ტყვეთა სყიდვამ ჩვენში დაუფარავი სახე მიიღო როსტომ მეფე-ხანის და ლევან II დადიანის დროს. უნდა ითქვას, რომ ადამიანთა გაყიდვის ფაქტების გამოძეგლებისთანავე (ე.ი. XVI ს-ში) ჩვენს წმიდა ეკლესიას მიუღია ზომები, ცდილა ძირშივე აღმოეფხვრა ეს მავნე ცოდვა, მაგრამ, ქვეყანაში შექმნილი ვითარების გამო, მის ცდას ობიექტური, მოსალოდნელი შედეგები არ მოჰყოლია. ამ ძეგლიდან ჩანს, რომ საქართველოში (კრების მოწვევის ეპოქაში) საეკლესიო სამართლის იურისდიქციას ექვემდებარებოდა არა მარტო სასულიერო საეკლესიო საქმეები, არამედ, ზოგიერთ შემთხვევაში, სისხლის სამართლის დანაშაულებანიც. (კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ.571)

მართალია, იმ დროისათვის ბიჭვინთაში კრების მოწვევა საშიში იყო (ე.ი. XVI ს-ის შუაწლებში), მაგრამ ის მაინც წარმოადგენდა უდიდეს საეკლესიო ცენტრს და, როგორც ჩანს, აქ, საეკლესიო დედაქალაქში, შედგა განხილული კრება.

„სამართალი კათალიკოსთა“

[სრული ტექსტი]

ქ. სახელითა და ღ“თისათა მე, ქრისტეს მიერ კურთხეულმან ყოვლისა საქართველოსა კათალიკოსმან პატრიარქმან მალაქია, მე, ქრისტეს მიერ კურთხეულმან აფხაზეთის კათალიკოსმან მამათმთავარმან ევდემონ, დაესხედით და შეეკრიბენით ყოველნი ებისკოპოსნი აფხაზეთისანი.

და დიდი სიყმილი მოვიდა ცოდვათა ჩუენთაგან, მრავალი უწესობა და უჯერო საქმე შემოვიდა კაცის კლვა, კაცის სყიდვა, ეკლესიის კრეხვა და უხვედრობა.

დავიდევით სჯულის კანონი და ჩუენცა იმისგან გამოვიდევით; და რაცა იმისაგან არ გამოვიდევით, ჩუენ ჩუენი მაგიერი არა შეგვიმატებია რა.

და სჯულის კანონიცა ასრე ბძანებს. [კაცის სყიდვისა ესე გავაჩინეთ]

1. ქ. რამანც კაცმან კაცი გაყიდოს, ანუ დიდმან, ანუ მცირემან, ანუ თავადმან, ანუ აზნაურმან და ან გლეხმან, წმიდათა კრებულთაგან შეჩუენებულ იყოს და განჭვლიდი.

რასაც კაცს მართლით განკითხვითა და გამოძიებითა კაცის სყიდვა გამოაჩინდეს, თუ ის კაცი დაივსნას და მოიყუანოს, მისსა საყდარსა და ებისკოპოსს დაუურვოს, რა ერთიც ძალედვას, დამკლების უფალსაცა დაუურვოს.

და თუ ვერ მოიყუანოს, ვინ გინდა ვინ იყოს, თავადისშვილი უნდა აზნაურ-შვილი, უნდა გლეხი, მაშინც ვერამ საქმემ ვერ ივსნას, უკანონოდცა არს, – ძელსა მიეცეს.

და ვინც ქრთამი აიღოს და არ ჩამოარჩოს, შეჩუენებულ იყოს წმიდათა კრებულთაგან და კანონსამცა ქუეშე არის წმიდათა მოციქულთასა.

ქ. ეკლესიის მკრეხველთათვის ესე განგწესებია

2. ქ. ვინც ეკლესია გატეხოს და ხატი განძარცოს უკანონოდ ძელსა მიეცეს.

3. ქ. ვინცა ეკლესიას შიგან შევიდეს და საქონელი გამოიტანოს, ეკლესიასა



მისი საქონელი მიეზღოს და კაცი დაშავდეს.

4. ქ. ვინცა ძმა მოკლას ანუ მამა, ჳელი მოეკუეთოს და მამულისაგან განვარდეს.

5. ქ. ვინცა უბრალო კაცი მოკლას ანუ მგზავრი, ანუ მცველი რისამე ქურდობით, განიპატიჯოს.

6. ქ. ვინცა ქურდობა ქნას, რარი-გადაც პირველად წესი ყოფილიყოს, ისრე გარდააჳღვეინონ. ქ. ებისკოპოზის საქმე ესე გაგზენინა

7. ქ. რომელიც ებისკოპოზი მისსა საყდარსა განეშოროს თუნიერ ოცის დღისა, თუ არ პატრონისა მიზეზისა და საქმისათვის და ანუ სამწყსოსა შიგან სიარულისაგან თავი ჳელთ არა ჳქონდეს და ანუ ავად არ იყოს, ანუ მისსა სამწყსოსა შიგან ქორებისკოპოზსა გაუწყუეტლად არ არონინებდეს და სჯულის საქმესა და მღდელ-მონაზნის საქმეს და მისსა სამწყსოსა ეკლესიების საქმესა მართლად არ მწყსობდეს, არა მართებდეს და არ ამაგრებდეს, რაცა ძალ-ედვას, მის საყდარს არ აშენებდეს და არ კაზმევდეს, ანუ საყდრის მამულს არ ამაგრებდეს, და რომელმანცა ებისკოპოზმან, რაცა სჯულის კანონსა შიგან არ ეწეროს, იმას გარეთ ანუ უხვედრობისა და სუნაობისა საქმესა ზედა ნება დართოს და ანუ საკანონო აართვას, – შეჩუენებულ იყოს წმიდათა კრებულთაგან და კანონსამცა ქუემ არის წმიდათა მოციქულთასა, და მისისა საყდრისაგან ექსორია იქმნას.

8. ქ. რომელმანცა ებისკოპოზმან დიაკონი და მღდელი ასრე აკურთხოს, რომე მართალზე არ განიკითხოს და ანუ დავითნისა და მსგებსისა და კურთხევანისა კითხვა არ შეეძლოს, და ანუ უმოძღურო იყოს და მოძღუარი არ განიკითხოს, შეჩუენებული იყოს.

9. ქ. რომელმანცა ებისკოპოზმან სხვის ებისკოპოზისა შეუნდობელსა შენდობა მისცეს, ანუ დიაკონი და მღვდელი უკურთხოს, შეჩუენებული იყოს.

10. ქ. რომლისაც ებისკოპოზის სამწყსოს შიგან ესე იქნებოდეს, უმდღლოდ და, თუ ღონე არ იყოს, უმთავარდია-

კუნოდ, ერის კაცის ელითა ანუ ზიარება გაეგზავნოს და ანუ ეზიაროს, ხუცესი წირვისაგან დააყენოს.

11. ქ. რომელმან ებისკოპოზმან მისსა სამწყსოსა შინა ესე იკადროს და არ მოიკითხოს, შეჩუენებული იყოს.

12. ქ. რომლისაც ებისკოპოზისა ქორებისკოპოზი სოფლის სოფლამდის და ეკლესიის ეკლესიამდის არ მივიდოდეს და იმ ეკლესიის შესავალსა კაცებსა არ შეჳყრიდეს, უქმობასა, ნათესაობასა, ავგზისობასა, სუნაობასა, მარხვის ჳამასა მართლით საქმით არ გამოიკითხვიდეს და არ მართებდეს, შეჩუენებული იყოს.

13. ქ. რომელიცა, ანუ დიდი ანუ თავადი, ანუ აზნაური, ანუ გლეხი, ებისკოპოზსა წინააღუდგეს და მართლითა სამართლითა და განკითხვით ქორებისკოპოზს სარჯულო არ მოაკითხვიდეს, შეჩუენებული იყოს.

14. ქ. ვინცავინ ებისკოპოზსა და მისსა ქორებისკოპოზსა წინააღმდეგობა ჳკადროს, მართლითა განკითხვითა და გამოძიებით რჯული არ მოჳკითხოს პატრონმან, მეფემან მისად სისხლად და შეცოდებად მოიკითხოს.

15. ქ. რომელიცა ებისკოპოზი, დიდი ანუ მცირე, კათალიკოზსა სამდთოსა და სასჯულოსა საქმეზედა, ანუ საყდრისა, ანუ სჯულისა საქმე რამე დაეშაოს, მართლითა განკითხვითა და გამოწულილვითა რაცა კატალიკოზმან სწუართოს, ეწუართოს და მართალსა წესზედა დაადგეს, არა და არ გაუგონოს და არცა იწუართოს, წირვისაგან განიკუეთოს და მეფემ საყდრისაგან ექსორია ქმნას.

[მეფის დალატისა ასრე იქნას]

16. ქ. ვისაც პატრონის მეფის დალატი გამოაზნდეს, ანუ დიდსა, ანუ თავადსა, ანუ აზნაურსა, ანუ ვისაც, მართალით განკითხვით და გამოწულილვითა, რარი-გადაც წმიდათა კრებათა და წმიდათა მოციქულთაგან გაჩენილი იყოს და სჯულისა კანონსა შიგან ეწეროს, სიკუდილით განიპატიჯოს.

[კათალიკოზისა და ებისკოპოზის გინებისათვის]



17. ქ. ვინც კათალიკოსსა და ეპისკოპოსსა აგინოს და უპატიურობა ჰკადროს, რარიგადაც სჯულის კანონში ეწეროს, იმრიგად განიპატიუოს.

[უღირსი მღვდლის კურთხევისათვის]

18. ქ. რომელმანცა ეპისკოპოსმან უღირსი მღვდელი ანუ დიაკონი აკურთხოს, და ანუ იცოდეს მისი უღირსობა, და ანუ წირვა დაანებოს, და ანუ ქრთამი აართვას, შეჩვენებულნიცა არის, ვითარცა სჯმონ მოგვ. ნურც ეპისკოპოზი, ნურც მოძღუარი და წინამძღუარი ქრთამით ნუ დაიდგინების. ამისთ ს სჯულის კანონი ასრე ბრძანებს: შეუნდობელი იყოს მაკურთხეველიცა და კურთხეულიცა.

[მრუდად გამოკველევისა და გამართლებებისათვის].

19. ქ. რომელმანც კაცის მსყიდველი და ეკლესიის მტხეელი, მართალი მრუდად გამოიკულიოს და მრუდი განამართლოს, შეუჩერებელი იყოს.

[საყდრის მამულის გამოხუმისათვის]

20. ქ. ვინცავინ, დიდმან ანუ მცირემან, საყდარსა და მონასტერსა მამული გამოახუას, ანუ სოფელი, ანუ ვენაკი, ანუ მიწა და აგარი, ვინცავინ [იყოს], დიდი და მცირე, შეჩვენებული იყოს.

[სჯულის გამთავებელთა და გარდამავალთათვის]

21. ქ. ვინცა ეს, მოციქულთა და წმიდათა კრებათაგან განწესებული და ჩუენ მიერ დამტკიცებული სჯული და წიგნი გაათაოს, კურთხევა ღთისა, უბიწოდ მშობელისა მისისა და წმიდითა კრებულთაგან, და წმიდათა მოციქულთა, და ყოველთა წმიდათაგან. ვინცა ეს დაამტკიცოს, ღოცვა-კურთხევით და შენდობით იყოს თავითა, ცოლითა და შვილითა, სახლით, მამულით და აგარაკით, რაც ღთსა კაცისათვს კეთილი დაებადოს, ყოველითა კეთილითა აღსაუსე იქმნას, ღოცვა-კურთხევით და შენდობით ამყოფოს.

ვინც ამ წმიდათა კრებათა მოციქულთაგან განწესებული და ჩუენ მიერ დამტკიცებული არ შეიწყნაროს და კათოლიკეს საყდარზედ დასმულსა წინააღუდეგს და ჩუენი მცნება არ დაიმარხოს, კრულმცა არის ცათა შინა და ქუეყანასა ზედა წმიდათა კრებულთაგან, წმიდათა

მოციქულთაგან და ყოველთა წმიდათაგან, შემცა-ექმნების ძრწოლა კაენისა, შიშთული იუდასი, მეხის-ტეხა დეოსკორესი, მოშობა გმირთა, დაწვა სოდომელთა, კეთრი გეეხისა, დანთქმა დათან და აბირონისი, სირცხ ლი კრისკენტი და თაბინესი, და ყოველთა ქრისტეს უარის მყოფელთა თანამცა არის ნაწილი მისი.

[რძლის შერთვისათვის]

22. ქ. ვინცა ანუ დიდმან, ანუ თავადმან, ანუ აზნაურმან, ანუ გლეხმან, რძალი შეირთოს, შეჩვენებულნიც არის ღთისაგან და მისთა წმიდათაგან და შუღთა კრებათა, წმიდათა მოციქულთაგან.

კაციცა და დედაკაციცა გაღმა-გამოღმა დაკირონ, და მკირავნი ჩუენგან დალოცვილ და კურთხეულნი იყონ.

მე, აფხაზეთის კათალიკოზი [ევედემონ], კანონითა ვამტკიცებ.

მე, ქუთათელ მიტროპოლიტი სჯმონ, კანონითა ვამტკიცებ.

მე, გენათელ მთავარ-ეპისკოპოზი ანტონი, კანონითა ვამტკიცებ.

მე, მამა ჭყონდიდელი, კანონითა ვამტკიცებ.

მე, ბედიელ მიტროპოლიტი, კანონითა ვამტკიცებ.

მე, მოქუელ მთავარ-ეპისკოპოზი, კანონითა ვამტკიცებ.

მე, დრანდელ მიტროპოლიტი ფილიპე, კანონითა ვამტკიცებ.

მე, ცაგერელ მამათ-მთავარი კოზმან, კანონითა ვამტკიცებ.

მე, ხონელ მთავარ-ეპისკოპოზი ზაქარია, კანონითა ვამტკიცებ.

მე, ნიკორწმიდელი ეპისკოპოზი იოვაკიმ, კანონითა ვამტკიცებ.

მე, ჩიშელ მამათ-მთავარი კურილე, კანონითა ვამტკიცებ.

[ცოლის უბრალოდ დაგდებისათვის]

23. ქ. რომელმან უბრალოდ ცოლი დააგდოს, შეჩვენებულნიცა არის წმიდათა მოციქულთაგან და სიკუდილითა განიპატიუოს. (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, 1968, გვ.393-397.



ღავით-ბარეჯოს საეკლესიო კრება (1702 წ.)

„განჩინება“ [სრული ტექსტი]

1702 წელს მოწვეულ იქნა საეკლესიო კრება, რომელმაც გამოსცა დადგენილება – „განჩინება საეკლესიო კრებისა სამონასტრო წესისა და რიგის თაობაზე“. (ძველი ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ.633)

მართალია, განჩინება საზოგადოდ სამონასტრო ცხოვრებას შეეხება, მაგრამ მასში კერძობითი საუბარია დავით-გარეჯის მონასტრის შესახებ. ამ დადგენილებით კრება შეეცადა, მოეწესრიგებინა დავით-გარეჯის სამონასტრო ცხოვრება. უფრო სწორად, კრებას სურდა ახლად დაეწყო და როგორმე აელორძინებინა სამონასტრო ცხოვრება. საქმე ის იყო, რომ ჩრდილოკავკასიელთა (ლექთა) გამუდმებულმა თარეშმა დააძაბუნა დავით-გარეჯის მონასტრები XVI I ს-ში. მონასტერთა სისხლსავსე ცხოვრება განსაკუთრებით დაამცრო 6000 ბერის ამოწყვეტამ. ძველ საქართველოში ბერობის მსურველი მრავალი ქრისტიანი იყო, დიდი სურვილიც ჰქონდათ დავით-გარეჯში მოღვაწეობისა, მაგრამ აოხრებულ მონასტერში მუდმივი შიშისაგან გამოსვლა, ჩანს, დარჩენა ეძნელებოდათ. ამ და სხვა მიზეზთა გამო 1702 წელს მოწვეულ საეკლესიო კრების განჩინებაში ნათქვამია: „ჩვენ ამა კრების ბრძანებითა ესე წიგნი, პირი და ბრძანება დავსდევით, ასე, რომე: 1. რომელი ბერი დავით გარეჯას, თუ ნათლისმცემელს, თუ დოდოს, თუ ბერთუბანს მივიდეს მეტანიად და დასადგომად და აღთქმა ყოს მუნ მონასტერსა შინა სამყოფად და მერე კუალად უკუნ იქცეს და დაუტეოს თვისი მეტანია მონასტერი და სხვად მონასტრად მივიდეს ...თავისი ნებით... წყეულ იყოს და შეჩვენებულ ღმრთისა და ოთხის პატრიარქისაგან, სვეტის ცხოველისაგან და წმიდის გიორგისა, წმიდის ნინოსა და ამა წმიდის დავითის და დოდოსაგან“. (იქვე, გვ. 634.)

აღსანიშნავია, რომ ძველი ქართული დოკუმენტები XIII ს-მდე ასახელებდნენ ხუთ მსოფლიო პატრიარქს, მათ შორის იგულისხმებოდა რომის ეკლესიის მეთაურიც (პაპიც), ამ დროისათვის მისი ხსენება ამოვარდნილია და მხოლოდ ოთხი მართლმადიდებელი პატრიარქი მოიხსენიება (კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის პატრიარქები). ამ საბუთიდან კიდევ ერთხელ ჩანს, რომ დავით-გარეჯის მონასტრები მთლიან ქართულ ეკლესიასთან ერთად XVIII ს-ის დასაწყისში მართლმადიდებლური ორიენტაციისანი იყვნენ. ამის აღნიშვნა იმისთვისაა საჭირო, რომ ამ მონასტერში ბერად შევიდა სულხან-საბა ორბელიანი, თითქოსდა კათოლიკე. ცხადია, მართლმადიდებლურ მონასტერში კათოლიკე ვერ დადგებოდა, სულხან-საბას „კათოლიკობა“ მხოლოდ პოლიტიკური და არა სარწმუნოებრივი ორიენტაცია იყო.

კრების განჩინების მე-2 მუხლიც შემოკლებით იმასვე იმეორებს, რაც 1-ელ მუხლშია გადმოცემული. მე-3 მუხლი კრძალავს უნებართვოდ ბერების ერთი მონასტრიდან მეორეში გადასვლას. მე-4 მუხლით მონასტრის დატოვების შენდობა ეძლევა იმ ბერს, რომელსაც „მეფეთაგან, კათალიკოზთაგან, ეპისკოპოზთა და დარბაზის ერთაგან გამოვიდეს ეპისკოპოსად ან წინამძღვრად, ანუ რომელისამე წესსა ზედა მდგომარედ. ამას შენდობა და მადლი ჰქონდეს“. (ძველი ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, გვ.634)

მე-5 მუხლით ეკრძალებათ ქვეყნის საერო და სასულიერო მეთაურებს (თავადებს, ეპისკოპოსებს) შეწყნარება მონისტირიდან უნებართვოდ გამოსული ბერისა.

მე-6 მუხლით კრება წყევას და შეჩვენებას უთვლის კრების განჩინების დამრღვევთ. კრების განჩინებას ხელს აწერს II ეპისკოპოსი: ბოდბელი, თბილელი, მანგლელი, სამეხელი, მროველი, ჭერემელი, წილკნელი, ხარჭაშნელი, დმანელი, ბოვნელი, წალკელი და ერთი არქიმანდრიტი. განჩინებას ბრძანების სახე მისცა კათალიკოსმა თავისი ბეჭდის დასმით. კათალიკოსის ბრძანება დადას-



ტურეს ამბა ალავერდელმა ნიკოლოზმა, ნინოწმიდელმა იოსებმა, ბოდბელმა მიტროპოლიტმა ზაქარიამ და მთავარეპისკოპოსმა ქრისტეფორემ.

რადგანაც კრების განხილება უშუალოდ დავით-გარეჯის მონასტრებს ეხება, უნდა ვიფიქროთ, რომ კრება იქვე ჩატარდა. ამას მიუთითებს კრების მიერ მოხსენიებულ წმიდათა ჩამოთვლაც. საზოგადოდ, რომელიმე ეკლესიაში, ანდა ეკლესიის სანახებში საღვთო მსახურების დამაბოლოებელი ჩამოლოცვის დროს, როგორც წესი, უთუოდ მოიხსენიება წმიდანი, რომლის სახელზეც აშენებულია ეკლესია ან მონასტერი. 1702 წლის კრების განხილება საერთო საეკლესიო სიწმიდეების (სვეტიცხოვლის, საუფლო კვართის, სვეტიცხოვლისადმი მიმედლებული საუფლო მირონის) ჩამოთვლის შემდეგ, პირველ რიგში, იხსენიებს კახეთის მხარის სიწმიდეებს: გიორგი ალავერდელს, წმიდა ნინოს (ე.ი. ბოდბის საყდარს) და აბოლოებს ასე: „მადლითა მამა დავით გარეჯითა და წმიდისა დოდოსითა“ ეს უკანასკნელი ჩამონათვალი უნდა მიუთითებდეს, რომ კრება დავით გარეჯში, ანდა მის მამულში ჩატარდა.

ერთი საბუთიდან ჩანს, რომ კრების ჩატარების შემდეგ დავით-გარეჯის მონასტერთა მდგომარეობა რამდენადმე გაუმჯობესებულა. 1704 წელს დავით-გარეჯის წინამძღვარმა ონოფრემ, დოდოს წინამძღვარმა ზაქარიამ და ნათლისმცემლის წინამძღვარმა ხარიტონმა თხოვნა მიართვეს კახეთის მეფე ერეკლე I-ს და სთხოვეს მონასტრისათვის დაებრუნებინათ საგარეჯოს მამულები, რის სანაცვლოდაც მონასტრები იღებდნენ ვალდებულებას, ყოველწლიურად, ყველიერის ხუთშაბათს, საგანგებოდ ეწირათ მეფე-დედოფლისათვის, ხოლო ხორციელის კვირას მათი შვილებისათვის. 1709 წელს გამოცემული შეწირულობის სიგელიდან ჩანს, რომ დავით-გარეჯის მონასტრები, ე.წ. სტავროპიგიულნი კი არ იყვნენ, არამედ ნინოწმიდელი მთავარეპისკოპოსის სამწყსოს შეადგენდნენ, ყოველ შემთხვევაში, ასეთი პრეტენზია განუცხადებია იოსებ ნინოწმიდელს: „აღეშენეს მონასტერნი ეგე

უდაბნოსანი, ვიდრემდის შეიქმნეს ადგილსა მაგას მონასტერნი ათორმეტი თავისთავად წინამძღვრითურთ, და ესენი ყოველნი იყვნეს სამწყსო და მორჩილდმრთისა მიერ კურთხეულისა მთავარეპისკოპოზისა ნინოწმიდელისა, და რომელნიცა უფლებდეს და განაგებდეს საგარეჯოს წმიდის ნინოს მონასტერსა, მათიცა ჯერ არს პერობა და კურთხევა ამათი“.

მაჰმადიანების შემოსევათა დროსო, – წერს ნინოწმიდელი ეპისკოპოსი, – „უდაბნონიცა ესე გარეჯისანი აოხრდეს და მრავალჯამ და მრავალწელ დაშთა უმკვიდროდ კაცთაგან და არღარავინ იყო ბერთაგანი ადგილსა მაგას წმიდასა, ვიდრემდე ყოფად ჩვენდამდე და იყო უმკვიდრო კაცთაგან“. (552 ქართული სამართლის ძეგლები ტ. III, გვ. 660) ნინოწმიდელი მთავარეპისკოპოსი იოსებ ვანნაძის დროს ბერებს აღუდგენიათ დოდოს მონასტერი, მისთვის ეპისკოპოსს მამულები შეუწირავს. გარდა ამისა, რაც აღსანიშნავია, ამ ეპისკოპოსს ბერებისათვის დაუწერია საქართველოს ეკლესიის მოკლე ისტორია, წმიდა ნინოს მოღვაწეობა, ასურელი მამების ჩამოსვლა, განსაკუთრებით კი დავითის, დოდოს და ლუკიანეს ცხოვრება. ეპისკოპოსის სურვილი ყოფილა, ბერებს ჰქონოდათ შესაბამისი ცოდნაც.

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, 1702 წელს მოწვეული საეკლესიო კრების შემდეგ დავით-გარეჯის მონასტერთა ცხოვრება შესამჩნევად აღორძინებულა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეკლესიას კრების მამები უწოდებენ „სამოციქულო ეკლესიას“. პატრიარქი თავის თავს ასე მოიხსენიებს: „ჩვენ, მეუფისა მიერ, სამოციქულოსა კათოლიკე ეკლესიასა ზედა დადგინებული პატრიარქი კათალიკოზი ევდემოზი“. (იქვე, გვ. 633) საქართველოს ეკლესიის ამ სახელწოდებას გაუსვა ხაზი შე მდგომმა, 1748 წელს მოწვეულმა საეკლესიო კრებამაც.



დავით-გარეჯის კრების „განჩინება“

[განჩინება საეკლესიო კრებისა
სამონასტრო წესისა და რიგის თაობაზე]
[1702 წ.]

ქ. სახელითა სახიერისა, არსება დაუბადებელისა ღმრთისა მამისა, ძისა და სულისა წმიდისათა, შეწევნითა და მადლითა ყოვლად უბიწოსა უმეტესად კურთხეულისა, უხრწნელისა ქალწულისა მარიამისათა, შეწევნითა და ძალითა ცხოველს მყოფელისა ჯვარისათა, ძალითა და მადლისათა წმიდათა ზეცისა ძალთა ანგელოზთა და მთავარ ანგელოზთა, მადლითა და შეწევნითა წმიდათა უდაბნოს მაშვენებელთა მამათა, მადლითა და შეწევნითა სვეტის ცხოველისა კვართისა საუფლოსა მირონისა წმიდისათა, მადლითა და თანამდგომლობითა წმიდისა გიორგი ალავერდისათა და შეწევნითა მეთაქმეტისა მოციქულისა ნინოსითა, მადლითა მამა დავით გარეჯელისათა და წმიდისა დოდოსითა;

ჩვენ, მეუფისა მიერ სამოციქულოსა კათოლიკე ეკლესიასა ზედან დადგინებულმან პატრონმან კათალიკოზმან ევდემოზ, ამბა ალავერდელმან პატრონმან ნიკოლოზ, მთავარეფისკოპოზმან ქრისტეფორემ, ნინოწმინდელმან იოსებ, სულა ქართველთა და კახთ ეფისკოპოზთა, წინამძღვართა, მღვდელთა და სამღვდლოთ დასთა ესე წიგნი, პირი და ფიცი დავსდევით და შეკრვა გახსნის ბრძანება, ვითარცა ბრძანებს პირი ღმრთისა: „რომელი განხსნათ, ხსნილ იყოს და რომელი შეკრათ, კრულ იყოს“.

ჩვენ ამა კრებისა ბრძანებითა ესე წიგნი, პირი და ბრძანება დავსდევით, ასე რომე:

1. რომელიც ბერი დავით-გარეჯას, თუ ნათლისმცემელს, თუ დოდოს, თუ ბერთუბანს მივიდეს მეტანიად და დასადგომად და აღთქმა ყოს მუნ მონასტერსა შინა სამყოფად, და მერმე კუალად უკუნიქცეს და დაუტეოს თვისი მეტანია მონასტერი და სხვად მონასტრად მივი-

დეს, ჩვენად უშენდობოდ და ერის გამოურჩევლად, დაუპატიჯებლად, თავის ნებით და წადილით და გულისწყრომით, ამპარტავნობით, დაუთმინობით გამოვარდეს, ან სიტყუით ვისითმე მოღორდეს და წავიდეს, წყეულ იყოს და შეჩვენებულ ღმრთისა და ყოველთ მისთა წმიდათაგან, შვიდის კრებისაგან და ოთხის პატრიარქისაგან, სვეტის ცხოველისაგან და წმიდის გიორგისა, წმიდის ნინოსა და ამ წმიდის მამა დავითისა და დოდოსაგან.

2. რომელიც შევიდეს, მეტანია ქნას დასადგომად, მამასა და კრებულს პირი და აღთქმა დაუდვას და აღარ აღასრულოს ეს თავისი აღნათქვამი, წყეული იყოს და შეჩვენებული.

3. კვალად, რომელმანც ერთმანეთის შურობით და ქიშპობით ერთის მონასტრიდამ მეორეში სადგომად ბერი მიიყუანოს ან თვითან მივიდეს მამასა და კრებულისაგან უშენდობოდ, ისიც წყეული და შეჩვენებული იყოს.

4. თუ მეფეთაგან, კათალიკოზთაგან, ეფისკოპოზთა და დარბაზის ერთაგან გამოვარდნით გამოვიდეს ეფისკოპოზად ანუ წინამძღვარად ანუ რომელსამე წესსა ზედა მდგომლად, ამას შენდობა და მადლი ქონდეს.

5. რომელმაც თავადმა, გინა ეფისკოპოზმან ანუ დიდმან ანუ მცირემან იქიდა მამისა კრებისა შეუნდობარი და გამოვარდნილი და ამ წყევას ქვეშ დანარჩუნებული ბერი მიუშვას და შეიწყნაროს, ისიც იმისი მონაწილე და თანაზიარი იყოს. ეს ასე გავარიგეთ და დავამტკიცეთ.

6. ვინც ამას ურჩ ექმნას, წყევასა და შეჩვენებასა ქვეშე იყოს და დათან და აბირონთანა და იუდას მონაწილე და მოზიარემც იქმნების, წყეულ იყოს სულითა და ჳორციითა აქა და მერმესა მას დიდსა დღესა, ამინ. ამინ. ამინ.

ამისი მოწამე და დამამტკიცებელი: ბოდბელი ზაქარია, თბილელი დომენტი, მანგლელი იოსებ, სამეხელი ნიკოლოზ, მროველი, ჭერემელი, წილკნელი, ხარჭაშნელი პართენი, დმანელი ელისე, ბოვნელი ივანე, წალკელი ნიკოლოზ, მაღალაძე



არქიმანდიტი ნიკოლოზ, სულა ქართველნი და კახნი ეფისკოპოზნი.

ვინცა ამ გარიგებისა და ბრძანების დამამტკიცებელი იყოს, მადლი და კურთხევა ქონდეს. ვინცა ვინ ურჩ ექმნას, წყევასამცა ქვეშე არს აწ და მარადის უკუნით უკუნისამდის, ამინ. ქორონიკონს ტჟ.

ბეჭედი: კათალიკოზი ევდემოზ

ვამტკიცებ ბრძანებას ამას კათალიკოზის ევდემოსისასა ამბა ალავერდელი.

ხელრთვა: ალავერდელი ნიკოლოზ

ვამტკიცებ ნინოწმიდელი იოსებ.

ბეჭედი: მონა ღვთისა ნინოწმიდელი იოსებ

ვამტკიცებ ბოღბელი მიტრაპოლიტი ზაქარია ამ წიგნს.

ბეჭედი: ბოღბელი ზაქარია

ქ. ბატონი მთავარეფისკოპოზი ვამტკიცებ ამ სიგელს. (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, 1970, გვ. 633.

ბეჭედი: მთავარეფისკოპოსი ქრისტეფორე.

**საკანონმდებლო შეკრებანი
ვახტანგ VI-ის პარზი (1706–1709 წწ.)**

საქართველოს საეკლესიო სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული. „მართლმადიდებლობის მხნე მხედარმა, უფლის მიერ ძლიერმა მოღვაწემ, სიონის რჯულმტკიცებითა შეურყეველმა სვეტმა, მართლმადიდებლობით და ღვთის სიყვარულით შეუორგულეებელმა ბატონიშვილმა ვახტანგმა“ თავის გარშემო შემოიკრიბა ქართული ეკლესიის, სიტყვისა და კულტურის დიდი მოამაგენი, შეაკრებინა მათ ქართველი ხალხის მრავალი საუკუნის ნამუშევარი წმიდა წერილის, „ქართლის ცხოვრების“ თუ „ვეფხისტყაოსნის“ დაფანტული ფურცლები, შეასწავლინა ისინი და გამოაცემინა. ვახტანგმა აგრეთვე შეაგროვა ქართული სამართლის ძველი ნაშთები და ძეგლები, შეადგინა ახალი, დაამტკიცებინა კრებას ისინი და გამოსცა მთლიანი „სამართლის წიგნთა კრებულის“ სახით.

როგორც ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულის შესავალშია ნათქვამი, ამ ეპოქის ქართლის ჭეშმარიტი განმანათლებელი, ე.ი. ყოველი ახალი ეროვნული იდეის მომწოდებელი იყო მეფე გიორგი XI – „მზე სიმართლისა“, რომელმაც „ქვეყანათა ამათ ქართლისათა მოჰფინა ნათელი“. (ძველი ქართული სამართლის ძეგლები 1963, ტ. I, გვ. 99) მეფე გიორგიმ ინება და „მოსცა თავის წილად ტახტსა ზედა გამგებლად ქართლისად“ ბატონიშვილი ვახტანგი, რომელმაც „იგულა და იგულისმოდგინა და შემოკრიბნა ყოველნი წიგნნი სამართლისანი, რომელნი ჟამთა ვითარებითა თვითოეულად მიმოდაბნეული იყო. ეს ყოველი მოიძია, იპოვა და მოიშოვა, მრავლითა იძულებითა და ფრიადითა შრომითა მოიღო პირველ დაბადებისა და გამოსვლათა სამართალნი მოსესმიერი, რომელი თვით ღმერთმან მოსცა და ამცნო... მეორისა ძიება ჰყო საბერძნეთით, ოთხთა პატრიარქთა მიერ ქენებითა წიგნი სასამართლონი, ჟამთა კეის-



რისათა... მესამე მოადებინა დიდისა სომხეთისა მწყემსისა გრიგოლ განმანათლებლისა სამარხოს ემჩიადინით სომხეთ მეფეთა წიგნი სამართლისანი... მეოთხე, წმიდათა და მართლმადიდებელთა ქართლის და აფხაზეთის კათალიკოზთა ღირსთა ეპისკოპოსთაგან განწესებული სამართალი, მეხუთე, დიდის მეფეთ-მეფის გიორგის მიერ თქმულნი სამართალნი მოპოვნებულ-ყო, რომლითა სჯიდენ სამნივე ესე სამეფონი ქართლისანი. მეექვსე, აღბულა ჯაყელ-ციხისჯვარელისა თქმულნი განაჩენნი და სამართალნი, მეშვიდე, ამათ ყოველთა შემდგომად აღწერა თვით სიბრძნით და გულისხმობითა თვისითა, დამოწმებით და ნებადართვით თვისთა კათალიკოზ-ეპისკოპოზ და დიდებულ-დარბაისელთა, რომელი აღწერა თვითოეულად ყოველნივე სამართალნი, უფროს სახმარ და სარგებელ ქართლსა შინა ამათ სხვათაცა“. (იქვე, გვ. 101)

საგულისხმოა, რომ საქართველოს სამეფოებს ანუ იმჟამინდელი ქართლის, კახეთისა და იმერეთის სამეფოებს, ეს ძეგლი, სამივეს ერთად – „ქართლს“, „ქართლის სამეფოებს“ უწოდებს, (იქვე, გვ. 100) ესაა არეალი, სადაც ამ სამართლის იურისდიქცია ვრცელდებოდა.

ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ ვახტანგმა თავისი შემოქმედებითი სამუშაო შეაფასებინა და მიაღებინა კრებას, რომელიც შედგებოდა – კათალიკოსისა და ეპისკოპოსებისაგან. ამ კრებას, ისევე, როგორც სახელმწიფო დარბაზის სხდომას, მეფესა და უმაღლეს იერარქებთან ერთად ესწრებოდნენ – დიდებულნი და დარბაისელნი, ვახტანგს მათი „დამოწმება და ნებადართვა“ ესაჭიროებოდა. ამ კრებას, რამდენიმე სხდომისაგან შემდგარს უნებებია დამტკიცება და ამოქმედება სამართლის ძეგლი და ახალი ნორმებისა – „დამოწმებითა და ნებადართვით თვისთა კათალიკოზ-ეპისკოპოზ და დიდებულ-დარბაისელთა“, (იქვე, გვ. 101) როგორც წყარო აღნიშნავს, ამ სამართლის კანონების მოძიება-შემუშავების დროს ვახტანგს გვერდით ედგა ცნობილი მეცნიერი, კათალიკოს-პატრიარქი დომენ-

ტი IV, აგრეთვე მთავარეპისკოპოსი გრიგოლი, სხვა მიტროპოლიტ-ეპისკოპოს-წინამძღვარნი და სასულიერო პირები.

ვახტანგი წერს თავისი სამართლის წიგნის შესავალში: „ნურავინ ჰგონებთ, თვით მხოლოდ თავით თვისთა რასამე ვყოფდეთ, არამედ თანაყოლითა და მოწმობითა მღვდელმთავრისა და დიდის დედაქალაქისა მცხეთისა და კვართსა ზედან საუფლოსა სვეტისა ღვთივ აღმართებულისა და მირონადმოცენებულის, საჭედ-მპყრობლისა და ხარისხისა ზედან მტკიცედ მდგომელისა ძმისა ჩვენისა, ბატონიშვილის კათალიკოსის დომენტისითა, აგრეთვე თან აღგომითა არაგვის ერისთვიშვილის მთავარეპისკოპოზის გრიგოლითი და სხვათა მიტროპოლიტ-ეპისკოპოზ-წინამძღვართა და საღმრთოთაგანთა“. (ქართული სამართლის ძეგლები, 1963, ტ. I. გვ.478)

თავისი სამართლის ბოლოსიტყვაშიც ვახტანგი შეახსენებს მომავალ კათალიკოსებს, ეპისკოპოსებს, მიტროპოლიტებს, წინ ამძღვრებს, მღვდლებს, სხვა სასულიერო პირებს შემდეგი დროისა, რომ მის ნაღვაწ სამართალს „მოწმობა დართეს ერთა ჩვენთა სრულებით საღმრთოთა და გინა სამხედროთ ამან... ყოველმანვე ერთბაშად და ესე ესრეთ არს შემზადებული“. (იქვე გვ.532).

საფიქრებელია, რომ ვახტანგმა დომენტი კათალიკოსისა და გრიგოლი ეპისკოპოსის თან აღგომით მოამზადა კანონები, ე.ი. შეამზადა ე.წ. „სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა“. ამის შემდგომ მათ და საგანგებოდ შექმნილმა კომისიამ მოიძიეს სხვა ქრისტიანი ერების სამართლის წიგნები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ბიზანტიური სამართლის წიგნებს. შემდეგ კი მთელი კრებული კრებამ დაამტკიცა.

კომისიამ უპირველესად საეკლესიო სამართლის ერთ-ერთი უმთავრესი წყარო „ფრიადი შრომით მოიღო“. ესაა ე.წ. „მოსეს სამართალი“. კომისიისათვის განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენდა იმპერატორთა დროინდელი ბიზანტიური სამართალი, რომელიც თა-



ვის დროზე არა მხოლოდ საქვე ყნო, არამედ უპირველესად საეკლესიო სამართლის კოდექსს წარმოადგენდა. ბიზანტიის იმპერიის დამსობის შემდეგაც, „იგი მოქმედ სამართლად ითვლებოდა ბიზანტიური ცივილიზაციის ქვეყნებში (საბერძნეთი, ბულგარეთი, მოლდავეთი, რუსეთი, საქართველო, სომხეთი და სხვა), – წერს ი. დოლიძე (იქვე გვ.581)

– მოქმედ სამართალში იგულისხმება ბიზანტიელი ნომოფილაქსის კონსტანტინე არმენოპულოს ნაშრომი - „ექვსი წიგნი“. (В. Сокольский Греко-римское право в уложении Грузинского царя Вахтанга VI.) ვახტანგის მიერ გამოცემული ბიზანტიური სამართლის მიხედვით შედგენილი „ბერძნული სამართლის“ ქართული ვერსიის უმთავრეს ნაწილს შეადგენს არმენოპულოს „ექვსი წიგნიდან“ ამოკრებილი კანონები. მის მეორე ნაწილს შეადგენს თარგმანები მათეოს ბლასტარის სინტაგმიდან. თავის მხრივ, არმენოპულო აღნიშნავს, რომ მის წყაროს სხვასთან ერთად წარმოადგენდა იმპერატორების: ბასილის, კონსტანტინეს და ლეონის პროხირონები, საკანონმდებლო აქტებიდან ამონაკრები, აგრეთვე მეფეთა წიგნის (ბასილიკის) შემოკლება (სინოპსისი) და სასამართლო პრაქტიკა, იმპერატორების დადგენილებები, ლეონ ბრძენის ნოველების კრებული, ლეონისა და კონსტანტინეს 18 ტიტულოვანი ეკლოგა, ცხადია, უმთავრესი წყაროა მოციქულთა და საეკლესიო კრებათა კანონები, სასინოდო და საპატრიარქოს დადგენილებები. (ქართული სამართლის ძეგლები, I, გვ.580)

აღფაბეტური სინტაგმის ავტორიც, მათეოს ბლასტარი თავისი ნაშრომის წყაროდ იყენებს საეკლესიო კრებების დადგენილებებს და კანონებს, რომის სამართლის წყაროებს ლეონ ბრძენის ბაზილიკამდე. (იქვე, გვ. 582) ქართული „სამართალი ბერძნულის“ შესავალშიც ასევეა ნათქვამი: „ლეონ ბრძენისა და კონსტანტინესი და სხვათა ხელმწიფეთა მიერ თქმული“. (იქვე, გვ. 129) ეს შესავალი და მისი 1-ლი მუხლი წარმოადგენს არმენოპულოს „ექვსი წიგნის“ შესავალს. (იქვე, გვ. 582.) ი. დოლიძე ეყრდნობა ვლ. სო-

კოლსკის დასკვნებს, რომ ბერძნული კანონების ქართული თარგმანი წარმოადგენს ბლასტარის სინტაგმისა და არმენოპულოს „ექვსი წიგნის“ კომპილაციას. ეს უკანასკნელი ბერძნულ-რომაული სამართლის მთავარი კრებულები იყო და იყენებდნენ ბიზანტიის გვიანდელ ეპოქაში. ბლასტარის სინტაგმას სასულიერო, ხოლო არმენოპულოს ნაშრომს – საერო სასამართლოებში. როგორც ცნობილია, მიუხედავად თურქების მიერ ბიზანტიის დაპყრობისა, მაინც ოსმალეთის იმპერიაში ბერძნული და, საბოლოოდ, მართლმადიდებლური მოსახლეობის საეკლესიო და სამოქალაქო საქმეების იურისდიქცია მთლიანად კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსა და ბერძენ სასულიერო ხელისუფალთა ხელში მოექცა, ამიტომაც პრაქტიკული საჭიროებისათვის ოსმალეთში მართლმადიდებლური საეკლესიო ხელისუფლების მიერ გაკეთდა ყოველდღიური ხმარებისათვის საჭირო ბლასტარის სინტაგმისა და არმენოპულოს „ექვსი წიგნის“ მოკლე კომპილაცია. ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ, როგორც აღინიშნა, საეკლესიო იურისდიქცია გავრცელდა მართლმადიდებელი მოსახლეობის საერო საქმეებზეც, რადგანაც ეკლესიის ხელში მოექცა მარტლმადიდებელი მოსახლეობის სამოქალაქო იურისდიქცია, (იქვე გვ. 584) ამიტომაც ერთ მთლიან კორპუსად გაერთიანებული იურიდიული კრებულები, რომელშიც საეკლესიო და საერო სამართალი შედიოდა – დიდი უპირატესობით სარგებლობდა. სწორედ ასეთი კრებული მოუძიებია ვახტანგის კომისიას ყოფილ ბიზანტიაში, ანუ იმდროინდელ ოსმალეთში. რამდენიმეწლიანი ძიების შემდეგ, სამართლის წიგნი ბერძნულიდან გადმოუთარგმნია კვიპრიანე სამთავნელ ეპისკოპოსს. „ბერძნული სამართლის“ მკვლევარის, თ. ბრეგადის აზრით, მის წყაროს წარმოადგენს ბლასტარის სინტაგმა, არმენოპულოს წიგნებიდან ჩანამატებით. ამ ხელნაწერის ქართული თარგმანი ატარებს გამოკრებილ ხასიათს. თარგმანი კვიპრიანე სამთავნელს უნდა შეესრულებინა, ამ ეპისკოპოსმა დომენტი კათალიკოსის ბრძა-



ნებით თარგმნა „კურთხევა ეკლესიისა“, იმავე კათალიკოსის ბრძანებით სამართლის ზოგიერთ მუხლს გაუკეთა მინაწერი. (ქართული სამართლის ძეგლები, I, გვ.592)

აქედან ჩანს, რომ ვახტანგ VI-სთან ერთად აქტიურად მუშაობდა სამართლის წიგნებზე კათალიკოს-პატრიარქი დომენტი IV, ეპისკოპოსი გრიგოლი არაგვის ერისთავის შვილი და აგრეთვე ეპისკოპოსი კვიპრიანე სამთავნელი. კათალიკოს-ეპისკოპოსების აქტიური მუშაობა ბერძნულ-ბიზანტიური საეკლესიო-სამოქალაქო სამართლის წყაროების ძიება-თარგმნისას მიუთითებს, თუ რა აქტიურად იღვწოდა საქართველოს ეკლესია სამართლის სფეროში XVII ს-ის ბოლოს და XVIII ს-ის დასაწყისში.

კომისიამ ინება და აგრეთვე მოიძია ე.წ. „სირიულ-რომაული სამართალი“, რომელიც იმ დროისათვის არსებობდა სომხურ ენაზე და დაცული იყო ეჩმიაძინის საკათალიკოსო წიგნთსაცავში. იგი ამ დროისათვის გაერთიანებული ყოფილა ერთ სამართლის კრებულად, მხითარ გოშის სამართლის წიგნთან ერთად. ორი წელი თარგმნიდნენ „სომხური სამართლის წიგნს“ და მის საფუძველზე შექმნეს ე.წ. „სომხური სამართლის ქართული ვერსია“. იგი, როგორც ითქვა, ორი ნაწილისაგან შედგება, ესაა სირიულ-რომაული სამართლის ქართული ვერსია და მხითარ გოშის სამართლის ქართული ვერსია. მასში სულ 431 მუხლია. სირიულ-რომაული სამართალი, ვლ. სოკოლსკის კვლევის თანახმად, შედგენილი ყოფილა V ს-ში და ეს იურიდიული კრებული ძველი დროიდან მოქმედებდა არა მხოლოდ სომხეთში, არამედ საქართველოშიც. (იქვე, გვ. 594) იგი V-VI სს-ში მცირე აზიის სახელმწიფოებშიც ყოფილა გავრცელებული, ვითარცა ბიზანტიის გავლენის ქვეშ მყოფ ქვეყნებში. სირიულ-რომაულ კანონებს გავლენა მოუხდენია მხითარ გოშის სამართლის წიგნზე (პროფ. ს. სამუელიანის აზრით), მას „ძღვევამოსილ ქრისტიან მეფეთა კონსტანტინეს, თეოდოსის და ლეონის კანონებს“ უწოდებდნენ. (იქვე, გვ.

595) ი. დოლიძის აზრით, შესაძლოა ეს სირიულ-რომაული კანონები ძველად ქართულადაც იყო ნათარგმნი. მაგრამ იგი აკარგულა და ამიტომაც ვახტანგის კომისიას ხელმეორედ უთარგმნია მხითარ გოშის სამართლის წიგნთან ერთად. (იქვე, გვ. 595 ცხადია, მართლმადიდებელი ბიზანტიის სახელმწიფოსა და მისი იმპერატორების კანონები გამოსაყენებელი იყო საეკლესიო სფეროში ძველთაგანვე.

რით უნდა ყოფილიყო გამოწვეული მხითარ გოშის სამართლის წიგნის ჩართვა ვახტანგის კრებულში? ბ. არუთინიანის აზრით, სამართლის წიგნს „ნახევრად საკანონმდებლო, ნახევრად მოძღვრული ხასიათი ჰქონდა და მოდავე მხარეთა და მოსამართლეთა ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული ელიარებიანთ და გამოყენებიანთ იგი თუ არა“. (ქართული სამართლის ძეგლები, I, გვ.602) ი. დოლიძის აზრით, სამართლის წიგნში შეტანილი ნორმები და წესები მოქმედ სამართალს წარმოადგენდა, თუმცა ისიცაა აღსანიშნავი, რომ თვითონ ვახტანგ VI მიუთითებდა და ურჩევდა მოსამართლეებსა და მსაჯულებს გამოყენებიანთ არა უცხოური სამართალი, არამედ ქართული, ანუ ვახტანგის სამართალი. ამის მიზეზად ვახტანგი ასა ხელებს იმ გარე მო ებას, რომ ქართველების „წესი და ქცევა“ განსხვავდება სხვა ქვეყნების „რიგისა და ქცეულობისაგან“. ამიტომაც უცხოური სამართალი „ჩვენდა უხმარ არს“, თუმცა კი სამართლის წიგნში ისინი „შემოკლებით მოიპოვებიან“. ვახტანგი წერს, რომ ჩვენი ქვეყნისათვის სასარგებლოა და უმჯობესია მის მიერ შემუშავებული და კრების მიერ დამტკიცებული სამართლის გამოყენება. (ქ.ს.ძ., I, 532, ვახტანგის ბოლოსიტყვაობა)

ოსმალეთის კანონების შესაბამისად, სხვადასხვა რელიგიური თემის წევრები ოსმალეთში როგორც სამოქალაქო, ისე საეკლესიო სფეროშიც იქვე მდებარებოდნენ საკუთარ სამართალს. ამით იყო გამოწვეული, რომ ყირიმსა და ოსმალეთში არსებულ სხვა სომხურ კოლონიებში მხითარ გოშის სამართალი მოქმედ



სამართალს წარმოადგენდა, ცხადია, სომხებისათვის. საკუთარი სამართლის მოქმედების ეს სფერო სომხებმა გაავრცელეს სხვა ქვეყნებში მცხოვრებ სომხებზეც, მაგალითად, პოლონეთში. ი. დოლიძის აზრით, მხითარ გოშის სამართლით ხელმძღვანელობდა საქართველოში მცხოვრები სომეხი მოსახლეობა, განსაკუთრებით – ვაჭართა ფენა. (ქართული სამართლის ძეგლები, I, გვ.602)

თუ ეს მოსაზრება მისაღებია, მაშინ საქართველოს საეკლესიო კრების მიერ სომხური სამართლის კანონების განხილვა გამოწვეული უნდა ყოფილიყო ქართული ეკლესიის სამართლებრივი იურისდიქციის სფეროში სხვადასხვა აღმსარებლობის მქონე მთელი ქვეყნის მოსახლეობის მოქცევით. ქართული სახელმწიფო უდგენდა თავის მოქალაქე არაქართველებს თავიანთი ეთნიკურ-აღმსარებლობითი ნიშნის შესაბამის კანონებს.

ვახტანგ VI-მ და კომისიამ კრებას წარუდგინეს საქართველოს საეკლესიო საკანონმდებლო კრების კანონები, ცნობილი „კათალიკოზთა სამართლის“ სახელით. „კათალიკოზთა სამართალი მთელ საქართველოში მოქმედი საეკლესიო სჯული იყო, რადგან იგი დამყარებული იყო „სჯულის კანონზე“, რომელიც ძველთაგანვე მოქმედებდა საქართველოში. ეს კარგად იცოდა ვახტანგის საკოდიფიკაციო კომისიამ, რომელმაც კომისიის წევრის საეკლესიო სჯულმდებლობის დიდი მცოდნის კათალიკოზ დომენტის დასტურით ეს ძველი სამართლის წიგნთა კრებულში შეიტანა, რითაც კვლავ დაადასტურა მისი მოქმედება აღმოსავლეთ საქართველოში, მართალია, კათალიკოზთა სამართალი შედგენილი იყო დასავლეთ საქართველოში, მაგრამ იგი მთელი საქართველოს საეკლესიო წესწყობისათვის დამახასიათებელი ძეგლია. (572 ქ.ს.დ., I, გვ.607)

ი. დოლიძე წერს – „სპეციალურ ლიტერატურაში კათალიკოზთა კანონებს ბიჭვინთის საყდრის იადგარს ადარებენ და მას ხსენებული კანონების დამატებად თვლიან. ეს აზრი ეკუთვნის პროფ. ალ. ხახანაშვილს“. (573 ი. დოლიძე „კათალი-

კოზთა სამართალი“, ქ.ს.დ. I. გვ.610) ის ალ. ხახანაშვილმა გამოთქვა თავის „გუჯრებში“ (1891, გვ. 124-125) და წერილში – «Дополнение к грузинским каталикосовым законом (Юридический вестник, Т-XI 1882 с. 568-571) მათში გამოთქვამს იმავე აზრს, რომ ბიჭვინთის გუჯარი (იადგარი) წარმოადგენს „კათალიკოზთა კანონების“ დამატებას. თავის მხრივ, ეს გუჯარი დგებოდა თანდათანობით, ოთხი საუკუნის განმავლობაში და თავისი ახლანდელი სახე მიიღო არა უადრეს XVIII ს-ის პირველი მეოთხედისა. აღსანიშნავია, რომ ბიჭვინთის იადგარის მიხედვით, ბიჭვინთის საყდარი მეფეთა (იმერეთის) საკუთრებადაა მიჩნეული – „საყდარი მათი არს“. (ქ.ს.დ, I, გვ. 611) მე-2 მუხლი იცავს ტაძარს „დიდებულის, თავადის ან აზნაურის“ ყმის მიერ გატეხისაგან. გამტეხის ქონება საყდარს უნდა დარჩენოდა. მეკობრე და მისი მეზატონე კი ძელზე უნდა გაესვათ. სულ 27 მუხლია, რომლებიც იცავს საკათალიკოსოს ქონებას, გლეხებს, ყმებს და მამულს, პირუტყვს, ჯოგს, „საყდრის შვილებს“, საყდრის „მოხელეებს“, „კათალიკოსის კაცს“, „ზურგიტ მზიდავ ხარს, სეფე ხარს“, „მოხელეთა კაცს“, „კატალიკოზის ყმა-მსახურს“, „საყდრის მოინალეს“, „ბიჭვინთის გარშემო სოფელსა და გლეხებს“, „აგარაკებს“, სხვა სოფლებს, „მეტოქ მონასტრებს“, ქალაქებს, იმათში მცხოვრებ გლეხებს, მსახურებს, მოინალეებს, „სოფლის კაცებს“, „ცოლს“, „ქალს“, ვენახს, „საყდრის ყმებს“, ყმის მეჯინიბეს, მესადილეს, მწყემსს, კრძალავს „ბიჭვინთის წყალში“ ნადირობას (თევზაობას). რამდენიმე მუხლში განხილულია დიდებულის, თავადის ან აზნაურის მიერ „კათალიკოსის გინება“, „ეპისკოპოსის ცემა, ხელთ შეპყრობა, ავად გინება, უპატივობა“ და სხვ. ბოლოს, აღნიშნულია „ვითარცა სხვათა საყდართა უჩინებულესი არს ბიჭვინთის საყდარი, აგრეთვე უმეტესი იადგარი დავდევით და დავამტკიცეთ მტკიცე ბრძანებით ესე“.

ბიჭვინთის იადგარი, ანუ გუჯარი, შესაძლოა მართლაც დამატება იყოს „კათალიკოზთა სამართლისა“, რადგანაც



ზოგიერთი მუხლი, რომლებიც ამ უკანასკნელში ბუნდოვნადაა განმარტებული, ბიჭვინთის იადგარში ნათლადაა გადმოცემული. მაგალითად, კათალიკოსთა სამართლის მე-17 მუხლის თანახმად, კათალიკოსისა და ეპისკოპოსთა გინებისათვის სასჯელი ასეა მიცემული – „ვინცა კათალიკოსსა და ეპისკოპოსს აგინოს და უპატიურობა ჰკადროს, რა რიგადაც სჯულის კანონში ეწეროს, იმრიგად განიპატიუოს“, (ქ.ს.დ, I, გვ.396) მაგრამ მოძებნა იმისა, თუ რა ეწერა „სჯულის კანონში“, მოითხოვდა ძიებასა და შრომას, ამიტომაც ბიჭვინთის იადგარში იმავე დანაშაულისათვის სასჯელის ზომა პირდაპირაა ნაჩვენები – „ვინცა კათალიკოსსა აგინოს ანუ საცემრად წაიზიდოს, 50 გლეხი საყდარს დაეურვოს და კატალიკოსსა ორი სისხლი დაეურვოს დიდისა შეხვეწითა“. (იქვე, გვ. 612) მაშასადამე, დამნაშავეს 50 გლეხი საყდრის სასარგებლოდ უნდა ჩამორთმეოდა, პირადად კათალიკოსის სასარგებლოდ კი „ორი სისხლი“ უნდა გადაეხადა. ასევე ქორეპისკოპოსის გინებისა და უპატივცემულო მოპყრობისათვის დამნაშავეს 12 გლეხი უნდა ჩამორთმეოდა საყდრის სასარგებლოდ, 300.000 თეთრი კი თვითონ დაზარალებულს უნდა გადასცემოდა. ასევე განმარტებულია სხვა მუხლებიც. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ კათალიკოსთა სამართლის სფერო უფრო ზოგადყოფლისმომცველია, მაგალითად, იგი განიხილავს და დებს სასჯელს ტყვეთა სყიდვის და ეკლესიის მკრეხელთა წინააღმდეგ. უდებს კანონსა და სასჯელებს ეპისკოპოსებს, მაგალითად, მე-14 მუხლით ეპისკოპოსის მოწინააღმდეგე დამნაშავეს გასამართლების შემდეგ მეფეს ევალებოდა მისი დასჯა. მე-15 მუხლით კათალიკოსის მოწინააღმდეგე ეპისკოპოსს, დარიგებათა შემდგომაც გამოუსწორებელს, მეფე საყდარს ჩამოართმევდა. „კათალიკოსთა სამართალი“ იხილავს მეფის მოღალატეთა, უღირსი მღვდლის მაკურთხეველთა, ცუდ მოსამართლეთა სასჯელებს. აგრეთვე დებს სასჯელებს „საყდრის მამულის გამოხუმისათვის“, „სჯუ-

ლის გამთავებელთა და გარდამავალთათვის“, „რძლის შერთვისათვის“ და სხვ.

როგორც აღინიშნა, რადგანაც „კათალიკოსთა სამართალი“ საქართველოში მოქმედი საეკლესიო სჯული იყო, იგი განიხილა ვახტანგის კომისიამ და გადასცა კრებას დასამტკიცებლად, ამიტომაც იგი შევიდა ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულში.

ვახტანგის კომისიამ მოიძია და სჯულდებით კრებას განსახილველად გადასცა მეორე საკანონმდებლო ძეგლი, რომელიც ბექასა და აღბუღას სამართლითაა ცნობილი. ჩვენი აზრით, როგორც „კათალიკოსთა სამართალი“ წარმოადგენდა XVI ს-ში ჩატარებული საეკლესიო კრების მიერ გამოცემულ კანონებს, ასევე „ბექასა და აღბუღას“ სამართალი წარმოადგენს ჭულევის ეკლესიაში შემდგარ საეკლესიო-საკანონმდებლო კრების მიერ შედგენილ სამართალს, უკანასკნელი უფრო ფართო მოცულობისაა და, თავის მხრივ, შეიცავს ბექასა და აღბუღას სამართლის გარდა, აგრეთვე „ბაგრატ კურაპალატის სამართლის“ და თვითონ ჭულევის კრების მიერ გამოცემულ ე.წ. „კანონიკურ სამართალს“. მაშასადამე, ჩვენი ფიქრით, აღბუღა ათაბაგ-ამირსპასალარის დროს ჭულევის ტაძარში შემდგარმა საეკლესიო-საკანონმდებლო კრება-დარბაზობამ, დაახლოებით 1295–1304 წლებში, მოიძია და განიხილა მისთვის საჭირო შემდეგი სამართლის წიგნები:

1. ბაგრატ კურაპალატის სამართალი;
2. ბექა მანდატურთუხუცესის სამართალი;
3. აღბუღა ათაბაგ-ამირსპასალარის სამართალი; ისინი დაამტკიცა და ერთ სამართლის წიგნად შეკრა, ბოლოს კი დაურთო თვით კრების მიერ გამოცემული „კანონიკური სამართალი“. ეს სამართლის წიგნები ჭულევის კრებამ არა ქრონოლოგიური წესის მიხედვით, არამედ, ჩანს, მოქმედი სამართლებრივი სიცოცხლისუნარიანობის შესაბამისად დაალაგა. როგორც აღინიშნა, ვახტანგის კომისიამ მოიძია ეს კრებული, რომელიც „ბექასა და აღბუღას სამართლის“ სახელით და



არა ჭულევის კრების სამართლით იყო ცნობილი და გადასცა ვახტანგ მეფის კარზე მოქმედ კრებას და ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულში ჩართო.

ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებული, აგრეთვე, შეიცავს გაერთიანებული საქართველოს სამეფოს დვთივგვირგვინოსან მეფეთა მიერ შედგენილ სამართლის წიგნთაგან შემორჩენილ გიორგი ბრწყინვალეს „ძეგლის დადებას“. ეს იყო საქართველოს მთიანეთისათვის საგანგებოდ შედგენილი სჯულმდებლობა. იგი ადგილობრივი ხასიათის საკანონმდებლო ძეგლია, მაგრამ საქართველოს დაშლის შემდეგ ერთ დროს ბარისათვის შეუფერებული და შეუსაბამო კანონები, დაქვეითებული და დანაწევრებული საქართველოს კუთხეებისათვის მოქმედ სამართლად იქცა – „რომლითა სჯიდნენ სამნივე ესე სამეფონი ქართლისანი“.

ვახტანგის კომისიამ, როგორც აღინიშნა, იგი ჩართო თავის სამართლის კრებულში.

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ამ კრებულში ჩართული „სამართალი ბატონიშვილის ვახტანგისა“. მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, ამ კრებულში მართალია შეტანილია სხვადასხვა ეროვნული და უცხო ძეგლი, მაგრამ სავალდებულო ძალა მხოლოდ საკუთრივ ვახტანგის კანონებს ჰქონდათ. კრებულში შესული მოსეს, ბერძნულ და სომხურ სამართალს მხოლოდ დამხმარე სამართლის ფუნქცია ჰქონდა. თვითონ ვახტანგის სამართალზე დიდი გავლენა მოუხდენია ბიზანტიურ სამართალს.

ბიზანტიური სამართლის გავლენა როგორც ქართულ, ისე სხვა მართლმადიდებელი ქვეყნების სამართალზე, თურქების მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობის შემდეგაც არ შეწყვეტილა, „პირიქით, შეიძლება ითქვას, რომ ის ერთგვარად კიდევ გაძლიერდა. საქართველოში გავრცელდა და გამოიყენებოდა როგორც ყველაზე ძველი (სირიულრომაული), ისე ბერძნულ-რომაული სამართლის ერთ-ერთი გვიანდელი ძეგლი, რაც მოწმობს საუკუნეთა განმავლობაში ბერძნულრომაული სამართლის მუდმივსა და უწყვეტ

გავლენას საქართველოს სამართლებრივ წყობილებაზე. ამ მხრივ, საქართველოში განმეორდა ყველა ის მოვლენა, რომელსაც ადგილი ჰქონდა აღმოსავლეთის სხვა მართლმადიდებელ ქვეყნებში“. (В сокольский Греко-римское право в уложении грузинского царя Вахтанга VI, Журн. мин. просв. 1897, с 56-93, ქ.ს.დ გვ.639)

სოკოლსკის მსგავსად, პროფ. ალ. ხახანაშვილის აზრით, საქართველოში მოქმედებდა ბერძნული (ე.ი. ბიზანტიური) სამართალი და დიდი გავლენა ჰქონდა ქართულ სამართალზე, მათ შორის, ვახტანგის კანონებზეც. ალ. ხახანაშვილის აზრით, ქართულ „სიგელებში ხშირად ნახავთ მითითებებს ბერძნულ კანონებზე“. (ალ. ხახანაშვილი „ბატონყმობა საქართველოსი“ 1910. მეორე გამოცემა გვ. 50-51) როგორც ალ. ხახანაშვილი აღნიშნავს, ვახტანგის სამართლის კრებულში ჩართული ბერძნული სამართლის 153, 166 და 172-ე მუხლებიდან მომდინარეობს ბატონყმობის მკაცრი ხასიათი ვახტანგის სამართლის წიგნის 235-ე, 258-ე და 259-ე მუხლებში, რომლებიც ყმის უფლებებზე მდგომარეობას აკანონებს. ალ. ხახანაშვილს მიაჩნია, რომ ბიზანტიის სამართლის დიდი გავლენა ქართულ კულტურასა და კანონმდებლობაზე აისახა ვახტანგის კანონებში, მაგალითად, მისი სამართლის წიგნის 25-ე მუხლში დაკანონებული პრინციპი – „მეფისა და კატალიკოსის საქმე ორისავე სწორი არს და აღბუღას კანონების 102-ე მუხლის ნორმა „მეორე მეფე ეპისკოპოზი არს“ ბიზანტიური სამართლის ნორმებია. ბიზანტიამ კიდევ უფრო მეტი გავლენა დააჩნია საქართველოში ქორწინების, ცოლ-ქმრობის კავშირისა და ოჯახის საფუძვ (ალ. ხახანაშვილი, „ბიზანტიის გავლენა საქართველოზე“, გაზ. „მოამბე“ 1910. №XII)

რუსი მეცნიერის მ. კოვალევსკის აზრით, „ქართული საოჯახო და საქორწილო სამართალი მთლიანად ნასესხებია ბიზანტიური კანონიკური სამართლიდან. რომისა და ბიზანტიის სამართალმა დიდი გავლენა მოახდინა ქალის უფლებრივ მდგომარეობაზე ქართულ სამართალში. ბექასა და აღბუღას კანონებით, ქურდობი-



სათვის დასახელებული ორმაგი საზღაური ნასესხებია რომის სამართლიდან“.
(М. кавалевский Закон и обычай на Кавказе. Т. I. с. 110-134. ქ.ს.დ. I. გვ. 639)

ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულში შესულთაგან სავალდებულო ძალა მხოლოდ ვახტანგის კანონებს ჰქონდათ. გერმანელი მკვლევარის დ. ჰოლდაკის აზრით, უფრო ადრე იგივე აზრი გამოთქვა ჰაქსტაუზენმა. (Hollak, Zwei Grandsteini.... 1907, p. 97-102, Haxthausen, Transcaucasia, II, 1856, p. 282, ქ.ს.დ., I. გვ. 638)

აღ. ვაჩიშვილის აზრით, „ვახტანგის კრებულში შესული სხვა იურიდიული ძეგლები დადებითი სამართლის დამხმარე წყაროს წარმოადგენდნენ. მოქმედი სამართალი მხოლოდ და მხოლოდ ვახტანგის დებულებით არ ამოიწურებოდა, ვახტანგის დებულება სარგებლობდა უპირატესობით, მაგრამ სასამართლოს ჰქონდა კომპილაციის სხვა ნორმების შეფარდების უფლება, თუ ამას საჭიროება მოითხოვდა“.
(აღ. ვაჩიშვილი, ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან I, 1946, გვ. 18.)

ივ. სურგულაძე კი მიიჩნევდა, რომ „ვახტანგის სამართლის წიგნი შედგენილი ქართლის სამეფო დარბაზის მონაწილეობით მოქმედებდა მთელ საქართველოში“.
(ივ. სურგულაძე, სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, 1952, გვ. 113)

ისილორე დოლიძის აზრით, XVIII და XIX სს-ის სასამართლო აქტები მეტყველებს, რომ ვახტანგის სამართლის წიგნი მოქმედი სამართალი იყო, რომელსაც კანონის ძალა ჰქონდა. (585 ქ.ს.დ. გვ. 641)

ვახტანგის სამართალზე გავლენა მოუხდენია ძველ საქართველოში არსებულ საკანონმდებლო ძეგლებს, ამიტომაც იგი ქართული ეროვნული სამართლის ყველაზე სრულყოფილი ძეგლი და მართლმსაჯულების ძირითადი სახელმძღვანელო წიგნი იყო გვიანფეოდალურ საქართველოში. (ი. დოლიძე, ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულის შემადგენლობა და წყაროები, ქ.ს.დ., I, გვ. 650) ივ. ჯავახიშვილის აზრით, ძველ საქართველოში ვახტანგამდეც არსებობდა უცხო ქვეყნ-

ბის საკანონმდებლო ძეგლების ქართული თარგმანები, მათ ძველადაც აერთიანებდნენ სხვა ქართულ ძეგლებთან ერთ კრებულში. (ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, I. გვ. 118-119.) ბერძნული და სომხური სამართლის წიგნები უეჭველად წინათაც იქნებოდა, მათი არსებობა ვახტანგს არ სცოდნია და ხელახლა გადმოუქართულებია. (იქვე, გვ. 119) დ. ფურცელაძე სიველ-გუჯრების შესწავლის შემდეგ მივიდა დასკვნამდე, რომ ქართველი მოსამართლეები საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების გამოტანისას სარგებლობდნენ ვახტანგის კრებულში შეტანილი ბერძნული და სომხური კანონებით. (Д. Пурцеладзе, Крестьянские грамоты, 1880 с. 20) ამასვე წერდა დავით ბატონიშვილიც, გიორგი XIII-ის ძე, ქართული სამართლის ისტორიის საუკეთესო მცოდნე. (ქ.ს.დ. I. გვ. 652.)

„სამართალი ვახტანგ ბატონიშვილისა“ როგორც ჩანს, თავდაპირველად, მთავრდებოდა 204-ე მუხლით, რომელსაც მოსდევდა ბოლოსიტყვაობა. შესავალში ვახტანგი აღნიშნავს, რომ იგი უმცირესი იყო ძმათა შორის, ინება „თავად მან უფალმან გამოავლინა პირითა უტყუელითა ბრძანება ცოდვილთა მოწყალება და მყო მე მსაჯულად და გამგედ ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყნისა“.
(ქ.ს.დ. I, გვ. 477) ვახტანგი, როგორც აღინიშნა, წერდა, რო მსამართლის წიგნები შეადგინა „თანაყოლითა და მოწმობითა“ დომენტი IV კათალიკოსისა. ასევე, არაგვის ერისთავის შვილის მთავარეპისკოპოსის გრიგოლისა და სხვა მიტროპოლიტის, ეპისკოპოსების, წინამძღვრების, სასულიერო პირების თანადგომით. საერთოდ არა მარტო სასულიერო იერარქიის, არამედ სახელმწიფო დარბაზის თან ამონაწილეობითა და დამტკიცებით – „მოწმობითა და თანაზრახვითა ყოველთა დარბაზის ერთა ჩვენთათა“.
(იქვე, გვ. 478)

მაშასადამე, სახელმწიფო დარბაზის სხდომებზე იხილებოდა ვახტანგის კანონები, რომელმაც საბოლოოდ მიიღო იგი. სახელმწიფო დარბაზი, როგორც აღინიშნა, როდესაც საეკლესიო საკითხებს იხი-



ლავედა და დარბაზობაში მონაწილეობდა უმაღლესი იერარქია, იმავდროულად წარმოადგენდა საეკლესიო კრებას კათალიკოსის მეთაურობით. მაშასადამე, ვახტანგის კანონები მიიღო საეკლესიო კრებამაც, ეს კანონები იმავე დროს საეკლესიო სამართლის ნორმებია, რადგანაც მისი მრავალი მუხლი სწორედ საეკლესიო საკითხებს ეძღვნება. საზოგადოდ, სამართლის დადგენის პროცესში კათალიკოსისა და ეპისკოპოსების მონაწილეობა იურიდიული ნორმაა. მაგალითად, ზოგიერთი მუხლი პირდაპირ მიუთითებს მათ ჩარევას, 64-ე მუხლით განსაზღვრულია ცოლის მტანჯველი კაცის მეფის მიერ დასჯა და მითითებულია: „და კათალიკოზმაც ასრე უყოს“. (იქვე, გვ.428) იქვე მითითებულია „ის კათალიკოზმან იცის“, მუხლი 65-ე – „ტანჯვა ჰყოს კათალიკოზმან“, მუხლი 66-ე – „კათალიკოზმან წურთინოთ უნდა შეარიგოს“, მუხლი 79-ე – „კათალიკოზმან და მეფემ გარდაახდევინოს“, „მოდღარმან იცის მისი საკანონი“. (იქვე, გვ. 501) მუხლი 96-ე „ეს საქმე კატალიკოზმა და მეფემ დიდად უნდა მოიკითხონ“, მუხლი 97-ე „კათალიკოზისაგან გარდაახდევინება“ და სხვ. მთელი თავი აქვს დათმობილი ეპისკოპოსის საკითხს, მაგალითად, 175-ე მუხლში ნათქვამია, რომ საქართველოში ეპისკოპოსების შემოსავალი მცირეა და ისინი არ არიან დიდი ქონების პატრონები, რადგანაც „საქართველო ღარიბი და უსაქონლო ქვეყანა არის, აგრერიგად არც ხელმწიფის შემოსავალი არის, ვერც ამას ეპისკოპოსის ძმა და სახლის კაცი ეპისკოპოსისაგან იშოვებს რასმე მისგან“. (იქვე, გვ.525.) ასევე საგანგებო თავი ეძღვნება სასჯელს „ქვეყნისა და რჯულის დაღატისთვის“. მაგალითად, მუხლი 222-ე ამბობს – „ვინც კაცმან ქვეყანას და ქრისტეს რჯულს უორგულოს ღვთისა და ბატონის ორისავე მესისხლე იქნების“. (იქვე, გვ. 439)

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვახტანგის სამართალში მოცემული პატივის ნორმები, რომლითაც საეკლესიო პირები მიკუთვნებულნი არიან ქვეყნის სხვადასხვა იერარქიულ ფენას. მაგალ-

ითად, 25-ე მუხლის თანახმად – „მეფისა და კათალიკოზის საქმე, უკადრისი თურაც რამ ფერი, ორისავე სწორი არის, იმიტომ რომე ერთი ხორცის ხელმწიფე არის და მეორე სულისა, კურთხევა და პატივიც ღვთისაგან და კაცთაგან სწორე აქვთ მათი საქმე ჩვენ სწორედ დაგვიწერია“. 26-ე მუხლით მთავარეპისკოპოსი პატივით გათანაბრებულია დიდებულ თავადთან, 27-ე მუხლით ეპისკოპოსი პატივით გათანაბრებულია შუა თავადთან; 28-ე მუხლით არქიმანდრიტის პატივი გათანაბრებულია მესამე ხარისხის თავადთან; წინამძღვარის პატივი ტოლია გადიდებული აზნაურისა, მღვდელ-მონაზვნის პატივი შუა აზნაურთან არის გათანაბრებული, მღვდლის პატივი – ცალმოგვი აზნაურის პატივის ტოლია (მესამე ხარისხის აზნაური, რომელიც უტოლდება მეორე ხარისხის ვაჭარს). მთავარდიაკვნის პატივი მსახურის პატივის ტოლია, რომელიც უტოლდება მესამე ხარისხის ვაჭარს. (მიტროპოლიტის სისხლი მთავარეპისკოპოსის სისხლის მეხუთედს შეადგენს). (ქ.ს.ძ. I, გვ. 481)

ვახტანგის კანონები XIX ს-ის დასაწყისშიც კი გამოიყენებოდა საქართველოში რუსული მმართველობის ნებით, ამიტომაც მის, როგორც იმპერიის ერთ კუთხეში მოქმედი სამართლის მიმართ ხელისუფლება ინტერესს იჩენდა. იგი ითარგმნა რუსულად და 1828 წელს გამოიცა პეტერბურგში მმართველი სენატის მიერ. ფრანგულად იგი ითარგმნა მარი ბროსემ XIX ს-ის 30-იან წლებში. 1887 წელს მეორე რუსული გამოცემა განახორციელა დ. ბაქრაძემ ქ. თბილისში. ფრანგი როდოლფ დარესტის თქმით, ვახტანგის კანონები „ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ძეგლია სამართლის ისტორიაში“. (იქვე, გვ. 673) იგი წარმოადგენს არა მხოლოდ სამოქალაქო, არამედ საეკლესიო სამართლის ერთ-ერთ წყაროს, ამიტომაც მისი შექმნა-შემუშავების დროიდან დღემდე საქართველოს ეკლესიის ისტორიის მკვლევართა შესწავლის ობიექტს წარმოადგენს.



„სამართალი ბატონის შვილის ვახტანგისა“

[ამოკრეფილი მუხლები]

ქ. მყოფისა უმყოფისა, არსისა და უარსისა დამაარსისა, მქეპი, არათუ ღირსად და შექლებისა ჩემისაებრ მქეპელი და მმონებელი, უღებად მქონე მპოვნელ ვიქმენ.

ვითარცა მეფენი, დღითი-დღე მრევლნი ელთა მარგალიტთა შინა, და ჰპოებენ მიძიეთა რათამე, და უხილველობისათვის აღიდებენ და შთასდებენ საუნჯედ, პატიოსანთა შემკობით უპატიოსნედ მარგალიტთა ჰყოფენ, ეგრეთვე უფალმან ჩვენმან, მზადმან ყოველთამან და სიბრძნით გამგებელმან, მპოვა მარგალიტთა შინა მრავალთა და აღმილო მსგავსად მისა ამის მეცა ეგრეთვე, – უმცირეს ვიყავ მე ძმათა ჩემთა შორის და უმრწამს სახლისა ჩემისა, და ვმწყსიდი თავსა ჩემსა უგუნურად და თავგვედად, ჰკელნი ჩემნი იყვნენ მოქმედ არარის კეთილისა, და თითნი ჩემნი ვერა რომელსა იშრომებდენ ნებასა უფლისასა, არამედ იყვნენ უქმ. ვინმე მიუთხრა ესოდენი ბოროტნი ჩემნი უფალსა ჩემსა.

ხოლო თავადმან უფალმან გამოავლინა პირითა უტყუელითა ბძანება, ცოდვილთა მოწყალეება, და აღმილო მე უნარჩვევსობასა სახლისა ჩემისაგან და მყო მე მსაჯულად და განმგედ წილკლომილთა ქუეყანათა უბიწოდ მშობელისა დედისათვისისა არათუ ქმნილებათა რათამე კეთილთა ჩემთათვის, არამედ უნარჩვევსობისა ჩემისათვის, ამისთვისმცა, რათა სცნან ყოველთა, რათა უსწავლელთა და უმეცართაგან სთნავს და ნებავს სრულმყოფელსა დ“თსა მარადის გონებაკეთილისა.

იყო ქუეყანა ესე ქართლისა ყოვლითურთ კეთილითა შემკულ და შეზავებულ, ხოლო ცვალებითა დღეთა და ვითარებითა ჟამათა თვით სიბრძნით და თავით თვისით სჯიდენ და განაგებდენ, ვიეთნიმე მოყუსობით, ვიეთნიმე მეგობრობით, ვიეთნიმე მორიდებით, ვიეთნიმე

დ“თის ურიდველობით და ვიეთნიმე მიღებითა ქრთამითა, – ვითარცა ენებათ, სჯიდენ.

ხოლო ჩვენ, ნებითა დ“თისათა და წყალობითა დიდის ჰელმწიფისათა, პირველითგანვე ზეცით საქართველოს მეფედ განკუთნილისა და აწ სასუფეველ ცათა შინა სულბრწყინულად მანათობელისა, პირველ ვახტანგ წოდებულისა, ხოლო შემდგომად სპარსთა ენითა შაჰნავაზ ჰმობილისა,

ძისა მისისა, სრულიად ქება-შემსგავსებით ძნიად მისათხრობელისა ქართველთა მეფისა და ერანელთა სფადარ-სპასალარისა, ამილბარ-სპასპეტისა, უთვალავისა და უამრავის სპისა და ლაშქრის მეწინავედ ჩენილისა, უვნებლად და მტერზე ძლევეთ მაარებელისა, ყანდაარისა და ქირმანის ბეგლარბეგისა, გირიშქისა და ჰაილათის მჭირავისა, ძლიერისა და უძლეველისა, პირველ გიორგი წოდებულისა და აწ მალღის ჰელმწიფისაგან წყალობით მეორე შაჰნავაზობით ჰმობილისა,

მაგიერად მყოფმან, ძემან ერანის მდივანბეგის ლეჟან ჰმობილისა, აწ შაჰყულიხან წოდებულისამან, საქართველოს ჯანიშინმან და გამგებელმან ბატონიშვილმან პატრონმან ვახტანგ, წინათქმულთა ამისთვის ვიწადეთ სასამართლოსა წიგნისა აღწერა.

პირველ „დაბადებისა“, მოსეს მიერ ქმნილი სამართალნი, და კვალად ბერძენთა და სომეხთა წიგნთაგან გარდმოთარგმნებული, ეგრეთვე კათალიკოზისა, მეფის გიორგისა და ბექას განჩინებული სამართლები შევკრიბეთ და ესე ყოველი ზემორე წერებულმან გამცნოსთ.

ხოლო ესეცა სცანთ, იგულეთ და იგულისმოდგინეთ, და რომელიც გენებოსთ და უმჯობეს გიჩნდესთ, მით სჯიდეთ და სამართალსა იქმოდეთ.

აწ ვიწყით განაჩენისა ამის, ჩვენ მიერ აღწერილისათვის.

რომელნი იხილავთ და ისმენთ, ნურავინ ჰგონებთ, თვით მხოლოდ თავით თვისით რასამე ვყოფდეთ, არამედ თანაყოლითა და მოწმეობითა მდღელ-მთაერისა და დიდის დედაქალაქისა მცხეთისა



და კვართსა ზედან საუფლოსა სვეტისა ღმრთივ აღმართებულისა და მირონ-აღმოცენებულის, საჭედ-მპყრობელისა და ჯარისკცსა ზედან მტკიცედ მდგომელისა, ძმისა ჩვენისა, ბატონიშვილის კათალიკოზის დომენტიისთა,

ეგრეთვე თანადგომითა არაგვის ერისთვიშვილის მთავარებისკოპოზის გრიგოლითი და სხვათა მიტრაპოლიტებისკოპოზ-წინამძღვართა და სამღრთოგანთათა,

და მოწმეობითა და თანაზრახვითა მუხრანის ბატონის ერეკლეითი, არაგვის ერისთავის გიორგითა, ქსნის ერისთავის დავითისითა, ორბელიძე სარდრის ლუარსაბითა, ამილახორის ავთანდილითა, მდივანბეგის ერასტითა და სხვათა ყოველთა დარბაზის ერთა ჩვენთათა,

და კითხვითა ჭკუათა მყოფელთა და მოხუცებულთა კაცთათა გავაჩინეთ და დავწერეთ, რომელსა მივწვდით და ანუ გონებანი ჩვენნი სამართალთა მიხუდნენ

ამით უფრო ვიქმენით მიზეზ წიგნისა ამის, რამეთუ აღარავინ განდრიკოს სასწორსა სამართლისასა ქრთამით, გინა მოყუსობით ანუ სხვეფრივ რითმე მიდგომითა, არამედ პირველ განაჩენნი იხილონ, და ახალი ესეცა, და რომელიც ენებოს მოსამართლესა, მით იქმოდეს სამართალსა.

მე ეს წიგნი ასრე არ დამიწერია და არცა ვიჩემებ, რომე არა აკლდეს რა. ბევრი ასეთი საჩივრები არის და მოვა, რომე ზოგი ვერ მოვიგონეთ და არც მისწუდების კაცის გონება.

ვინც მისუდეს რასმე და მოიგონოს, ჩაურთოს და ჩასწეროს, კარგსა და მართებულს იქს.

25. მეფისა და კათალიკოზის საქმე, უკადრისი თუ რაც რამ ფერი, ორისავე სწორი არის, ამიტომ რომე ერთი ჯორცის ჰელმწიფე არის და მეორე – სულისა, კურთხევა და პატივიც ღუთისაგან და კაცთაგან სწორე აქეთ. დასტურ, მეფეს უფროსს პატივს სცემენ, მაგრამე ჯორციელის შიშით იქმონენ. ამიტომ მათი საქმე ჩვენ სწორედ დავგიწერია. თუ არა სჯობდეს, ვინც უკეთ იცოდეს, ჩვენ ნურას გვაბრალებს, იმან დაწეროს.

ნუმცა ვინ იკადრებს და ნუმცა ვის შეემთხვევს ესევეთარი, რომელი ავნებს ჯორცსა და უმეტესად სულსა, ნუცა სამლოთო კაცისა და ნუცა სხვათა ძეთა ადამისათა, – რომელსა მე ვკმობ, ესევეთარი.

ნუ თუ პირველითგანვე სამოთხიდამ პირველისა მამის, ადამის, გამომძებელმან, დაუძინებელმან, მარადის მბრძოლმან და მტერმან, უხილაგმან ეშმაკმან თვისითა მანქანებითა და საბრკვეგებითა აღძრას ბუნებანი კაცთანი შურად და კულად კაცისად, გინა საღმთოგანთა ზედან, გინა თუ დიდებულთა და თავადსა ზედან ანუ თუ აზნაურთა და გლეხთა ზედან, ანუ თუ მამა ძესა და ძე მამაზედა, გინა ძმა ძმაზედა და მოყუასი მოყუასზედა, - ესევეთარს საქმეს შეემთხვიოს, მას უკან ამის მეტი აღარა გაეწყობის რა, როგორც დავგეწეროს, ასრე უნდა იქნას.

26. დიდებულის თავადის მთელი სიკუდილის სისხლი – ათას ხუთას ოცდათექუსმეტი თუმანი. ამ დიდებულის თავადის ტოლად – მთავარებისკოპოზის სისხლი. ამ მთავარებისკოპოზის სისხლზე მეხუთედ ნაკლებად – მიტროპოლიტის სისხლი.

27. დიდებულს ქუემოთის, შუას თავადის სისხლი – შვიდას სამოცდარვასამოცდარვა თუმანი. ამასთან, ასრე – დიდებულის სახლის კაცის სისხლი. ამასთან, ასრე – ებისკოპოზის სისხლი.

28. ამას ქუემოთს, მესამეს თავადის სისხლი – სამას ოთხმოცდაოთხი თუმანი. ამასთან, ასრე – არქიმანდრიტის სისხლი.

29. გადიდებულის აზნაურის სისხლი - ას ოთხმოცდათორმეტი თუმანი. ამასთან ასრე - წინამძღვრის სისხლი.

30. ამას ქუემოთის, შუას აზნაურის სისხლი – ოთხმოცდათექუსმეტი თუმანი. ამასთან, ასრე – მღვდელ-მონოზნის სისხლი. ამასთანვე, ამის მეხუთედ სისხლ-დაკლებით, – მწირის მონოზნისა. ამ შუას აზნაურის მთელის სისხლის ტოლადვე – დიდებულის დიდვაჭრის მოქალაქის სისხლი.

31. ცალმოგვის, მესამეს აზნაურის სისხლი – ორმოცდარვა თუმანი, ამასთან, ასრე – მღვდლის სისხლი. ამასთან – დიდებულის ვაჭრის ქუემოთის, მეორეს ვაჭრის სისხლი.



32. ამასთან, ასრე დაკლებით, მსახურის სისხლი – ოცდაოთხი თუმანი. ამასთან – მთავარდიაკვნის სისხლი. ამასთან – შუას ვაჭრის ქუემოთ, მესამეს ვაჭრის სისხლი.

64. მაგრამ კაცი რომ ცოლს სტანჯუდეს და უპატიურად ეპყრობოდეს, და ურიგოს უშურებოდეს, მეფემ ის კაცი დააბას, დატუქსოს, ავად მიეპყრას და კატალიკოზმაც ასრე უყოს.

სხვა ამას გარდა თუ რამ ცოლქრმობაში ურიგო რამ მოკდეს, ის კათალიკოზმან იცის.

65. თუ ცოლმან ქმარი მოკლას ანუ წამლით ანუ, სხვა რითმე, გასინჯეთ, რისთვის მოუკლავს. თუ ასეთი რამ ექნას, რომ ემართლებოდეს, თქვენ იცით; და თუ უბრალო მოკლა, ეგეც თქვენ იცით. ღ“თნუ ქნას, და თუ ჩვენს ჟამში მოკდა, ჩვენ ვიცით.

თუ ცოლმან ქმარს ან სცეს, ან დაჭრას, დიდი გვემა და ტანჯვა უყოს კათალიკოზმან.

66. ცოლი და ქმარი რაგინდ სძულდენ ერთმანეთსა, უბრალოდ გაყრა არ იქნების, კათალიკოზმა წურთნით უნდა შეარიგოს.

79. აგრევე მოკდება, დედ-მამაში სხვაც რამ უმართებულო მოკდეს. თუ გამოჩნდეს, კათალიკოზმა და მეფემ გარდაა დვეინოს; თუ არ გამოჩნდეს, მოძღვარმა იცის მისი საკანონო.

106. სასაფლაო, ხატი, ჯვარი, საყდრის მამული ერთია. თუ არ გაპყოფენ, ისი სჯობს, საყდრის ყმასა.

[ეპისკოპოზის ბეითაღმალისა ასრე იქნას] 175. ეპისკოპოზის ბეითაღმალი ჩვენს მიხდომამში სრულობით საყდრისა უნდა იყოს, მაგრამე ვითაც საქართველო ღარიბი და უსაქონლო ქუეყანა არის, აგრე რიგად არც ჰელმწიფის შემოსავალი არის, ვერც არას ეპისკოპოზის ძმა და სახლის კაცი ეპისკოპოზისაგან იშოებს რასმე მისგან, რომე ეპისკოპოზის დამარხვა შეიძლოს, ამიტომ უწინაც ასე ყოფილა გარიგებული და აღარც ჩვენ მოვშალეთ.

ასრე იქნებოდეს. რომელიც საყდრის რიგი და იარაღი ეპისკოპოზს იქ დახუდომია, იმას გარდაის კიდევ თუ თვითონ თავის ჟამში ან თავისკონდაკით და ან საყდრის მამულიდამ საყდრისათვის გაუკეთებია რამ და შეუწირავს, ის საყდარს არ მოეშლების.

და იმათ გარეთად თუ რამ დარჩების თეთრი, ფარხა, ვერცხლი, პური, ღვინო და პირუტყუი, იმისგან ერთი წილი სა ელმწიფო არის, ერთი წილი საყდრისა, ერთი წილი ეპისკოპოზის ძმებისა, რომ ეპისკოპოზი დამარხონ.

[ბოლოსიტყვაობა]. ქ. თვით, თავით თვისით აღმომეტყუელი წიგნისა ამის სამსაჯულოსა და მომღებელი წინაშე ყოველთა მყოფთა და ყოფადთა, ძე მეფეთა და განმგებელი ქართველთა ერთა, ბატონიშვილი ვახტანგ, კუალად ვიტყვი თქვენდა.

ეჰა, წარჩინებულნო და ღ“თისა ერთუფლებისა და სამთვითების გულმკურველად მადიდებელნო და შეუორგულეებულნო საკუთარნო მამანო, კათალიკოზნო, ეპისკოპოზნო, მიტრაპოლიტნო, წინამძღვარნო, მღვდელნო და სხვანო სამღრთოგანნო, და შემდგომად ჩვენდა მეფენო, უფლისწულნო, დიდებულნო, თავადნო, აზნაურნო და ყოველნო მყოფნო ქართლისანო, რომელნი ჰგიებთ და კვალად სხვანი ეგებოდეთ, და იხილვედეთ ნადვაწთა და წერებულთა წიგნთა ამათ სასამართლოთა, ჩვენ მიერ თქმულთა და თქვენდა მომართ მოღებულსა, პირველვე დასაწყისმან წიგნისა ამისამანვე გამცნოსთ და მუნვე მოგითხრასთ, თუ ვითარ მიზეზ ვექმენით აღწერად თვითოეულად სამართალთა.

ფრიადითა შრომითა და მრავლისა გამომეძიებლობითა თვით ვიგულისმოდგინეთ. რომელსა ზედან მოწმობა დართეს ერთა ჩვენთა სრულობით სამღრთოთა და გინა სამკედროთამან, ბრძენმან და მონახულმან, ყოველმანვე ერთბამად. და ესე ესრეთ არს შემზადებული.

ხოლო სხვანიც ზემორე ხსენებულნი წიგნები სასამართლონი დიდთა სამეფოთანი, მოვიძიეთ და მოვიღვეით, და მრავ-



ლის სასჯელითა ვიდრე წელთა მეორედმდე გარდმოვთარგმნეთ. და იგინიცა უკლებელად აღგვიწერიეს და არს შემეკობილი ყოველისა სამართლითა.

არამედ, ვინათგან ქართველთა წესნი და ქცევანი სხვა რამე არს და არა მიჰგავს სხვათა ქუეყანისა რიგთა და ქცეულებათა, სხვა არს დიდებული და თავადი, სხვა არს სისხლი და სიკუდილი, სხვა არს ღალატი და უკადრისი, ამად ესევეთარისა სამართალნი სხვათა განაჩენთა შინა მოკლებით იპოების და მათი წიგნი უფროს ჩვენდა უკმარ არს.

ნუ სიქადულად შემირაცხავთ, და ვგონებთ უმჯობესად ყოველთასა წიგნსა ამას, სასარგებლოდ ქუეყანისა ამისად. ამად ნურავინ სძულობს და იუნდოვებს.

აწ ვიაჯები ყოელთა და ისმინონ ესე. რომელმან ბრძენმან და გულის მისმყოველმან მსაჯულმან და მოსამართლემან აღმოკვეთისათვის ქრთამთა და მიუდგომლობისთვის მოყუასთა და თვალუხვაავად სჯათა წვრთილებისათვის იმპულვართ წიგნი ესე და მოიძაგოთ, და ინებოთ შეცვლა სამართალთა სხვებრ რათმე, ამას ნუ ჰყოფთ, ნუცა გარყვნით წერილთა ჩვენთა, რომელი აღგვეწეროს. არამედ რომელმან უმჯობესი სიბრძნით თვისით ჰპოოს, იგი ჩართვით, თვისვე თქმულად, სად ენებოს, მუნ დაწეროს და იგიც ეგოს.

ხოლო რომელმან არა ისმინოს ვედრება ესე და მოშალოს სამართლები ჩვენი, სხვებრ შეცვალნეს, ცოდვათა ჩვენთა მიერ იგიმცა დაისჯების.

222. ქ. ვინც კაცმა ქუეყანას და ქრისტეს რჯულს უორგულოსს, კიდევ ხედევდეს, იმით რჯული წაგდებოდეს, იმას მიყუეს, – ღთისა და ბატონისა ორისავ მესისხლე იქნების და ყოველი ავი იმაზე მართებული არის. (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 477-539)



სოფელ სომიწოს წმინდა ბიორგის სახელობის დარბაზული ეკლესია

გორგიძე ი., იაშვილი მ., იაშვილი ნ.
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რაჭის მრავალი ღამაში სოფლიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ქ. ონიდან 3–4 კმ-ის მანძილზე მდებარე პატარა ღამაში სოფელი სომიწო. მისი სახელის წარმოშობის ახსნა გაძნელებულია. არსებობს ვარაუდი, რომ იგი წარმოსდგება სიტყვებიდან „სოფელი“ (ანუ სველი) მიწა“.

სოფელი მდებარეობს მდ. ჯეჯორის მარცხენა მხარეს, ონის სამხრეთით, ზღვის დონიდან 960 მეტრზე. წყაროებში იგი იხსენიება XVIII საუკუნიდან. სოფლის განაპირას, სოფელ პიპილეთის საზღვართან არის ერთი ადგილი – „ნამოსახლევი“, სადაც გადმოცემის მიხედვით მეტრეველებს, ყიფიანებს, ბენდიანიშვილებს, რაზმაძეებს და ჯოხაძეებს უცხოვრიათ. სოფელში არსებობდა გვარების მიხედვით უბნები: გამყრელიძეების, იაშვილების, ნიკოლიშვილების, ჩიკვილაძეების, ბენდიანიშვილების და ზედა მეტრეველების.

სოფელში არსებობდა რვაწლიანი სკოლა, რომელიც ჩიკვილაძეების უბნში იდგა.

სომიწო ორი ნაწილისაგან შედგება: ზედა იაშვილების და ქვედა – მეტრეველების უბნებისაგან. მათ შორის მანძილი ორი კილომეტრამდეა.

სოფლის თავში მდებარეობს მთა სახელწოდებით „ნაციხვარა“, რომლის ძირშიც შემორჩენილია ფეოდალური ხანის კოშკის ნანგრევები წრიული გეგმით.

სომიწოს ზემო უბანში მდგარა ღვთისმშობლის სახელობის ხის ეკლესია, რომელიც სამწუხაროდ დაუშლით 1910 წელს. ქვემო და ზემო უბანს შორის კი, შემადღებულ ადგილას მდგარა წმინდა გიორგის სახელობის XI საუკუნის დარბაზული ეკლესია. იგი აშენებული ყოფილა ტინის თლილი ქვისგან [1,2].

დღეს სომიწოს წმინდა გიორგის ეკლესია მხოლოდ ნანგრევებია დარჩენილი, მაგრამ აქვე აღინიშნება სხვა ნაგებობების და გალავნის კვალი. ეკლესიის მიმდებარედ, როგორც ძირითადად ხდებოდა ხოლმე, მოქმედებდა სოფლის სასაფლაო. აქ დღემდეა შემორჩენილი რამდენიმე საფლავის ქვა. ეკლესიის მახლობლად, ონისკენ მიმავალი ბილიკის ორივე მხარეს ბზის ხეებია დარგული.



სომიწოს ეკლესიის წარწერიანი ქვა
(დ. ჯაფარიძის ფოტო)



რაჭის ცნობილ მკვლევარს, გიორგი ბოჭორიძეს აქვს გამოცემული ამ ეკლესიის აღწერილობა: „იგი XIX საუკუნეში რამდენჯერმე არის განახლებულ-გადაკეთებული; დღეს დგას მარტო კედლები, გაღვსილი კირით. თალი აქვს მხოლოდ საკურთხეველს, დანარჩენ ნაწილს კი ფიცარი ჰქონია; იგი გადაუხდიათ ამ უკანასკნელ წლებში. ტრაპეზის წინა მხარე შემკულია შესანიშნავი ორნამენტ-ტიანი ქვებით. ეზოში დევს საფლავის ქვა (1,7X0,58 მ); იგი თავში შემკულია ჯვრით, გარშემო ჩუქურთმებიანი არშიებით, ხოლო გულში მხედრული წარწერით:

„ქ. აჰა საფლავსა ამას შინა მდებარე სახელმწიფო აზნაური იოანე ჩიკვილაძე შობიდან ვიყავ მქონე (...) სა წლისა. ვიყავ გონება მახვილი და ვისწავლე წერა სამხედროთი და ჭედა ოქროისა და ვერცხლისა და გამოვხატავდი ხატსასა...“ წარწერა ეკუთვნის 1841 წელს. ეს იოანე ჩიკვილაძეა, რომლის შექმნილი ჯვარ-ხატები დღემდე შემორჩენილი და გამოირჩევა შესრულების მაღალი დონით. ერთ-ერთი მისი ნახელავი ხატი გ. ბოჭორიძეს ჩაუბარებია მუზეუმისთვის [1,4].

სომიწოს წმ. გიორგის ეკლესიის წმინდა გიორგის ხატი მეტად მნიშვნელოვანია ქართული ხატწერის შესწავლისათვის. ხატზე არსებული საქტიტორო წარწერის მიხედვით ხატი დაწერილი რაჭველი მხატვრის იოანე ჩიკვილაძის მიერ 1817 წელს. ამჟამად ხატი დაცულია ქუთაისის მუზეუმში [3].

სომიწოს წმინდა გიორგის ეკლესია საბოლოოდ დაინგრა რაჭის 1991 წლის ცნობილი მიწისძვრის შედეგად. გ. ბოჭორიძის ნაშრომიდან ჩანს, რომ ეკლესიის ტრაპეზის წინა პირი შემკული იყო შესანიშნავი ორნამენტური ქვებით. ტაძრის ნანგრევების გაწმენდითი სამუშაოები ჩატარდა 2010 წელს, თუმცა ბოლომდე ვერ დასრულდა. ქვითკირის გროვისაგან გასაწმენდი დარჩა საკურთხეველიც. დაკარგულია ტაძრის სამხრეთის ფასადზე არსებული ნუსხა-ხუცური წარწერიანი ფილა. ნანგრევებს გადარჩენილი ლიპიდარული წარწერიანი ქვა ამჟამად ინახება ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, რომელიც ერთ-ერთი საინტერესო მუზეუმია საქართველოს რეგიონებში. აქ მრავალი ათასი საინტერესო ექსპონატი ინახება. მუზეუმში 1948 წელს შეიქმნა. დღეისათვის მზადაა პროექტი მისი ახალი შენობისა, რომლის აშენების შემდეგ შესაძლებელი გახდება მუზეუმის საცავებში არსებული მრავალი საინტერესო ექსპონატის დარბაზებში გამოფენა.



სომიწოს წმ. გიორგის ეკლესიის ხატი რესტავრაციამდე



სომიწოს წმ. გიორგის
ეკლესიის ხატი
რესტავრაციის შემდეგ

სომიწოს წმინდა გიორგის ეკლესიის მღვდელმსახურები, რომელთა ვინაობაც შემონახულია დღემდე, იყვნენ: გრიგოლ ჯაფარიძე (1820-იანი წლები), გიორგი სხირტლაძე (1826–1841 წწ.), მიქელი გურიული (1832 წ.), ნიკოლოზ პეტრიაშვილი (1834 წ.), სოფრომ ჭიჭინაძე (1834–1836 წწ.), ბესარიონ კობერიძე (1833–1835 წწ.), ნიკოლოზ კანდელაკი (1836–1837 წწ.), პეტრე აბუთიძე (1840–1850 წწ.), მაქსიმე მეტრეველი (1850–1855 წწ.), ტიმოთე იაშვილი (1855–1893 წწ.), ვასილ იაშვილი (1893–1917 წწ.) [5]

მღვდელი ბასილი (ერისკაცობაში ვასილ იაშვილი, 1893-1917 წწ.) თავის წარმომავლობით მეშვიდე თაობის მღვდელი იყო. მისი ოჯახის წევრთა უმრავლესობას განათლება ევროპაში ჰქონდა მიღებული. ვასილი ბავშვობიდან გამოირჩეოდა ღვთისმოსაობით. დაწყებითი განათლების მიღების შემდეგ სასულიერო სემინარია დაამთავრა და თავის მშობლიურ მხარეში დაიწყო მოღვაწეობა. იგი დაქორწინებული იყო პელაგია აბღუშელიშვილზე, რომელიც იმერელი აზნაური იყო. სომიწოს გარდა მამა ბასილი ღვთისმსახურობას აღასრულებდა მეხობელი სოფლების – ჟაშქის და პაპილეთის ეკლესიებში.

მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან დაწყებული, რეპრესიების მიუხედავად, მამა ბასილი არ შეუშინდა ხელისუფლების მუქარას და გააგრძელა ღვთისმსახურება. 1937 წლამდე კომუნისტებმა რაჭაში 100-მდე სასულიერო პირი განმოსეს, გადაასახლეს და დახვრიტეს. მამა ბასილი თავისი პიროვნული თვისებების გამო (უზომო კაცთმოყვარეობა, შემწყნარებლობა, მიმტევებლობა, განათლება) ხალხში დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. მამა ბასილს იმ ხანებში ფართოდ გავრცელებული. ე.წ. „ხალხის მტრის“ სახელს ვერ მოარგეს, მაგრამ რატომ უნდა კომუნისტურმა რეჟიმმა მღვდელი ბასილის საქმიანობაში მაინც „შეამჩნია“ „საერთო სახალხო ინტერესებიდან“ გადახვევის ფაქტი და სასჯელმაც არ დააყოვნა. ამის შესახებ წერდა ონის რაიონის გაზეთი „სოციალისტური მშენებლობა“ 1937 წლის სექტემბერში. ბასილ იაშვილი გაზეთში წერილის გამოქვეყნების შემდეგ ძალიან მალე დახვრიტეს. განაჩენის აღსრულებისას მისი ოჯახიდან უამრავი ოჯახური რელიქვია და საეკლესიო ინვენტარი: საღვთისმსახურო წიგნები, ხატები, ჯვრები და შანდ-



ლები დაუყოვნებლივ გაიტანეს და გაიტაცეს. დახვრეტილი მღვდლის ოჯახის წევრები იძულებულნი გახდნენ გაცლოდნენ მშობლიურ რაჭას და თავი თბილისათვის შეეფარებინათ.

სომიწოში, პაპილეთსა და უაშქვაში მცხოვრები მოსუცების მეხსიერებას დიდი ხნით შემორჩა მამა ბასილ იაშვილის სახელი.

აღსანიშნავია, რომ სოფელ სომიწოს ეკლესიაში მამა ბასილის გარდა, მსახურობდა იაშვილების გვარის კიდევ ერთი წარმომადგენელი, მღვდელი ტიმოთე იაშვილი (1855–1883წწ.).

რაჭისათვის ეს საკმაოდ მოზრდილი სოფელი 1952 წლის სტიქიურმა მოვლენამ – მიწისძვრამ სრულიად შეცვალა. სახლების უმეტესობა დაიგრა ან დაიბზარა. მოსახლეობა იძულებული გახდა აფხაზეთში (გაგრა, სოფ. ლიბავა) ჩასახლებულიყო, საიდანაც, ცნობილი მიზეზების გამო, ისევ მოუხდათ ამ სოფლის დატოვება და სხვაგან ახალი ცხოვრების დაწყება.

ისტორიული საბუთებით დადგენილია, რომ სოფელ სომიწოს ზემოთ ნახსენები მკვიდრი გვარებს შორის არის აგრეთვე: ბასიკაშვილი, გამყრელიძე, დიაკონიშვილი, კერესელიძე, ნავლაძე, ნადირაშვილი, ნიკოლაშვილი, რთველაძე და ხუციშვილი.

სომიწოს მოსახლეობის შემცირების ტენდენცია ნათლად ჩანს სტატისტიკური მონაცემებიდან: 1840 წლისთვის სოფელში 56 ოჯახი (კომლი) ცხოვრობდა. 1886 წელს სოფელში მცხოვრებთა რაოდენობა 700-ზე მეტი იყო, 2002 წელს კი სულ რაღაც 23 ადამიანამდე დავიდა. მუდმივი მაცხოვრებლები ძირითადად სოფლის ქვედა უბანში – ე.წ. „მეტრეკლებში“ არიან თავმოყრილნი, ხოლო ზემო, იაშვილების უბანში მხოლოდ ერთი ოჯახიღაა შემორჩენილი ზამთარ-ზაფხულს. ქალაქებში წასული სომიწოელები მხოლოდ ზაფხულობით სტუმრობენ საკუთარ სოფელს რამდენიმე კვირით. მოსახლეობის კლების ტენდენცია ახასიათებს რაჭის ორივე რაიონის (ონი, ამბროლაური) სხვა სოფლებსაც, რაც ძალიან სავალალო შედე-

გების მომტანია ამ ულამაზესი მხარისათვის.

ლიტერატურა:

1. ბოჭორიძე გ. „რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველეები“. თბილისი, 1994 წ.
2. ბერაძე თ. „რაჭა“. თბილისი, 1983 წ.
3. ნ. სარავა. სომიწოს წმ. გიორგის ეკლესიის ხატზე ასახული წმ. დიდმოწამე გიორგის ორი სასწაული. //მწვანეყვავილა, ქუთაისი, 2014, №5
4. კეზერაძე მ. „ეგზარქოსისდროინდელი რაჭის ეკლესიები და მღვდლები“. ქუთაისი, 2005 წ.
5. შუბითიძე ვ. „ქართული ციხესიმაგრეები და ეკლესია მონასტრები“. თბილისი, 2010 წ.

რეზიუმე

სოფელ სომიწოს წმინდა გიორგის სახელობის ღარბაზული ეკლესია გორგიძე ი., იაშვილი მ., იაშვილი ნ.

განხილულია ონის რაიონის სოფელ სომიწოს XI საუკუნის გუმბათოვანი ეკლესიის ისტორიის საკითხები. სამწუხაროდ ეკლესია დანგრეულია. იგი ჯერ XX საუკუნის 20-იან წლებში გაძარცვეს, 1991 წლის მიწისძვრამ კი ნანგრევებად აქცია.



**ღვთაებათა სინკრეტიზაციის
საკითხისათვის
მაია ქუთათელაძე**

წარმართული პანთეონის კვლევისას მნიშვნელოვან პრობლემას ღვთაებათა სინკრეტიზაციის საკითხი წარმოადგენს. ხშირად რომელიმე კონკრეტული ადგილობრივი ღვთაების ნიშან-თვისებებში თავისუფლად შესაძლებელია რომელიმე სხვა ღვთაების ანარეკლი დავინახოთ. ანალოგიურ სირთულეებს ქართული წარმართული პანთეონის შესწავლის საქმეშიც ვაწყდებით. მოხსენებაში ღვთაებათა სინკრეტიზაციის პრობლემას ერთ-ერთი უძველესი ინდო-ირანული მითრას კულტის მაგალითზე შემოგთავაზებთ, რომელმაც ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისიდან რომის იმპერიის მთელ ტერიტორიაზე ფართო გავრცელება ჰპოვა და გვიან ანტიკურ ხანაში ქრისტიანობის ძირითად მეტოქედ იქცა.

მეცნიერთა უმრავლესობა თანხმდება, რომ ღვთაება მითრას წარმოშობა ინდო-ირანულ ანუ არიულ პერიოდს განეკუთვნება. თუმცა უძველესი რელიგიების მკვლევარი გ. კოშელენკო მიიჩნევს, რომ მითრას კულტის ჩასახვა ბევრად უფრო ადრე უნდა მომხდარიყო, ვიდრე ვარაუდობენ. ესაა ინდო-ევროპულ ენათა ერთობის პერიოდი (ძვ.წ. V-III ათასწლეულები), რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო ერთი ღვთაებისადმი თაყვანისცემა (Кошеленко 1972: 84).

მცირე აზიაში მითრას კულტმა ფრიგიული კიბელას (დემეტების დიდი დედა) და ატისისათვის დამახასიათებელი ელემენტები შეითვისა, მოგვიანებით, გვიანანტიკური ფილოსოფიის იდეებითაც – ვაჟკაცობა, გამძლეობა, კეთილის ქმნა, კეთილსინდისიერება, ვალდებულების შეგრძნება, უშურველობა – გამდიდრდა, რაც ასე ახლობელი იყო ღვთაება მითრას მორალური და ზნეობრივი სახისათვის. ელინისტური რელიგიური ნორმების მიხედვით, მითრამ ჩამოყალიბებული იკონოგრაფიული სახე შეიძინა – მშვენიერი ჭაბუკი ბავშვური სახით, ფრიგიული ქუდით, მოკლე აღმოსავლური წამოსასხამით, რომელსაც ქარი უფრიალებს. მარ-

ცხენა ხელით იგი ხარს აკაგებს, ხოლო მარჯვენათი – ოქროს მახვილით ჰკლავს მას, როგორც სამყაროს ბოროტი საწყისის სიმბოლოს და ამ აქტით ათავისუფლებს მასში დატყვევებულ ნაყოფიერებისა და სამართლიანობის ძალებს. ჭაბუკის ფეხებთან, მიწაზე გველია გამოსახული. ასეთი გამოსახულებები ახ.წ. III საუკუნით თარიღდება და რომის იმპერიის ვრცელ ტერიტორიაზე მრავლად აღმოჩენილი. ამგვარად, ელინისტურ პერიოდში დასრულდა მითრას ტიპიურ სინკრეტულ ღვთაებად ჩამოყალიბების პროცესი, რომელიც თავის თავში აერთიანებს ირანული, მცირეაზიულ-კავკასიური და ბერძნული რელიგიური წარმოდგენების ნიშან-თვისებებს (Зубарь, Павленко 1988: 28-31).

მცირე აზიის ქალაქ დურა-ევროპოსში მითრას ტაძრის კედელზე გარეულ ცხოველებზე ღვთაების ნადირობის სცენაა აღბეჭდილი. ჭაბუკი მითრა თეთრ ცხენზეა ამხედრებული, ხელთ მშვილდი უჭერია, ცხენზე ისრების კაპარჭია გადაკიდებული. ღვთაების სანადირო ცხოველებს შვლები, ირმები და ჯიხვები შეადგენს. მითრას აღმოსავლური სამოსი აცვია. ფართო მოსასხამს ქარი უფრიალებს, თავზე ჩაფხუტისებრი ქუდი ახურავს. ტაძრის კედელზე სიცოცხლის ხის ფრაგმენტი იკითხება. მიწაზე გველია განთხმული, რომელიც მითრას მოძრაობის მიმართულებით მისრიალებს. ნადირობაში ძაღლიც მონაწილეობს (Соколов 1971: 200-203). კომპოზიციურად მონადირე-მითრას ევროპული კანონიკური სახვითი სისტემის ანალოგიას წარმოადგენს სასანურ-ქუშანურ მონეტაზე გამოსახული სცენა, სადაც ნადირობის პროცესში შაბური ირემს კლავს.

ისრაელის 66-73 წწ. ნუმიზმატიკურ ძეგლებზე გამოსახული გრაალის შროშანის ტიპოლოგია მითრას სიმბოლიკად მიაჩნია თ. დუნდუას. მისივე მოსაზრებით, რომის იმპერატორ ალექსანდრე სევერის მმართველობის პერიოდში, იმპერიაში ადგილი აქვს მითრაიზმისა და იუდაიზმის სპეციფიკურ იმპერიულ სინთეზს, კონკრეტულად საქმე ძველი აღთქმისა და მითრა-იმპერატორის თემატიკის ფანტას-



ტიკურ შერწყმას ეხება. ამაზე მითრა-ჰელიოსისა და ნოეს კიდობნის ტიპოლოგიური ნუმიზმატიკური შეხვედრა მეტყველებს. სოლარულია ნუმიზმატიკურ ძეგლებზე რომის იმპერატორ კალიგულას გამოსახულება. იგი მითრა-აპოლონია. აქვე ნიშანდობლივია ცხენის, როგორც მითრას ცხოველის აპოთეოზი. თუმცა, იერუსალიმის ტაძარში საკუთარი გამოსახულების მოთავსების სურვილი, მითრას ინკარნაციად აღიქმება და ესეც იუდაიზმისა და მითრაიზმის სინთეზზე მიგვანიშნებს (**დუნდუა 1994: 233-236**).

ზემოთ განხილული იკონოგრაფიული სიუჟეტებიდან სრულიად განსხვავებულია სან სტეფანო როტონდოს (რომი) მითრეუმის ერთი ქანდაკება, რომელიც გამოსახავს გამარჯვებულ მითრას ჩირადნითა და მახვილით ხელში (**მშვილდაძე 2003: 97**).

რომაულ მითრაიზმში მითრას გამოსახულების გაერცელებულ ვარიანტს მითრა-სერაპისი წარმოადგენს. სერაპისის, როგორც მითრას ერთ-ერთი ჰიპოსტაზის თაყვანისცემა წინააქმენიდური მითრაიზმის რელიგიური სისტემის ნაწილია. ცნობილია, რომ მოგვიანებით, სერაპისის გამოსახულებას ხშირად პოულობდნენ რომაულ მითრეუმებში. მაგ., მითრას კულტის თაყვანისცემასთან დაკავშირებულ ნივთებთან ერთად სერაპისის მშვენიერი თავის გამოსახულება აღმოჩნდა ლონდონში, მითრაისტული ტაძრის გათხრების დროს. სერაპისის საინტერესო გამოსახულებას მიაკვლიეს ესპანეთში, მერიდას 155 წლით თარიღებულ მითრაისტულ ტაძარში. სერაპისის ორი გამოსახულება – მარმარილოს ქანდაკება და დიდი ნაძერწი თავი აღმოჩნდა მითრას ტაძარში, რომელიც რომში, წმინდა პრისკას ეკლესიის ქვეშ იყო შემორჩენილი (**Бивар 1991: 62-63**).

სრულიად განსხვავებულია დასავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე აღმოჩენილ ბარელიეფზე გამოსახული ჭაბუკი მითრა, რომელსაც ერთ ხელში კოსმიური სფერო უჭირავს, მეორეთი – ზოდიაქოს წრეს ატრიალებს, ღვთაების მანტიის ქვეშ კი, ვარსკვლავიანი ზეცის გამოსახულებაა (**Ulansey: 1989**).

შავიზღვისპირა ქალაქ ხერსონესში მარმარილოს ფილაზე რელიეფური გამოსახულების ფრაგმენტი დადასტურებული: ახალგაზრდა ყმაწვილი მოკლე ტანსაცმლით, რომელიც მარცხენა მუხლით დამარცხებულ ცხოველს მიწაზე ამარგებს (ფრაგმენტის ნაწილი დაკარგულია). ეს კომპოზიცია ანალოგებს ხართან მებრძოლი მითრას იმ გამოსახულებებთან პოულობს, რომლებიც ფართოდ იყო გაერცელებული მთელ ევროპაში. ამასთან ერთად, ხერსონესში აღმოჩენილია მითრას საკურთხეველი და მითრას მრავალრიცხოვანი რელიეფური ქანდაკების ფრაგმენტები, რაც უცილობელს ხდის მითრას კულტის მიმდევრების არსებობას არა მხოლოდ ხერსონესის ტერიტორიაზე განლაგებულ რომაულ ლეგიონებში, არამედ ადგილობრივ მოსახლეობაშიც (**Соломник 1973: 58**).

მითრას კულტთან დაკავშირებული ძეგლების სიმრავლით მეზიის ჩრდილოეთ რეგიონები გამოირჩევა (**Соломник 1973: 75**). მათ შორის განსაკუთრებით ბევრია აღორაციის (თაყვანისცემის) უესტით შემკული რელიეფური გამოსახულებები, რომლებიც მცირე აზიიდან შემოტანილად მიიჩნევა. როგორც ფ. კუმონტი ფიქრობს, მზის კულტის (კონკრეტულად, მითრას) თაყვანისცემა და ღვთაებისადმი მიმართვა ზეცისაკენ ხელების აპყრობის საშუალებით, აგრეთვე, აღმოსავლური რელიგიებიდან უნდა იყოს ნასესხები. კერძოდ, ეს სემიტური მოვლენა ჩანს (**Cumont 1933: 385-391**).

ხერსონესის ტერიტორიაზე მრავალადაა აღმოჩენილი ე.წ. „თრაკიელი მხედრის“ გამოსახულებებიც, რომლებიც ზოგიერთი მეცნიერის თვალსაზრისით, მითრას არ უნდა წარმოადგენდეს. თუმცა, ყველა მათგანი აღნიშნავს, რომ მითრას კულტმა თრაკიასა და ღუნაისპირეთში, ისევე როგორც რომის იმპერიის სხვა ტერიტორიებზე, ადგილობრივ ღვთაებებთან სინკრეტიზაცია განიცადა და ქრისტიანობის ერთ-ერთი ძირითადი მეტოქე გახდა (**Щеглов 1969: 150**).

ბალკანეთის ნახევარკუნძულზე „თრაკიელი მხედრის“ გამოსახულებების სიმრავლით დღევანდელი ბულგარეთის ტერიტორია გამოირჩევა. აქ აღმოჩენილი



„თრაკიელი მხედრის“ რელიეფური გამოსახულებები მრავალფეროვანია. მას ცხენზე ამხედრებული ჭაბუკის სახითა და აღმოსავლური სამოსით წარმოგვიდგენენ. ზოგჯერ მხედარი მოხრილია. ცალი ხელი მას თაყვანისცემის – აღორაციის პოზაში აქვს. ცხენი ან მოძრაობს, ან დგას და ფეხი აქვს აწეული. ზოგჯერ მხედარი ტახს მისდევს, მხედარი-მონადირის ცხენის ქვეშ ძაღლი ან ლომია მოთავსებული. ხშირ შემთხვევაში, მონადირის მახვილი განემირული ცხოველის სხეულშია ჩარჭობილი. მხედრის პირდაპირ, რელიეფის კუთხეში საკურთხეველი ან ხეა დადასტურებული, არც თუ იშვიათად ხეზე გველია შემოხვეული. „თრაკიელი მხედრის“ რელიეფური გამოსახულებებიდან ერთ-ერთ გავრცელებულ სიუჟეტს წარმოადგენს ნადირობიდან ნადავლით დაბრუნებული მხედარი, რომელსაც ხშირად ძაღლიც ახლავს. მიწაზე, როგორც წესი, გატეხილი ჭურჭელი გვხვია, საიდანაც სითხე იღვრება. ზოგ შემთხვევაში, კომპოზიციას დამატებითი გამოსახულებები ერთვის: საკურთხეველი, გველ-შემოხვეული ხე, მოსამსახურე მამაკაცი, რომელსაც აღვირით ცხენი უჭირავს. სავარაუდოა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე, ბორში აღმოჩენილ გაურკვეველი დანიშნულების ნივთზე გამოსახული მამაკაცი, რომელსაც ხელში აღვირით ცხენი უჭირავს, კომპოზიციურად „თრაკიელი მხედრის“ გამოსახულების ამ ვარიანტს უკავშირდება.

როგორც მკვლევარები თვლიან, „თრაკიელი მხედრის“ შესახებ წარმოდგენებს, მისი ანტროპომორფული გამოსახულებისა და იკონოგრაფიის ჩამოყალიბებას, ჯერ კიდევ რომაულ ეპოქამდე ჰქონდა ადგილი. თრაკიელებისათვის ეს ღვთაება აღიქმებოდა, როგორც მეომარი, მხედარი-მონადირე. საფიქრებელია, რომ მასში თრაკიელთა ცხოვრების წესმაც ჰპოვა ასახვა. ამასთან ერთად, შეიმჩნევა მთელი რიგი ატრიბუტებისა, რომლებიც მის ღვთაებრივ ბუნებას უსვამს ხაზს. საინტერესოა სარტყლებზე დამოწმებული „თრაკიელი მხედრის“ ნადირობის სცენები. მხედარს, ღვთაების მსგავსად, ჩაფხუტისებრი ქუდი ჰხურავს და ხელთ ფარი უპყრია. გამოსახულების ცენტრა-

ლური დეტალია სიცოცხლის ხე, რომლის გვერდით ნადირობის სცენასთან უშუალოდ დაკავშირებული ორი ტახია გამოსახული. ხშირად, აღნიშნულს სამსხვერპლოც ემატება, რომელიც სიცოცხლის ხესთან ერთად გამოისახებოდა. „მხედრის“ იკონოგრაფიის ზოგიერთი დეტალი – ხე, ტახი, გველი, სიცოცხლის ხე და ა.შ. უმრავლეს შემთხვევაში, ღვთაების თრაკიულ ბუნებაზე მეტყველებს. როგორც მიიჩნევენ, უკვე მოგვიანებით, რომაულ ხანაში, კომპოზიციას სხვა დეტალებიც ემატება, რომლებიც ნათლად ასახავს „თრაკიელი მხედრის“ სხვა ბერძნულ ღვთაებებთან სინკრეტიზაციის ფაქტს. ამასთანავე, „თრაკიელი მხედრის“ იკონოგრაფიაში განსახიერებული უნდა ყოფილიყო თრაკიელთა უძველესი წარმოდგენა უზენაეს ღვთაებაზე, რომელიც მათ ბრძოლებში მფარველობდა და ამავე დროს, ესმარებოდა ბუნების მკაცრი ძალებისა და ყოველგვარი ბოროტების დათრგუნვაში. ამის მიუხედავად, რომაულ ეპოქაში სტელებზე ამ გამოსახულებების განსაკუთრებული მრავალფეროვნება და სიმრავლე ბერძნული და ნაწილობრივ, რომაული რელიგიების გავლენაზე უნდა მიუთითებდეს (Кочева 1981: 159-164).

მითრას კულტი ჩრდილოეთ შავი-ზღვისპირეთის ტერიტორიაზე ძვ.წ. I საუკუნეში ჩნდება. ბოსფორში ორი ღვთაების – მითრასა და ატისის კულტების შერწყმა შეინიშნება. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს მითრა-ატისის ბოსფორში მიკვლეული ტერაკოტული ქანდაკებები, რომლებიც ერმიტაჟშია დაცული. ბოსფორში მითრამ მნიშვნელოვანი ფუნქცია შეიძინა. მან მეორეხარისხოვანი ღმერთების ადგილი დაიკავა, დაუკავშირდა რა მიწათმოქმედების კულტებს (დიდი დედა, დემეტრა, არტემიდე, აფროდიტე, დიონისე, ღმერთების დედა და ა.შ.). როგორც მკვლევარები თვლიან, პანტიკაპეონში მითრა-ატისის ქანდაკებათა ადგილობრივ წარმოებას ჰქონდა ადგილი. აქ აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი მითრა-ატისის ტერაკოტული ქანდაკებები, რომლებიც ღვთაების მიერ ხარის მოკვლის ეპიზოდს ასახავს, ახ.წ. I-II საუკუნეებით თარიღდება. ქანდაკებებზე



ღვთაებას ბავშვური სახე აქვს, ფრიგული ქუდი ახურავს, ცალი ფეხით იგი ხარის ზურგს აწვება, ცხოველი მარცხენა ხელით რქებში უჭირავს და დანიანი მარჯვენა ჰაერში აქვს გაშვებული. მითრას ჩვეულებრივი გამოსახულება მხოლოდ შავიზღვისპირეთის დასავლეთ ნაწილში გვხვდება. ამ ტერიტორიაზე მისი კულტი მეზიიდან და თრაკიიდან რომაული ჯარისკაცების მიერ უნდა იყოს შემოტანილი. ასევე, მეზიიდან და თრაკიიდან უნდა გაავრცელებულიყო ხერსონესში „თრაკიელი მხედრის“ რელიეფური გამოსახულება, რაშიც ასევე ლეგიონერების ხელი ერია (**Кабылина 1978: 18**).

ცხენზე ამხედრებული მითრას გამოსახულება ტრაპეზუნდის საქალაქო მონეტებზეც გვხვდება. ამ შემთხვევაში მითრას ინარჩუნებს ცხენთან ალიანსს, მაგრამ როგორც გ. დუნდუა მიიჩნევს, ეს მისი ნაკლებად გაავრცელებული იკონოგრაფიული ვარიანტია. მკვლევართა მოსაზრებით, II-III საუკუნეებში ტრაპეზუნდში მოჭრილი მონეტების რევერსზე ამოტიფრული მხედარი მითრასთან იდენტიფიცირდება, ხოლო ღვთაება მითრას ქალაქ ტრაპეზუნდის წარმართობის ერთგვარ სიმბოლოდ სახელდება (**Максимова 1956: 399**).

მითრას ქალაქ ტრაპეზუნდის მთავარი ღვთაებად მიიჩნია გ. დუნდუასაც (**დუნდუა 1975: 332-334**). მისი აზრით, ბიჭვინთაში დიდი რაოდენობით აღმოჩენილ ტრაპეზუნდის სპილენძის საქალაქო მონეტებზე აღბეჭდილი ღვთაება მითრას გამოსახულება თანდათანობით ევოლუციას განიცდის. თავდაპირველად, მონეტებზე მითრას ბიუსტი ფრიგიული ქუდით იყო გამოსახული. შემდეგ მას ცხენის პროტომა დაემატა. II საუკუნის მიწურულიდან ღვთაება უკვე ცხენზე ამხედრებული. ცხენის წინ ბომონი დგას, რომლის წინაშე ცხენს მარჯვენა ტორი აწეული აქვს. მოგვიანებით, მონეტებზე სიცოცხლის ხე ჩნდება, რომელზედაც, ზოგ შემთხვევაში, გველია შემოხვეული. მომდევნო ეტაპზე, მითრას-მხედარს თანამგზავრები უჩნდება. ბომონის გვერდით კოლონა აღიმართება, რომელზედაც, უმეტეს შემთხვევაში, ფრინველი-ყორანი ზის. კოლონის თავზე ვარსკვლავია მოთავსებული. ბოლოს,

ყოველივე ამას მიწის ქვემოთ განთხმული გველის გამოსახულება დაერთვის.

ჯერ კიდევ მითრას მისტიციების ცნობილმა მკვლევარმა ფ. კუმონტმა გამოთქვა მოსაზრება, რომ III საუკუნის ტრაპეზუნდის მონეტებზე გამოსახული მხედარი მითრას კი არ უნდა იყოს, არამედ სინკრეტული ღვთაება, რომელმაც მითრასა (მზის, სინათლის) და კაბადოკიური მთვარის ქალღმერთ მენის ფუნქციები გააერთიანა. მეცნიერის აზრით, მითრას იშვიათად გამოისახებოდა ცხენზე ამხედრებული, ხოლო მენისათვის – ეს ჩვეული პოზია. მენის კულტისათვის დამახასიათებელია ნამგალა მთვარე, რაც ტრაპეზუნდის მონეტებზე არ გვხვდება (**Cumont 1895: 189, 362**). გ. დუნდუა თავის ვარაუდს იმითაც ამყარებს, რომ ღვთაება მენის ატრიბუტი – ნაძვის ხის გირჩი ტრაპეზუნდის მონეტების ზოგიერთ ცალეზეა აღბეჭდილი.

მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ღვთაება მითრას იშვიათად გამოისახებოდა ცხენზე ამხედრებულ პოზიაში, რეალურ ვითარებას არ ასახავს. ირანში სინათლის ღმერთის, კეთილისმყოფელი მზის იდეა სწორედ თეთრ ცხენზე ამხედრებული ვაჟკაცის სახით გამოისახებოდა, რომელიც კაცობრიობის მხსნელად აღიქმებოდა. მხედარი მითრას გამოსახულებების სიმრავლით, განსაკუთრებით, აღმოსავლეთის ქვეყნები გამოირჩევა. ხოლო ჭაბუკის სახით გამოსახული მითრას, რომელიც ხარს კლავს, რომის იმპერიის დასავლეთ და ჩრდილოეთ ტერიტორიებზე აღმოჩენილ მრავალრიცხოვან ბარელიეფებზე დასტურდება. რაც შეეხება მითრასთან ერთად ნამგალა მთვარისა და ვარსკვლავის გამოსახულებას. იგი გვხვდება მცხეთაში, კარსნისხევის №27 სამარხში აღმოჩენილ სარდიონის გემა-ინტალიოზე, რომელიც II-III საუკუნეებით თარიღდება. მისი იკონოგრაფია ასეთია: ღვთაება-მხედარი, მხედრის წინ ბომონი, უკან სიცოცხლის ხე, მარჯვნივ და მარცხნივ ნახევარმთვარისა და ვარსკვლავის გამოსახულებები (**მცხეთა 1978: 70-75**). მცხეთის ამ ინტალიოს კომპოზიციას ბერლინის მუზეუმში დაცული ერთ-ერთი გემის იკონოგრაფია იმეორებს. მასზე მითრას ბომონის წინ ცხენზეა ამხედრე-



ბული. ცხენის ზემოთ ვარსკვლავი, ხოლო მხედრის უკან ნამგალა მთვარე იკითხება.

გ. დუნდუას თვალსაზრისით, ახ.წ. II საუკუნის დასასრულისათვის ღვთაება მითრას შერწყმა კაბადოკიურ მთვარის ღვთაება მენისთან სახეზეა. ასტრალურ ღვთაებათა ტრიადა – მთვარე, მზე და ვარსკვლავი გაერთიანდა და ერთიან სინკრეტულ ღვთაებად მისი ჩამოყალიბება დასრულდა. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ ტრაპეზუნდის მონეტებზე სწორედ ის წარმართული ღვთაებაა გამოსახული, რომელიც შემდგომში წმინდა გიორგიმ შეცვალა. ამას არა მარტო წმინდა გიორგის კულტისადმი მიძღვნილ რიტუალში დაცული მზის და მთვარის თაყვანისცემის გადმონაშთები ადასტურებს, არამედ მონეტებზე მოცემული ღვთაების მნიშვნელოვანი იკონოგრაფიული მსგავსება ცხენოსან წმინდა გიორგისთან. ტრაპეზუნდის მონეტებზე გამოსახული ე.წ. მითრა-მხედარი, სინამდვილეში ასტრალურ ღვთაებათა (მთვარე, მზე, ვარსკვლავი) უნიფიცირებული სახეა, რომელიც უშუალო წინამორბედი წმინდა გიორგის კულტისა ქართველურ სამყაროში (დუნდუა 1975: 338). ხოლო მითრაიზმი ის მძლავრი რელიგიური ნაკადია, რომელმაც თავისი სიმბოლიკითა და წეს-ჩვეულებებით უხვად გამოკვება ქრისტიანობა (Щеглов 1969: 151-53).

ყურადღებას იმსახურებს საქართველოს ტერიტორიაზე ადრეანტიკური ხანის ძეგლებზე (ახალგორი, ყანჩაეთი და წინწყარო) აღმოჩენილი საბეჭდავები, რომლებზედაც დაცულია ჩვენთვის საინტერესო ღვთაებათა იკონოგრაფია. ნიმუშისათვის ყანჩაეთის ვერცხლის ორი საბეჭდავის კომპოზიციას შევხებით. ერთი საბეჭდავის ცენტრში ცხენია გამოსახული, ზემოთ – ფრინველი, ორივე მარცხენა პროფილში. ცხენის ფეხებს შორის რვასხივიანი ვარსკვლავი ჩანს. მეორე საბეჭდავზე მოცემულია შუბოსანი მხედრის გამოსახულება მარცხენა პროფილში. მის უკან რვასხივიანი ვარსკვლავია. ცხენს წინა ფეხები აწეული აქვს. მხედარს მოკლე ჩოხისებური კაბა აცვია, წელზე ქამარი აკრავს, უქუდოა, ხელში კი შუბი უჭირავს. ყანჩაეთის საბეჭდავის

იკონოგრაფიასთან დაკავშირებით ი. გაგოშიძე აღნიშნავს, რომ საბეჭდავზე გამოსახული ფრინველიცა და ცხენიც სოლარულია: ცხენი მზის სიმბოლოა, მზის გამოსახულებას კი, ხშირ შემთხვევაში, ფრინველი ახლავს. თუ ცხენი მზის გამოსახულებად ითვლებოდა საქართველოში, მაშინ ფრინველი მთვარის სიმბოლო უნდა ყოფილიყო. კონკრეტულად კი, ყანჩაეთის №7 საბეჭდავის ფარაკზე ქართული წარმართული პანთეონის უმაღლეს ღვთაებათა ეს სამეული: მთვარე (ფრინველი), მზე (ცხენი) და კვირია (ვარსკვლავი) უნდა იყოს გამოსახული. მეკლევარი თვლის, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ადრეანტიკურ ხანაში, ძვ.წ. V საუკუნეში ჩამოყალიბდა უმაღლესი ღვთაების გარკვეული იკონოგრაფია – მებრძოლი მხედარი, რომლის ერთ-ერთი სახელი – არმაზი უნდა ყოფილიყო. ამ ღვთაების გამოსახულება ქართულ მცირე ხელოვნებას მთელი ანტიკური პერიოდის განმავლობაში არ სცილდება და ქრისტიანულ ხანაშიც გადადის, სადაც შემდგომში წმინდა გიორგის სახეს იღებს. ღვთაება, რომლის ატრიბუტები მზე-ცხენი და ვარსკვლავია, შეიძლება მხოლოდ ქართული წარმართული პანთეონის უმაღლესი – მთვარის ღვთაება იყოს (გაგოშიძე 1964: 40-41).

მოსაზრებას, რომ ყანჩაეთის საბეჭდავზე მებრძოლი ღვთაება უნდა იყოს გამოსახული, ი. კიკვიძე ეთანხმება. თუმცა დასძენს, რომ მებრძოლი ღვთაება არ შეიძლება მთვარე ყოფილიყო. ამასთან ერთად, იგი თვლის, რომ მეომარი ღვთაებები მთავარ ღვთაებებად ჯერ კიდევ ადრეკლასობრივ საზოგადოებაში გვხვდება (კიკვიძე 1976: 223-224).

მ. ხიდაშელის თანახმად, ყანჩაეთში აღმოჩენილი საბეჭდავები ადგილობრივ ქართულ რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებს ასახავს და თავისი შინაარსით ბრინჯაოს ქართულ ჭვირულგამოსახულებიანი ბალთების სიუჟეტებს უკავშირდება. ამასთანავე, ბალთებისათვის დამახასიათებელი ცხოველური სახეები საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი მრავალი, უფრო ადრეული ძეგლისთვისაც არის დამახასიათებელი (ხიდაშელი 1972:



60). ცხადია, რომ საუკუნეებით დაცილებულ ძეგლებზე ერთი და იმავე კომპოზიციის განმეორება მათ სიმბოლურ მნიშვნელობაზე მეტყველებს.

ქართულთა უძველესი რწმენა-წარმოდგენების კვლევისას ი. გაგოშიძე აღნიშნავს, რომ ქართული წარმართული პანთეონის მეთაური, რომელმაც მზის ღვთაების ფუნქციები შეითვისა, შესაძლებელია, მითრას დაახლოებოდა. წმინდა გიორგი კი, სავარაუდოდ, წარმოშობისთანავე დაუკავშირდა მიწათმოქმედების მფარველ და ქვესკნელის ძალებთან მებრძოლ წარმართულ ქართულ მთვარის ღვთაებას, რომელიც ქართველებს, ასევე, შუბოსანი მხედრის სახით ჰყავდათ წარმოდგენილი. ფუნქციასთან ერთად, იკონოგრაფიული სახის დამთხვევაც უნდა გამხდარიყო იმის მიზეზი, რომ ქრისტიანობის მიღების შემდეგ, ქართველებმა თავისი მთავარი ღვთაების თაყვანისცემა წმინდა გიორგიზე გადაიტანეს (გაგოშიძე 1964: 42-44).

ვერ დავეთანხმებით ი. გაგოშიძეს, რომელიც თვლის, რომ ყანჩაეთის №8 საბეჭდავზე მებრძოლი მხედარი მთვარის ღვთაებად უნდა მივიჩნიოთ, ხოლო №7 საბეჭდავზე ღვთაებათა სამეული – ფრინველის, ცხენისა და ვარსკვლავის გამოსახულებით – უნდა წავიკითხოთ, როგორც მთვარე, მზე და კვირია. ვერც ავტორის იმ თვალსაზრისს გავიზიარებთ, რომ საბეჭდავზე მოცემული ცხენი და ვარსკვლავი, დამოუკიდებელი ფიგურები კი არ არის, არამედ მთავარი ღვთაების – მთვარის ატრიბუტებია. ჩვენი აზრით, ორივე საბეჭდავზე შესრულებულ გამოსახულებებზე უფრო მართებულია, ღვთაება მითრა დავინახოთ მთელი თავისი სიმბოლიკით. მითრას ღვთაებრივ, ზოგჯერ კი სამსხვერპლო ცხოველად ცხენია მიჩნეული, რომელიც თავის მხრივ, მზის ცხოველი იყო მრავალი ძველი ხალხის რწმენით. მითრას ატრიბუტად ითვლება ფრინველიც, რომელსაც, მითრასტული სწავლების თანახმად, უზენაესი ღვთაების ნება დედამიწის მცხოვრებლებამდე მოაქვს. რაც შეეხება ვარსკვლავს. იგი ზოგადად, ზეცის სიმბოლოა, რადგან „ავესტას“ მიხედვით, ვარსკვლავები მითრას ლაშქარია. ზოგიერთ ცნობილ კომპოზიციაზე (მაგ, დასავლეთ გერმანიის

ტერიტორიაზე აღმოჩენილ ბარელიეფზე) ღვთაების მანტის ქვეშ სწორედ ვარსკვლავიანი ზეცის გამოსახულებაა მოცემული. ეს არცაა გასაკვირი, რადგან მითრა ხომ უპირველესად სინათლის ღმერთია, ღვთაება დღის ნათელისა, უზენაესი მსაჯული, რომელიც ზეციდან აკონტროლებს სიტუაციას და იცავს კოსმიურ და მორალურ წესრიგს.

მითრას კულტთან დაკავშირებით ყურადღებას საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ვერცხლის პინაკების ფსკერზე შესრულებული სიუჟეტები იმსახურებს. ასეთი პინაკები აღმოჩენილია არმაზისხევში, ბორში, ზღუდერსა და არაგვისპირში. ყოველ მათგანზე გამოსახულია ცხენი პროფილში, რომლის წინ ბომონია აღმართული. ორ შემთხვევაში ცხენი გამოსახულია არა ზვარაკის, შესაწირი ცხოველის სახით, არამედ, როგორც ღვთაება. ორ შემთხვევაში ცხენს თავზე სხივთა კონა აქვს გამოსახული, რაც მის ღვთაებრიობას უსვამს ხაზს. ორივე ცხენს ფეხები მიტყუპებული აქვს – ბორისა და არმაზისხევის ერთ პინაკზე. ოთხ შემთხვევაში კი – არმაზისხევის, არაგვისპირისა და ზღუდერის ორივე პინაკზე ცხენს ფეხი ბომონის წინაშე აქვს აწეული, თანაც ზღუდერის ერთ პინაკზე ტორაწეული ცხენი მოქცეულია. ცხენის აწეული ფეხი შ. ამირანაშვილის მოსაზრებით, ბომონის წინაშე პატივისცემის გამოხატულებაა და არ ნიშნავს შეწირულობას. ცხენს არ გააჩნია ღვთაებრივი ატრიბუტები. ამ შემთხვევაში, გამოსახულია შესაწირი ცხენი-ზვარაკი. წინა ორ შემთხვევაში კი, პინაკებზე გამოსახულია ცხენი-ღვთაება, ტოტემი, მზის კულტის განსახიერება, კონკრეტულად მითრა-მზე, რომლის წინაშე, როგორც ღვთაებისა, დაუდგამთ ბომონი შესაბამისი შეწირულობებით – ვაშლებითა და ნაძვის ხის ნაყოფით (გირჩით). როგორც საყოველთაოდაა ცნობილი, მცენარეული ნაყოფის უსისხლო შეწირულობების სახით მირთმევა მიღებული იყო არა მარტო მითრას, არამედ ზოგადად, ნაყოფიერების ღვთაებათა კულტებში (ამირანაშვილი 1944: 112-116).



გამოყენებული ლიტერატურა:

1. ამირანაშვილი 1944: შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. I, თბ., 1944
2. გაგოშიძე 1964: ი. გაგოშიძე, ანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბ. 1964
3. ღუნდუა 1975: გ. ღუნდუა, სამონეტო მიმოკვლევა და სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობა ბიჭვინთაში ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით ძვ. წ. II – ახ. წ. IV სს-ში, დიდი პიტიუნტი, I, თბ., 1975
4. ღუნდუა 1994: თ. ღუნდუა, ქართული ეთნოკულტურული ევოლუცია და დასავლეთი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით (სადოქტორო დისერტაცია), თბ., 1994
5. კიკვიძე 1976: ი. კიკვიძე, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბ. 1976
6. მშვილდაძე 2003: მ. მშვილდაძე, აღმოსავლური რელიგიები და რომის იმპერია I-III სს-ში (სადოქტორო დისერტაცია), თბ; 2003; *Misteria Mithrae, Etudes preliminaires aux religions orientales de l'Empire Romain*, Leyden, 1979
7. მცხეთა 1978: მცხეთა, II, თბ., 1978
8. ხიდაშელი 1972: მ. ხიდაშელი, ბრინჯაოს მხატვრული დამუშავების ისტორიისათვის ანტიკურ საქართველოში (ბრინჯაოს ქართული ჭვირულგამოსახულებიანი ბალთები), გამოკვლევა და კატალოგი, თბ., 1972
9. Бивар 1991: А. Д. Бивар (Лондон), Митра и Серапис, ВДИ, №3, М., 1991
10. Зубарь, Павленко 1988: В. М. Зубарь, Ю.В. Павленко, Херсонес Таврический и распространение Христианства на Руси, К., 1988
11. Соколов 1971: Г. Соколов, Искусство древнего Рима, М., 1971
12. Соломник 1973: Э. И. Соломник, Из религиозной жизни в Севернопонтийских городах позднеантичного времени, ВДИ, №1, М., 1973
13. Соломник 1973: Vermaseren 1956-1960: Э. И. Соломник, Из религиозной жизни в Севернопонтийских городах позднеантичного времени, ВДИ, №1, М., 1973; М. J. Vermaseren, *Corpus inscriptionum et monumentum religiones Mithricae*, I-II, Hagae, 1956-1960
14. Кабылина 1978: М. М. Кабылина, Изображения восточных божеств в Северном Причерноморье в первые века н.э. М., 1978
15. Кочева 1981: З. Кочева, Антропоморфные изображения богов у Фракийцев, ВДИ, №2, М., 1981
16. Кошеленко 1972: Г. Кошеленко, Ранние этапы развития культа Мифры, сб., „Древний Восток и античный мир”, М., 1972
17. Максимова 1956: М. И. Максимова, Античные города юго-восточного Причерноморья, М., 1956, *Misteria Mithrae, Etudes preliminaires aux religions orientales de l'Empire Romain*, Leyden, 1979
18. Щеглов 1969: А. Н. Щеглов, Фракийские посвященные рельефы из Херсонеса Таврического, Митра, сб. Древние фракийцы в Северном Причерноморье, М., 1969
19. Cumont 1933: F. Cumont, Deux monuments des cultes solaires, „Syria”, XIV, 4, P. 1933
20. Cumont 1895: F. Cumont, Textes et monument figures relatifs aux mysteres de Mithra Bruxelles, 1895
21. Ulansey 1989: David Ulansey, The Mithraic Mysteries, Scientific American, N12, 1989

SUMMARY
THE STUDY OF SYNCRETISM OF THE PAGAN GODS
Maia Kutateladze

The question of syncretism is one of the problematic aspects when one researches the pagan pantheon. Very often the characteristics of a local deity find the striking resemblance with the characteristics of the main deities. This tendency is noticeable in the Georgian context as well. This article discusses the problem of the syncretism on the example of ancient Indo-Iranian Mithras. The cult of Mithras witnesses the raid spread in the Roman Empire. In Late Antiquity, the cult of Mithras posed a challenge to Christianity.



შაჰ-აბასის მიერ ბაბრათიონთა ტახტის ხელში ჩაბღების „საქორწილო“ პოლიტიკა – სხვადასხვა ისტორიულ წყაროზე დაყრდნობით

*ოთარაშვილი ვ., კვანტალიანი ე.,
ოთარაშვილი ლ.*

გიორგი სააკაძის ფენომენის კვლევის ცენტრი

1612 წელს ერთი მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა ქართლ-კახეთის სამეფოში. როგორც ცნობილია, 1607 წელს „მეფემან თეიმურაზ მოიყვანა ასული გურიელთა დედოფალი ანა“ [ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“ ტ. IV, გვ. 346]. ე.წ. „პარიზის ქრონიკებით“ კახთა მეფის – თეიმურაზ I-ის მეუღლე ანა 1609 წ-ს გარდაცვლილა და მარი ბროსეს გამოცემის მიხედვით [მარი ბროსე... არქეოლოგიური მოგზაურობა საქართველოში და ტრანსკავკასიაში, პარიზი, 1850 წ. გვ. 37]. თეიმურაზი შაჰ-აბასთან იმავე წელს გამგზავრებულა, თუმცა ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით ეს ამბავი 1610 წელს მომხდარა [ვახუშტი „ქართლის ცხოვრება“ ტ. II, 1854 წ., გვ. 114 (ძველი გამოცემა)]. სამწუხაროდ, ბერ ეგნატაშვილთან და ვახუშტისთან მეფე თეიმურაზ I-ის გურიელის ქალზე – ანაზე ქორწინების თარიღი არ არის მითითებული. უბრალოდ, მათი ცნობებით თეიმურაზი დაახლოებით 15-16 წლის დაქორწინდა. მარი ბროსეს პარიზისეული ქრონიკის მიხედვით, სადაც თეიმურაზის და ანას ქორწინება დეტალურადაა აღწერილი, იგი გამართულა 1605 წელს [მარი ბროსე, „საქართველოს ისტორია დასაბამიდან XIX საუკუნემდე“, პარიზი, 1850 წ., ფრანგ. ენაზე გვ. 36-37]. 1936 წლის ქართულ „ჟამგულანში“ (გადამწერი დიაკონი „იოანე მწერალი მცირე“) წერია: „1609 წ. დედოფალი მიიცვალა“ [მცირე ქრონიკები (კინკლოსების ისტორიული მინაწერები), ჯ. ოდიშელის რედ. თბ., 1968 წ., გვ. 113-114]. მეფე თეიმურაზ I-ის და დედოფალ ანას პირმშო – ლევანი, თეიმურაზის

სიგელებში პირველად 1610 წელს არის მოხსენებული [ხელნაწ. ეროვნ. ცენტრი დ-530, დოკ საქ. სოფ. ისტ. I, 509]. ლევანის შემდეგ თეიმურაზს ანასთან ყოლა აღექსანდრე. ბატონი ივანე ჯავახიშვილი და თეიმურაზ I და ხორეშანის ქორწინების ეროვნულ-რელიგიური ასპექტები“ აღნიშნავს, რომ „მეორე შვილის ყოლის შემდეგ თურმე „ყელში ჩიყვი გაუნდა ანა დედოფალსა“, რომელმაც მრავალი იწამლა უცხო და ძნელი“, მაგრამ ვერაფერმა უშველა, შემდეგ „ორმოც დღეს სხვა არა ჭამა რა ხმელის პურის მეტი და არაყი ზედა სვა და მერმე გაიჭრა ყიყვი“. ამგვარი წამლობისა და გაჭრის ყველა მისი მახლოებლნი წინააღმდეგნი იყნენ: „ბევრი უშალა ბატონმა თეიმურაზ და სხვათაცა, მაგრამ არც წამლობა (ანუ ამ სახით მკურნალობა – ვ.ო.) დაიშალა და არც ყელის გაჭრა, რომელიც ანა დედოფლისათვის საბედისწერო შეიქმნა. გააჭრევირა თუ არა „ქკ-სა რუხ (1609 წ.) ყიყვი, ამან გადიტანა კიდევ უბედური დედოფალი“ [ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია“, ტ. IV, თბ., 1967 წ. გვ. 346; მარი ბროსე, „პარიზული ქრონიკა“ ფრანგ. 1858 წ., გვ. 27]. 1612 წლის 10 მაისით დათარიღებულ ალავერდის ტაძრის სიგელში თვით მეფე თეიმურაზ I მოგვითხრობს, რომ მისი გარდაცვლილი თანამეცხედრის მამია გურიელის ასულის – ანა დედოფლის სულის მოსახსენებლად ალაპია დაწესებული: „ოდეს ყოველთა მბადმან არსთამან წარიყვანა თანამეცხედრე ჩემი დედოფალთ-დედოფალი ანა ჩემგანა, მაშინ შემოვწირე 37 კომლი კაციო“ [თ. ჟორდანიას, „ქრონიკები“ და სხვა მასალები საქართველოს იტორია“, II, თბ., 1913 წ. გვ. 439-440. ალავერდი №6 სიგელი]. სულმნათი დიდი ივანე ჯავახიშვილი ასკვნის: „ამგვარად, საფიქრებელია, რომ ანა დედოფალი სწორედ 1612 წ-ს უნდა გარდაცვლილიყო.“ [ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 346].

ვახუშტი ბატონიშვილი „ქართლის ცხოვრებაში“ თეიმურაზ I-ის დაქვრივებას და მეორე ცოლის ხორეშანის (ქართლის მეფე ლუარსაბ II და – ვ.ო.) შერთვის ამბავს შაჰ-აბასის დაკვეთით, შემდეგნაირ-



რად აღგვიწერს: ... მოკვდა ანა... ამისთვის ჰყო თეიმურაზ მწუხარება და გლოვა დიდი. ესე ესმა შააბაზს და ამისთვის მოუწოდა თეიმურაზს, რათა განაგდოს გლოვა და იხარებდეს მის თანა. მაშინ თეიმურაზს სარწმუნოდ სჩნდა შააბაზი (ე.ი. მაშინ ვითომ მეფე თეიმურაზ I-ს სწამდა შაჰ-აბასისა, სჯეროდა მისი და ენდობოდა. არც გასაკვირია, თეიმურაზს ხომ ბავშვობა შაჰ-აბაზის კარზე ჰქონდა გატარებული – ვ.ო.) და წარვიდა მის წინაშე შავით მოსილი. ხოლო პირველად დედისაგან წარგზავნილმან შესძღუნა ძმა და ტყუენი შააბაზს თეიმურაზ, და აწ მისრულმან დაჲ თვისი (ელენე – ვ.ო.) და ტყუენი ქალ-ყრმანი წარჩინებულთა კახთა შვილნი“... აქ ვახუშტი, „ქართლის ცხოვრების“ ამ მონაკვეთში, დროში უკან ბრუნდება და გადმოგვცემს 1606 წლის მოვლენებს. კერძოდ, როდესაც ბრძენი ქეთევან დედოფლის თანამოაზრეებმა გზიდან ჩამოიცილეს მამის (ალექსანდრე მეფის) მკვლელი კონსტანტინე და კახეთის დედოფალმა თავისი ვაჟის თეიმურაზის მეფედ დამტკიცება სთხოვა შაჰ-აბასს. თანაც საკმაო საფასედ: თეიმურაზის და ელენე „მორიგ“ ქართველ ცოლად მოჰყავს ვერაგ შაჰს და წარჩინებულ კახელ თავადთა „ტყუენი ქალ-ყრმანიც“ ირანის სამეფო კარს რჩება ძღვნად. რა ვქნათ, ასეთი იყო ტკივილებით და ტანჯვით სავსე ბედი აღმოსავლეთ თუ დასავლეთ საქართველოსი. შაჰები თუ სულთნები წურბელებად ასხდნენ საქართველოს გენო ფონდს XVI–XVII–XVIII საუკუნეებში. ათასობით ქართველი ახალგაზრდა ასე სწყდებოდა თავის მშობლიურ მიწა-წყალს, რწმენას, ახლობლებს და ამრავლებდა ან იბრძოდა ურჯულოთა მხარეს...

მიყვებით ისევ „ქართლის ცხოვრების“ ფურცლებს: დაქვრივებული თეიმურაზი „შააბაზ კეთილად შეიწყნარა (აქ დევს უდიდესი მზაკვრობა ბორბოტი შაბისა – ვ.ო.) და პატივ-სცა და ნიჭვიდა მრავალსა. განძარცვა გლოვა, ანადიმებდა და ანადირებდა მარადღე. შემდგომად ეტყოდა შააბაზ თეიმურაზს საიდუმლოდ: „შეირთვე დაჲ ლუარსაბ მეფისა და იქმენ

ქვისლ ჩემდა და მოყუარე მისი, რათა არღარა იყოს თქუენ შორის შური“. [ვახუშტი, „ქართლის ცხოვრება“, გვ. 584]. დავაკვირდეთ სიტყვებს „რათა, არღარა იყოს თქუენ შორის შური“, თითქოს შაჰ-აბასი „მშვიდობისთვის მოფრენილი მტრედია“ და ქართლისა და კახეთის სამეფოთა შორის ჩამოწოლილ შურსა და მტრობას ებრძვის და „კეთილ ჯადოქრად“ გვევლინება. აქ არის სწორედ მისი ვერაგული თვალთმაქცობის პიკი, ერთ-ერთი ანტიქართული ჩანაფიქრის აისბურგი. იგი ამ სვლით მრავალგვარ დარტყმას აყენებს, როგორც ქართლის ისე კახეთის მეფეებს და ქვეყანას, ასევე რაც მთავარია: ძირს უთხრის მართლმადიდებლურ სარწმუნოებას – ივერთა ეროვნულ იდეოლოგიას – ქრისტეს რჯულს. მიყვებით მოვლენებს: „ამისთვის თეიმურაზ მიუგო ვედრებით: „რამეთუ არს პაპაის ასულისა ჩემისა ძის ძე და ესე არა ჯერ არს რჯულსა ჩუენსა ყოფად“. [ვახუშტი, „ქართლის ცხოვრება“, გვ. 384-385]. ამ შემაშფოთებელ ფაქტს პლატონ იოსელიანი შემდეგ კომენტარს უკეთებს: „შაჰის ბრძანებით თეიმურაზი მეფე ლუარსაბის უფროს დას ხორეშანს უნდა შეუღლებოდა (უფროსი და ლელა, იგივე თინათინი უკვე შაჰ-აბასის მეუღლე იყო ამ დროს – ვ.ო.). აი რას წერს ამ მოვლენის თაობაზე ბერი ეგნატაშვილი: „...ხოლო მეფემან თეიმურაზ უთხრა უარი, რამეთუ ეყოდენ და ნათესავნი იყვნენ, პაპიდაშვილი იყო და ამისთვის უთხრა დიდი უარი. მაშინ არა უსმინა შააბაზ და უწყინა და, რადგან დაუყინა, ნება დართო თეიმურაზ და მორჩილ ექმნა და ჩამოჰყვა შერთვასა ხორაშანისასა“. [ბერი ეგნატაშვილი „ახალი ქართლის ცხოვრება“, გვ. 384-385] ანუ თეიმურაზ I დაეთანხმა შაჰ-აბასს მართლმადიდებლური ქრისტიანული რჯულის საწინააღმდეგოდ თავისი ახლო ნათესავის – პაპიდაშვილის ცოლად შერთვას. შემდეგ აგრძელებს მემბტიანე: „...ხოლო ყაენმაც მისწერა ლუარსაბს მოყურობა თეიმურაზისა და სთხოვა ქალი თეიმურაზ“ (ანუ ცოლად ითხოვა თავისი ალალი პაპიდაშვილი –



ვ.ო.). ამის შემდეგ ჯერი ქართლის მეფეზე იყო და „ვერცა ლუარსაბ გარდავიდა და მისცა დად თვისი ხორეშან და წარიყვანა ქალი და ქმნა ქორწილი პატიოსანი თეიმურაზ [ბერი ეგნატაშვილი „ახალი ქართლის ცხოვრება“, ტ. II, თბ., 1959 წ. გვ. 385]. როგორი ქორწილი პატიოსანიც ქნეს ქართლ-კახეთის მეფეებმა რჯულის საწინააღმდეგოდ და შაჰის მზაკერული მიზნების სასარგებლოდ ცხადია. ამის თაობაზე ვახუშტი ვერ მაღავეს შეშფოთებას: „ქართლის ცხოვრების“ ფურცლებზე კერძოდ, ვახუშტი ბატონიშვილი სწორად ასკვნის: „ესე ჰყო შაჰაბაზ, რამეთუ მიზეზობდა და რათა დაამდაბლოს და ნებისა თვისად ჰყოს, რათა შერიოს რჯულითა და მერე მაჰმადიან ჰყოს“ [ვახუშტი, „ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, 1073 წ. გვ. 585]. ანუ ვერაგმა შაჰაბაზმა ძალიან კარგად იცოდა მართლმადიდებელ ქრისტიანთა საეკლესიო დოგმატები და კანონები, რაზეც ცოტა ქვემოთ უნიკალურ უცხოურ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით გვექნება საუბარი და ირანის მბრძანებელი ტირანი ქართველთა შორის რჯულის აღრევით და შერწყვით მათ სულიერადაც ასუსტებდა და ამით გამაჰმადიანებისთვის ამზადებდა ქართველ მეფეებს ქვეზუნდურად. აი ნამდვილი მიზეზი შაჰის „გულის დაწვისა“ ქერივი თეიმურაზ I-ის ხილვისა და არა თანაგრძნობა და სურვილი „იხარებდეს მის თანა“. აქ ანუ ამ ქორწინებაში კიდევ ერთი მზაკერული ნაღმი დევს შაჰაბაზისა, რასაც გაკერით ახსენებს ვახუშტი „ქართლის ცხოვრებაში“. აი რას წერს „ქართლის ცხოვრების“ მემატრიანე ამ ფაქტის კომენტარში: „...და კუალად იხილოს, თუ მისცეს ლუარსაბ დად თვისი, რომელი არა წარუვლინა მას უხუცესი, არამედ უმრწემესი“ [ვახუშტი „ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, თბ., 1973 წ. გვ. 585]. მაშასადამე შაჰს ცოლად ყავს ლუარსაბის უფროსი და ღელა (იგივე ელენე), ხოლო უმცროსი ანუ „უმრწემესი“ – ხორეშანი თეიმურაზ I-ს მიათხოვეს მისი იძულებითი და მრისხანე მოთხოვნით. სიტყვა „უმრწემესი“ – „მერმე შობილს“ ნიშნავს [სულხან-საბა, „ლექსიკონი

ქართული“, ტ. II, თბ., 1993 წ. გვ. 162]. სწორედ ხორეშანის საკუთარ პაპიდაშვილზე ქორწინება გახდება 1613-1614 წლებში სისხლისმსმელი ირანის მეფის აღმოსავლეთ საქართველოს ასაოხრებელად წამოსვლის ერთ-ერთი მიზეზი. შაჰის ამ ე.წ. „საქორწინო პოლიტიკაზე“ ამ წიგნის I ტომშიც უკვე ვისაუბრეთ ზოგადად. „ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ „განრისხნა შაბაზ და აიძულებდა თეიმურაზს“ ცოლად შეერთო თავისი პაპიდაშვილი“, თუმცა გამოხდება ცოტა ხანი და თეიმურაზ I-ის და ხორეშანის ამ ქორწინებას დაასახელებს ირანის სამეფო კარი კახეთში შაჰაბაზის შემოსევის უპირველეს მიზეზად. ვითომ სისხლისმსმელ აბასს დიდი ხანი იყო გული ჰქონდა შევარდნილი ლუარსაბის „უმრწემეს დაზე“ – ხორეშანზე და ვითომ თეიმურაზმა მის ჯიბრზე მოიყვანა უახლოესი ნათესავი ცოლად, ისე, რომ ქრისტიანული რჯულის მკაცრი კანონი ახლო ნათესავების ქორწინებასთან დაკავშირებით არც გახსენებია.

თეიმურაზ I და ხორეშან ბაგრატიონის ქორწინების ეროვნულ-რელიგიური ასპექტები

ქრისტიანობის საეკლესიო სამართლის ძირითადი კოდექსის ანუ „დიდი სჯულისკანონის“ მიხედვით, რომელიც „14-ტიტლოვანი ნომოკანონის 883 წლის რედაქციით“ არის ცნობილი, მოცემულია სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთთანამშრომლობის ზოგადქრისტიანული სავალდებულო საეკლესიო კანონები, რომლებიც თავიანთი მნიშვნელობით სცილდებიან ეკლესიის ფარგლებს და სახელმწიფო-სამოქალაქო კანონმდებლობის ძალის მატარებელნი არიან. ათენის სინტაგმის (136) თანახმად „ყოველგვარი სახელმწიფო-სამოქალაქო კანონი კარგავს ძალას თუკი ის წინააღმდეგობაში მოდის შესაბამის საეკლესიო კანონთან ანუ „დიდი სჯულისკანონთან“ [„დიდი სჯულისკანონი“, გამოსაცემად მოამზადეს ე. გა-



ბიძაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ, გ. ნინუამ, თბ., 1975 წ. გვ. 3].

„დიდი სჯულისკანონი“ უმკაცრესად კრძალავს ნათესავთა ქორწინებას, მით უმეტეს ისეთ ახლო ნათესავთა ქორწინებას, როგორებიც ალალი პაპიდაშვილები არიან ანუ ალალი და-ძმის შვილიშვილების ქორწინებას. ჩვენს შემთხვევაში თეიმურაზ I-ის პაპა – ალექსანდრე და ლუარსაბ II-ის და – ხორეშანის ბებია – დარეჯანი ხომ ალალი და-ძმა იყო. ამდენად ქრისტიანული „დიდი სჯულისკანონის“ მიხედვით ეს შეუღლება უდიდეს ცოდვად ითვლებოდა (და ითვლება!!! – ვ.ო.). არც გასაკვირია, რადგან ქორწინება ახალი აღთქმის შვიდ საიდუმლოთა შორის ერთ-ერთია (მე-6). „ქორწინება არის საიდუმლო, რომელშიაც ეკლესია აკურთხებს სასიძოსა და სასძლოს მეუღლურ კავშირს სახედ ქრისტეს სულიერ კავშირისას ეკლესიასთან და ითხოვს მადლს ერთსულობისას შვილთა შობისათვის და ქრისტიანულად აღზრდისათვის“ [„სახელმძღვანელო მართლმადიდებელი ეკლესიის კატეხიზმოს შესასწავლად“ თბ., 1994 წ. გვ. 79]. ასევე ძველთაგანვე ეკლესიის წმინდა მამები ქრისტიანულ ქორწინებას და ცოლქმრულ ურთიერთობას უდიდეს ყურადღებას უთმობდნენ თავიანთ ქადაგებებში. მაგალითად, ბასილი დიდი, იოანე ოქროპირი. ქრისტიანულ ქორწინებას ეხება აგრეთვე მოციქულთა კანონები და საეკლესიო კრებების კანონები.

ნათესავთა შორის ქორწინებას, ე.წ. „სისხლის აღრევის“ აკრძალვას ჯერ კიდევ „ძველ აღთქმაში“ ვხვდებით. მაგალითად, „წიგნი მესამე ლევიტელთა“ (20:20): „...და ეტყოდა უფალი მოსეს და ჰრქუა... რომელი დაწვეს ნათესავისა თვისისა თანა, რამეთუ ნათესაობად გამოაცხადა უშვილონი მოწყდენ,“ ხოლო შემდეგ მოდის მთელი მორალი კაცთა მოდგმის ქორწინებითი ურთიერთობისა...

ქართველი ერი საუკუნეების განმავლობაში სასოებით იცავდა ქრისტიანულ წესს და მორალს წყვილთა ქორწინებისა. „ქართული საკანონმდებლო შემოქმედების მნიშვნელოვანი და საყურადღებო ძეგ-

ლის“ (ივ. ჯავახიშვილი) ავტორი – ვახტანგ VI ბრძანებდა: „ქართველთა წესნი და ქცევანი სხვა რამე არს და არა მიჰგავს სხვათა ქვეყნისა რიგთა და ქცეულებათა“ [„სამართალი ვახტანგ მეექვსისა“, ისიდორე დოლიძის რედაქციით, თბ., 1981 წ., გვ. 163].

ახლა ვნახოთ უმთავრესი „დიდი სჯულისკანონი“, რა წერია ნათესავთა ქორწინებაზე და სისხლის აღრევაზე. კერძოდ, „დიდი სჯულისკანონი“ ნაწილი (13) – ერისკაცთათვის“ თავი (2), „ერისკაცთათვის“ მეორედ ქორწინებულთა ანუ მრავალგზის ქორწინებულთა და დაყენებულთა ქორწინებათა და შერევნათათვის: მოციქულთა კანონი, ნეოკესარიის კრების კანონი, ლაოდიკიის კრების კანონი, ხალკიდონისა კრებისა კანონი, მეექვსისა კრებისა კანონი, ბასილისი კანონი, მისივე დიოდორეს მიმართ ეპისტოლისაგან, თეოფილესი აგათონის მიმართისა ეპისტოლისაგან“. [„დიდი სჯულისკანონი“ გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიძაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ, გ. ნინუამ, თბ., 1975 წ. გვ. 201] ე.ი. დიდი სჯულისკანონი“ განსაკუთრებით მკაცრად უდგება ნათესავთა შორის ქორწინების საკითხს და მრავალი კანონით არეგულირებს და აკრძალვებს აწესებს. „დიდი სჯულისკანონში“ დეტალურად არის განმარტებული თუ რას ნიშნავს „დაყენებულთა ქორწინებათა და შერევნათათვის“. „დიდი სჯულისკანონში“ ქორწინება დაყენებული ანუ „დაყენებული ქორწინება“-ს მიეკუთვნება: „ქორწინება (ქორწილი) უწესო“, „ქორწინება უჯერო“ და „ქორწინება (ქორწილი) უსიმტკიცო“. [„დიდი სჯულისკანონი“, თბ., 1975 წ. გვ. 604]. შესაბამისად დაყენებული ქორწინება დეტალური დაკონკრეტებით შემდგენილად არის განმარტებული: დაყენებული ქორწინება – აკრძალული ქორწინება. თავის მხრივ აკრძალული ქორწინება სამი სახისაა: 1) უსიმტკიცო ქორწილი, 2) უჯერო ქორწილი და 3) უწესო ქორწილი. ეს უკანასკნელი არის სისხლისაღრევითი ქორწინება ნათესავთან. „დიდი სჯულისკანონის“ თანახმად სწორედ უწესო ქორ-



წინებასთან გვაქვს საქმე თეიმურაზ I-ის და ხორეშანის ქორწინების შემთხვევაში. ახლა ვნახოთ რა სასჯელია „დიდი სჯულისკანონში“ ე.წ. „დაყენებული“ ანუ „უხვედრო“ ქორწინების მიმართ: „უხვედროდსა ნათესავისა ქორწინებად მიყვანებად თუ ვინმე იკადროს და საქმით სრულ იქმნეს ცოდვად, მემრუშეთა პატიუი დაესაჯოს და მათებრ განიკანონოს“ [„დიდი სჯულისკანონი“, მესამე ეპისტოლე ბასილი კაპადუკიელისა იკონელ ეპისკოპოსთა კანონთათვის“ (68), თბ., 1975 წ. გვ. 494]. ე.ი. სეკლესიო მართლმადიდებლური კანონმდებლობით ეს ცოდვა მრუშობის ცოდვის დონეზე განიხილება და ისჯება. „დიდი სჯულისკანონში“ ერთგან ბასილი დიდის ეპისტოლეში წერია: „...უწესოდთა ქორწილითა ზიარებად არცა ქორწილად შეირაცხების იგი, არცა რადთურთ სასვებასა თანა ეკლესიისასა შეიწყნარების პირველად“ [„დიდი სჯულისკანონი“, თბ., 1975 წ., გვ. 499].

როგორც ცნობილია, „დავით აღმაშენებლის ინიციატივით რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ (1103 წ.) ურთიერთობა მოაწესრიგა ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის. რუის-ურბნისის ძეგლისწერაში „სამართალი კათალიკოზთა“, კონკრეტულად მე-7 მუხლის შემდეგი სიტყვები მრისხანედ ქდერს (რაც აბსოლუტურად სწორია – ვ.ო.). თუ მაღალი სასულიერო პირი „დიდი სჯულისკანონის „წინააღმდეგ ნებას რთავს უხვედრო ე.ი. ნათესავთა შორის ქორწინებას, ასეთი ეპისკოპოსი უნდა დაიწყევლოს და ექსორიაქმნილ იყოს თავისი საყდრიდან (სამწყსოდან). მე-7 მუხლის ზუსტი ტექსტი კი ასეთია: „...რომელმანცა ეპისკოპოსმან, რაც სჯულისკანონსა შიგან არ ეწეროს, იმას გარეთ ანუ უხვედრობისა და სვინაობისა საქმესა ზედა ნება დართოს და ანუ საკანონო აართვას, – შეჩუენებულ იყოს წმიდათა კრებულთაგან და კანონსამცა ქუეშ არის წმიდათა მოციქულთასა, და მისისა საყდრისაგან ექსორია იქმნას“ [მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე „საქართველოს საეკლესიო კანონების კრებული“, თბ., 2017 წ., გვ. 250, „სამართალი

კათალიკოზთა“]. ამრიგად თვით ის სასულიერო პირი კი, ვინც ნათესავებს ჯვარს დაწერდა „დიდი სჯულისკანონის“ საწინააღმდეგოდ, უმკაცრესად ისჯებოდა და ექსორიას უკეთებდნენ თავისი სამწყსოდან. ჩვენი ქრისტიანი მამა-პაპა სისხლით ნათესაობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და საქორწინო წესჩვეულებებს წყვილთა შეუღლებისა დიდ ყურადღებას აქცევდნენ. ამას ჩვენთან დაცული საარქივო ისტორიული მასალებიც ადასტურებს. კერძოდ, საქართველოს ეროვნულ არქივში მე-18 საუკუნეში მოქმედი კანონის ერთადერთი ეგზემპლარია შემორჩენილი და დაცული. იგი მხატვრულად გაფორმებული და ორიგინალურად მოხატული წიგნია, რომელიც მღვდელ იობი ყრუაშვილის საკუთრება ყოფილა. და რომელზეც იკითხება წარწერა: „აღიწერა წიგნი ესე ოვდაბნოდსა, მრავალმთის გარეჯისასა ხელითა უღირსის ბერის იეროდიაკონის გერონტისათა თუესა ნოემბრის 16, წელსა 1716“.

ქორწინების კანონი ნაწილია „დიდი სჯულისკანონისა“ და მასში ქორწინებაშეუღლების ნათესაობით-დამაბრკოლებელი მიზეზებიც არის ნახსენები. მაშასადამე, ჩვენი მამა-პაპა ქორწინებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და წყვილი ჯვრისწერის დროს ვალდებული იყო სიმართლე ეთქვა მღვდლისთვის. თუ მღვდელს მოატყუებდნენ პასუხისმგებლობა მათ ეკისრებოდათ. ასევე მკაცრად იყო განსაზღვრული თუ ვისთან შეეძლო ქორწინება დაქვრივებულ ადამიანს. კანონში ნათქვამია: „მოკვდეს კაცი თუ იგი გარდაცვლილი ძმის ცოლს შეერთავსო [ცნობები ნათესავებს შორის ქორწინების შესახებ“, თბ., 1995 წ. გვ. 25-26. წინასიტყვაობა პროტოპრესვიტერ გიორგი გამრეკელისა, პატრიარქის ლოცვა-კურთხევით მოამზადა თბილისის სასულიერო აკადემიის სტუდენტმა დ. რევაზიშვილმა]. დიდი ივანე ჯავახიშვილის აზრითაც დაუშვებელი იყო სისხლის ნათესავ ქალ-ვაჟთა დაქორწინება და სულმნათი მეცნიერი მას ანუ ე.წ. „ენდოგამიას“ სპარსულ მაზდეანურ გადმონაშთად თვლიდა [ივ. ჯავახიშვილი, „ქართული



სამართლის ისტორია“, წიგნი I, თბ., 1928 წ. გვ. 116-119].

ამრიგად, ქრისტიანული, მით უმეტეს იმდროინდელი მართლმადიდებლური სამყაროსათვის მიუღებელი იქნებოდა თეიმურაზ I-ის და ხორეშანის ქორწინება. მათი ქორწინების მიუღებლობამაც იმიტომაც გამოიწვია საერთაშორისო რეზონანსი, ქრისტიანულ სამყაროში. კერძოდ კი, კახეთის სამეფოში ნამყოფი რუსეთის ელჩების ინფორმაციით იერუსალიმის პატრიარქმა თეოფანის III-ემ (რომელიც მსოფლიო პატრიარქად თვლიდა თავს) (1608-1644 წ.) და რომელიც ჯერ დასავლეთ საქართველოში ხოლო შემდეგ კახეთში ყოფნისას 1618-1619 წლებში თეიმურაზ I-ის და ხორეშანის სამეფო ქორწინება უკანონოდ გამოაცხადა [ე. მამისთვალიშვილი „საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია“, II, თბ., 2011 წ., გვ. 56]. რუსი ელჩების სიტყვებით ”იმ იურის (იგულისხმება ქართლის მეფე – გიორგი X – ვ.ო.) და ალექსანდრე მეფის დის ქალიშვილი, რუსულად ქრისტიანა, ქართულად ხორეშანი, ამჟამად თეიმურაზის ცოლია და თეიმურაზს მამის მამიდაშვილად მოსვდება. როცა იერუსალიმის პატრიარქი თეოფანისი საქართველოში იმყოფებოდა, მათი გაყრა მოინდომა. მეფემ და დედოფალმა თეოფანისს მისცეს ძველებური, თვლებით მოჭედილი ოქროს თასი და მრავალი ოქრო და მან ძველებურად ცხოვრების ნება დართო“ [«Материалы по истории грузино-русских взаимоотношений», 1615-1640. Документы к печати подготовили предисловием снабдил М. Полиевктов. Тбилиси, 1937 г. Стр.56]. თეიმურაზ I-ის და ხორეშან დედოფლის მიერ გაღებულ ძვირფას ქრთამს – „ძველებურად მოჭედილ ოქროს თასს“ კი იერუსალიმში ჩასვლა არ ეწერა. იგი გზაში, თურქეთში, კონსტანტინეპოლში დაიკარგა, რაზეც მწუხარედ და მკაცრად წერს თეოფანეს III-ის შემდგომი პატრიარქი – დოსითეოს II. ეტყობა განგებას არ უნდოდა ქართლ-კახეთის სამეფო კარის მიერ გაღებული „არაკანონიერი“ საჩუქრის (ანუ ქრთამის) ოქროსნათელით

„გაენათებინა“ იერუსალიმში მაცხოვრის საფლავი. ამ თასის მოკლე ისტორია კი ასეთია: 1618-1619 წლებში იერუსალიმის პატრიარქი „თეოფანისი ივერიაში მოგზაურობდა“. ამ მოგზაურობის დროს იგი ჯერ დასავლეთ საქართველოში, კერძოდ ქუთაისში იყო, სადაც შეხვდა ქუთაისის ეპისკოპოსს და „ნება მისცა მიტროპოლიტად წოდებულიყო და საკოსი ეტარებინა...“

როგორც ჩანს, საქართველოში ყოფნისას იერუსალიმის პატრიარქმა მრავალი შესაწირავი მიიღო... უნიკალური ისტორიული დოკუმენტები მეტყველებენ, რომ „განსაკუთრებით დიდძალი შესაწირავები მისცა თეოფანისს თეიმურაზმა, ე.ი. კახეთის (აღბანეთის) მეფემ. მან, სახელდობრ, მისცა ძვირფასი ქვებით შემკული წმინდა თასი. მისი ფასი იყო ოციათასი გროსი. (გროსი – გერმანული სიტყვაა „როსს“, ვაჭრობაში სათვლელი ერთეულია – თორმეტი ლუჟინი ანუ 144 ცალი. ს.უცხო სიტყვათა ლექსიკონი“, შემდგ. მ. ჭაბაშვილი, თბ., 1989 წ. გვ. 113]. შემდეგში, დიდებული სკარლატას (ვინმე თანმხლები დღემდე დაუდგენელი დიდებული – ვ.ო.) დაქინებით, ის თასი თეოფანისმა კონსტანტინეპოლში წაიღო, რათა ვალი დაეფარა. მის შესაფასებლად აქ შეიკრიბა [ძვირფასი] ქვების ფასის მცოდნე ებრაელები და როცა იგი ხელიდან ხელში გადადიოდა, ყურადღება ვეღარ მიაქციეს და დაიკარგა... [ე. მამისთვალიშვილი, „საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან“, თბ., 2008 წ. გვ. 167].

ამრიგად, ღვთის განგებით თეიმურაზის და ხორეშანის უკანონო ქორწინების და „დიდი სჯულისკანონის“ წინააღმდეგ განხორციელებული შეუღლებისათვის გაცემულმა ქრთამმა – ძვირფასმა ოქროს თასმა ვერ მიაღწია იერუსალიმის ქრისტიანულ ეპარქიებამდე. ალბათ, ასეთი იყო ნება უფლისა... ესეც გარკვეული ნიშანია ზეციდან ვფიქრობ...

სწორედ, ამ ანტიმართლმადიდებლური შეუღლება-ქორწინების შედეგია ალბათ ის უბედური და ტრაგიკული მოვლენები, რაც 1612 წლის შემდეგ დატ-



რიალდა ქართლ-კახეთის სამეფო კარზე და არა მარტო სამეფო კარზე, არამედ რამაც გამოიწვია კახეთის აოხრება და ათასობით ქართველის გაქლეტა თუ აყრა მშობლიური მამულიდან, გავერანება ჩვენი მიწა-წყლისა...ქართლისა და კახეთის სამეფოების უმეფოდ დარჩენა გარკვეულ ხანს, ბაგრატიონ მეფეთა გადახვეწა, ჯერ ლუარსაბის, შემდეგ ქეთევან დედოფლის დატყვევება, თეიმურაზ I-ის შვილების – ლევანის და ალექსანდრეს დასაჭურისება, ქართლშიც და კახეთშიც მაჰმადიან მმართველ-გამგებელთა გამოგზავნა, ეკლესია-მონასტრების დაწვა-დანგრევა-გავერანება, ვაზის და თუთის აჩეხვა ასეულობით ჰექტარზე და ა.შ. ეს ბოროტებათა კასკადი კი ვილაციისთვის უნდა დაებრალეებინა სამეფო კარს და იქცა „განტყვევების ვაცად“ გიორგი სააკაძე ქართველ დიდებულთა, შაჰის აგენტურის, ქართლ-კახეთის სამეფო კარის, აბას I-ის მზაკერული შხამგარეული სიცბიერის და შემდეგ ქართველ მეთრორიე-მემატიანეთა „დიდი დამსახურებით“, რომლებიც გარკვეული სამეფო კლანის ინტერესებს უფრო გამოხატავენ ხშირად სააკაძესთან მიმართებაში, ვიდრე ივერთა ერისა. არც მცხეთაში სვეტიცხოვლის ტაძარში გამართული საეკლესიო კრება იყო გამოსავალი აღნიშნული პრობლემიდან, რადგან ზოგიერთი სასულიერო პირი, ქართლ-კახეთის თავადაზნაურთა ნაწილთან ერთად, რომელთა რიგში იყო გიორგი სააკაძე, წინააღმდეგი იყო შაჰ-აბასის კარნახით და დაძალებით მოწყობილი თეიმურაზის და ხორეშანის ანტიმართლმადიდებლური შეუღლებისა. რადგანაც ვერც ერთი ქვეყნის რიგითი, ლოკალური საეკლესიო კრება ვერ შეცვლიდა ქრისტიანობის იმ წესებს, რაც „დიდი სჯულისკანონით“ იყო მკაცრად განსაზღვრული... შაჰ-აბასი მიხეზს ეძებდა აღმოსავლეთ საქართველოში შემოტრისა. მისი უპირველესი მიზანი იყო ქართლ-კახეთის ბაგრატიონთა სამეფო გვარის ამოძირკვა, ქართლ-კახეთის მოსახლეობის აყრა და გადასახლება ირანის სასაზღვრო თუ კლიმატურად მკაცრ რაიონებში, ხოლო ქართველების ნაცვლად ყაჩაღური თურქმანული ტომე-

ბის ჩამოსახლება ივერიის ღვთივეურ-თხეულ მიწაზე.

გარდა ზემოჩამოთვლილი შაჰ-აბასის მზაკერული ფანდებისა, რომელშიც შედიოდა ქართველ ბაგრატიონთა ქალბატონთა ცოლად მოყვანა და ამით ქართლ-კახეთის სამეფო კართან დამოყვრება, მას უფრო შორსგამიზნული ვერაგული გეგმა გააჩნდა ქართლ-კახეთის სამეფოს „კანონიერად“ დაუფლებისა. კერძოდ, ამ მიზნით იგი ორი მიმართულებით მოქმედებდა: პირველი და უპირველესი მიზანი იყო აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოთა გაუქმება და მათ ირანის რიგით სახანოდ გადაქცევა, ხოლო მეორე, გამოყენებინა თავისი ქართული წარმომავლობა (შაჰის ბებია იყო სამცხე-საათაბაგოს დიდებულთა გვარის – შალიკაშვილების წარმომადგენელი, ასევე ქართველი იყო შაჰ-აბასის დედაც, რაც დასტურდება ირანის ტირან მეფესთან რომის პაპის ურბან VIII-ის წერილით – ვ.ო.) და ე.წ. „ლევირატობის წესით“ თავი გამოეცხადებინა ქართლ-კახეთის „კანონიერ“ მეფედ.

დავაკვირდეთ და გავაანალიზოთ შაჰ-აბასის ბოროტი გეგმები ამ კუთხით, რომელიც უპირველესად ქართული, მართლმადიდებლური, ქრისტიანული სახელმწიფოს მოშლა-განადგურებისკენ იყო მიმართული.. შაჰი ცდილობდა ქრისტიანული რჯულის მოშლას უპირველესად სწორედ ბაგრატიონთა და დიდგვაროვანთა შორის. მიყვეთ მოვლენათა მსვლელობას: ირანის მზაკვარი ხელმწიფე ქართლის მამაცი მეფის სვიმონ I-ის მოღალატე და რჯულშეცვლილი ძმის – დაუდხანის (იგივე დავით ბაგრატიონისა) კანონიერ თუ „უკანონო“ შვილებს ბაგრატს და როსტომს (იგივე ხოსრო-მირზა ანუ როსტომ ხანი, რომელიც წილქნელ გლეხის ქალთან შეეძინა დაუდ-ხანს) იახლოვებს. ამასთან, ორივე – ბაგრატიც და როსტომიც ქართლის ქრისტიანი მეფის, მამულისათვის თავდაუზოგავი და ხმალჩაუგებელი მებრძოლის ლუარსაბ I-ის (1527–1556) გამაჰმადიანებელი შვილიშვილები იყვნენ. რჯულის შეცვლა კი ბუნებრივია, ადამიანის მსოფლმხედველობას და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების გარ-



და ცვლის უმთავრესს! აშორებს უფალ-თან, ახვევინებს მაცხოვრის გზიდან, რჯულშეცვლილ და ცნობიერებაშეცვლილ ქართველებს, თანაც ბაგრატიონებს ბოროტი შაჰი ჭკვიანურად იყენებდა... მაგალითად, როდესაც გმირი და სამშობლოსთვის თავდადებული მეგრძოლი სვიმონ I თურქების წინააღმდეგ საბრძოლველად გაუშვა, ხოლო შემდეგ უკვე 1600 წელს თურქებმა (ოსმალოებმა) ჩაიგდეს ტყვედ შეუპოვარი ქართლის მეფე და აღესრულა კიდევ პატიმრობაში შვიდსართულიან კოშკში მყოფი სტამბულს. შაჰ-აბასის დასტურით სვიმონ I-ის გარდაცვალების შემდეგ მისი ვაჟი – გიორგი X გამეფდა ქართლში 1600 წლიდან, მაგრამ მეისტორიეთა ცნობით შაჰ-აბასის მიერ ნელადმოქმედი შხამით მოწამლული აღესრულა 1606 წელს და ტახტზე ავიდა მისი ახალგაზრდა ვაჟი ლუარსაბ II (შემდეგ უკვე წმინდანად შერაცხული).

შაჰმა „მისმა უდიდებულესობამ აღერსით მიიღო მოსულნი მისი (გიორგი X-ის) ვაჟიშვილი „ლუარსაბ-ხანი...“ ვით თოთხმეტი დღის მთვარე, სავსე მშვენებით...“ მშობლის ადგილას დასვა სამკვიდრო სამეფოს მმართველად და შვილობის საპატიო სახელი უბოძა [ისკანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ“, თბ., 1969 წ., გვ. 65]. მომავალში კარგად გამოჩნდა როგორი გულწრფელი იყო შაჰ-აბასის „აღერსი“ და „პატივი“ ლუარსაბ მეფის მიმართ. სწორედ ლუარსაბ II-ის და თინათინი (იგივე ლელა) შეირთო ცოლად ვერაგმა შაჰ-აბასმა და „სიხარულით დაუმოყვრდა“ ქართლის სამეფო კარს. ასევე „სიხარულით“ 1605 წ. (ზოგიერთი მონაცემებით 1606 წელს) შაჰ-აბასმა ცოლად შეირთო თეიმურაზ I-ის და ელენე და „ტკბილად დაუმოყვრდა“ კახეთის ბაგრატიონთა სამეფო კარს [გ. ჯამბურია, „გიორგი სააკაძე“ თბ., 1974 წ., გვ. 48]. მანამდე ცოლად ყავს მოყვანილი ირანის შაჰს სვიმონ I-ის და ანუ ლუარსაბ II-ის მამიდაც, რაზეც დუმან ქართველი მეისტორიენი. ეს ფაქტი I ტომში უკვე აღვნიშნე [ვ. ოთარაშვილი „გიორგი სააკაძის ფენომენი და თარხან-მოურავები“

ტ. I, თბ., 2018 წ. გვ. 296-297]. შაჰ-აბასი ცდილობს, რადგან ომით და ძალისმიერი მეთოდებით ვერ მოხერხდა ქართლ-კახეთის სამეფო კარის შეუფლობის გატყევა და ქართულ სამეფოთა გაუქმება და გადაქცევა ირანულ მაჰმადიანურ სახანოებად, ამიტომ, იგი მიზნად ისახავს ქართველ ბაგრატიონებთან დამოყვრება-დანათესავეების ანუ „ძულეებითი სიძეობის“ გზით დაამკვიდროს ბაგრატიონთა სამეფო ტახტის არაპირდაპირი მემკვიდრე-პრეტენდენტის სამართლებრივი-იურიდიული საფუძველი, რის საშუალებასაც აძლევდა იმდროინდელი (და ახლანდელიც! – ვ.ო.) სპარსული სამოქალაქო კანონმდებლობა. სწორედ ამ გველურ გზას მიჰყვებოდა სხვა ბოროტულ გზებთან ერთად შაჰი საქართველოს დასაპყრობად და ხელში ჩასაგდებად. ეს არის ისტორიაში ქართველ ბაგრატიონთა და ზოგადად ქართლ-კახეთის თუ იმერეთის ანუ მთელი საქართველოს გამოცდის ურთულესი პერიოდი – მე-17 საუკუნის პირველი მესამედი განსაკუთრებით. შაჰ-აბასის მხრიდან დედიტ და ბებიით თავადური ქართველობა არასაკმარისი საშუალება იყო ქართული სამეფო ტახტის ხელში ჩასაგდებად, ამიტომ ვერაგი შაჰი ფიქრობდა, რომ თუ ყველა ბაგრატიონ მამაკაცს ფიზიკურად მოსპობდა ან დაასაჭურისებდა, ხოლო თვითონ ყველა ბაგრატიონი ქალბატონის ქმარი იქნებოდა, მაშინ ეძლეოდა შანსი როგორც ბაგრატიონ მეფეთა კანონიერ „ძვირფას“ სიძეს თავი გამოეცხადებინა ქართულ სამეფოთა (ქართლის ან კახეთის ან ორივესი ერთად – ვ.ო.) ხელმწიფედ. მას თვით გამაჰმადიანებულ რენეგატ ბაგრატიონთა ატანაც არა აქვს, რის საუკეთესო მაგალითია გამაჰმადიანებული მამის და ძმის მკვლელი კონსტანტინეს თავიდან მოცილებისა და მოკვლისათვის არაპირდაპირი ხელშეწყობა.

ამიტომ შაჰისთვის მიუღებელი იყო ქართლის და კახეთის მეფეთა ქორწინებები: 1611 წლის გვიან შემოდგომით ლუარსაბ II-ს ქორწინება გიორგი სააკაძის ულამაზეს დაზე მაკრინეზე და დაქვრივებული თეიმურაზ I-ის ქორწინება



ლუარსაბის დაზე – ხორეშანზე (თუმცა „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ერთი შეხედვით შაჰის ბრძანებით შედგა ეს ქორწინება, რომელიც ქრისტიანული რჯულის შერყენისკენ იყო უფრო მიმართული, ვიდრე ქართლ-კახეთის ბაგრატიონთა შტოების აღორძინებისაკენ, რაც მალევე გამოჩნდა 1613–1614 წლებში. შემდგომ უკვე, როცა შაჰ-აბასი 1613 წლის ბოლოს და 1614 წლის დასაწყისში კახეთს შეესია, თავისი ომის დაწყების მიზეზად სწორედ ლუარსაბ ქართლის მეფის მეორე დაზე ხორეშანზე „თავდავიწყებით შეყვარებას“ გამოაცხადებს. თუმცა ხორეშანი თავის დროზე დანიშნული ყოფილა ნუგზარ არაგვის ერისთავის უფროს ვაჟზე – ბაადურზე. ამის შესახებ საუბრობს მარი ბროსეც „ქართულ ქრონიკებში“ (იგივე „პარიზის ქრონიკები“, გვ. 33.4). ხოლო ბროსეზე დაყრდნობით უილიამ ალენი ამ ნიშნობა არ შემდგარ ქორწინებაზე წერს: „ნუგზარ არაგვის ერისთავი ისევე ერთგულებით გადაიხარა და ამ ქორწინებით (იგულისხმება ბაადურის და ხორეშანის ქორწინება – ვ.ო.) სურდა ქართლის სამეფო კართან ალიანსით საკმაოდ გაძლიერებულიყო არაგვის საერისთავო. სამწუხაროდ, მის უფროს ვაჟთან – ბაადურთან და გიორგი X-ის უფროს ქალიშვილთან – ხორეშანთან ეს სამეფო ქორწინება არ შედგა, რადგან ხორეშანი ცოლად შეირთო თეიმურაზ კახთა მეფემ“ [Allen, W.E.D.(1970)7 Russian embassies to the Georgian kinds (1589-1605). Cambridge: Cambridge University Press, 1970, London, New York]. ნუგზარ არაგვის ერისთავის უფროს ვაჟზე „ქართლის ცხოვრება“ გვამცნობს: „... მომკვდარ იყო ნუგზარ და დაჯდა ძე მისი ზურაბ, განადო იგი და წარვიდა ცოლითა წინაშე შაჰაბასისა. მან კეთილად შეიწყნარა შუამდგომლობითა მოურავისათა, რამეთუ იყო აღზრდილი მოურავისა... შემდგომად მისცა ნიჭი შაჰაბაზ და ერისთავობა და გამოუტყვა და დაშთა ცოლი მუნ. მოსრულმან ზურაბ ძალითა ყვენისათა და სვიმონის (იგულისხმება გამაჰმადიანებული სვიმონ II ხანი – ვ.ო.) მწეობითა

დაიპყრა ბაზალეთი და განადო ბაადურ ძმა თვისი და მივიდა საჩინოს ბაადურ.“ [ვახუშტი, „ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, თბ., 1973 წ. გვ. 428]. ე.ი. გიორგი სააკაძის შუამდგომლობით მისივე გაზრდილი ზურაბისთვის მიუცია არაგვის ერისთავობა შაჰ-აბასს. როგორც დაუფასა ზურაბ არაგვის ერისთავმა ერთგულება დიდ მოურავს ეს კარგად არის ისტორიიდან ცნობილი. თუმცა „ქართლის ცხოვრების“ ამ ამონარიდიდან ჩანს, რომ ბოროტი შაჰ-აბასი თვითონ განაგებს ქართლ-კახეთის სამეფო კარის და საერისთავოების შიდა პოლიტიკას. იქვე ხაზგასმულია, რომ ბოლომდე „ირანის ლომი“ არავის ენდობა და ზურაბ არაგვის ერისთავის ახლად შერთული ულამაზესი ცოლიც თავისთან დაიტოვა და მერე ენახავთ რა წარმატებითაც გააკეთა ეს სვლა ვერაგმა ირანელმა. ბაადურ ერისთავის სიცოცხლე კი ტრაგიკულად სრულდება. იგი გურიაში, სოფ. საჩინოში გადაიხვეწება, სადაც ცოლს შეირთავს. „... ხოლო საჩინოს მყოფსა ცოლსა ბაადურისასა ეტრფიალა სახვერელი ჩიჯავაძე და ცოლისა მისისავე ნებითა მოკლა ბაადურ და შეირთო მან ცოლად“ [ვახუშტი, ქართლის ცხოვრება“, გვ. 428]. ამ ამბის გამგონე ზურაბ არაგვის ერისთავი გაილაშქრებს გურიაში და ძმის მკვლელს თავს მოჰკვეთს და გამობრუნდება უკან.

რაც შეეხება „ქართლის ცხოვრებაში“ ვახუშტის მიერ თქმულ სიტყვებს „შუამდგომლობითა მოურავისათა“ არ არის მთლად სწორი, იმიტომ რომ აქ შაჰ-აბასი თავისი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს. რადგან სწორედ მისი დაჟინებული რჩევით და ფაქტობრივად ბრძანებით, ირთავს კახეთის მეფე თეიმურაზ I საკუთარ პაპიდაშვილს, ლუარსაბ II-ის დას – ხორეშანს და ქრისტიანი მართლმადიდებლების „დიდი სჯულისკანონს“ არღვევს. სწორედ შაჰია თავი და თავი, რომ ბაადურ არაგვის ერისთავის ქორწინება ჩაიშალა ლუარსაბ II-ის დასთან ხორეშანთან და არა გიორგი სააკაძე, რადგან ბაადური უფროსი ცოლის ძმაა გიორგი სააკაძისა, ხოლო გიორგი სააკაძის და ქართლის დედო-



ფაღია, რომელიც ცოლად ჰყავს ლუარსაბ II-ს და ამით ქართლის ბაგრატიონთა სამეფო სახლი განუზომლად გაძლიერდებოდა ანუ გაძლიერდებოდა და განმტკიცდებოდა სამთა კავშირი: ლუარსაბ II + გიორგი სააკაძე + ნუგზარ არაგვის ერისთავი, რაც მიუღებელი იყო ბოროტი, მაგრამ უჭკვიანესი შაჰისთვის. მას არ აწყობდა ქართველთა მტკიცე სამეფო კარი და ძლიერი ბაგრატიონთა სამეფო ცენტრალური ხელისუფლება. ერევნის ციხის აღების (1605 წ.) შემდეგ და განსაკუთრებით სხერტის ჭალა-ტაშისკარის (1609 წ.) ბრძოლებში ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ ქართველთა დაუძინებელი მტერი – შაჰ-აბასი მოსვენება დაკარგული იყო, რასაც აღნიშნავენ ისტორიკოსებიც. მისთვის მიუღებელი იყო მეზობელ ივერიელთა ძლიერი სამეფო, გამორჩეული და გამოჩინებული ეროვნული რწმენით სავსე მეფე და მხედართმთავრები... ერჩივნა სომეხთა ქვეყანასავით დამონებულ-დაჩავებული ჰყოლოდა ეროვნულ-სარწმუნოებრივი კუთხით, ანუ თუნდაც მდიდარი, პირფერი და მლიქვნელი სომეხი ჩარჩ-ვაჭრები ერჩივნა, რომლებიც ხელმწიფის (შაჰ-აბასის – ვ.ო.) კეთილისმსურველი და ერთგული იყო [„არაქელ დავრიუციის ცნობები საქართველოს შესახებ“, თბ., 1974 წ. გვ. 11], უდრეკ და ამაყ ქართველ მეფე-მხედართმთავრებს. ამიტომ შაჰის „ქართული საქორწინო პოლიტიკაც“ აქეთკენ იყო მიმართული. არადა, დიდ მოურავს აშკარად არ უყვარდა სომეხები და პირიქით, არც იქაურ სომეხებს ეხატებოდათ იგი გულზე, რაც სარწმუნოებრივი დაპირისპირებიდან გამომდინარეობდა. ამ პროცესებსაც ვერაგი და ჭკვიანი შაჰ-აბასი თავის სასარგებლოდ კარგად მართავდა. ირანისთვის მისაღები იყო სომხური მონოფიზიტობა, პირველ ხანებში კათოლიკობაც, მაგრამ მართლმადიდებლობა შაჰისთვის ყველანაირად მიუღებელი იყო. ამიტომ აძალდებდა ყველა ქართველს მაჰმადიანობის მიღებას. მართლმადიდებელი ქართველი ერი სულიერად გაუტეხელი იყო და ეს იცოდა ირანელმა ხელმწიფემ, რაც ჩანს არა მარტო მისი

და ყორჩიხა-ხანის ურთიერთდამოკიდებულებიდან, არამედ მემატიანეთა და მისიონერთა შეფასებიდან და ისტორიული დოკუმენტებიდან [„არაქელ დავრიუციის ცნობები საქართველოს შესახებ“, თბ., 1974 წ. გვ. 21]. თვითონ არაქელ დავრიუცი თავიდან ვითომ დადებითად ახასიათებს გიორგი სააკაძეს, ხოლო შემდეგ უკვე თავისი არასწორი სუბიექტური შეხედულებით ყველა უბედურების მიზეზად დიდი მოურავი მიაჩნია, რაც ცხადია არ არის სიმართლე. და ახლად აღმოჩენილი ევროპული თუ ირანული დოკუმენტები საპირისპიროს დადასტოებენ (პიეტრო დელა ვალე, მამა ვინცენტი ჰორმუზელი, ისქანდერ მუნში და სხვ.), რაც ასევე ქართველთა და სომეხთა ტრადიციული სარწმუნოებრივი სხვაობიდან იღებდა ისტორიულ სათავეს. სომეხთა სარწმუნოების შექმნაში ხომ „ლომის წილი“ თვითონ სპარსელებს უდევთ! [უხტანესი „ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან“, თბ., 1975 წ.].

დავუბრუნდეთ ისევ თეიმურაზ I-ის და ლუარსაბ II-ის დის – ხორეშანის „ნათესაურ ქორწინებას“, რომელიც სისხლისმსმელი შაჰ-აბასის დაძალებით განხორციელდა და რომლის ცოდვაც, როგორც კახეთის, ისე ქართლის სამეფო კარს ბევრ უბედურებას და უსიამოვნებას მოუტანს. იმ დროს ამ ქორწინებას საერთაშორისო რეზონანსიც მოჰყვა.

ნიშანდობლივია, რომ არჩილ მეფის (არჩილ II – 1647-1713 წწ.) ცნობილ თხზულებაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“, ისევე როგორც „ქართლის ცხოვრებაში“, თეიმურაზ I-ის და ლუარსაბ II-ის დის – ხორეშანის შეუღლების ინიციატორი ვერაგი შაჰ-აბასია [„ქართული პოეზია, ტ. 3. შემდგ. ს. ცაიშვილი. „თეიმურაზ პირველი, არჩილი“, თბ., 1975 წ. გვ. 264]. არჩილის აღნიშნულ პოემაში ვკითხულობთ (სტროფი 402):

„პირველი ნახვა გათავდა, მერმე მიმიხმო
ხალვათათ,
მითხრა: „ლუარსაბ მეფესა გამოყვრებ
ძალე ამლათათ,



ორნივე მეფენი გაერთლით, ის შენთვის იყოს, შენ მათათ, ჩემიცა ქვისლი იქნები, საქმე არ დარჩეს სახლათათ“.

ამ ამბავს შაჰის კარზე მყოფი თეიმურაზ მეფე ყვება. ეს ვერსია თეიმურაზის და ხორეშანის ქორწინებისა, როგორც ჩანს, ქართლ-კახეთის სამეფო კარის ვერსია იყო, რომელიც სინამდვილეს შეესაბამება. ამას საგანგებოდ ვუსვამ ხაზს. მაშასადამე „ქართლის ცხოვრების“ ორივე რედაქცია [ბერი ეგნატაშვილი „ახალი ქართლის ცხოვრება“, თბ., 1959 წ. ტ. II, გვ.384-385; ვახუშტი, „ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, გვ. 424] გვიყვება, რომ „... იძულებითა შაჰაბაზისათა... ქმნეს ქორწილი დიდებული...“ არჩილის თხზულებაშიც იგივე პათოსით გრძელდება პოემა [სტროფი 402]:

„მოვახსენე: „ხელმწიფეო, ეგ ჩვენს რჯულში არ მოხდება, ახლო არის ნათესავი, საკანონო დაბედება, თუ შევირთო ნათესავი, საბოლოო წამიხდება“.

ამ სიტყვებს შეწუხებული კახთა მეფე თეიმურაზ I შაჰ-აბასს ეუბნება. მზაკვარი ირანელი პასუხობს მკაცრად:

„უარი არ გამავონა: „ცუდიოთ მიდ-მოდება“.

და აძალებს შაჰი შემდეგი სიტყვებით (სტროფი 404):

„არ იქნება დამიჯერე, ქართველთ მეფის უმოყვრობა, სხვას უკეთესს ვერ შეირთავ, მეც მასშია დიად ქება, ზურგად მე გყვე ის მოყვარედ, ვისღა ძალუც შენი ვნება? მე მწადს, მერმე თქვენ მოგხვდებათ ღხინით შეყრა, ერთად ხლება“.

თუ გავითვალისწინებთ, რომ არჩილის შემოქმედებაში ერთმანეთისაგან განუყოფელია ეროვნული თემატიკა და „ქართლის თქმის“ პრინციპი, ისტორიულ მოვლენათა რეალისტური აღქმა, მაშინ ადვილად დავასკვნით, რომ მის პოემაში ზემოთ აღწერილი მოვლენები და ფაქტები სინამდვილეს შეესაბამება, რასაც იმეორებს ბერი ეგნატაშვილის „სწავ-

ლულს კაცთა“ კომისიის მიერ შედგენილი „ახალი ქართლის ცხოვრება“ და შესაბამისად ვახუშტი ბატონიშვილის „ქართლის ცხოვრება“. ე.ი. არჩილის პოემაში მოთხრობილი ამბავი ნამდვილია და ბოროტი შაჰ-აბასის კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს სივერაგეს აღგვიწერს. თხზულების აღნიშნული მონაკვეთი ასე მთავრდება (სტროფი 405):

„კიდევ რამე მოვახსენე: „მე ეგ საქმე არ მექნება“

არაფერი არ გავიდა უარისა მოხსენება.

კვლამ მიბრძანა: „ნულარ იტყვი, თუ არა იქ არ იქნება“.

რადგან ისრე მოინდომა, რაღა მექნა დაერთე ნება“.

მაშასადამე, ორი აზრი არ არსებობს, რომ თეიმურაზ I-ის და ხორეშანის შეუღლება შაჰ-აბასის ძალდატანებით განხორციელდა, რასაც არ მაღავენ ჩვენი მემატეანენი (ბერი ეგნატაშვილი, ვახუშტი ბატონიშვილი). ეს ამბავი ქართლ-კახეთის სამეფო კარმა ანუერმა და ბერმა ლამის „ზეპირად“ იცოდა, რადგან ამ მოვლენას საეკლესიო კრების ჩატარება მოჰყვა. ქართული საზოგადოების და ეკლესიის მამების აზრი ორად გაიყო. ერთნი მოითხოვდნენ ქრისტიანული მართლმადიდებლური კანონის დაცვას და დიდი სჯულისკანონის დოგმათა შესრულებას, მეორენი „ქართლ-კახურ“ ქორწინებას, ვითომ ორი ქართული სამეფოს გასაერთიანებელ-გასაძლიერებლად, რაც ბუნებრივია, მძიმე ცოდვა და აბსურდი იყო იმთავითვე და შაჰის მზაკვრული სურვილის შესრულება. შაჰ-აბასის ბოროტ განზრახვას კარგად ხსნის ისევ არჩილ მეფის პოემის სტრიქონები (სტროფი 641):

„...მაგრამ ესე სწადს, საკუთრად კახეთი მან დაირჩინოს,

ბავრაციონნი გასწვიტოს და არსად არ მოარჩინოს“.

[„ქართული პოეზია“, ტ. 3, არჩილი, „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“, გვ. 272, თბ., 1975 წ.]. ანუ აღმ. საქართველოს სრული დამონება-განადგურება და ბავრაციონთა მთლიანად გაწყვეტა იყო აბასის მთავარი მიზანი. ყველა მისი ვერაგული სვლა (ქეთევანის



და მისი შვილიშვილების დატყვევება, ლუარსაბის დატყვევება, მეფე-დედოფალთა თუ უფლისწულთა წამება-დასჯასიკვდილი) ამ მიზნის განხორციელებას ემსახურებოდა. შაჰის ამ პოლიტიკის მოწინააღმდეგე იყო დიდი მოურავი – გიორგი სააკაძე, როგორც ჭეშმარიტი დიდი მამულიშვილი და ქრისტიანი. სამწუხაროდ, ქართველი მემკვიდრე არასწორ ინტერპრეტაციას უკეთებენ ამ ფაქტს. ჩვენ შევეცდებით შემდგომ პარაგრაფებში ავხსნათ სინამდვილე, დღემდე უცნობი ისტორიული წყაროების თუ არსებული საბუთების საფუძველზე.

ახლო ნათესავების – თეიმურაზ I-ის და ლუარსაბ II-ის დის ხორეშანზე ქორწინება მართლმადიდებლური ქრისტიანული კანონის მიხედვით უდიდესი ცოდვა იყო და შაჰ-აბასის გეგმაც ქართველთათვის მაცხოვრის რჯულის შერყვნა გახლდათ. ამის თაობაზე „ქართლის ცხოვრება“ შემდეგ კომენტარს აკეთებს: „ესე ჰყო შაჰაზმა რამეთუ მიზეზობდა და რათა დაამდაბლოს და ნებისა თვისად ჰყოს, რათა შერიოს რჯულთა და მერმე მაჰმადიან ჰყოს...“ [ვახუშტი ბატონიშვილი, „ქართლის ცხოვრება“, თბ., 1973 წ., გვ. 585]. ე.ი. შაჰ-აბასის მიზანი ახლო ნათესავ ბაგრატიონთა (და-ძმის შვილიშვილების ქორწინება – ვ.ი.) შეუღლებისა, ის იყო, „რათა დაამდაბლოს“, „შერიოს რჯულთა და მერმე მაჰმადიან ჰყოს“. მაშასადამე, ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის გამაჰმადიანება იყო ვერაგი შაჰის მთავარი სამიზნე. იგი ცდილობს ირანულ ლევირატულ-მაჰმადიანურ წესს და სამართლებრივ სივრცეს დაუახლოვოს ქართლის სამეფო კარის „საქორწინო პოლიტიკა“.

„ლევირატი“ ასეა განმარტებული: ლევირ – ლათინური სიტყვაა და მაზლს ნიშნავს, ანუ ქმრის ძმას. ლევირატობა არის აღმოსავლეთის ზოგიერთი ხალხის პატრიარქალური ჩვეულება, რომლის მიხედვითაც უშიგლო ქვრივი ქალი უნდა მისთხოვდეს თავის მაზლს [უცხო სიტყვათა ლექსიკონი, შემდგ. მ. ჭაბაშვილი, თბ., 1989 წ. გვ. 275]. ე.წ. „ლევირატული ქორწინების“ წესი ბიბლიიდან

არის ცნობილი, რომელიც მოსემ დააკანონა ებრაელებში. ლევირატობის წესი ებრაელ მამაკაცებს ავალდებულებდა ე.წ. ძმის „თესლის აღდგენის“ მიზნით დაქვრივებული ძმის ცოლი, მეორე ძმას მოეყვანა ცოლად. მათეს სახარებაში ვკითხულობთ: „და ეტყოდეს: მოძღუარ, მოსე ესრეთ თქუა: უკუეთუ მისი ცოლსა მისსა და აღუდგინენ თესლი ძმასა თვისსა“ [მათე, 22,24].

ამ წესს თვით იმდროინდელი იუდეველებიც ანომალურად რომ თვლიდნენ ესეც კარგად ჩანს – როცა ფარისეელები და სადუკეველები ქრისტე მაცხოვარს ეკითხებიან იმის თაობაზე, თუ ვის ცოლად ჩაითვლება აღდგომის შემდეგ შვიდქმარგამოვლილი ქვრივი ქალი ანუ უშიგლო შვიდი ძმის ცოლყოფილი: „აწ უკუე აღდგომასა მას ვისა შვიდთა მათგანისა იყოს იგი ცოლად, რამეთუ ყოველთა ესუა იგი?“ [მათე, 22, 28] უფლის პასუხი საოცარია: „მიუგო იესუ და პრქუა მათ: სცთებით, რამეთუ არა იცით წიგნი, არცა ძალი ღმრთისად, რამეთუ აღდგომასა მას არცა იქორწინებოდიან, არცა განქორწინებდნენ, არამედ, ვითარცა ანგელოზნი ღმრთისანი იყვნენ ცათა შინა“. [მათე 22; 29, 30]. სახარების ამ მონაკვეთში იესო ქრისტეს პასუხი ცალსახა და ლაკონურია: „სცდებით“ – აქ ძალზე მრავლისმეტყველია და უარყოფითზე უნდა მიგვანიშნებდეს. უნდა აღინიშნოს, რომ ლევირატობის აღნიშნული მანკიერი კანონი ირანის სამეფოში სეფიანთა ბატონობის ხანის დაწყებას უკავშირდება.

XIV საუკუნე კავკასიაში აღინიშნა ორი მომთაბარე შუააზიური თურქმანული ტომის შემოსვლით. ესენია ყარაყონღუ და აყ-ყონღუ. ისინი ერთმანეთისაგან რელიგიური ნიშნით განსხვავდებოდნენ. კერძოდ, „ყარაყონღუ“ – (თურქულად „შავ ცხვარს“ ნიშნავს) თაყვანს სცემდა შავი ცხვრის კულტს, ხოლო „აყ-ყონღუ“ – (თურქულად „თეთრ ცხვარს“ ნიშნავს) თაყვანს სცემდა თეთრი ცხვრის კულტს. ისინი ძირითადად დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე დასახლდნენ. ამ



ველურ ინტელექტუალურად ჩამორჩენილ ტომთა სათარეშოდ გადაიქცა ქრისტიანული მართლმადიდებლური უდიდესი კულტურის და სულიერების მქონე ივერია, რომელსაც უკვე შექმნილი ჰქონდა „გეფხისტყაოსანი“, გელათისა და იყალთოს აკადემიები, ჯვარი, სვეტიცხოველი, ბაგრატი, სამთავისი, ერთაწმინდა... და მხოლოდ დედა ღვთისა მფარველობდა... XVI საუკუნის დამდეგს ირანის სახელმწიფო ერთიანი პოლიტიკური ერთეული არ იყო. კერძოდ, 1500 წლისათვის „აყყონღუს“ ანუ ე.წ. „თეთრბატკიან“ თურქმენტა სახელმწიფო ორ ნაწილად იყო გაყოფილი აღვენდსა და სულთან მურადს შორის [დ. კაციტაძე, „ირანის ისტორია“, თბ., 2009 წ. გვ. 367]. სეფიანთა სახელმწიფოს წარმოშობა კი დაკავშირებულია ე.წ. „ეზიდბაშთა მოძრაობასთან, რომლის სათავეშიც იდგა სეფიანთა ფეოდალური გვარი. სეფიანთა ერთიანი სახელმწიფო საბოლოოდ შეიქმნა XVI საუკუნეში, უმთავრესად თურქმანულ-თურქული ტომების მცდელობის შედეგად [დ. კაციტაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 377]. სწორედ ძველი ებრაელების მსგავსად ლევიტობის ზემოთ აღნიშნული წესი მოქმედებდა სეფიანთა ირანში, რომელიც სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე იყო აყვანილი. კერძოდ, სეფიანთა ირანის ხელმწიფის გარდაცვალების შემდეგ, შაჰის მემკვიდრის ხელში გადადიოდა გარდაცვლილი შაჰის როგორც პოლიტიკური ძალაუფლება, ასევე მისი უძრავ-მოძრავი ქონება, მათ შორის მრავალი ცოლი და ჰარამხანა. მაშასადამე, ირანის სამოქალაქო კანონმდებლობა ანუ დღევანდელი ტერმინებით რომ ვთქვათ, ირანის სამოქალაქო კოდექსი უშვებდა ლევიტობის წესს, რაც ვერაგმა და ბოროტმა შაჰ-აბას I-მა მშვენივრად იცოდა. ამიტომ 1614 წელს ტირანმა შაჰმა ფაქტობრივად ირანში უკვე დატყვევებულ და ქვრივ ქეთევან დედოფალს (მისი მეუღლე ფრიად უხასიათო დავითი 1605 წელს გარდაიცვალა) ცოლობა სთხოვა, მიუხედავად იმისა, რომ მას უკვე ცოლად ჰყავდა ქეთევან დედოფლის შვილი, თეიმურაზ I-ის და – ელენეთუ ქეთევან წამებული დათანხმდებოდა

შაჰ-აბასს, შეიცვლიდა სარწმუნოებას, მაჰმადიანობას მიიღებდა და ირანის დედოფლის ტახტზე დაჯდებოდა, მაშინ სწორედ ზემოთ აღწერილი „ლევიტობის“ წესის თანახმად სისხლისმსმელი შაჰ-აბასი ქართლის და კახეთის სამეფოების ირანული კანონმდებლობით პოტენციური მემკვიდრე-პრეტენდენტად შეიძლება აღმოჩენილიყო. ამდენად ზოგიერთი ისტორიკოსის ის მოსაზრება, რომ შაჰი „მოიხიბლა“ და „მოჯადოვდა“ ქეთევან დედოფლის სიტურფით, სიმართლეს არ შეესაბამება. ირანის მბრძანებელს გაცილებით ვერაგული შორსმჭვრეტელური ნაბიჯები ჰქონდა გათვლილი თავისი სახელმწიფოს საზღვრების გაზრდა-გაძლიერებისაკენ მიმართული. რა თქმა უნდა, ქეთევან დედოფალი იყო სილამაზით და მშვენიერებით გამორჩეული მტკიცე სულის ქრისტიანი, მაგრამ შაჰ-აბასის კარზე იმ დროს ყოფნისას იგი დაახლოებით 55-60 წლის ქალბატონი, დედა-დედოფალი იქნებოდა. ზოგიერთი მონაცემებით, ქეთევან წამებულის დაბადების თარიღად მიუთითებენ 1554-1557 წლებს. მისი მამა აშოთან ბაგრატის ძე ბაგრატიონ-მუხრანელი, ხომ 1561 წელს გარდაიცვალა და აქედან გამომდინარე მათემატიკურად ქეთევან წამებულის ასაკიც ზემოთ დასახელებულ წლების ფარგლებში იქნებოდა. ქეთევან წამებულმა, ღვთის მადლით, ეს ყველაფერი კარგად იცოდა. იგი იყო უმტკიცესი და უსათნოესი ღვთისმოსავი მართლმადიდებელი ქრისტიანი. გადმოცემის თანახმად ქეთევან დედოფალს ირანში გამგზავრებამდე გურჯაანის ყველაწმინდის ტაძარში ულოცია გულმხურვალედ... მისმა მოწამებორებმა სიკვდილმა 1624 წელს გადაარჩინა საქართველო გამაჰმადიანებას, ჩაშალა შაჰის მზაკვრული განზრახვა ქართლ-კახეთის სამეფო ტახტის დაუფლებისა ე.წ. „ლევიტობის“ წესით, ხოლო კათოლიკე ევროპას კიდევ ერთხელ დაანახა ღვთისმშობლის წილხვედრი ივერთა ერის არსებობის უმაღლეს ღვთიურ ნოტთა ქდერადობა, რომ – „ქრისტიანობა ქართველობაა! ქრისტიანობის უარმყოფელი ქართველობის უარმყოფელია!“



P.S. შაჰ-აბასის „საქორწილო პოლიტიკაზე“, აგრეთვე თეიმურაზ I-ის და ლუარსაბ II-ის დის – ხორეშანის უკანონო ქორწინებაზე დეტალურად იმიტომ შევჩერდი, რადგან აღნიშნულ პრობლემაზე, როგორც ქართლ-კახეთის სამეფოს უბედურების მთავარ მიზეზზე ყურადღება ან საერთოდ არ გაუმახვილებია არავის, ანდა მხოლოდ გაკვრით არის მოხსენიებული ქართველ მემკვიდრეთა მიერ, რითაც შეფარვით მიჩქმალულია უდიდესი ცოდვა – სათავე სახელმწიფო ტრაგედიისა მე-17 საუკუნის პირველ მეოთხედში, რომელიც თავისი სიცოცხლის შეწირვით თითქოს „გააუვნებლეს“ წმინდა ქეთევან წამებულმა და წმინდა ლუარსაბ მეფემ. მოვლენათა ამ დეტალური ანალიზით მსურდა მეჩვენებინა, რომ იმ პერიოდის ქართველთა ქვეყნის უბედურებაში გიორგი სააკაძეს წვლილი არ მიუძღვის. იგი იყო და დარჩა თავისი სამშობლოს ერთგულ მხედართმთავრად, დავით აღმაშენებლის ერთიანი საქართველოს იდეის ბოლომდე ერთგულ მატარებლად, რაც დაამტკიცეს შემდგომმა მოვლენებმა: მარტყოფის, მარაბდის, ქსნის თუ სხვა ომებმა და მისმა ტრაგიკულმა აღსასრულმაც თხოთის ციხეში, უფროს ვაჟთან – ავთანდილთან და 40-მდე ქართველთან ერთად. მიზეზი მისი სიკვდილით დასჯისა, სწორედ ერთიანი ანტიმაჰმადიანური (ანტიირანული, ანტითურქული) კოალიციის შექმნა იყო ევროპელებთან ერთად, რომლის საქმის კურსში რომის პაპიც იყო, რაც ახლად მიკვლეული ისტორიული დოკუმენტებითაც დასტურდება...

გვახსოვდეს ვინც გვარისანი ვართ

საქართველოს საგვარეულოთა კავშირის „გვარი და გვარიშვილობის“ გამგებობის თავმჯდომარე

ვაჟა ნადირაშვილი

ქართველთა ამქვეყნიური სამებაა მამული, ენა, სარწმუნოება, რომელსაც სახლიშვილობა, გვარიშვილობა და მამულიშვილობა ასახვდობს.

გვარს ისტორიულ საქართველოში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. საგვარეულო წყობილება მაშინდელი ცხოვრების დედაბოძი იყო. დაბა-სოფლებიც და ქალაქებიც, უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ ერთ საგვარეულოს ეკუთვნოდა.

ივანე ჯავახიშვილის გამოკვლევით სიტყვა „გვარი“ XI-ე საუკუნემდე ქართული სამწერლო ენაში არა ჩანს. საქართველოში მხოლოდ ორი სიტყვა იყო ადამიანების ურთიერთშემაკავშირებელი, ეს სიტყვებია „ნათესავი“ და „სახლი“. ხოლო ერთი და იგივე საგვარეულოს წევრს და ერთიადიმავე გვარის მქონებელ ადამიანს ქართულად „სახლიკაცი“ ან „სახლიშვილი“ ეწოდებოდა და ახლაც ეწოდება. აქედან ჩანს, რომ გვარს უძველეს დროს „სახლი“ ჰქმევია. საგვარეულოს იმ უხუცეს წევრს, რომელსაც გვარის საერთო ქონების მართვა-გამგებობა ჰქონდა ჩაბარებული „მამასახლისი“ ჰქვიოდა.

შემდგომ უმაღლეს ხელისუფალს, განუსაზღვრელი უფლებებით ქართველი ხალხი „ხელმწიფეს“ უწოდებდა.

საქართველოში საგვარეულო მოძრაობა ჯერ კიდევ გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებიდან დაიწყო. ინიციატორი გახლდათ გაზეთი „რაოე“ და მის ირგვლივ მყოფი მეცნიერ-შემოქმედთა ჯგუფი. იდეის მხარდამჭერი და თანამდგომი გახლდათ სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II.



2003 წელს დაფუძნდა საქართველოს საგვარეულოთა კავშირი „გვარი და გვარიშვილობა“.

დამფუძნებლები გახლდათ ბატონები: ლევან ფრუიძე, ბონდო გაგნიძე, თენგიზ მაისურაძე, გრამიტონ კვარაცხელია და ზურაბ ჭავჭავანიძე.

სწორედ ისინი იყვნენ პირველი გამგეობის წევრებიც. გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა პროფესორი ლევან ფრუიძე. კავშირის საქმიანობის მიზანი იყო: საგვარეულოთა კავშირების ჩამოყალიბება, გვარების ისტორიის შესწავლა და საგვარეულო მატრიანების შექმნა, ქართული ტრადიციების შენარჩუნება და პროპაგანდა, ეროვნულ-ქრისტიანული სიწმინდეების დაცვა და მოვლა, გვარების წარდგენა პატრიარქთან დასალოცად.

2009 წელს საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ლოცვა-კურთხევით საქართველოს საგვარეულოთა კავშირის „გვარი და გვარიშვილობის“ იურიდიულ მისამართად თბილისის წმინდა სამების საკათედრო ტაძარი განისაზღვრა. საქმიანობა გაიშალა სამების ახალგაზრდული ცენტრის დარბაზში. გამგეობა შეივსო ახალი წევრებით. გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ბატონი ავთანდილ არაბული. მოადგილედ ახალგაზრდა მეცნიერ-ონომასტიკი ლექსო ნაზლაძე. გაიზარდა დაფუძნებული საგვარეულო კავშირების რიცხვი.

გვარებმა გააქტიურეს მუშაობა: ეკლესია-მონასტრების აღდგენის და მოვლა-პატრონობის, საკუთარი ფუძე-ადგილების მოძიების, სოფლების აღორძინების, გვარების ისტორიის შესწავლის და სხვა. მათი დამსახურების გამო გვარები წარდგენილ იქნენ საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის წინაშე დასალოცად.

გამოვიდა გაზეთი „გვარიშვილობა“, რომელიც შემდეგ ჟურნალად გადაკეთდა. მოგვიანებით გამოვიდა ახალი გაზეთი „გვარი და ტრადიცია“. გაზეთებში და ჟურნალებში იბეჭდებოდა ინფორმაციები საგვარეულო მოძრაობის, საგვარეულო კავშირების საქმიანობისა და გვარების ისტორიების შესახებ.

საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნებამ“ შუადღის პროგრამაში დაიწყო 20 წუთიანი გადაცემა საგვარეულო მოძრაობის შესახებ.

გვარებმა შექმნეს თავიანთი სიმბოლოები (დროშა, გერბი, ლოგო) დააწერინეს მფარველი ხატები. ამუშავდა სამეცნიერო საბჭო.

გაიზარდა შექმნილი საგვარეულოთა კავშირების რაოდენობა. ამიტომ გვარების წინამძღოლთა ურთიერთდაახლოებისა და შეკავშირებისათვის გადაწყდა შექმნილიყო გვარების წინამძღოლთა დარბაზი.

საქართველოს საგვარეულოთა კავშირის „გვარი და გვარიშვილობის“ ხელმძღვანელობით 2011 წლის 3 ივლისს თბილისის სამების საკათედრო ტაძრის ახალგაზრდული ცენტრის დარბაზში, გვარების წინამძღოლთა შეკრებაზე გვეწვია სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი. ამ შეკრებაზე დაფუძნდა გვარების წინამძღოლთა დარბაზი.

დარბაზის საპატიო თავმჯდომარედ არჩეული იყო სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II. შეიქმნა დარბაზის საბჭო, რომლის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ბატონი ლევან ფრუიძე.

დარბაზის შეკრებაზე ერთობლივად იხილებოდა საგვარეულო მოძრაობის განვითარებისა და კონკრეტული ღონისძიებების ჩატარების საკითხები, მათ შორის სოფლების აღორძინების, მიწების გასხვიების, ქართველი ერის დემოგრაფიული მდგომარეობის, მცირერიცხოვანი გვარების, რაჭის გადარჩენის, მონარქიისა და „საქართველოს სამეფო სახლთან“ ურთიერთობის, ელექტრო ენერგეტიკისა და დიდი და მცირე ჰესების მშენებლობის, აჭარის მამულიშვილთა კავშირის, ფიცის კაცობის ინსტიტუტის აღდგენის, საზღვარგარეთ მყოფ და დევნილ გვარებთან ურთიერთობისა და სხვა საკითხები.

საგვარეულო კავშირების განსაკუთრებული ზრუნვის საგანია საქართველოში არსებული მძიმე დემოგრაფიული ვითარება: მოსახლეობის რაოდენობის, შობადობისა და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის შემცირება. იზრდება



ნასოფლარები განსაკუთრებით – მთაში. არსებული დემოგრაფიული სურათის გასაცნობიერებლად მნიშვნელოვანია გვარების შესწავლა.

საქართველოში დღეს ათასობით გვარია, მათ შორის – დიდი წარსულის მქონე, რომელთაც გადაშენების საფრთხე ემუქრება; ბევრ გვარში – რამდენიმე ათეული, ზოგჯერ კი – თითო-ოროლა ადამიანია შემორჩენილი, რაზეც ამ გვარების წარმომადგენლებს და საზოგადოებასაც ხშირად ინფორმაცია არა აქვთ.

საქართველოს საგვარეულოთა კავშირმა „გვარი და გვარიშვილობა“ გამოსცა წიგნი „გვარსახელები საქართველოში“. წიგნი ეყრდნობა სამოქალაქო რეესტრის მონაცემებს. აქ წარმოდგენილია საქართველოში მცხოვრები 96915 გვარი. შესულია ქორწინების შედეგად ან სხვა ვითარებაში მიღებული შერწყმული გვარები, არაქართული მოსახლეობის ქალისა და მამაკაცის განმასხვავებელი დაბოლოვებულებანი გვარები, გვარები, რომლებიც მხოლოდ ერთ ან ორ პიროვნებას ითვლის.

საგვარეულო მოძრაობის მიმდინარეობა მუდმივად იყო საქართველოს პატრიარქის ყურადღების ქვეშ.

2013 წლის 1 ივლისს წმინდა სამების საკათედრო ტაძრის ასაღვაზრდული ცენტრის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა გვარების წინამძღოლთა შეკრება. ეს შეკრება იყო მნიშვნელოვანი იმით, რომ შეკრებაზე მობრძანდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი..

შეკრებაზე განხილული იყო ერთი ძირითადი საკითხი: საქართველოს სამიწათმოქმედო ტრადიციული კულტურების გადარჩენის შესახებ. მოხსენება გააკეთა ბიოლოგიის მეცნიერებათა აკადემიურმა დოქტორმა ინეზა მაისაიამ. შეკრებას ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარეები ბატონები ზურაბ ტყემალაძე და დავით ონოფრიშვილი, ქართველ ებრაელთა მსოფლიო კონგრესის თანათავმჯდომარე ჯამლეტ ხუხაშვილი, პატრიარქის ფონდის ხელმძღვანელი ლაშა ჟვანია, მეცნიერები, ამ

დარგის სპეციალისტები, სასულიერო პირები. შეკრების მუშაობა შეაჯამა სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა, მან დადებითი შეფასება მისცა ზემოთ აღნიშნული თემის წამოწევას.

ლევან ფრუიძე, ვაჟა ნადირაშვილი, საველ მარსაგიშვილი საღამოს ლოცვის შემდეგ საპატრიარქოში, ზამთრის ბაღში შეხვდნენ კათოლიკოს პატრიარქს.

განიხილეს საგვარეულო კავშირების შექმნისა და გვარების დალოცვის ორგანიზების, სასოფლო-სამეურნეო მიწებისა და მიტოვებული სოფლების აღორძინების, ტრადიციული კულტურების გაშენების და მისი განვითარების, გორის მუზეუმთან სტალინის ფენომენის მეცნიერული შესწავლის ცენტრის შექმნის საკითხები.

საყოველთაოდ ცნობილია სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ღვაწლი საგვარეულო მოძრაობის დაწყებასა და შემდგომ განვითარებაში. პატრიარქის მიერ დალოცვილი გვარები დიდი ერთუზიანობით არიან ჩართულები ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში, სოფლების აღდგენაში, ეკლესია-მონასტრების მოვლა პატრონობაში, ტყე-პარკების გაშენებასა და სხვა საქმიანობაში.

საქართველოს საგვარეულოთა კავშირის „გვარი და გვარიშვილობის“ გადაწყვეტილებით სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II დაჯილდოვდა საქართველოს საგვარეულოთა კავშირის „გვარი და გვარიშვილობის“ უმაღლესი ჯილდოთი: სახელობითი მოოქროვილი მედალით, საგვარეულო მოძრაობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.

მედალთან ერთად პატრიარქს გადაეცა ხის ბუდეში ჩასმული ეტრავი, რომელზედაც იყო მილოცვის ტექსტი 1200 გვარის ხელმოწერით.

ქ. თბილისის წმინდა სამების საკათედრო ტაძრის ეზოში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორის უშუალო წინამძღოლობით სამმა დიდმა გვარმა: ბერიძეებმა, გელაშვილებმა და მაისურაძეებმა დარგეს სამი მუხის ხე,



ვითარცა სიმბოლო საქართველოს ძლიერებისა. ამას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და დღესაც აქვს. განზრახულია ამ მუხებთან პატრიარქის წინაშე დადონ ფიცი ძველმა ფიცის კაცებმა და გვარების წინამძღოლებმა ერის, მამულისა და ქართული ეკლესიის უანგარო თავდადებისა და მსახურებისათვის.

ჩატარდა გვარიშვილთა თვითშემოქმედებითი სადამო. აღნიშნული ღონისძიება მიეძღვნა საქართველოს მართმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის 100 და სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ს აღსაყდრების 40 წლისთავს. სადამოში მონაწილეობდნენ ჯემალ ადამაშვილი, ახალციხიდან თელიაშვილები, დუშეთიდან გორელიშვილების საოჯახო ანსამბლები, გ. ცაბაძის სახელობის ხალხურ საკრავთა ორკესტრი, ინდივიდუალურ მონაწილეები, საჩხერის ვაჟთა გუნდი.

კომპოზიტორმა ჯემალ ადამაშვილმა შექმნა გვარიშვილთა ჰიმნი, ტექსტის ავტორი ვაჟა ნადირაშვილი. ჰიმნი ააუღერა ვაჟთა გუნდმა „მძლეველმა“.

საქართველოს საგვარეულოთა კავშირს „გვარი და გვარიშვილობას“ მუდმივი კონტაქტი აქვს აჭარის მამულიშვილთა საგვარეულო კავშირთან, მის თავმჯდომარესთან ბატონ ნიაზ ბოლქვაძესთან. მათ შექმნეს მემორიალის მაკეტი, რომლის დადგმაც განსაზღვრულია ბათუმში, აჭარის ოსლომალთა იმპერიის ბატონობიდან განთავისუფლების აღსანიშნავად. ყოველი წლის 25 აგვისტოს აღინიშნება ამ მოვლენისადმი მიძღვნილი სახეიმო შეკრება. გვარების წინამძღოლები არაერთხელ ყოფილა ბათუმში და მიუღია მონაწილეობა მათ მიერ ჩატარებულ ღონისძიებებში. ბატონი ნიაზ ბოლქვაძის წიგნმა „აზროვნების ეკოლოგიამ“ საქართველოს ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიაში დიდი მოწონება დაიმსახურა და აღინიშნა მისი საკაცობრიო მნიშვნელობა, ბატონი ნიაზი წარდგენილია მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის მოსაპოვებლად.

გვაქვს ურთიერთობა მესხეთის მამულიშვილთა კავშირთან.

გვარების წინამძღოლებს ჰქონდა გასვლები წალენჯიხაში, კვარაცხელიების შეკრებაზე, თიანეთში მწერალ გიორგი წიკლაურის ლექსების კრებულის პრეზენტაციაზე, ყვარელში კომპანია „ხარებას“ მიწვევით, მათი საწარმოს დასათვალიერებლად. სამტრედიაში და ვანში ბაღდავაძეების, ზედა სიმონეთში სულამანიძეების და სხვათა შეკრებებზე.

მახათას მთაზე ფერისცვალების ეკლესიის მიმდებარედ ბერების საძვალის მოწყობაში ჩვენი წვლილიც არის.

გვარიშვილებმა შექმნეს მახათას მთაზე ზეთისხილის ხეივანი.

გვარები ასევე მონაწილეობენ მასობრივ ღონისძიებებში: სამასი არაგველების, 100000 მოწამის სსენების, ოჯახის სიწმინდის და სხვა ღირშესანიშნავი ღღეების აღნიშვნაში.

საქართველოს საგვარეულო კავშირს „გვარი და გვარიშვილობას“ მჭიდრო ურთიერთობა აქვს საქართველოს სამეფო სახლთან. კავშირის ხელმძღვანელობა რამოდენიმეჯერ შეხვდა სამეფო სახლის მეთაურს, მის სამეფო უმაღლესობას. ბატონიშვილ ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკის და სამეფო სახლის კანცლერ კახა ქორიძეს. განიხილებოდა ერთმანეთთან ურთიერთობის საკითხები.

საქართველოს მეფის ერეკლე II-ს გარდაცვალების დღეს გვარიშვილები ბატონიშვილ ნუგზარ ბაგრატიონ-გრუზინსკისთან ერთად იკრიბებიან სვეტიცხოვლის ტაძარში მეფის საფლავთან და პატივს მიაგებენ დიდი მეფის სსოვნას.

ეს ურთიერთობები კიდევ უფრო გაღრმავდება და გაფართოვდება.

ჩვენი მიზანია გაგრძელდეს ურთიერთობები საგვარეულო კავშირებთან. კონსულტაცია და დახმარებები გაუწიოთ გვარებს ახალი საგვარეულო კავშირების დაფუძნებაში. განუმარტოთ საგვარეულო მოძრაობის მნიშვნელობა. ერისა და ოჯახის სიწმინდე, განათლებული და ჯანსაღი ახალგაზრდობის აღზრდა, განთავისუფლება ყოველგვარი კოსმოპოლიტიზმისა და არატრადიციული ცხოვრების წესისაგან, წინაპართა ტრადიციების მოვლა და ქრისტიანულ-მართლმადიდებ-



ლური ცხოვრების წესის დამკვიდრება, აი
ეს არის ის მიმართულებები, რაზედაც
„გვარი და გვარიშვილობა“ იმუშავებს.

აღსანიშნავია მაისურაძეების და
კვიციანიების საგვარეულოთა კავშირების
ქმედება უმწეოთა დახმარების საქმეში.

გამოიცემა სხვადასხვა წიგნები
გვარების ისტორიისა და გაწეული მუ-
შაობის შესახებ.

მიმდინარე წლის 23 იანვარს საპატ-
რიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნების“
დილის გადაცემა „განთიადში“ ბატონებმა
ვაჟა ნადირაშვილმა და თენგიზ მაისუ-
რაძემ წარადგინეს გამოცემული ჟურნალი
და ისაუბრეს კავშირი „გვარი და
გვარიშვილობის“ შესახებ.

მიმდინარე წელს საქართველოს საგ-
ვარეულოთა კავშირს „გვარი და გვარიშ-
ვილობას“ დაფუძნებიდან 15 წელი შეუს-
რულდა. საიუბილეო საღამო გაიმართა
თბილისის წმინდა სამების საკათედრო
ტაძრის ახალგაზრდული ცენტრის საკონ-
ფერენციო დარბაზში. საღამო გაიხსნა
გვარიშვილთა ჰიმნით. მოხსენება გააკეთა
გამგეობის თავმჯდომარემ ვაჟა ნადირაშ-
ვილმა. მისასალმებელი სიტყვები წარმოთ-
ქვეს აკადემიკოსმა ავთანდილ არაბულმა,
სრულიად საქართველოს თავადაზნაურთა
საკრებულოს გამგეობის თავმჯდომარემ
მალხაზ ამაშუკელმა, საქართველოს სამე-
ფო სახლის კანცლერმა კახა ქორიძემ,
ყველაზე მრავალრიცხოვანი გვარის ბერი-
ძეების წინამძღოლმა ვაჟა ბერიძემ, აჭარის
მამულიშვილთა საგვარეულო კავშირის
თავმჯდომარემ, პროფესორმა ნიაზ ბოლ-
ქვაძემ, მაისურაძეთა გვარის წინამძღოლმა
თენგიზ მაისურაძემ და სხვებმა. დასას-
რულს აქტიური გვარის წინამძღოლებს
გადაეცათ საპატიო სიგელები.



გვარების წინამძღოლთა შეკრება საქართველოს
საპატრიარქოში



**ეკონომიკური ძალაუფლება
საერთაშორისო ურთიერთობებში**

მარიამ ვადაჭკორია

ცივი ომის დასასრულს, ზოგიერთი ანალიტიკოსი აცხადებდა, რომ „გეოეკონომიკამ“ შეიცვალა „გეოპოლიტიკა“. ეკონომიკური ძალაუფლება გახდა საკვანძო ფენომენი მსოფლიო პოლიტიკაში წარმატებისთვის. როგორც ერთმა მეცნიერმა აღნიშნა, „წარსულში უფრო იაფი იყო სხვა სახელმწიფოს ტერიტორიის ძალით ხელში ჩაგდება, ვიდრე დახვეწილი ეკონომიკურ და სავაჭრო აპარატის განვითარება, რომელიც საჭირო იყო კომერციული გაცვლისგან სარგებლის მისაღებად“ [1]. ბევრი ადამიანი ფიქრობდა, რომ ეს იქნებოდა მნიშვნელოვანი იაპონიისა და გერმანიის მიერ დომინირებული მსოფლიოსთვის. დღეს, ჩინეთის მსოფლიო პროდუქტის წილის ზრდა არის ფუნდამენტური ცვლა გლობალური ენერჯის ბალანსში, ძალაუფლების სხვა ზომების მიღმა.

პოლიტიკური დამკვირვებლები დიდი ხანია განიხილავენ, ეკონომიკური ძალაუფლება უფრო ფუნდამენტურია თუ სამხედრო. მარქსისტული ტრადიცია ეკონომიკას განიხილავს როგორც ძალაუფლების საფუძველს და პოლიტიკური ინსტიტუციებს, როგორც პარაზიტულ სუპერსტრუქტურას. მეცხრამეტე საუკუნის ლიბერალებს ჯეროდათ, რომ ვაჭრობისა და ფინანსების ურთიერთდამოკიდებულების გაზრდა განაპირობებს ომის მოძველებას. რეალისტები პასუხობდნენ, რომ ბრიტანეთი და გერმანია, 1914 წელს, წამყვანი სავაჭრო პარტნიორები იყვნენ, მაგრამ ამან თავიდან ვერ ააცილა შეტაკება, რომელმაც უკან დახია გლობალური ეკონომიკური ინტეგრაცია [2]. ისინი აღნიშნავენ, რომ ბაზრები დამოკიდებულია პოლიტიკურ სტრუქტურის წესრიგის დაცვაზე. რასაც მეცხრამეტე საუკუნეში „თავისუფალი ვაჭრობა“ ერქვა ეფუძნებოდა ბრიტანეთის საფლოტო უპირატესობას. უფრო მეტიც, საბაზრო მოქმედებები ხშირად

უფრო ნელი და ნაკლებად დრამატულია, ვიდრე სამხედრო ძალის გამოყენება.

სამხედრო ძალას მსოფლიო პოლიტიკაში ძალაუფლების უკიდურეს ფორმას უწოდებენ, მაგრამ წარმატებული ეკონომიკა აუცილებელია ასეთი ძალაუფლების შესაქმნელად. მაშინაც კი, როგორც ვნახეთ, ძალა შესაძლოა გამოუსადეგარი იყო ბევრ კრიტიკულ საკითხში, ისეთში როგორცაა ფინანსური სტაბილურობა და კლიმატის ცვლილება. შესაბამისი მნიშვნელობა დამოკიდებულია კონტექსტზე [3].

ეკონომიკურმა რესურსებმა შესაძლოა შექმნას როგორც რბილი, ასევე მყარი ძალის ქცევა. წარმატებული ეკონომიკური მოდელი არა მხოლოდ ქმნის ლატენტურ სამხედრო რესურსებს მყარი ძალაუფლების გატარებისთვის, არამედ ის ასევე იზიდავს სხვებს მისგან მაგალითის ასაღებად. ევროკავშირის რბილი ძალაუფლება ცივი ომის შემდგომ და ჩინეთის რბილი ძალაუფლება დღეს განპირობებულია მათი ეკონომიკური მოდელების წარმატებით. დიდი წარმატებული ეკონომიკა აწარმოებს არა მხოლოდ მყარი ძალაუფლების რესურსებს, ასევე რბილი ძალაუფლების გრავიტაციას. ბაზისური ეკონომიკური რესურსები, რომლებიც საფუძველად უდევს როგორც რბილ, ასევე მყარ ძალაუფლებას, ისეთი მოცემულობებია, როგორც მთლიანი შიდა პროდუქტის ზომა და ხარისხი, შემოსავალი თითოეულ მოქალაქეზე, ტექნოლოგიის დონე, ბუნებრივი და ადამიანური რესურსები, ბაზრების პოლიტიკური და კანონიერი ინსტიტუციები, ასევე სპეციალური დომენებისთვის შექმნილი სხვადასხვა რესურსები, როგორცაა ვაჭრობა, ფინანსები და კონკურენცია. [4]

ეკონომიკური ძალაუფლების ქცევა ეფუძნება სოციალური ცხროების ეკონომიკურ ასპექტებს – სიმდიდრის წარმოებასა და მოხმარებას, რაც იზომება ფულად ერთეულებში. ზოგი ეკონომისტი სკეპტიკურად უყურებს ფაქტს, რომ ეს ქმედებები ისეთ რამეს აწარმოებს რასაც შეგვიძლია ეკონომიკური ძალაუფლება ვუწოდოთ. ლიბერალური ბაზრის ეკონომიკაში, თუ გაცვლა თავისუფალია მიედ-



ველებს და გამყიდველებს შორის, მიიღება ერთობლივი მოგება ვაჭრობისაგან, და არა ძალა უფლებრივი ურთიერთობა. მაგრამ შეცდომაა ეკონომიკურ ურთიერთობებში ყურადღება გამახვილდეს მხოლოდ აბსოლუტურ მოგებაზე. აბსოლუტურ მოგებას შეუძლია გააძლიეროს ორივე მხარის შესაძლებლობები, მაგრამ ტრადიციულ პოლიტიკურ კონკურენციაში, სახელმწიფოები ხშირად შედარებით შემოსავალზე უფრო წახსნან, ვიდრე ერთობლივზე. მეცხრამეტე საუკუნის საფრანგეთი სარგებლობდა ვაჭრობით მხარდ გერმანიულ ეკონომიკასთან, მაგრამ ასევე ეშინოდა სამხედრო საფრთხის, რაინის სანაპიროზე ეკონომიური ზრდის გამო. უფრო მეტიც, რამდენიმე ბაზარი სრულყოფილია და ძალა უფლებრივ ურთიერთობებს შესაძლოა გავლენა ჰქონდეს ერთობლივი მოგების გაყოფაზე. ეკონომიკური ზრდა ქმნის უფრო მეტ გასაყოფ რესურსს, მაგრამ შედარებით ძალა ხშირად განსაზღვრავს, ვინ ირებს ყველაზე მეტს.

სხვა ეკონომისტები აღიარებენ ეკონომიკური ძალაუფლების რეალობას, როგორც ეკონომიკურ ძალას, რომელიც გამოიყენება დომინირების ან კონტროლის მისაღწევად. ზოგიერთი მას ხედავს, როგორც შესაძლებლობას სხვა მხარის დასაჯელად (ან დასაჯილდოებლად), მაგრამ კვლავაც სკეპტიკურად უყურებს მის გამოყენებას. ზოგიერთი კი ამტკიცებს, რომ ძალაუფლება ეფუძნება მონოპოლიას (მხოლოდ მყიდველს) ან მონოფსონიას (მხოლოდ გამყიდველს), და ასეთი ძალაუფლება ტარდება არასახელმწიფოებრივი აქტორების, ისეთების როგორცაა კერძო პირები და ბიზნესი, მაგრამ არა სახელმწიფოების მიერ [5]. მიუხედავად იმისა, რომ მართალია, მთავრობებს ხშირად სირთულეები აქვთ პოტენციური ეკონომიკური ძალაუფლების გამოყენებისას ადგილობრივი ეკონომიკური ინტერესებისა ტრანსნაციონალური კორპორაციების წინააღმდეგობის, ინსტიტუციონალური შეზღუდვები, როგორცაა მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციის წევრობის გამო, ეს არ ნიშნავს

სახელმწიფოებს არ აქვთ ეკონომიკური ძალაუფლება. თუმცა, ისევ, ძალა დამოკიდებულია კონტექსტზე, განსაკუთრებით ბაზრის ბუნებაზე.

იდეალური ბაზრის შემთხვევაში, მყიდველები და გამყიდველები ფასის მიმღებები არიან, ისინი გრძნობენ მიწოდებისა და მოთხოვნის ბაზრის სტრუქტურულ ძალაუფლებას, რაც მათ კონტროლს მიღმაა. მაგრამ თუ მათ შეუძლიათ მათი პროდუქტის იმდენად გამოყოფა, რომ შექმნან არასრულფასოვანი ბაზარი და გახდნენ ფასის შემქმნელები და არა მიმღებები. ამ კუთხით, რეკლამა, რომელიც ქმნის ბრენდის მიმართ ერთგულებას ასეთი შემთხვევაა. მყარი ეკონომიკური ძალაუფლების არსებითი ასპექტია აქტორების მხრიდან ბაზრის სტრუქტურირების მცდელობები და მათი შესაბამისი პოზიციის გაზრდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Joseph S. Nye, Jr-The Future of Power Paperback – December 13, 2011
2. Richmond, Yale. Cultural exchange and the cold war. University Park: Pennsylvania State University Press.2003
3. Rosenberg, Emily. Spreading the American dream .Hill &Wang.New York.1982
4. Ross, Christopher. Public diplomacy comes of age. In The battle for hearts and minds. Center for Strategic and International Studies.Washington, DC. 2003
5. Simon, Herbert A.Information 101: It's not what you know, it's how you know it. Journal for Quality and Participation, July-August, 1998
6. Thomas, Daniel C. The Helsinki Effect: International Norms, Human Rights, and the Demise of Communism. Princeton, NJ: Princeton University Press.2001



რეზიუმე
ეკონომიკური ძალაუფლება
საერთაშორისო ურთიერთობებში

მარიამ ვადაჭკორია

წინადადებარე პუბლიკაციაში განხილულია ეკონომიკური ძალა და მისი გავლენა თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებზე.

ეკონომიკური ძალაუფლება გახდა საკვანძო ფენომენი მსოფლიო პოლიტიკაში წარმატებისთვის. ეკონომიკური ძალაუფლების ქცევა ეფუძნება სოციალური ცხოვრების ეკონომიკურ ასპექტებს – სიმდიდრის წარმოებასა და მოხმარებას, რაც იზომება ფულად ერთეულებში. ეკონომიკურმა რესურსებმა შესაძლოა შექმნას როგორც რბილი, ასევე მყარი ძალის ქცევა. წარმატებული ეკონომიკური მოდელი არა მხოლოდ ქმნის ლატენტურ სამხედრო რესურსებს მყარი ძალაუფლების გატარებისთვის, არამედ ის ასევე იზიდავს სხვებს მისგან მაგალითის ასაღებად [6].

პოლიტიკური დამკვირვებლები დიდი ხანია განიხილავენ, ეკონომიკური ძალაუფლება უფრო ფუნდამენტურია თუ სამხედრო.

მიუხედავად იმისა, რომ მართალია, მთავრობებს ხშირად სირთულეები აქვთ პოტენციური ეკონომიკური ძალაუფლების გამოყენებისას ადგილობრივი ეკონომიკური ინტერესები ტრანსნაციონალური კორპორაციების წინააღმდეგობის, ინსტიტუციონალური შეზღუდვები, როგორცაა მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციის წევრობის გამო, ეს არ ნიშნავს სახელმწიფოებს არ აქვთ ეკონომიკური ძალაუფლება. თუმცა, ისევ, ძალა დამოკიდებულია კონტექსტზე, განსაკუთრებით ბაზრის ბუნებაზე.

SUMMARY
ECONOMICAL POWER IN
INTERNATIONAL RELATIONS
Vadatchkoria M.

The economic power and its impact on modern international relations are reflected in the previous publication.

Economic power has become a key phenomenon for success in world politics. The behavior of economic power is based on the economic aspects of social ties - the production and consumption of wealth that is measured in monetary units. Economical resources may create both soft and hard force behavior. Successful economic model not only creates latent military resources for strong power, but it also attracts others to take the example.

Political observers have long been considered, economic power is more fundamental or military.

Although governments often have difficulties with potential economic power over local economic interests to resist transnational corporations, institutional restrictions such as membership of the World Trade Organization, this does not mean that States have no economic power. However, the force depends on the context, especially on the nature of the market.